

114
1938



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მნათობი

1

ს ქ ს ე ლ ვ ე მ ი

თბილისი-1938

პროლეტარებო ყველა მხედრისა, შეერთდით!



მნათობი

სრულიად საქართველოს საშუალო მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-სამოღვაწეო
ქორნალი

წელიწადი მეთხუთმეტი

1

3368

ს ე ხ ე რ გ ე მ ი

ტ უ ი ლ ი ს ი 1 9 3 8

საქართველოს
პროლეტარების

რიდაძე:

ტფილისი, მთაბლოს, 13
შუერალოთა სასახლე
ტ. 3.71-84

ქანტორა:

ტფილისი, ყაროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მბ. რიდაძეორი — ა. მათაშვილი

პ/მბ. მღივანი — ლ. ასათიანი

მთავლიტი № 830. შუეკ. № 232. ტირ. 7500

სახელგამის კოლიგრაფკომინატი, ვორესის ქ. № 5.

პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტი- ორგანიზაციების უახლოვეზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა საპლაცხიებისადმი ფორმალურ-ბიუ- როკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლუ- შენათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილება

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმს აუცილებლად მიაჩნია მიაპყროს პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ყურადღება იმას, რომ ისინი, ატარებენ რა დიდ მუშაობას თავისი რიგების გასაწმენდად ფაშიზმის ტროცკისტულ-მემარჯვენე აგენტებისაგან, ამ მუშაობის პროცესში უშვებენ სერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც ხელს უშლიან პარტიის გაწმენდის საქმეს თვალთმაქცებისაგან, ჯაშუშებისაგან, მკენებლებისაგან. მიუხედავად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის არაერთგზის მითითებისა და გაფრთხილებისა, პარტიული ორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში სრულიად არასწორად და დანაშაულებრივ-ქარაფშუტულად უღებებიან კომუნისტების გარიცხვას პარტიიდან.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი არაერთხელ მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელებისაგან პარტიის წევრებისადმი ყურადღებით, ინდივიდუალურ მიდგომას პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში საკ. კ. პ. (ბ)-დან არასწორად გარიცხულების აღდგენის საკითხების გადაწყვეტისას.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმი თავის 1937 წ. 5 მარტის გადაწყვეტილებაში ამზანავ სტალინის მოხსენების გამო „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე“ მიგვიითებდა:

„ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი დააყენებულა ვეროვანი ყურადღების უქონლობით ადამიანებისადმი, პარტიული წევრებისადმი, მუშაკებისადმი. მეტიც, ისინი არ სწავლობენ მუშაკებს, არ სწავლობენ ცხოვრობენ ისინი და როგორ იზრდებიან ისინი, საერთოდ არ იცნობენ თავის კადრებს. სწორედ ამიტომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიდგომა პარტიის წევრებისადმი, პარტიის მუშაკებისადმი. ხოლო ინდივიდუალური მიდგომა მთავარ საქმეს შეადგენს ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობაში. და სწორედ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ინდივიდუალური მიდგომა პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკების შეფასებისას, ისინი ჩვეულებრივ განუსჯელად მოქმედებენ: ან აქებენ მათ ხელალებით, უზომოდ, ან და ასევე ხელალებით, უზომოდ ურტყამენ მათ, პარტიიდან რიცხავენ ათასობით და ათიათასობით. ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი საერთოდ ცდილობენ იაზროვნონ ათეულ-ათასობით, არ ზრუნავენ რა „ერთეულებზე“, პარტიის ცალკეულ წევრებზე. მათს ბედიღბალზე. პარტიიდან ათასობით და ათიათასობით ადამიანთა გარიცხვას ისინი სულ უბრალო საქმედ სთვლიან და თავს იმათ ინუგვეშებენ, რომ ჩვენი პარტია დიდია და ათიათასობით გარიცხულთ არ შეუძლიათ შესცვალონ რამე პარტიის მდგომარეობაში. მაგრამ პარტიის წევრებისადმი ასეთი მიდგომა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელნიც არსებითად ღრმად ანტიპარტიულნი არიან.

ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ხელოვნურად იქმნება უკმაყოფილება და გაბოროტება პარტიის ერთ ნაწილში.

გასაგებია, რომ ტროცკისტი თვალთმაქცები მარჯვედ აიყოლიებენ ხოლმე ასეთ გაბოროტებულ ამხანაგებს და მოხერხებულად ითრევენ მათ ტროცკისტული მავნებლობის ჭაობში“.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ამავე გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„დავმოვიღო იქნას პრაქტიკა ფორმალური და უსულგულო ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა პარტიის ცალკეულ წევრთა ბედიღბლის, პარტიის წევრების პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხისადმი.

დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს გამოიჩინონ მაქსიმუმი სიფრთხილსა და ამხანაგურ მზრუნველობისა პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას“.

1936 წლის 24 ივნისის წერილში „პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების განხილვისას დაშვებული შეცდომების შესახებ“ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა პარტიული ორგანოების არასერიოზულ, ხო-

ლო მთელ რიგ შემთხვევებში, უსულგულო-ჩინოვნიერ და მოკრძობულებაზე პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების გარჩევისადმი:

„წინააღმდეგ ც. კ-ის მითითებებისა, — ნათქვამია ამ კვანძულში, — გარიცხულთა აპელაციების განხილვა მეტად ნელა მიმდინარეობდა. მეტი გარიცხული თვეობით ცდილობს — გარჩულ იქნას მათ მიერ შეტანილი აპელაციები. დიდძალი აპელაციების განხილვა ხდებოდა დაუსწრებლად, აპელაციის შემტანთა განცხადებების სრულიად შეუმოწმებლად, აპელაციების შემტანთათვის იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარეშე, რომ მიეცათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტებანი პარტიიდან მათი გარიცხვის მიზეზების თაობაზე.

მთელ რიგ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში დაშვებულ იქნა სრულიად შეუწყნარებელი თვითნებობა პარტიიდან გარიცხულების მიმართ. ისეთებს, რომლებიც პარტიიდან გარიცხული იყვნენ სოციალური წარმოშობის დაფარვისა და პასიურობისათვის, და არა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი მტრული მოქმედების მოტივებით, ავტომატიურად ხსნიდნენ სამუშაოდან, ართმევდნენ ბინებს და ა. შ.

ამრიგად ამ პარტორგანიზაციების პარტიული ხელმძღვანელები, ჯეროვნად არ შეითვისეს რა პარტიის მითითებანი ბოლშევიკური სიფხიზლის შესახებ, პარტიული-დოკუმენტების შემოწმების დროს გარიცხულთა აპელაციების განხილვისადმი თავის ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებით ხელს უწყობდნენ პარტიის მტრებს“.

ოგორც ეხედავთ, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მიცემული პკონდათ გამაფრთხილებელი მითითებანი.

და მინც, მიუხედავად ამისა, ბევრი პარტორგანიზაცია და მათი ხელმძღვანელები განაგრძობენ პარტიის ცალკეულ წევრთა ბედისადმი ფორმალურ და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას.

ცნობილია საკმარდ ბევრი ფაქტი, როცა პარტიული ორგანიზაციები სრულიად შეუმოწმებლად და, მაშასადამე, დაუსაბუთებლად რიცხავენ კომუნისტებს პარტიიდან, ართმევენ მათ სამუშაოს, ხშირად აცხადებენ კიდც, სრულიად უსაფუძვლოდ, ხალხის მტრებად, უკანონობასა და თვითნებობას სჩადიან პარტიის წევრების მიმართ.

ასე, მაგალითად: აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1937 წლის 5 ნოემბრის ერთ სხდომაზე შექანიერად დაადასტურა 279 კაცის გარიცხვა პარტიიდან; სტალინგრადის ოლქკომში 26 ნოემბერს დაადასტურა 69 კაცის გარიცხვა; ნოვოსიბირსკის ოლქკომში 28 ნოემბერს შექანიერად დაადასტურა საქ. კ. პ. (ბ) რაიკომთა ვადაწყვეტილებანი პარტიიდან 72 კაცის გარიცხვის შესახებ; ორჯონიკიძის სამხარეო პარტიულ ორგანიზაციაში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიკონტროლის კომისიის პარტიკოლეგიამ გააუქმა, როგორც არასწორი და

სრულიად დაუსაბუთებელი, გადაწყვეტილებანი პარტიიდან 101 კომუნისტის გარიცხვის შესახებ 160 კაციდან, რომლებსაც შეტანილი მქონდათ აპელაციები; ნოვოზიბირსკის პარტიულ ორგანიზაციაში შემყვანად დაჯარიმებული საპროკურორის 80-დან 51 გადაწყვეტილების გაუქმება; რუსთოვის პარტიულ ორგანიზაციაში 66-დან გაუქმებული იქნა 43 გადაწყვეტილება; სტალინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში—103-დან 58; სარატოვისაში — 134-დან 80; კურსკის პარტიულ ორგანიზაციაში — 92-დან 56; ვინნიცის პარტიულ ორგანიზაციაში — 337-დან 164 და ა. შ.

ბარკოვის ოლქის ბევრ რაიონში „სიფხიზლის“ საბაბით აღგილი აქვს შრავალრიცხოვან ფაქტებს, როცა პარტიიდან გარიცხულ და უპარტიო მუშაკებს უკანონოდ ითხოვენ სამუშაოდან და უარს ეუბნებიან სამუშაოს მიცემაზე. ზმიევის რაიონში 1937 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში უმიზეზოდ მოხსნეს სამუშაოდან 36 მასწავლებელი და განზრახულია კიდევ 42-ის დათხოვნა. შედეგად, ტარანოვკის, ზამოსტიანოვს, სკრიპაევკის და სხვა სოფლების სკოლებში არ ასწავლიან ისტორიას, სსრ კავშირის კონსტიტუციას, რუსულს, უკრაინულს და უცხო ენებს.

ქ. ზმიევი სამუშაო სკოლაში ბიოლოგიას ასწავლიდა მასწავლებელი ფურკო, დაბადებული 1904 წელს, კოლმეურნის ქალიშვილი, — მ-წლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე, პედინსტიტუტის მე-4 კურსის დაუსწრებელი მსმენელი. ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა შენიშვნა მის ძმაზე, რომელიც პედაგოგად მუშაობს ქ. იზიუმში, როგორც ნაციონალისტზე. ეს საკმაო აღმოჩნდა ფურკოს სამუშაოდან დათხოვნისათვის. ამხ. ფურკოს დათხოვნასთან დაკავშირებით, პოლიტიკური უნდობლობა გამოეცხადა მის ქმარს და დაისვა საკითხი აგრეთვე მისი დათხოვნის შესახებაც. შემოწმებისას კი გამოირკვა, რომ შენიშვნა ფურკოს ძმის შესახებ ცილისმწამებლური აღმოჩნდა და იგი სამუშაოდან არ მოუხსნიათ.

ქ. ბარკოვი ერთი დაპატიმრებული ტროცკისტი ქალის გორსკიას საქმეზე შინსახკომის ორგანოებმა დაპკითხეს როგორც მოწმეს, ტინიაკოვის სახელობის ფაბრიკის ქარხკომის მუშაკ ქალს ეინგორნს. შინსახკომში მისი გამოძახების შესახებ მან აცნობა სპეცნაწილის უფროსს სემენკოვს, რომელმაც ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დასვა ქარხნის პარტიკომის სხდომაზე საკითხი ეინგორნის კავშირის შესახებ ტროცკისტ გორსკიასთან. ამის შედეგად, ეინგორნი მოხსნეს ქარხკომში მუშაობიდან და დაითხოვეს. ეინგორნის დის ქმარი, რომელიც ადგილობრივი გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, დათხოვნილ იქნა იმისთვის, რომ „არ აცნობა მისი ცოლის დის კავშირის შესახებ ტროცკისტებთან“.

საქ. კ. პ. (ბ) კურსკის ოლქოვში სრულიად შეუმოწმებლად, დაუსწრებლად გარიცხა პარტიიდან და დაპატიმრებინა პარტიის წევრი დმიტრო-ტარანოვსკის შაქრის ქარხნის ქარხკომის თავჯდომარე ივანჩენკოვა, შიამე-

რა რა მას შეგნებული კონტრარევოლუციური მომზადება უპარტიო მუშის კულინიჩენკოს გამოსვლისა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს წინასაბრჩევნო კრებაზე. შემოწმებისას გამოიჩინა, რომ ივანჩენკოვას შეეფერებოდა წინასაბრჩევნო კრებაზე. იმაში მდგომარეობდა, რომ წინასაბრჩევნო კრებაზე უპარტიო მუშის კულინიჩენკო, მას შემდეგ, რაც მან უამბო კრებას თავისი ცხოვრების შესახებ, დაიბნა გამოსვლის დროს და დაავიწყდა დაესახელებინა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი.

კუიბიშევის ოლქის ბევრ რაიონში პარტიიდან გარიცხულ იქნა მრავალი კომუნისტი ამ მოტივით, რომ ისინი ხალხის მტრები არიან. ამავე დროს, შინსახკომის ორგანოები ვერავითარ საფუძველს ვერ პოულობენ პარტიიდან ამ გარიცხულთა დაპატიმრებისათვის. მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ბოლშე-ჩერნიგოვის რაიკომმა პარტიიდან გარიცხა და ხალხის მტრებად გამოაცხადა 50 კაცი რაიონულ პარტორგანიზაციაში მყოფ 210 კომუნისტის საერთო რაოდენობიდან, მაშინ, როცა ამ გამორიცხულებიდან 43-ის მიმართ შინსახკომის ორგანოებმა ვერავითარი საფუძველი ვერ ნახეს დაპატიმრებისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის კუიბიშევის ოლქის პარტკოლეგიაში ცხადდებიან ბევრნი საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების მიერ გარიცხულნი, როგორც ხალხის მტრები, და მოითხოვენ ან დააპატიმრონ ისინი, ან მოხსნან მათ სამარცხვინო დაღი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს სხვა პარტორგანიზაციებშიც.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ ყველა ეს და მსგავსი ფაქტები პარტორგანიზაციებში გავრცელებულია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ კომუნისტებს შორის არსებობენ, ჯერ კიდევ არ არიან გამომკვლავებული და მხილებული ცალკეული კარიერისტი-კომუნისტები, რომლებიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით, ცდილობენ პარტიის წევრთა წინააღმდეგ ხელაღებითი რეპრესიების გამოყენების გზით თავი დაიზღვიონ სიფხიზლის ნაკლებობაში შესაძლო ბრალდებებისაგან.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი ფიქრობს, რომ რაკი პარტიის წევრზე შეტანილია განცხადება, თუნდაც არასწორი ან პროვოკაციულიც კი, იგი, პარტიის ეს წევრი, საშიშია ორგანიზაციისათვის და საჭიროა რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს მისგან, რათა თავი გამოიყენოს ფხიზელ კაცად. იმიტომ მას ზედმეტად მიაჩნია ობიექტურად გაერკვეს კომუნისტისათვის წაყენებულ ბრალდებებში და წინასწარ სწყვეტს, რომ აუცილებელია მისი გარიცხვა პარტიიდან.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი, სურს რა მოიპოვოს დამსახურება, სრულიად განურჩევლად ავრცელებს პანიკას ხალხის მტრებში შესახებ და ადვილად იწყებს ყვირილს პარტიკრებებზე რაიმე ფორმის წინააღმდეგობით, ან სრულიად უსაბუთოდ პარტიიდან პარტიის წევრთა გარეშე შესახებ. პარტიული ორგანიზაციები კი ხშირად კულში მისდევენ ასეთ მყვირალა კარიერისტებს.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი გულგრილად ეკიდება პარტიის წევრთა ბედილბალს და მზად არის შეგნებულად უმართებულოდ გარიცხოს პარტიიდან ათობით კომუნისტები იმისათვის, რომ თვითონ ფხიზელ კაცად გამოიყურებოდეს. იგი მზად არის მცირემნიშვნელოვანი დანაშაულობათვის გარიცხოს პარტიის წევრები პარტიიდან, რათა მიიწეროს „დამსახურება“ მტრების მხილებაში, ხოლო თუ შემდგომი პარტიული ორგანოები აღადგენენ პარტიიდან უმართებულოდ გარიცხულთ, ოდნავ უზერხულობასაც არ გრძნობს და სდგება იმ ადამიანის პოზაში, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ მან ყოველ შემთხვევაში დაიზღვია თავი „სიფხიზლის“ მხრივ.

პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები იმის ნაცვლად, რომ ყალბი სიფხიზლის ნიღაბი ჩამოგლიჯონ ასეთ „კომუნისტებს“ და სააშკარაოზე გამოიყვანონ ისინი, ხშირად თვითონ უქმნიან მათ პარტიის რიგების სიწმინდისათვის ფხიზელ მებრძოლთა შარავანდედს.

დროა ვამზილოთ ასეთი უკაცრავად პასუხია კომუნისტები და დავგმობთ ისინი, როგორც კარიერისტები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ დამსახურება პარტიიდან გარიცხვებით, ცდილობენ თავი დაიზღვიონ პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით.

შემდეგ, ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ხალხის შენიღბული მტრები, მავნებელ-თვალთმაქცები პროვოკაციული მიზნებით აწყობენ ცილისმწამებლურ განცხადებათა შეტანას პარტიის წევრებზე და „სიფხიზლის გამოსვლის“ საბაბით აღწევენ საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან პარტიოსანი და თავდადებული კომუნისტების გარიცხვას, რითაც იცდენენ დარტყმას და თავს ინარჩუნებენ პარტიის რიგებში.

ხალხის მხილებული მტერი, საქ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილების ყოფილი გამგე შაკი და მისი თანამონაწილეები, სარგებლობდნენ რა საქ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა პოლიტიკურა სიბეცით, პარტიიდან რიცხავდნენ პარტიოსან კომუნისტებს, აშკარად არასწორი სასჯელი გამოჰქონდათ მუშაკებისათვის, ყოველნაირად ამოროტებდნენ კომუნისტებს და ამავე დროს ყველაფერს აკეთებდნენ, რაც კი შესაძლებელი იყო, თავისი კონტრრევოლუციური კადრების შესანარჩუნებლად პარტიაში.

იმავე როსტოვში, საქ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის სკოლების განყოფილების ყოფილმა გამგემ ხალხის მტრმა შესტოვამ კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციის დაეაღებიტ როსტოვში მუდმივყოფიური ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში ჩაატარა ვმ-მდე მამყამსანი კომუნისტის გარიცხვა პარტიიდან.

უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, ხალხის მტერი კუდრიავეცივი პარტიულ კრებებზე გამოსულ კომუნისტებს მუდამ მიმართავდა პროვოკაციული კითხვით: „თქვენ კი თუნდაც ვინმეს შესახებ დავიწყრით განცხადებო?“ ამ პროვოკაციის შედეგად კიევი შეტანილ იქნა პოლიტიკურად სახელგამტები განცხადებანი ქალაქის პარტორგანიზაციის წევრთა თითქმის ნახევარზე, ამასთან განცხადებათა უმეტესობა აღმოჩნდა აშკარად არასწორი და პროვოკაციულიც კი.

საქ. კ. პ. (ბ) ქ. სტალინგრადის ბარიკადის რაიკომის აწ მხილებულმა მტრულმა ხელმძღვანელობამ „ანტისაბჭოთა ლაპარაკისათვის“ პარტიიდან პროვოკაციულად გარიცხა და დააპატიმრებინა პარტიის წევრი 1917 წლიდან მოხნატკინი, ყოფილი წითელი პარტიზანი, ქარხანა „ბარიკადის“ ერთერთი უდიდესი საამქროს უფროსი. როგორც შემოწმების შედეგად გამოიკვა, ეს „ანტისაბჭოთა ლაპარაკი“ იმაში გამოიხატებოდა, რომ ამხ. მოხნატკინი ამხანაგებთან საუბარში უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ სოფლისაბჭო უსულგულოდ ეპყრობოდა იმ პარტიზანულ რაზმის მეთაურის, სამოქალაქო ომის წლებში თეთრებთან ბრძოლის დროს მოკლულის შვილებს, რომელ რაზმშიაც მოხნატკინი იყო მეთაურის თანაშემწედ. ამხ. მოხნატკინი პარტიის წევრის უფლებებში მხოლოდ მას შემდეგ იქნა აღდგენლი, როცა საქმეში ჩაერია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია.

პარტიულ აპარატში შემჭვრალი მტრების პროვოკაციული მუშაობის ასეთ ფაქტებს აღდელი ჰქონდათ აგრეთვე ვორონეჟის, კრასნოდარის, ჩელიაბინსკის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

ყველა ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ მრავალმა ჩვენმა პარტორგანიზაციამ და მათმა ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ შესძლეს შეეშინათ დი ემბლებინათ ოსტატურად შენიღბული მტერი, რომელიც ცდილობს ყვირილით სიფხიზლის შესახებ შენიღბოს თავისი მტრობა და თავი დაირჩინოს პარტიის რიგებში — ეს ერთი, — და მეორე, ცდილობს რებრესიათა ზომების გატარებში გზით — გაანადგუროს ჩვენი ზოლშევიკური კადრები, დასთესოს დაურწმუნებლობა და ზედმეტი ეჭვიანობა ჩვენს რიგებში.

ასეთი შენიღბული მტერი — უბოროტესი გამცემელი — ჩვეულებრივ ყველაზე ხმაშალა გაპყვირის სიფხიზლზე, ჩქარობს რაც შეიძლება უფრო მეტი „ამხილოს“ და ყოველივე ამას სჩადის იმ მიზნით, რომ

დაპფაროს თავისი საკუთარი დანაშაულობანი პარტიის წინაშე და ჩამოაშოროს პარტიული ორგანიზაციის ყურადღება ხალხის ნამდვილი მტრების მხილებას.

ასეთი შენიღბული მტერი — საზიზღარი თვალთმაქცი — ყოველნაირად ისწრაფვის შეჰქმნას პარტორგანიზაციებში ზედმეტი ეჭვიანობის ვითარება, როცა პარტიის თვითველ წვერს, რომელიც ვინმეს მიერ ცილდანაწამები მეორე კომუნისტის დასაცავად გამოვიდა, დაუყოვნებლივ ბრალს სდებენ სიფხიზლის უქონლობაში და ხალხის მტრებთან კავშირურთიერთობაში.

ასეთი შენიღბული მტერი — საზიზღარი პროვოკატორი — იმ შემთხვევაში, როცა პარტორგანიზაცია იწყებს კომუნისტზე შეტანილი განცხადების შემოწმებას, ყოველნაირად ჰქმნის პროვოკაციულ ვითარებას ამ შემოწმებისათვის, კომუნისტის გარშემო სთესავს პოლიტიკური უნდობლობის ატმოსფეროს და ამით, საქმის ობიექტური გარჩევის ნაცვლად, მის წინააღმდეგ აწყობს ახალ განცხადებათა ნაკადს.

პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ გამოამჟღავნონ და ამხილონ ასეთი შენიღბული მტრის პროვოკაციული მუშაობა, ხშირად კვლში მისდევენ მას, უქმნიან მას დაუსჯელობის ვითარებას პარტიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ ცილისწამებისათვის და თვითონ ადგებიან პარტიიდან მასობრივი დაუსაბუთებელი გარიცხვის, სასჯელთა დადების ვზას და ა. შ. კიდევ მეტი, თვით იმ მტრების მხილების შემდეგაც, რომელნიც შეიპარნენ პარტიულ აპარატში და ცილს სწამებენ პარტიოსან კომუნისტებს, ჩვენი პარტიული ხელმძღვანელები ხშირად არ იღებენ ზომებს პარტიულ ორგანიზაციებში მავნებლობის ლიკვიდაციისათვის პარტიიდან კომუნისტების არასწორ გარიცხვათა მხრივ.

ღროა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ და მათმა ხელმძღვანელებმა ამხილონ და ბოლომდე მოსპონ შენიღბული მტერი, რომელიც შემოიპარა ჩვენს რიგებში და ცდილობს ყალბი მწიროლით სიფხიზლის შესახებ დაპფაროს თავისი მტრობა და თავი დაიჩინოს პარტიაში, რათა განაგრძოს მასში თავისი საზიზღარი გამცემლური მუშაობა.

რით აიხსნება, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დღემდე არ ამხილეს და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრეს არათუ კარიერისტი-კომუნისტები, რომელნიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, არამედ შენიღბული მტრებიც პარტიის შიგნით, რომელნიც ცდილობენ სიფხიზლის შესახებ ყვირილით დაპფარონ თავისი მტრობა და თავი დაიჩინონ პარტიაში, რომელნიც ცდილობენ რეპრესიათა ზომების გატარების გზით გაანადგურონ ჩვენი ბოლშევიკური კადრები და დასთესონ ზედმეტი ეჭვიანობა ჩვენს რიგებში?

ეს აიხსნება დანაშაულებრივ-ქარაფშუტული დამოკიდებულებით პარტიის წევრთა ბედილობისადმი.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი აღმოჩნდა პოლიტიკურად ბეცი საქმოსანი, მათ საშუალებდა: რუსეთის ხალხის მტრებს და კარიერისტებს გვერდი აეელოთ მათთვის და ქარაფშუტულად მეორეხარისხოვან მუშაკებს მიანდევს მთლიანად იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც პარტიის წევრთა ბედილობას ეხებიან, და დანაშაულებრივად განზე ვადგენენ ამ საქმის ხელმძღვანელობისაგან.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მათი ხელმძღვანელები არათუ ასწორებენ ანტი-პარტიულ, ბოლშევიზმისათვის უცხო პრაქტიკას ზარტიიდან კომუნისტების გარიცხვის საქმეში, არამედ ხშირად თვითონ თავისი არასწორი ხელმძღვანელობით, ნერგავენ ფორმალურ და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას პარტიის წევრებისადმი და ამით ჰქმნიან ხელსაყრელ ვითარებას კარიერისტ-კომუნისტებისა და პარტიის შენიღბული მტრებისათვის.

არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, საქმეში გარკვევის შეზღვევ, დაეგმოთ პარტიის წევრებისადმი ხელაღებითი, საერთო შიღვომის პრაქტიკა, პასუხისგებაში მიეცათ ადგილობრივ პარტიულ-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პარტიიდან კომუნისტების დაუსაბუთებელი და არასწორი გარიცხვისათვის.

პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ არასწორად გამოირიქხულთა მკმართ შეცდომების გამოსწორებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს პარტიის ავტორიტეტს და აენოს ხალხის მტრების მხილების საქმეს, მათ არ ესმით, რომ პარტიიდან არასწორი გარიცხვის თვითნებური შემთხვევა ხელსაყრელია პარტიის მტრებისათვის.

ბევრ საოლქო და სამხარეო ორგანიზაციაში სრულიად უმოძრაოდ აწყვია დიდძალი განუხილველი აპელაციები. როსტოვის ოლქში არ არის განხილული 2.500-ზე მეტი აპელაცია, კრასნოდარის მხარეში — 2.000 სმოლენსკის ოლქში — 2.300, ვორონეჟის ოლქში — 1.200, სარატოვის ოლქში — 500 და სხვ.

საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა, ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, ხელი აიღეს რა გარიცხულთა აპელაციების განხილვაზე, წინააღმდეგ პარტიის წესდებისა, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე გადააქციეს უაპელაციო და საბოლოო გადაწყვეტილებებად.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტები არსებითად განზე

გადგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ხელმძღვანელობისაგან ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხში, პარტიის წევრთა ბედობის საკითხში, და ამ საკითხის გადაჭრაში უფრო თვითონდინებას, ხშირად კი თვითნებობასაც.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტები თვითონ უწყობენ ხელს პარტიიდან მასობრივ, ხელაღებით გარიცხვათა პრაქტიკას იმით, რომ დაუსჯელად სტოვენ იმ პარტიულ ხელმძღვანელებს, რომლებიც უშვებენ თვითნებობას კომუნისტების მიმართ.

ღრთა ბოლო მოვულოთ ბოლშევიკებისათვის უცხო, ფორმალურ და უსულგულო ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი.

ღრთა შევიგნოთ, რომ:

„პარტია პარტიის წევრისათვის მეტად დიდ და სერიოზულ საქმედ გახდა და პარტიის წევრობა ან პარტიიდან გარიცხვა — ეს დიდი გარდატეხაა ადამიანის ცხოვრებაში“.

ღრთა შევიგნოთ, რომ:

„პარტიის რიგითი წევრებისათვის პარტიაში ყოფნა ან პარტიიდან გარიცხვა, — ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ (სტალინი).

ღრთა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გქონდეს უნარი ამხილო მტერი, რარიც ცბიერიც და გაქნილიც უნდა იყოს იგი, რა სამოსელითაც უნდა ირთებოდეს იგი, და არა იმაში, რომ განურჩევლად ან „ყოველი შემთხვევისათვის“ ათობით და ისობით რიცხავედ პარტიიდან ყველას, ვინც ხელში მოგხვდება.

ღრთა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლე არათუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს უნარს გამოიჩინო მაქსიმუმი სიფრთხილე და ამხანაგური ზრუნვა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულების აღდგენის საკითხების გადაჭრისას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელებისაგან ყოველნაირად გააძლიერონ პარტიული მასების ბოლშევიკური სიფხიზლე, ბოლომდე ამხილონ და აღმოფხვრან პარტიის ყველა ნებსითი და უნებლიე მტერი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანეს პირობად სთვლის — ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი ხელაღებითი, არაინდივიდუალური, საერთო მდგომის ანტიპარტიული პრაქტიკის სრულ ლიკვიდაციას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას

გადაჭრით მოულონ ბოლო პარტიიდან მასობრივ ხელაღმართს, ცხვეს და ნამდვილად დააწესონ ინდივიდუალური, დიფერენცირებული მდგომარეობა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში შემცირება ადღგენის საკითხების გადაჭრისას.

2. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მოხსნან პარტიული პოსტებიდან და მისცენ პარტიულ პასუხისგებაში ის პარტიული ხელმძღვანელები, რომელნიც არ ასრულებენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, პარტიიდან რიცხავენ საქ. კ. პ. (ბ) წევრებსა და კანდიდატებს ისე, რომ გულმოდგინედ არ ამოწმებენ მთელ მასალას, და უშვებენ თვითნებობას პარტიის წევრთა მიმართ.

3. წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტიკოლეგებს სამი თვის ვადაში დაამთავრონ პარტიიდან ყველა გარიცხულის აპელაციათა განხილვა.

4. დაევალოს ყველა პარტიულ კომიტეტს თავის დადგენილებებში პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის შესახებ ნათლად და ზუსტად აღნიშნონ მოტივები, რომლებიც გახდა გარიცხვის საფუძველი, რათა შემდგომ პარტიულ ორგანოებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეამოწმონ ამ დადგენილებათა სისწორე, ხოლო რაიკომის, საქალაქო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის ან ნაცკომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თვითმული ასეთი დადგენილება აუცილებლად გამოჭვეყნდეს პრესაში.

5. დაწესდეს, რომ პარტიული ორგანოები, აღადგენენ რა პარტიის წევრთა უფლებებში აღდგომბრივი პარტორგანიზაციების მიერ უმართებულოდ გამორიცხულთ, ვალდებული არიან თავის დადგენილებებში ზუსტად აღნიშნონ, თუ საქ. კ. პ. (ბ) რომელმა რაიკომმა, საქალაქო კომიტეტმა უნდა მისცეს პარტიაში აღდგენილს პარტიული დოკუმენტები.

6. დაევალოთ პარტიის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს დაუყოვნებლივ მისცენ პარტიული დოკუმენტები პარტიაში აღდგენილთ, ჩააბან ისინი პარტიულ მუშაობაში და განუმარტონ პირველადი პარტორგანიზაციების ყველა წევრს, რომ ისინი პასუხს აგებენ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში აღდგენილთა ბოლშევიკური აღზრდისათვის.

7. დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც დამნაშავენი არიან პარტიის წევრებისათვის ცილისწამებაში, სავსებით მოახდინონ პარტიის ამ წევრთა რეაბილიტაცია და გამოაჭვეყნონ პრესაში თავისი დადგენილებანი იმ შემთხვევებში, როცა წინასწარ მოთავსებული იყო პრესაში პარტიის წევრის სახელგამტები მასალები.

8. აეკრძალოთ პარტორგანიზაციებს შეიტანონ კომუნისტის სააღრიცხვო ბარათში პარტიიდან მისი გარიცხვის ფაქტი სააპელაციო საჭიჯის განხილვამდე და გარიცხვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებით გამოტანამდე.

9. აიკრძალოს არასწორი, მანე პრაქტიკა, როცა საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულებს დაუყოვნებლივ ხსნიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობიდან.

დაწესდეს, რომ ყველა შემთხვევაში, როცა საჭიჯო ხდება, საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხვასთან დაკავშირებით, განთავისუფლებულ იქნას მუშაკი დაკავებული თანამდებობიდან, ეს განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მისთვის მხოლოდ სხვა სამუშაოს მიცემის შემდეგ.

10. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაც-კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს არაუგვიანეს 1938 წლის 15 თებერვლისა უზრუნველყონ სათანადო საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საშუალებით საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა მიღება სამუშაოზე და შემდეგში არ დაუშვან ისეთი მდგომარეობა, რომ საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულნი სამუშაოს მოკლებულნი რჩებოდნენ.

„პრავდა“, 1938 წ. 19 იანვარი.



საბჭოთა კულტურის დიადი ღმესასწაუდი

წითელ დროშებზე, რომელნიც ამაყად ფრიალებენ საბჭოების ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებზე, აულებსა და მუშათა უბნებზე, სოციალიზმის ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი ღოჭუნგები სხედასხვა ენაზეა წარწერილი. მაგრამ არ არსებობს მიჯნები, რომლებიც ერთმანეთს აშორებდეს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ოლქებს. ერთიან, მძლავრ, განუყრელ ოჯახად აკავშირებს მათ ხალხთა სტალინური მეგობრობის სრულხმოვანი ენა.

ჩვენგან შორეულ დროს, 750 წლის წინათ, კავკასიონის მთების ძირას იმღერა თავისი უქკნობი სიმღერა შოთამ სოფელ რუსთაველიდან და დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყანაში ზეიმიტა და სიხარულით აღნიშნავენ ამ ისტორიულ თარიღს ქართული კულტურის განვითარებაში.

რუსთაველის გენიალური პოემა ყველა საბჭოთა ხალხის კუთვნილება გახდა. მრავალფერად მოელვარე ძვირფასი ქვა, რომელშიაც ასახულია მესხთა ქვეყნის მცხუნვარე მზე, შეტანილია პოეზიისა და კულტურის ჩვენს საერთო საგანძურში, სადაც ჩაუქრობელი შექმით ბრწყინავენ ხალხურ გენიათა და ტალანტთა სახელები.

რუსთაველის იუბილე ჩვენი ძლიერების, სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების ბრწყინვალე დემონსტრაციაა. ეს არის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების ღმესასწაული. ჩვენი მრავალრიცხოვანი ხალხები ერთად, მწყობრად, ერთი დროში ქვეშ — ლენინ-სტალინის პარტიის დროში ქვეშ — ცხოვრობენ, აშენებენ, ჰქმნიან, ანეითარებენ თავიანთ კულტურას, — ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურს.

თავის ისტორიულ მოხსენებაში საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო შერვე ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საბჭოთა ხალხების მეგობრობის საკითხს. მან სთქვა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილ მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდაო. რით აიხსნება ეს გამარჯვება? ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციონალ-
 შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; ვერცხებობამ
 ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას წარმოადგენს ნაციონ-
 ალისტურ ენებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას
 მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული
 მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარ-
 რების ფაქტიურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი
 ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური
 კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულ-
 ტურის აყვავებამ, — ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მი-
 გვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა
 სახე, გაჰქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათ-
 ში ურთიერთმეგობრობის გრძნობა და ამგეადაც, მოგვარდა ხალხთა ნამ-
 დელილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სი-
 სტემაში“.

საბჭოთა ხალხების ძმურ თანამშრომლობას მოწმობს ლირსშესანიშ-
 ნავი თარიღი — 1937 წლის 12 დეკემბერი — სსრ კავშირის უზენაესი
 საბჭოს არჩევნების დღე. ერთი გრძნობით, ერთი გატაცებით იყვნენ აღ-
 ფრთოვანებული სსრ კავშირის ყველა ხალხის შვილები, ისინი მთელს
 მსოფლიოს უჩვენებდნენ თავის პოლიტიკურ და მორალურ ერთიანო-
 ბას, თავის სიყვარულს სამშობლოსადმი, თავის ერთგულებას ლენინ-
 სტალინის პარტიისადმი.

საბჭოთა ხალხების ძმურ თანამშრომლობას მოწმობენ ჩვენი მრავალ-
 ეროვანი ლიტერატურა, სიმღერები, თეატრი, მხატვრობა, ჩვენი უნი-
 ვერსიტეტები და სამეცნიერო ინსტიტუტები. თვითელი ხალხი სწავ-
 ლობს, მღერის, ჰქმნის თავის მშობლიურ ენაზე და თავისი აღმაფრენის
 საუკეთესო ნაყოფი შეაქვს მეცნიერებისა და კულტურის საერთო საკავ-
 შირო საგანძურში, აფართოებს და ამდიდრებს ამ საგანძურს.

დიდი რუსი პოეტის პუშკინის იუმბილე აღნიშნა მთელმა ჩვენმა ჰე-
 ყანამ, ყველა თავის ენაზე. უკვდავია პუშკინის ლექსი, მისი სილამაზე
 და სიმართლე აღელვებს ბელორუსსაც, თურქმენსაც და ტაჯიკსაც. და-
 ლესტინის აშულ სულიმანის სიმღერები, ყაზახთა აკინ ჯამბულის ჰანგე-
 ბის მუსიკალური სტრიქონები ცნობილია რუსთა და უკრაინელთა სოფ-
 ლებშიაც.

შელორუსები და ქართველები მხურვალედ უკრავენ ტანს მინსკში და
 ტფილისში სავასტროლოდ ჩასულ უკრაინის საოპერო თეატრს. მოსკო-
 ველები აღტაცებით დებულობენ, როგორც თავის მშობლიურ ხელოვნე-
 ბას, ქართულ ოპერა „დაისსაც“, ყაზახურ „ჯალბირსაც“ და უკრაინულ
 „ნატალკა-პოლტავკასაც“.

ქართველი გენიოსის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ თავისი შეუდარებელი მხატვრული ძალით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ხოლო პირველ რიგში მის მოწამულ ქვეყანას — საბჭოთა ხალხებს, სოციალიზმის მშენებელთ, სილამაზისა და სიბრძნისათვის მებრძოლთ.

როდესაც მღერის ავთანდილი, რუსთაველის პოემის გმირი, მას უსმენს არა მარტო მთელი ბუნება, არამედ ყველა ადამიანიც, ყველა ხალხი... „ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით, მაშრიყნი და მალრიბელნი. რუსნი სპარსნი, მოფრანგენი და შისრიფით მეგვიპტელნი“, აი დიდ მგოსანთა და პოეტთა სანუკვარი ოცნება — მათი ჰანგების ტკბილხმოვანმა ნაკადმა უნდა დაანგრეოს ყველა ჯებირი, ყველა ნაციონალური ზღუდე.

სოციალიზმის ქვეყანაში განხორციელდა პოეტის ოცნება.

რუსთაველის შემოქმედება მახლობელი და შეხმატკბილებულია ჩვენთან, სტალინური ეპოქის ადამიანებთან. რუსთაველი გასაგები და მახლობელია ჩვენთვის, იმიტომ რომ იგი ნათელი მზერითა და სიბარულით შესტყურდა მსოფლიოს, ცხოვრებას. რუსთაველმა ჩააბნო საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კაცთმოდულე ღრიალცელი და იმღერა მგზნებარე სიმღერა ადამიანზე, თავისუფლების, სიყვარულისა და ბედნიერების მის უფლებებზე.

რუსთაველი მეგობრობას უმღერის. მაღალ, კეთილშობილურ, პრინციპულ მეგობრობას. მისი გმირები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, დამეგობრდნენ რწმენის, მისწრაფებათა და განწყობილებათა ერთიანობის საფუძველზე. ორპირ უბადრუკ ადამიანთა, საზიზღარ მოღალატეთა და გამცემელთა წინააღმდეგ კრახვითა და ზიზღით გაისმის პოეტის ხმა — „ვეგობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ლალატანსა“. „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“.

რუსთაველი სიყვარულს უმღერის, მაგრამ ეს უსუსური ლირიკოსის დორბლიანი სიყვარული როდია, პოემის გმირი ქალი თავის მიჯნურს ეუბნება, რომ მის სიყვარულს მიჯნური მოიპოვებს არა სიტყვებით, არა ცრემლით, არამედ მახვილით ბრძოლის ველზე, მტრებისაგან სამშობლოს დაცვით. განა ეს არ მოგვაგონებს ჩვენს საუკეთესო ქალებს — დედებს, ცოლებს, საცოლებს, რომელნიც თავიანთ მახლობელ ადამიანებს ჰგზავნიან საბჭოთა საზღვრების დასაცავად, ჰაერის სივრცეთა დასაპყრობად, სამშობლოს გულისათვის საგმირო საქმეების შესასრულებლად?

ნესტანი ეუბნება თავის მიჯნურ ტარიელს: „სპარსთა ვერა ვიქმნი დოეთისა ჰამასა“, ჩვენი სახელმწიფოდან მათ „არ მივსცემ არცა დრამასა“. განა ჩვენთვის მახლობელი არ არის ეს კეთილშობილური გრძნობა სამშობლოსადმი სიყვარულისა? განა ჩვენ მზად არ ვართ საბჭოთა ქვეყნის თითოეული გოჯი დავიცვათ საზიზღარი მტრებისაგან? რუსთაველი სიციცხლეს უმღერის, სიციცხლე მიყვარს, ამას არ ვმაღაფო, —

ამბობს ავთანდილი. მაგრამ ამავე დროს იგი დასძენს: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ეს სიტყვეთა მანძილზე და გასაგებია სტალინური ეპოქის ადამიანებისათვის, ჩვენს არისტოკრატიისათვის, ჩვენი გმირებისათვის. „უმჯობესია ფეხზე მდგომი მოკვდე, ვიდრე დაჩოქილი ცოცხლობდე!“ — შესძაბა მგზნებარე დოლორეს იბარტრემ, მიმართავდა რა მადრიდის გმირ დამცველთ.

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის მშვენიერი, როდესაც იგი აღსავსეა მაღალი იდეალებით. „სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დაღება“.

ერთ-ერთი ასეთი მაღალი იდეალი; რომელიც სიცოცხლეს ასზივონებს, არის სიყვარული სამშობლოსადმი. „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვეილი ფერად-ფერები, ვინცა გვიცნობენ, გენატრიან, იგიცა ვინცა მტერები“. დღეს ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ეს სიტყვები, ვხედავთ რა ჩვენს აყვავებულ მხარეებს, ჩვენს მშვენიერ სამშობლოს, რომლის გამარჯვებანი მტრის გაბოროტებას იწვევენ.

საშუალო საუკუნეების ბნელეთის მოციქულნი რუსთაველის პოემას კოცონზე სწვადნენ. მეცბრამეტე საუკუნის ბნელეთის მოციქული — შოენისტური ინტელიგენცია არ სწვავდა პოემას, მაგრამ მან „წმინდა ქართულ ნაწარმოებად“ გამოაცხადა ეს ნაწარმოები და უარყოფდა მის მსოფლიო საერთო საკაცობრიო მნიშვნელობას.

იმავე გზას გაჰყვნენ ბნელეთის თანამედროვე მოციქულნი — ბურჟუაზიული ნაციონალისტები. სხვა მტრებთან ერთად ისინი ცდილობენ ეკლიანი მავთულით გააცალკეონ ერთი ხალხი მეორისაგან, გასთიშონ ისინი ერთმანეთისაგან პოლიტიკურად, დაშალონ საბჭოთა კავშირი. ეს არ მოხდება! სსრ კავშირის ხალხები ერთსულოვნად ჰქმნიან სოციალისტურ კულტურას ლენინ-სტალინის პარტიის დროშით.

და დღეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი მიესალმება საქართველოს — კულტურის დიადი დღესასწაულის დღეს. საბჭოთა ხალხები ამ დღესასწაულს ესწრებიან არა როგორც უცხო სტუმრები, არამედ როგორც ზეიმის აქტიური მონაწილენი. შოთა რუსთაველი — ქართველი ხალხის დიადი შვილი — სსრ კავშირის ყველა ხალხს ეკუთვნის.

„პრავდის“ მოწინავე, 26/XII 1937 წ.



ქართული
წიგნობა



მ. ი. ლაშინი

ალ. აბაშელი

ღენინის ხსოვნას

ეს მეთოთხმეტე წელი გავიდა, —
 ნეტაე ამ დღემდე შენ მოგვეყოლოდი,
 ჩვენ შენს სიყვარულს ვაწყებთ თავიდან
 და შენს სახელთან ვრჩებით ბოლომდე.
 ცრემლი დაიმსხვრა ნათელ წვეთებად
 და მწუხარება სხივებს თან აპყვა,
 ჩვენ ვგრძობთ ყოველ წამს შენს თბილ შეხებას, —
 სულ ჩვენთანა ხარ! სულ ჩვენთანა ხარ!
 დილის სინათლის თვალს გამხელი
 და ღამის ჩრდილთა დამამხოველი,
 ჩვენ შორის ბრწყინავს შენი სახელი,
 გამარჯვებისკენ მუდამ მშობლელი.
 და როგორც ღრუბელს ღამე-განათევს
 მზე ააყვავებს ცეცხლის ზეინებად,
 ჩვენ შენი სიბრძნე ისე გვანათებს
 და ჩვენ წინ შექალ მიეფინება.
 და შენი სახე, მშრომელთ ლაშქარის
 გულსტკერასთან განუყოფელი,
 სულ ჩვენთან არის, მუდამ აქ არის,
 ასე ძვირფასი და ახლომდელი.

თოთხმეტი წელი გავიდა ისე,
 როგორც თოთხმეტი გემის ხმაური,
 წაიღო ტვირთად წარსულის ზღვისკენ
 ზღაპრულ ბრძოლათა აღრზაური.
 ისე გავგვმორდა და გავგვეყარა,
 ცრემლის შესრობა ვერ მოვასწარით,
 ელვით და გრგვინვით მიჰქრის ქვეყანა,
 შენ რომ ოქტომბრის ღამეს დასძარი.
 შენი საზომით წინსვლას ვზომავდით,
 მტერს მოზღვავებულს ბევრჯერ შევეებით
 და ეს თოთხმეტი ოქროს ზომალდი



ქართველნი
გრაზდირთჳსა

დავტვირთეთ შრომით და მიღწევებით.
მტერი უფსკრულში ღამეს გადაჰყვა,
ჩვენ მზიანი დღის სერზე ავედით,
ვღგვეართ მალლობზე და ქედს გადაღმა
აყვავებული სიანს ვარსკვლავეთი.
კაცობრიობის დიად ბრძოლების
ჩანხარ იმედად და ყავარჯენად,
გზას კვლავ გვინათებს ცეცხლის ზოლივით
მზისკენ გაწვდილი შენი მარჯვენა.

თოთხმეტი წელი უკვე გავრდა, —
შრომის და ბრძოლის საფეხურები,
შენს სახელს უფრო მაღლა ავიტანთ
და ზედ ლაქეარდად დავებურებით.
ბრძოლით შევხედებით მომავალ დრო-ყამს,
არ გავიხრებით არსად ლაჩრულად,
რადგან აქა გვყავს — ჩვენს გმირულ დროშას
ვინც შენი სახე შეუნარჩუნა;
ვინც სიხარულით გული აგვივსო
და დგას კლდესავით უძლევე ტიტანად,
შენი მიზანი სამარაფისო
მაღალ მწვერვალზე ვინც აიტანა.
ჩვენ მას შევსცქერით, ჩვენ მას მივყევით, —
ელავს ფოლადის მკრელე მახვილი,
მის ხმაში გვესმის შენი სიტყვები
და მის ძახილში — შენი ძახილი.
და შენი სახე, მშრომელთ ლაშქარის
გულისძგერასთან განუყოფელი,
მუდამ წინ გვიძღვის, მუდამ აქ არის,
აქ ძვირფასი და ახლობელი.

ხ ა ლ ხ უ რ ი



ყურ უგდეთ ძმანო, ყურ უგდეთ
შორით მოსულსა მაცნესა:
— მოვიდა ტიალ სიკვდილი
შუქურ ვარსკვლავი ჩაქრესა.

მოგვკვდა ჩენი იმედი
ცრემლ რათ არ მოვლით თვალეზსა:
— ცრემლ რა ვაეკაცს წესია,
ის დიდლოცეთ ქალეზსა.

ჩვენ დაგვჩნეს გულს ქრილობა
ცრემლზე არ გაიცვლებიხა,
ვაეკაცს დარდი ყოფილა —
მოდრუბლა მალალ მთებესა.

მზის ჩასვლას უგავს სიკვდილი
იმ ჩვენ ბელადსა ლენინსა,
ამ ქვეყნად ცეცხლის მამტანსა
გამნათებელსა ბნელისა.

წავიდა, აღარ ბრუნდება:
მაგრამ კითხულობს შეილებსა
პატრონი კარგი დატოვა,
არაფერს გაიჭირვებსა.

მანათობელო ვარსკვლავო
ამბავთა მომსწრე ამისა,
ეჭუოდე დიდსა ლენინსა:
„შენი ქვეყანაჲ ჰყვავისა.“

დავვაეკაციდით და დავდექით
როგორც დიდი კლდე-სალისა
გვებელადობს ჯუღაიშვილი
შენ რომ უხმობდი სტალინსა“.

გამოთქმული — ალექსი გაგიდაურისა
ჩაწერილია ფანანურში დ. ბინაშვილის მიერ

ხალხთა გედანს— დიდ სჯაღინს

საუკუნეთა წყვედიადი რუსთველმა ვადაანათა,
მზე, გულზე დაშუქებული, ბრძოლაში გვემუშარადა!
ოქროა კერას ნადები, სიმღერა კარის კარადა,
მის ლექსით გული დამაგრდა, სიცოცხლე გაგვიხალვათა!

ათასობით და ასობით ეს წიგნი იწერებოდა,
მის გადამწერელს, ამკინძველს ხან ტრემლი ჰქონდა წებოდა.
ქალების მზითვეს ამკობდა, გამზრდელად თან მიჰყვებოდა.
ომში გმირ ვაჟაკს უძლოდა, ტყვიის წინ ემღერებოდა!

ვერ გადახვია სიკვდილმა თავის ჩანჩხარა მკლავები,
შოთამ ახარა სამშობლო, სიცოცხლით და უკვდავებით...
ბევრჯერ ვიყავით დიდ ჭირში, სიკვდილის ქსელში გავებით,
მაგრამ გულს გვიქვიტკირებდა რუსთველის ლექსის ტაეპი!

ხალხს ბევრი ჰყავდა მტარვალი, ომით რომ ვერა ძღებოდა,
ხალხს უბნელებდნენ მზეს, მაგრამ მზედ შოთა მიუძღვებოდა
„ნართ ვითა ლალსა მზისავან მას ფერხ ეზარდებოდა“,
მისი ბრწყინვალე ნათელით მტერი შავბნელი კრთებოდა!

და წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ — სამშობლოს დიდი სახელი —
არის სიმღერა ხალხისა, ხალხთა საბრძოლო ძახილი!
ხალხის ერთობის, გმირობის, მხნეობის გამომსახველი...
ამოსაფხვენელად უნდოდათ, თვით ვახდნენ ამოსაფხვენელი!

კეცხლში სწვავდნენ და ჰგლეჯავდნენ სდევნიდნენ ჩინგისხანებში!
სონთქარ-ყვინი-ნოინი, მონგოლ-სპარსელი ხანები;
კვლავ ეკლესია ებრძოდა, კითხვა აკრძალა ბრძანებით,
რომ არ ჰქონოდა ხალხს წიგნი — იმედის ამამწევანები!

მაგრამ ვერ მოსპეს სიმღერა მკლავ-ფიცხელ-გულმთვლითა,
წიგნი დიდ სიყვარულისა, ვაჟკაცურ მეგობრობისა;
გადაშენდნენ და დაიწვენენ მსურველნი მის ჩაქრობებასა,
შერჩა რუსთაველს მზეობა და სიკბაბუე ორბისა...

შოთა არ იყო მსახური ფარისევლური ტაძრისა,
იშას ებრძოდა ძლიერად, ეინც ხალხი იუკადრისა...
უყვარდა ადამიანი, თავისუფლება აზრისა;
ვერც მტერმა მწარედ მღევენელმა, ვერც შვიდას წელმა გასრისა!

და სიტყვა ცეცხლის დამბერი, სიმღერა დამადნობელი,
ხალხმა ატარა გულათა, ის იყო მისი მკობელი...
ვარდი დაქენება, ზაფხულიც, ის რჩება დაუქნობელი;
გამარჯვებულმა დასძლია სიკვდილი დაუნდობელი!

ხალხმა თავის თავს ამსგავსა, სიტყვა სთქვა რა დიდებულად:
„შავ ხეობაში მრისხანედ ვეფხვ-ლომნი წაკიდებულან,
ვეფხვი სცემს, ლომი უფარებს, ერთ-ერთზე გამწარებულან,
იმათ შუაში ტარიელ გმირობით გახელებულან!“

რა ძლიერებით ისწოდა წიგნის ხმა ათასხმიანი:
შრომის და ნიჭის მიხედვით ცხოვრობდეს ადამიანი!
გულს ახალ ცეცხლათ აფეთქებ, თუმც ძველი ამბავი არი...
მზისა და სობრძნის ჩანჩქერი მოსჩქევს დიდების გრილით!

წარვიდნენ საკუნენო — დღე ღამის გამომცეცლულია,
შვება „მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია;
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“!

დიდ ოქტომბრისგან მიიღო სამშობლომ აღორძინება,
ძალა და შემოქმედება, ამ ძალის გამოვლინება,
აჩქეფდა დიდი ნაკადი, მისი უწყვეტი დინება;
ხალხს, ბრძოლით გამოღვიძებულს არასდროს დაეძინება!

ქართულ კულტურის დიდება, დღემდის რომ იყო ფარული,
წარსულის დიდი ძეგლები, უწყალოდ გადამალული,
ბედნიერ ხალხმა მიიღო პატივით და სიყვარულით,
შეკინდა გადახეული, ამთელა გამობზარული!

საბჭოთა ჭართველი ხალხი ძველ დიდ სიმდიდრის მქონეები,
 გულმოდგინებით ითვისებს, რაც ნაღვეწია გონების,
 ისრულდა შოთას სიტყვები საქვეყნოდ გასაგომად: **მეცნიერული**
„მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონებენ“...

შენ გვასწავლე, დიდო **სტალინ**, ამ სიმდიდრის დაფასება,
 მივიღოთ და შევინახოთ, რასაც ხსოვნა შეერგება,
 რასაც ჰქვნიდა საქართველოს სახელოვან კაცთა კრება,
 შენ გვასწავლე შენახვისთან მისი სწორი მოხმარება...

ვიცი, **სტალინ**, როგორ გიყვარს შოთას წიგნი დიდებული;
 რუსთაველის ტკბილქართული, მისი სიტყვა თვითმული;
 გულს ანათებს, ვით დილის მზე მთაზე გადმოკიდებული,
 ვარდს ჰფურჩინის და იასა ჰფენს, არა კმარობს კიდევ გული...

ვით გიყვარდა ყრმას და ჭაბუკს — ტარიელ და აეთანდილი!
 ვით ხიბლავდა შენს ოცნებას საქმე მათი გარდავლილი, —
 ამხანაგი მეგობრისთვის ცხრამთას იქით გავარდნილი,
 ჭაჯეთს კარებს შეაღწეწავს, შევარდება შევარდენი!

ამ გმირობის მეოცნებე ბავშვობიდან შენ იყავი...
 ტკბილი „ვეფხისტყაოსანი“ დღეს ვის გულში არა ჰყვავის,
 მუშისა და კოლმეურნის, ყველა მშრომლის საკითხავი,
 საყვარელი წიგნი არი — ოქროვანი ლექსის ზეგა...

ძალი, სიღრმე ამ წიგნისა, აზრი თქმული უშიშარად,
 დიდ სამშობლოს ხალხებისთვის მხოლოდ ეხლა გადიშალა,
 დაიარა ყველა სახლი, საბჭოეთის გზა და შარა,
 ძველად ძნელი სავალი გზა დღევანდელი მზით ამშრალა!

მათ ენაზედაცყავლერდა რუსთაველის ლექსი წყობილი,
 ხელთ შოთას წიგნი უჭრავთ, ვით ვარდი დაუქცნობელი...
 თარგმნიან მრავლად მგონებში, გამხდარიან მისი მკობელი,
 დღედან ყველასი არი — წიგნი გულთ გამათბობელი!

კითხულობს რუსი, უზბეკი, ყაზახი, უკრაინელი,
 ებრაელი და ჩუვაში — გაგონებაა პირველი!
 კითხულობს სომეხ-თათარი ახალ მშვენების მხილველი,
 რა ამბავია, რა ტკბილი, — ძმურ გრძნობათ გამომპირველი!

საბჭოეთის ყველა ხალხებს შოთა მისთვის უყვართ დიდად,
რომ ნათქვამი რუსთაველისა სიყვარულსა ზრდის და ზრდიდა!
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ქირსა არ ეფიქრებულა...
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად დასაწყისს“

უყვართ, რადგან შოთას ლექსი ხალხთა ძმობას ეთაყვანა
რომ ძმობა და მეგობრობა ურჩევნია მთელ ქვეყანას!
რომ მზისაყენ უწოდებდა, მზის — ღრუბლიდან მოსაყვანად,
სამშობლოსთვის თაყვანს ეძღვრა ღვაწლი ვერ ამგვანა!

რომ ახლოს არ გაიკარებს მუხანათისა და ტიალსა,
გმობს კაცსა აუციანსა, ცრუსა და ლალატიაანსა,
აქებს მალალს და მართალსა, გმირსა და ეაყვაცს მზიანსა,
„არ დავიწყებთ მოყვრისა აროდეს მოგცემს ზიანსა“!

კვლავ უყვართ ხალხებს რუსთაველი, — დღეს მზეზე გამოყვანილი,
მისთვის რომ შოთას სამშობლომ მსოფლიოს მისცა **სტალინი!**
კაცობრიობის ბელადი, — გულში მზის შემომტანელი...
ქვეყანას თვალი ჩაუდგა, გუგუნებს ქარიშხალივით!

ამ დიდებულ დღეს, როდესაც ხმაურობს გული ღელვლი,
რუსეთის დიდ ხალხს საღამო, ვინც წარმოშობა **წმინდი!**
კაცობრიობის გენია, მზე გულზე გადმოუფენილი,
ვისც ანუგეშა ამ ქვეყნად კრემლდენილი და დევნილი...

დიდება კვლავ სხვა ხალხებსაც, ჩვენი მოკითხვა ქართული!
შოთას დღეს ერთად ვხეიშობთ, ერთად გვაქვს გულში ხართული.
მოგვშორდა მძიმე ბორკილი, ცხოვრება უკუღმართული,
ვიღვწევით და ვშრომობთ ბეჯითად მშენებლობაში გართული!

შოთას დღეს, შოთას ზეიში — ჩვენი ერთობის დღე არი!
გამნათებელი გულისა და ძმობის გამაღვიარი...
მოედინებზე და ქუჩებზე — წითელ დროშების ტყე არი...
ქველი კრილობა მოგვირჩა, აღარ გვჭირს გულს ნატყვიარი!

წყალმა და ღვარამა წაიღოს ეაება მზე წარსულისა,
„ხსონა აღარ ჰხამს ქირსა, ვით დღისა გარდასრულისა“,
იპონა ხალხმა პირთაშზე, წადილი თავის გულისა,
დაყვავილებას მოესწრო, მის ხელით დანერგულისა...

ვის შეუძლია გასტეხოს სიმაგრე ჩვენი ძმობისა,
 შეურყეველი სიმტკიცე საბჭოთა მეგობრობისა,
 როს წინ მიგვიძღვის პარტია — რაზმი და რაზმე
 როცა წინ გვიძღვის **სტალინი** — მზე ხალხთა ბელადობისა!



ქართული
 წყაროთა

მაგრამ თუ მტერმა გაბედა კაცუნი ჩვენი კარისა,
 მტერს გულში დავეჯახებოთ, ვეცემით მსგავსად ქარისა,
 ერთმანეთს შემოვაწყვეტავთ, ვით ზათქი ნიაღვარისა,
 განა თავს გვებურავს ლეჩაქი, ვართ შოთას გმირთა გვარისა!

ძმობით ვართ შემტკიცებული და მხოლოდ ძმობის ფიცი გვწამს,
 ვერ მოგვერევა, რომ აღსდგეს თვით ძალა დედამიწისა.
 ვერვინ ჩაგვიქრობს ერთობას, სინათლის სხივთა ცემციმსა,
 ვერც გარეთ და ვერც შინიდან, გინდ გამტეხელი ფიცისა!



ტურფაა ჩვენი სამშობლო, მშვენიება მისი მდელოსი,
 მისთვის გვებრძოდა სუყველა, ეშმაკი თუ ანგელოსი...
 მაგრამ ვართ ხალხი მებრძოლი, ბოლოს გამტანი ლელოსი!
 არც გული გაცვდა, არც ხმალი, არც სიტყვა საქართველოსი!

რკინის პერანგში გავზრდილვართ, გვედო ქვის გული მაგარი,
 ჩვენი გმირობის ფოლადი ჩვენს კოშკებს გადავაკარით,
 სხვას არ მივეცი თ სახელი წინაპართ ნაჭირმაგარი,
 სისხლით ვიყიდეთ სიცოცხლე, შრომით ვაყვავეთ შთაბარი!

საუკუნეთა წყვდიადში სინათლის შემომტანელა, —
 თუ ქართველ ხალხმა გაფურჩქნა დიდი რუსთველის ყვაფლი,
 მან ახალ კაცობრიობას ბელადად მისცა **სტალინი**,
 ლენინის ბუდის არწივი, შეუდრეკელი **სტალინი**!

ლენინ-სტალინის პარტია წინ გვიძღვის, დიდი **სტალინი**!
 იყოს დღეგრძელი ბელადი — შეუდრეკელი **სტალინი**!
 მსოფლიოს მშრომელთ იმედი, — გმირთა სიმტკიცე **სტალინი**!
 სამშობლოს დროშის გამსხნელი, ხალხთა დამსხნელი **სტალინი**!

თვლილისს სატალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბი-
 ლეო საჯიმიო კლენუშის მიმართვა ლეჩხაღ
 ბარდასტვბა გიორგი ლენინძე

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

პოლემიკები

ციკლიდან „ბელორუსული მოთხრობები“

განიერია, წყალუხვია მდინარე პრიპეცი.

რძისფერ ნისლებში ჩაფლუნული, უხმოდ მიტბორავს იგი პოლესიეს უკაცურ უღრანებში, სადაც ჩიტს ფრენა უჭირს და ნადირს ბილიკას გაკვალვა.

გამჭვირვალე დორანებში ორფლეთიანი ქანრები დაფათურობენ და მხოლოდ პანის შებადურებს თუ ეჭნებათ ისეთი ღრიბონი, რომ პრიპეცის ნაპირებს გადასწვდეს.

პრუდოკის ახლო პრიპეცი ტყიდან გამოდის, გარსუელის ჩაღამებულ ხუტორებს და ისევ იკარგება უგზოობის სიჩუმეში.

ასეთი მდინარის გაღმა-გამოღმა დაიგდო სახელი წითელმა პარტიზანმა გრაბკომ.

განთქმული ადლაბიჯა, შეუპოვრად დაძრწოდა გრაბკო პრიპეცის ნაპირზე „ადლტანტის“ თანხლებით. ასე უძახდა იგი ობოლ პისკუნს, რომელსაც ახლახან ევინგლებოდა ჩოფურა. სახე. უძალო და ტანმოზოჩილი „ადლტანტი“ ქონდრის კაცივით მოსჩანდა რცხილასავით დაძარღვეულ გრაბკოს გვერდით.

ისინი მხოლოდ ურთიერთ სიყვარულში ჰგავდნენ ერთმანეთს.

პისკუნის მამა, პრიპეცის ბოლაზის მატროსი, გაიდამაკებმა აწამეს შარშან ზამთარში. იგი ხელთიგდეს სკრივლოვში და დიდხანს ფიქრობდნენ, როგორი სასჯელით განეშორებიანთ ტანისაგან მოხუცის ძლიერი, თავისუფლების მოყვარული სული. მერე ღილაკ მიხვდა, მატროსი იმიტომ არის მატროსი, რომ წყალი უყვარსო. მყისვე ამოტეხეს ყინული და პისკუნის მამა თავდაყირა ჩაჰკიდეს ტბაში.

მათი სახლკარი გადასწევს, და ობოლი ყმაწვილი გრაბკოს დაჰყავდა მკვლევლების კვალზე, მამის წმინდა სისხლის გასაქვითებლად.

და განა ტყუილად ეშინოდათ გამოპრანქულ გაიდამაკებს, — თითო-ოროლად გამოჩენილიყვენენ პრიპეცის ნაპირას?!

გრაბკოს კარაბინი უმტყუნო იყო, და თითქოს პარტიზანი ქართლ იჯღა, უკვალოდ გაქრებოდა აოიაცის ტევრში. რომელი მილიც იქცეოდა ფიისაადელეისა ბაჯსაჯით გათელილი, ან ნადიოს ვაჭარუნულ: ფათით დაღამბული, რომ გრაბკოს მისი ასავალ-დასავალი არასაკრძამდას

ყოვლად ახირებული კაცი იყო გრაბკო. ისეთ რამეს გამოუოედა ზოგჯერ, რომ გულისხმიერება ეკარგებოდა სოფელს.

ერთხელ თვალი მოსჭრა ძმაკაცებს, ისე უცხოოდ მოკაზმული გამოცხადდა სოფელში.

პარტიზანის განიერ გულმეგრდზე ნაკვერჩხლით სავსე მაყალივით გიზგიზებდა ჩაფარიწით ამოქარგული ჯინჯილებში. მოსვეადებულ ხმაღზე მძიმე და კაშკაშა ფუნჯი ფოფინებდა.

თქმოსთავს ყაწიბი უმშენებდა, ზორნაკით გაწყობილი, და ისე პაიჭარად აწყარუნებდა კობტა დეზებს, თითქოს დაბადებიდან ხალივით ქტონდა თანდაყოლილი.

აღმოჩნდა, რომ გრაბკოს თეთრების შტაბის ორი ოფიცერი მოეკლა საღდაც და შთელი მათი სამკაული, თუ რამე ბზინავდა და წკარუნობდა, თავად ჩამოეკონწიალებინა ტანზე.

არ გეგონოთ, რომ გულიც გამოვიცვალე! ასე რომ დამინახვენ, ჩაჯინჯილებულს, მეტი შიში და მორიდება ექნებათ ჩღენებურ ბურკუებს და თქვენც ფასი დავედებათ! — უთხრა ძმაკაცებს, რომლებმაც უსაყვედურეს, წითელ პარტიზანს არ შეჰფერისო ასეთი მორთულობა.

ტყიდან დაბრუნებისას გრაბკო მარტოკა გამოცლიდა ფუნდუქში ჩარეჭა არაყს, წინაქარს რომ ეძახიან, მერე ნათბოვარ ტაჩანკაზე დასავამდა პისკუნს და მზართებოზე წამოწოლილი, პაიდა-პა, მოზირისაკენ.

და მიგელავდენ ფიცხი ბედაურები გაქვავებულ ტალღებივით დაფენილ ზეგნებზე, და მათი თქარუნით დამფრთხალი ყანჩები ფრთების გაშლას ვერ ასწრებდენ მაღლა ასაფრენად. გარშემო ბულივით ოღვა შეხურებული თავთუხის სუნნი, და გრაბკო ისეთი თავაწყვეტილი ყვირით ესალმებოდა ყოველივეს, თითქოს ქვეყნის გაჩენას ესწრებოდა.

მოზირში, ყაფანთან, ჯიქურ მიაგდებდენ ცხენებს.

თავით-ფეხამდე - იარაღში ჩამჯდარი კაცების დანახვაზე მიღეთის ხალხი მოაწყდებოდა ტაჩანკას.

მკერდზე ნიკაბდაბჯენილი გრაბკო მორქნალ ბუღასავით ქეგოდან აბედავდა ხალხს და ღინჯად მიმართავდა „აღლუტანტს“:

— აბა, უამბე, ძამიავ, ამ დარბაისლებს, თუ რა ვადამხდა გუშინ ამათოღის...

და პისკუნი დაწერილებით უყვებოდა გლეხებს, როგორი ფეთება უჩვენა გუშინ ვაიღამაკებს სახელოვანმა პარტიზანმა გრაბკომ.

„აღლუტანტის“ შეუძლო გარეგნობა ისე არ ეხამებოდა ასეთ რაკეცურ ქადაგებას, რომ თავდაპირველად ხალხი უზაკველად იღიმებოდა,

თითქოს თოჯინების თამაშს უცქერისო, მაგრამ წრფელობა და სწავლა მდიდრობა, პისკუნის თვითნებულ სიტყვაში რომ გამოსტყვივოდა, სწრაფად აქრობდა უნდობელ ღიმილს მსმენელთა სახეზე.

კოფოზე შემდგარ პისკუნს აღვირი მკლავზე წამოეჭმის და მისი მომელიმე ანთებულ სიტყვას ვერ მონახავდა, გაჯავრებით დაჭაჩავდა აღვირს, ნო-ო, უწრუპუნებდა ცხენებს. ისინი მშვიდად იდგენ, კედლსაც ვერ იქნევედენ თავისუფლად, ისე მჭიდროდ მოჯრილიყო ხალხი გარშემო. გრამკო თავდახრილი იჯდა ტაჩანკაში, თითქოს ფიჭვებში გაცბუნებული. როცა პისკუნი ქადაგად დავარდებოდა, იგი მთელი ტანით ამპარტანულად გადაწვებოდა თივით გატენილ ტომარაზე.

ცალმხარზე დაუდევრად მოგდებული ფარაჯა ხელისგულეები ლეკურის ვადაზე დაეკრიფა. და მისი უჩინო მზერა სადღაც პრიპეტის გაღმეფათურობდა.

ბევრი ასეთი უცნაურობა მოსდგამდა გრამკოს, მაგრამ ვაეკაცობის გამო, უფრო კი იმისათვის, რომ იგი ხშირად ატყობინებდა სოფელს, როცა გაიღამაკები გამოლმა გამოვიდოდნენ დასარბევად, ახირებული პარტიზანი ყველასავეან შეწყყნარებული იყო.

გრამკო იშვიათად თუ გაიცინებდა. მსოფლიო ომის მიწურულში როტის უფროსმა ნავანის ტარი ჩაარტყა პირში. ერთი კბილიც არ შეარჩინა მთელი. საველე ლაზარეთში გრამკოს სახელდახელოდ ჩაუსვეს ყბები. ვერ იცინოდა, უბრალო დამთქარებისაც ეშინოდა, რადგან ფინანსურად ჩასმულ კბილებს პირში ვერ ამავრებდა.

და მსაქეთ ქარცეცხლი ჩაბუღდა გრამკოს გულში. „მათი გადამკიდე სოცილს გადაეჭვივ“, ამბობდა იგი, და სადმე ოფიცერი რომ მოლანდებოდა, მუდამ წინდახედულ პარტიზანს აღარც მოთმინება ჰყოფნიდა, აღარც მოსაზრება, რომ რაიმე ანგარიში დაეკირა — კისრისტეხით გამოენტებოდა თვალში ამოღებულ მსხვერპლს.

ამგვარი განუსჯელი ნადირობა ფაბერაკით ავსებდა გრამკოს გზაკვალს. აპყვებოდა გრძნობებს და ხშირად თვითონვე უქირდა თავის დაძვრენა.

მაგრამ მისი გონება მაინც უძღურა იყო, რომ მსულვარებაში წინდახედულობა გამოეჩინა. იგი ალაღბედზე დაჰყავდა შურისძიების წყურვილს.

ამან დაღუბა გრამკო, პრიპეტის ნაპირებზე სახელგავარდნილი პარტიზანი.

ერთხელ, სალამოხანს, გრამკო და პისკუნი გაიღამაკებს შეეფეთენ გაუქმებული ბოჩანის მახლობლად.

ისინი მარდად ჩასხდნენ ჯაგებში. გრამკომ ორი ტაჩანკა და ორმოცამდე მხედარი დათვალა.

— ნამეტანი ბევრია! — გულდაწყევტით წასაურჩულა გრაბკომ ამ-
ხანაგს და საღერღელ-აშლილმა პარტიზანებმა სული ეჭყებოდა ქალაქში.

გრაბკო ნაწყენი იყო, რომ მტერს ასე მშვიდობიანად ეჭყებოდა.

მხედრები დაწალიკებით მიჰყვებოდნენ ტყისაგან დაჩრდილულ ბი-
ლიკს. ისმოდა ღერძის ქრიკინი, ქარქაშის თავდაპერილი ღლარუნი უზანგ-
ზე და ხანდახან, როცა მხედრები დაისის სხივებში მოხედებოდნენ, ტო-
ტებს შორის წითლად ციაგებდნენ ლამპასები.

...პისკუნნი შეკრთა. უცხო ხელის აჩქარებული შესება იგრძნო მხარ-
ზე, თითქოს ზიფათისაგან აფრთხილებდნენ.

წამოჯდა, თვალი შეავლო გზაბკოს პირისახეს, მუდარით მოღრე-
ცილს და გაფითრებულს.

— ოფიცერი, ვადავირიე კაციშვილი! — მოწყალების გამოთხოვი
თვლით ჩაუნიავა გრაბკომ „ადუტანტს“. დაცრეცილი, უსისხლო ტუ-
ჩები ჩქარ-ჩქარა ეკრუნჩხებოდა.

პისკუნმა თვალი აკიდა ბილიკს. მხედრები გარსუვლიდნენ პარტი-
ზანების საფარს და, როგორც სჩანდა, დიდგზაზე აპირებდნენ გასვლას.

პისკუნნი გულდასმით იჭვრიტებოდა ერთხანს. ბოლოს იმანაც შენიშნა
ფართო, ყვითელი ქობით შემოვლებული უქარტუზო ქუდი, რომელსაც
გაიდამაკების ოფიცრები ატარებდნენ.

პისკუნმა დანამდვილებით იცოდა, რომ ახლა თავის გამჟღავნება და-
ლუბეას უდრიდა. გარშემო ათიოდე ქცევა ახოზე დაბალი ბუჩქნარი მი-
ლოღავდა. მერე იწყებოდა მათი მაშველი ტევრი, მაგრამ ვერ მოეასწრებ-
თო იქამდე მიბრუნას, უნდოდა ეთქვა მეგობრისათვის. — და რომ შე-
ხედა მეძებრის ნაბულივით მომართულ გრაბკოს, მისთვის აშკარა გახდა
რომ პრივეტი უფრო ადვილად უქუიშტეოდა, ვიდრე ოფიცრის დანახვაზე
გაგიჟებული გრაბკო განზრახვას გადათქვამდა.

ამიტომ მანაც შემართა თოფი, დარწმუნებულმა, რომ ეს იქნებოდა
მისი უქანასკნელი გასროლა.

— შენ წადი, ბიჭო! — მოულოდნელად მოესმა პისკუნს: — ტყეში
მომიციადე. თუ დაეძვერი, ხომ კარგი, არა-და შენს ცოდვაში მაინც არ
ჩავდგები.

გრაბკოს ხმაში ისმოდა ბრძანება, თხოვნა და კიდევ სხვა რამე, რა-
მაც გული მოსწევა „ადუტანტს“: გრაბკო თითქოს სამუდამოდ ეთხოვე-
ბოდა მას.

პისკუნმა წაუყრუა მეგობარს, იდაყვებზე დაეკრდნო და თოფის ლუ-
ლა ტოტებში შეიკურა.

— ხელი აიღე, გასწი რომ გეუბნები! — მკაცრად გაიმეორა გრაბ-
კომ და უნებურად ნაგანის ბუდეს მოუსვა ხელი, როგორც იყო დაჩვეუ-
ლი, როცა ვინმე მისი ბრძანების შესრულებას აყოვნებდა.

პისკუნსაც რა ძალა ჰქონდა, ადგა და წავიდა. გრაბკომ შეიკადა, სანამ ჯაგებში შეფერთხებული ამხანაგი საცმაოდ ვაშლით იჭაურობას, და როცა ფაქტნი მიწყდა, იგი მოხერხებულად მოუხვედრა. ჩაბმახი შეაყენა.

დიდიგზის მისაველთან მხედრები შეფერხდნენ. შოლტების მოფუსფუსე სტვენას ბრაზიანი გინება მოჰყვა.

წვიმისაგან მოპირთავეებული საფლობი ბილიცზე გადმოქცეულა, მისავალი წაულეკავს, და გრაბკო ხედავს, როგორ ხტებიან განზე ტლაპოში ჩაფლული ტიანკის ცხენები. ყალყზე შემდგარნი, დგაფუნით აშეფებენ ტალახს.

ჩამოვიდა მეეტლე, რამდენიმე მხედარიც ჩამოქვეითდა და ყველანაგვებში შევიდნენ ხერგის მოსაქრელად.

ოფიცერიც ჩამოხტა. აღვირი რომელიღაც ცხენოსანს მიუგდო და მუხლის გასამართავად ვაიარ-გამოიარა. დაბალი, თხელი კაცი იყო. გრაბკოს გაუყვირდა: ცხენზე რომ იჯდა, უფრო ახოვანი და ხორცსავე მოსჩანდა.

ოფიცერმა მარწყვი მოკრიფა. მარწყვი ბლომად იყო. დანაკერჩხლებული ლადარივით ენთო იჭაურობა.

ოფიცერი მარღად იხრებოდა მარწყვის მოსაკრეფად, და სანამ შესკამდა, სულს უბერავდა ნაყოფს, ალბათ, მტვერს აშორებდა ან ქიანქველას.

გრაბკომ გვერდზე გადაიგდო ჩუბი, ჯიუტად ჩამოქანებული მარჯვენა თვალითან, და ოფიცერს დაუმიზნა.

ორჯერ გაეარდა თითქმის ერთად.

— ყვევის ბახალა... კიდევ აქ ყოფილა! — შეჰყვირა გრაბკომ და ცეცხლის ალივით წამოვარდა ზეზე.

გრაბკოს არ გაუგონია მეორე გასროლა. მან მხოლოდ ძვალი მოჰკრა, რომ ბილიცზე ორი დაეცა. მეორე ის იყო, რომელსაც ოფიცერის ცხენი ეჭირა. იგი უცებ გაღვიძებულივით შეერთა და მოწყვეტილივით დაეარდა მიწაზე.

არევედარელის შესაქმნელად გრაბკომ ერთხელ კიდევ ესროლა შეჯგუფებულ ცხენებს და პირი იბრუნა ტყისაკენ.

წინ პისკუნი გარბოდა. გრაბკო ხედავდა ყმაწვილის გაწრობულ კისერს. ბუხრის ქული შუბლზე ჩამოეფხატა და ჯიქურ მთარღვევდა საოცრად დახლართულ კატაბარდებს, თოფის ღვედი წარამარა ეხირებოდა ბურღებში. ეწვოდა დაბიწვული ხელები.

უწესრიგო სროლა და ყიჟინა სივრცეს გლეჯდა. ჩოჩქოლი მატულობდა, თითქოს ბუჩქებიც ფეხს იდგამდნენ თანდათან.

ქაობში შესვლისას გრაბკო დაწინაურდა. იგი კალიასავით მარჯვედ ხტოდა კოლბოხიდან კოლბოხზე, გზას უკვლევდა ამხანაგს.

გაიღამაკები უკვე აღარ სჩანდენ, მაგრამ ტყვიები ახლო ფესვებსდენ პარტიზანების გარშემო. ეტყობოდა, მღევარს მიეგნო მათი კვალი-სათვის.

გრამკო არ ცდილობდა კვალის არევის. ბილიკი, რომელზედაც ისინი გარბოდნენ დანისპირივით ვიწრო იყო. ორივე მხრიდან ვერაგული სიმშვიდით მთელმხარე საფლობი ახლდა. ერთი მოუზომელი ნაბიჯი და ჩვენი წირვაც გამოვა, ფიქრობდა გრამკო. იცოდა, რომ ბილიკის კიდევანზე საფლობი დაბალი იყო, იგი არ დანთქავდა კაცს, მაგრამ რამდენი უნდა ეწვალო, რომ ნაბიჯი გადადგა ამ წებოვან ტლაპოში. სანამ მშრალზე გამოხვალ, ტურასავით მახეში გამბული დახედები მღევარს.

მიუხედავად ამისა, გრამკო განგებ არ ეძებდა უზიფათო გასაველს. თუმცა ასეთი აქაც ეგულეობდა. არ ეძებდა, რადგან მაშინ მღევარსაც იგივე უპირატესობა ენიჭებოდა, რაც ღვენილს.

მარტო რომ ყოფილიყო, გრამკო იკისრებდა ბედის გამოცდას.

იგი ანდრეხ მავალი კაცი იყო. მაგრამ ახლა ამხანაგის სიცოცხლე ებარა, უნდა გადაერჩინა პისკუნე, რომელიც მისდამი სიყვარულისა და ერთგულების გამო ჩაეარდა ამ ქარცეცხლში.

ამიტომ გრამკო უეჭველზე თამაშობდა. ქაობის სიღრმეში იტყუებდა გაიღამაკებს, სადაც ცხენოსანი — მღვერებში ყველაზე საშიშარი, — ცხვირს ვერ შემოჰყოფდა, თუ მთლად ხამი არ იყო აქაურობის. ორივე შემთხვევაში იგი უვნებელი ხდებოდა მათთვის. ქვეითებს კი ისინი ვაუსწრებდნენ, ალბათ კიდევ გაუსწრეს, თორემ წელანდელივით რატომ არაფერი ირხვეა და იმტვრევა პარტიზანების უკან?

სულმოუთქმელად ვადალახეს ჯგენარი და ახოზე გავიდნენ. ბინდლებოდა. ტყისპირი ახლო იყო. გარშემო ყოველივე სდუმდა. აღარც მღვეარი ისმოდა, აღარც მდინარე. გრამკო გრძნობდა, რამდენი მუხანათობა იმალებოდა ამ ღუმელში. იგი აჩქარებდა პისკუნს. ცოტა კიდევ, — და ისინი საუვარელ ბუნავში შევლენ, სადაც ელვასავით მოუხელთებულნი იქნებიან. მაგრამ პისკუნე უფრო მოშალა ამ ღუმელმა, დაქიბული ძარღვები დაეჩუტა. ფეხს იორევედა, თითქოს უცხვირპირი მასპინძლის ოჯახში ეპატრეობდნენ.

ხელმარჯვნივ თქარუნი მოისმა.

— თავს გვივლიან! — შეშფოიდა გრამკო.

თვალის დახამამებაზე ზურგში მოექცა პისკუნს. მისმა ვანიერმა მხარბეკმა იმედიანად შეფარა პატარა „აღლტანტი“.

რამდენჯერმე გაეარდა.

პირველი ტყვიისაგან ბუხრის ქუდი ცხვირზე ჩამოეშო გრამკოს, სწორედ ისე, როგორც მას სჩვევოდა ჯარობაზე ბუქნაობისას. ეს არ ჰგავდა როყოი ნასროლს.

— დაგვინახეს, ნიშანში ამოგვიდეს, — მიხვდა გრაბკო, — სერის-მოტეხამდე თავდახრილმა, მახლობელ ხეებს შიაშურა.

მეორე ტყვია მარცხენა ბეჭში მოხვდა, — და ისევე, როგორც გრაბკომ რამდენიმე ნაბიჯი უფრო ჩქარა, ვაირობინა: მეორე უცებ შესდგა, შექანდა, თითქოს წონასწორობას იკერსო და ნელნელა წავიდა პირქვე.

მას მოეჩვენა, რომ ეცემოდა დაუსრულებლად დიდხანს, თითქოს რაც უფრო უახლოვდებოდა მიწას, იგი თანდათან გაუბოდა, არ იკარებდა, და გრაბკო უზომოდ იტანჯებოდა ამისაგან.

სიბერისა თუ არეულობის გამო, ბოლოხანებში ბაბუა რუხლოს ფეხილად ეძინა.

ძილშივე ჩაესმა, რომ დარაბას ფრთხილად აკაკუნებდნენ.

ყური მიუვლო.

აკუნნი განმეორდა, უფრო მოკრძალებული და მოუთმენელი.

მტერი ასე არ აკაკუნებს. და ბაბუა რუხლო უკვე წამოდგა კვირის ასანთებად, მაგრამ ვულმა უახრა, ოთახის განათება საჭირო არ იყო.

თითქოს შეთქმული ესტუმრაო, ცდილობდა არაფერი გახშიანებოდა, არაფერს წამოსდებოდა და არც იმ აღვილას გაეელო, სადაც იატუი ჭრა-ჭუნებდა. ვიდრე დარაბას ვადასწევდა, კარგახანს ეწვალებოდა საკეტს. მეორე მინდობით ფანჯარაში თავი გაჰყო და წყნარად იკითხა:

— რომელი ხარ?

— შე ვარ, ბაბუა, პისკუნი. ხომ არ დაიხოცეთ, თქვე ოჯახაშენებულეზო, არ იქნა თქვენი გაგონება! — მოქანცულად გამოეხმაურა სიზნულე.

— გაგონებით კი გავიგონე, მაგრამ ხომ იცი, რამდენი ავიკაცი დიდის ქვეყანაზე! — ფტუნებოდ, თითქოს ვულში სხვარამეს ფიქრობსო, ჩაუნიავეა მოხუცმა.

წითელი პარტიზანის მოსვლა არცთუ ისე ესამოვნა ბაბუა რუხლოს. სოფლის ახლო გაიღამაყები დაძრწოდნენ. საღამოხანს სროლაც ისმოდა მდინარესთან. რაში ეკირება მოხუცს, რომ ჩვენა მეზობლებმა ყოველ მოსახვევში ილაპარაკონ. — ბაბუა რუხლოსთან მანე სულელები დაძრწე-ბიანო.

— სათხოვარი მაქვს, ბაბუა...

პისკუნი ისევე გაყურდა.

რუხლომ გაიგონა, რომ მოსულმა ნაბიჯი გადმოდგა ფანჯრისაკენ. მოხუცი მიხვდა, პისკუნი რაღაცას ელოდა მისგან, — შინ შეპატი-ებებს ან უბრალო თანავარძლობის სიტყვას, მაგრამ ქვებუდანი მოხუცმა დღემილი ამჯობინა.

— გვიშველე, ბაბუა, ოხრად წავიდა ჩვენი საქმე. ვრობო და გვიტყვინ, პირდაპირ ხელიდან გამოვვლიჯე იმ სულძალეებს, ნაწილში გაეხიზნე. შთელი დამე ვათრიე... რომ დავეძებ, ვფვლქვლებს ცალცალკე ვეძებ, გავთავდი კაცი. შენზეა ჩემი იმედი. შენი სახლი ექვმიუტანელია, მაინცდამაინც არ გაწუხებენ ჩხრეკით... შეიფარე დაჭრილი ორი-სამი დღით..

პისკუნი ლაპარაკობდა ნელა, დიდხანს აყოვნებდა სიტყვასა და სიტყვას შორის, თითქოს ყურს უგდებდა, არკვევდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მასპინძელზე მისი თხოვნა.

მაგრამ ფანჯარაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა, არც არაფერ მოსჩანდა. „წავიდა“, გაუელვა პისკუნს, მაგრამ მყისვე იგრძნო, რომ მოხუცი იქვე იყო. იგრძნო იმ ჭასაოცარი აღლოს ძალით, რომელიც ტყეში გაეპარდნილ კაცს შეუტომლად ატყობინებს მეორე კაცის უხილავ სიახლოვეს.

პისკუნმა ლაპარაკი განაგრძო. ისედაც ჭანცაწვეტილი ყმაწვილი უფრო იღლებოდა, რადგან ხედავდა, — ძალა არ შესწევდა მოხუცის დასარწმუნებლად, რაღაც ისეთი საბუთების მოსაძებნად, რომ მისი შეყინული გული მოეღბო. დუნუნდ ბუტბუტებდა, თითქოს ძილმღვიძარეს ვიღაც აბეზარი მოსაუბრე გადაეკადა და იგიც, ხათრის გამო, ძალისძალად უპასუხებო.

— დილით ისინი სოფელში გაჩნდებიან. იქ ადვილად მიაკვლევენ. როგორ გავიყვანო ტყეში? ბოდავს, წარამარა ცნობა ეყარება. რომ არ შემიძლიან, თორემ კიდევ პო... წელან დასასვენებლად ხეს მივეყუდე. შეშინოდა, რომ დავედე, დამეძინება-თქო. ის რომ ნახონ, ბაბუ, ჩექმებით შედგებიან. ტანჯვით ამოხდიან სულს. არ გეცოდება? ის ხომ გრაბკოა?!

— გამიგონია, კარგი ყმაძია, — დინჯად წამოიწყო მოხუცმა, მაგრამ სიღარბაისლე არ ეყო, ერთბაშად აღელდა, აჩქარდა და სხაპასხუბით წასწურჩულა: — დიდი სიამოვნებით, მაგრამ მარტო ხომ არა ვარ, აი, შეილს გავალეძებ, რძალსაც უნდა შევეკითხო... — და მოხუცი სწრაფად მოშორდა ფანჯარას.

მაგრამ ბაბუას არაფერ გაუღვიძებია.

ერთხანს სულგანაბული იდგა შუაგულ ოთახში, მერე პარმასზე გავიდა.

— პისკუნს! — იგი დაბნეული იყო. ეს ეტყობოდა ხმაზე, ეტყობოდა ხელზე, როცა პისკუნის მკლავს ეხებოდა.

მისი შეხება რატომღაც ძაღლის ლაქუს აგონებდა პისკუნს.

— შენ ალბათ გეტყოდნ, — ჩიფჩიფებდა მოხუცი, — რომ მიხასმა ცხენი ჩამოიყვანა. ცხენი კიარა, შედგამოჭრილი ბებერი თხა იყო. შთელი ზამთარი დიდი და პატარა მაკუხას ეხრადლით, რომ ცოტა გროში გადაგვერჩინა და ცხენისათვის ჭერი გვეყიდა. ჭობში მხოლოდ კვირაძალში ვანთებდით ლუმელს, თავლაში კი მუდამდღე ცეცხლი ლულუნებდა. შთე-



ლო ოჯახი გადაეყვით, ძლიეს გამოეპრუნეთ. შენ გამიგებ, ჩვენ ხომ თავისდღეში საკუთარი ცხენი არა გვყოლია. ავიხედავდეთ, ცხენს შევხედავდეთ, დაეინებადეთ, შიშასაო, ასე იყო ჩემი საქმე. ახლანდელს ვიხსენებ, რომ ვაეფონებ, ასე შეონია, ჩემი უფროსი ვაფი ვაცოცხლდა-მეთქი. ხეალ დილით სახნავად გავდივართ. გრაბკო მეცოდება, რა თქმა უნდა, მაგრამ, ალაგო, ვისი ხარო, და ვინც ზედ მადგასო... რომ შემიტყონ, ცხენსაც წამართმევენ და ოჯახსაც ამიწიოკებენ. დღეს თქვენია ეგ სოფელი, ხეალ იმათი. ჩვენ კი, ბიძიკო, ხენათესეა გვიდა...

დასრულება ვერ მზასწრო, რომ ბალახის ფაჩენი მოესმა. პისკუნნი წასულციო.

მოხუცმა თავისუფლად ამოისუნთქა და ის-იყო შუაქარში შეალაჯა, რომ უეცარმა აზრმა უკანვე გამოაბრუნა.

იგი უხმოდ აედევნა პარტიზანს.

— ბიძი! — მორიდებულად დაუძახა მოხუცმა: — სად მოხდა ეგ ამბავი?

„ალბათ გადაიფიქრა“, — გაუელვა პისკუნს.

მარდად შემობრუნდა დაიმედებული ყმაწვილი.

— აქვე, ბორანთან. უჭირს, ბაბუ, სული კბილით უჭირავს. მივხედოთ, თორემ წახდება კაცი.

— არა, არა, — მიუხვდა მოხუცი: — ეგ ისე, ტყუილად ვიკითხე, — ძლიეს ამოღებდა წეშინებულმა და ქოხისაკენ მოუსვა.

მცირეხნის შემდეგ სამგზაეროდ ჩაცმული ბაბუა ისეე გამოლაგდა შინიდან. უბეში მარწუხი და თოფრაკი ედო. წასელამდე შევილი ვააღვიძა, უამბო, ვინ და რატომ იყო. შევილმა არაფერი უპასუხა, თუმცა გულში მადლობა გადაუხადა მამას, რომ უმისოდაც იოლად წაეიდა. მიხასე აგრე ხელაღებით ვერ ეტყოდა უარს ვანსაცდელში ჩავარდნილ სიყრმის მეგობარს.

დილის ნიაჯქარმა სწრაფად ახვეტა კალაში ჩაფენილი ნისლი. შორეული ტყერების ქოჩორზე ჯერეთ უჩინარი მნათობი ენთებოდა. შარავხის ვადალმა უკვე ხნაედენ, და შეჰყურებდა ბაბუა რუხლო, როგორ ჩაეხუტებინათ ცხენები გარუჯულ ხელნებს, რა რბილად და ალერსიანად მისცურავდენ სახნისები აფუებულ მაწაში. ჩქარობდა მოხუცი. ამ დილით მიხასე სახნავად ვადის. ბაბუა ადრიანად უნდა დაბრუნდეს ოჯახში, პირველი კვალის ვატანა მას ეკუთვნის, ოჯახის უფროსს. ჩქარობდა, კომბალსაც აღარ იბიჯებდა, რომ უფრო ჩქარა ეელო, და თითქოს მუქთოდ ეშოვნოს რამე, კმაყოფილების ღიმილი ჩაქსოვებოდა პირისახის ნაოკებში.

ქარი შოალდა. იგი ნეშოსავით აფარდატებდა კერკეტ მოხუცს წალმა-უქულმა, ვზაში მძაფრად სურნელობდენ ნეკერჩხლების შეხურებული კვირტები, და ბაბუა რუხლოს ახარებდა, რომ დღეს მიწა ასეთი რბილი

და დამყოლი იყო, რომ მოხუცების პარტიის ცემა არ მოხლოდა. ქვეყანაზე და ვახუშტულზე ისინი ავლებენ პირველ კვალს.

ასე მიინდრიკობდა ბაბუა რუხლო დაკლავნილ შავნარის მახლობლად მოხუცი აღმა აყვია მდინარეს და თავივე იმსხვერპლა ჯაგნარში. ქუდის ყურით ოფლი მოიწმინდა და ფეხის ცერებზე შემდგარმა, შუბლი მოიჩრდილა.

მახლობელი ქერაძენძის ბუჩქის გადაღმა ყორნები წამოფრინდნენ. ერთი-ორჯერ შემოუტრიალეს მალალ თხემლას და იქვე დაეშვნენ. ბაბუა რუხლო სწრაფად გაძვრა-გამოძვრა ბურღებში და ხელათ იპოვა, რასაც ეძებდა.

გათელილ ქალტამზე ყორნისფერი ცხენის ლეში ეგდო. უნაგირი მოეხსნათ, მაგრამ ეს არცისე სწყენია მოხუცს. იგი ნალებისათვის შოვიდამუშა-ცხენი დაუჭედელი ჰყავდა.

ბაბუა რუხლომ ყორნებს შესძახა, წამოშალა და გულდასმით შეათვალღერა ნალები.

— „კახიონია“, — კმაყოფილებით აღნიშნა ბაბუამ მათი ეარვისობა, მარწუხი მოიღო და ჰალარა მგელივით ჩაცუცქდა ცხენის ფეხებში.

დიდხანს ეწვალებოდა მოხუცი თვითეულ ლურსმანს, თითქოს ცხენი ცოცხალი იყო და ჩლიქის დაშვებას ერიდებოდა.

ზემოთ კი, მალალ თხემლაზე, უკეთურად ყრანტალებდნენ ყორნები, თავისჯვრის ელოდნენ.

ბედმა რომ პირველადვე გაუღიმა, ბაბუა რუხლო წახალისდა, მთელი ჯაგნარი მოიფათურა. ძრომა-ცოცვით მოქანცული მოხუცი კოლბოხზე ჩამოჯდა ერთვან და უცბათ მოკლული გაიღამაქის გვერდით აღმოჩნდა. იგი ბილიკის პირას ეგდო.

შავი უღვაშები ცისკენ ჰქონდა აგრებილი დარდიმანდულად. კონტად გაპრილებული ჩექმების ყელზე ჰიანჭველები ფუსფუსებდნენ. ცალხელში მათრახი ეჭირა, მეორე თავქვეშ დარჩენოდა და არა-ამჭვეყნიური სიცოცხე რომ არ ჩასდგომოდა ფართოდ გაღებულ თვლებში, გვეგონებოდა, ნამგზავრი კაცი ისვენებსო. ეტყობოდა, წამში გაეფრთხო სული.

— უნაგირი არ დავიწყებიათ: კაცი შვილი კი... — ჩურჩულით წარმოსთქვა ბაბუამ, პირჯვარი გამოისახა და დაიხარა, რომ მიცვალებულისათვის თვლები დაეხუჭა. გაშეშებული ქუთუთოები არ ნებდებოდნენ, და ბაბუამ ორი კენჭი მოსძებნა თვლებზე დასაფარებლად.

სამხრობა კიწებოდა. კადევ უნდოდა ჯაგნარის შემოვლა, მაგრამ მიცვალებულის სიახლოვემ როგორღაც ხელი შეუშალა ბაბუას.

გვიან დაბრუნდა სოფელში.

აღაყაფის კარები მოტრამალებული დახვდა. ტანმა ცუდი უგრძნა.

კარი უბედურებას რჩება ღიად, — და ბაბუა რუხლომ გინა-ეზოს მიაშურა, სადაც დღეს უნდა ეხხათ.

განელო ხეხილის პატარა ბალი, ბებერი ვაშლის-ხეხვი-ხეხვი-ხეხვი დაკრძობოდა ორკაბებს. აბოლებულ მიწას უხედავს მისი გულგრილი განათხულის ნათელი ჩრდილები.

მოხუცი ხსტეზე გადაფორთხდა.

ახმაზ გაიღამაკებს კავიდან გამოსხნილი ცხენი კალოსკენ მიჰყავდათ, საიდანაც კაცებისა და საქონლის ერთმული ისმოდა.

ბაბუა ხედავდა გაიღამაკების განიერ მხარბეჭს და მაგრად გამოსკვნილ ცხენის კუდს.

• ცხენის უკან, ჩაშავებულ ხნულებში, ცარიელი კავი იდგა და მკლავებივით იშვერდა ხეუნებს, თითქო ეძახდა და იჭერდა ვისმეს. იქვე მიხასი დაკოტავებულ შარვალს უშეებდა. კავის ერქვანზე პატარა შვილი-შვილი მიცოცავდა. იგი აშკარად კმაყოფილი იყო, რომ ცხენი გამოეხსნათ და ბოჭუყელას არავითარი ხიფათი არ ელოდა.

წამით თითქოს ყოველგვე დადუმდა. მერე იყვირა სასოწარკვეთილმა მოხუცმა და ძლიერ გაუკვირდა, რომ საკუთარი ხმა ვერ გაიგონა. მძიმე ოხვრა აღმოხდა მხოლოდ, უკანასკნელი ამოსუნთქვის შგავსი. ცხენს გამოეხსნათ. უღონოდ ჩაშავედა ხნულებში. ნალებიანი თოფრაკი ელარუნით დაეარდა მიწაზე.

— მამა! — მუდარით ამოიგბინა მიხასმა.

— ერთწუთს დამიცადეთ, კეთილებო! სიტყვა მათქმევინეთ, ერთწუთს! — იბლაელა მოხუცმა.

იგი ხელახლა დაეცა, მაგრამ წელანდელივით ერთბაშად ვერ წამოდგა. ორი-სამი ნაბიჯი ზოხვით გაიარა და, თოთოსავით იდაყვებზე დაყრდნობილმა, ძლივს წამოიღო წელი.

— დამიცადეთ, პანებო, სიტყვა მაქვს..

პატრონის ხმაზე ცხენი დადგა. მაშინ, ერთი გაიღამაკი ამხანაგებს ჩამორჩა და მოხუცს დაუტატანა:

— მომწყდი ბებერო ქოფაკო!

ბერიკაცმა ძალღივით შემოურბინა გაიღამაკებს წინიდან. წყალწადებულღივით იქნედა ხელებს.

— მათქმევინეთ პანებო, მათქმევინეთ!

ბაბუა რუხლო შვილმა შეაჩერა.

— კარგი, მამა, მაკმარე, თორემ სისხლი მოვიდა ყელში!

მამამ შეხედა შვილს გავარვარებულ პირისახეს, ატოვებულ ნესტოებს და მყისვე ჩაჩუმდა.

ლობებზე გადმოსულ კვახივით უღონოდ ჩაჰქინდრა თავი და შინაკენ წაჩანჩალდა.

კალოზე — თქარუნი, მტვერი, ტირილი. მთვრალი ვაიდან ვი უწყა-
ლოდ ამითარაბებდა ვილაც დანოქილ დედაკაცს, რომელიც კვლეი ხელით
ძროხის საბმელს ჩაფრენოდა, მეორეს კი თავზე იფარებდა.

უცეხლოდ და უვახშოდ დაწვენ. ღამეში ქარი ფათურობდა.
ქრიალებდა ბებერი ვაშლისზე.

აღარც ძილი ეკიდებოდათ, აღარც ლაპარაკის თავი ჰქონდათ.
მეკვერცხე დედალივით ბრუნადენ ლოგინში. მერე ყოველივე მიწყნარ-
და, მხოლოდ თავი აფხაქუნებდა სკივრში. ხანდახან იგიც გაჩუმდებო-
და, და რაკი საეჭვოს ვერაფერს შენიშნავდა, უფრო გამალებული ამუ-
შავებდა კბილებს.

შეწყდა თუარა მოხუცის გაბმული ოხვრა, მიხასი ნელნელა წამოდგა.
უეცრად მამის ტახტი აქრაქუნდა. მიხასი ისევ ჩაწვა.

— ცხა! ცხა! — მოხუცმა თავშეკაეებული წყრომით დაუცაცხანა
თავს, და სკივრის სახურავს რაღაც რბილი დაეცა, ალბათ, გადაქრო-
ლი ჩუთი.

— კიდევ არ სძინავს! — გული მოეწვა მიხასს.

კარგახანი გავიდა. ახლა მხოლოდ ბიჭუყვლა ატლაშუნებდა ტუჩებს
ძილში. მიხასი ყურს უდგებდა რა ხდებოდა მამის ტახტზე. რაღაც ისე
წყნარად, საეჭვოდ ეძინა მოხუცს, რომ მიხასს მოეჩვენა, მამა თავს
იმძინარებსო. მაგრამ შიში უსაფუძვლოდ ჩასთვალა, წამოდგა და ფეხა-
რეფით გავიდა გარეთ.

ყოოდენ შუალამის მამლები.

მიხასი ლანდივით უხმოდ მიჰყვებოდა მესრებს. ძალზე პნელოდა.
მაგრამ იგი შეუფერხებლად გადადიოდა ფიცარაყრილ ბოგირებზე, ად-
ვილად ავნებდა ჩალა-ბულათი შემოკაეებულ ბოსტნების ალაგს.

სოფელს დაბალი ნისლი ეფინებოდა. თვალისათვის უხილავი, იგი
იგრძნობოდა სუნით, იგრძნობოდა იმითაც, თუ როგორ იკარგებოდა
თანდათან ცაში ავარდნილი არყების კენწერო, როგორ მელდებოდა
მდინარის რაკრაკი, თითქოს ამ უღმობელ წყვილადში მოგუდული.

საღღაც შორს უშიშრად ღნაოდა ძუძუს ბავში და ეს ოდნავ ამხნე-
ვებდა ღამეს.

მდინარის გაღმა ნისლი შეთხელდა. იყო მთვარე. იგი მოსირამულ-
ვით აბრწყინებდა დაცვარულ ფოთლებს. მერე გამოჩნდა ნაწისქვილა-
რი. გაუქმებულ ღარიდან წყალი მოეონავდა. მსხვილი წვეთები წკარუ-
ნით ეცემოდენ გლუსუნა ქვაზე.

მიხასი კრიკაზე გადახტა.

წისქვილის უკან, გვაჯა მუხის ძირში, პისკუნი მიწას თხრიდა. ატრ-
ქარებლად იღებდა ორმოდან საესე ნიჩაბს და მიწას რომ გადააყრიდა.
მერე გაშტერებული იღვა ერთხანს.

მიხასი მივიდა.

პისკუნმა მოიხედა. ნაწამებ პირისახეს მთვარის შუქი ეხატა. მიხასი შეკრთა. პისკუნი ოცი წლით ხნიერი ეჩვენა და მხოლოდ მისი ტუჩებს — ისინი კარგად არ იმუწებოდენ — შეენახა. მისი ტუჩების ბავშვური იერი.

— არაა საჭირო, — ცივად ესროლა პისკუნმა მოსულს: — არა-მეთქი! — უფრო მკაცრად მოსკრა მან, როცა მიხასის თვალში სამსახურის გაწევის სურვილი ამოიკითხა.

მიხასს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ წავიდა. ასე უბრძანა მას სხვათა მწუხარების პატივისცემის გრძნობამ.

— ეს კიდევ ვინაა ოხერია?

ეზოში დაბრუნებულმა მიხასმა ქურდულად მოკიმკიმე შუქი შენიშნა თავლაში.

თავლის მოსუფთაებულ კუთხეში სურნელოვანი თივა იყარა. დაჩოქილი მოხუცი საბანს აფუნდა თივაზე. მან ისე გადახედა შეილს, თითქოს გაუკვირდა, რომ იგი მარტო იყო.

— არაა საჭირო! — პისკუნისავე სიტყვით და კილოთი უთხრა მიხასმა და კვარი ჩააქრო.

იგი მიხვდა, რომ ერთიდაიგივე საზრუნავე გასჩენოდა მამაშვილს ამ უძილო ღამეში.

— არა უშავს-რა, — მშვიდად წარმოსთქვა მოხუცმა და საბანი აკეცა: — არაფრის გაგება არა ჰქონია ადამიანს! არ შეიძლება გლეხკაცის დატოვება ცარიელი ხელის-ამბრა, არ შეიძლება! რამეს ზომ უნდა მოაკიდოს ხელი! კავს მომწყვდიტეს? სხვარამეს წავატანთ ხელს, ვესმის, მიხას? სხვარამეს...

რიცხავის ბინდბუნდში დიდი უღრანების ჭოჩორი ისახებოდა.



კალე გოგონიძე

ჰიმნი სვადინისადმი

ხმა მქუხარე ყველგან ისმის:

— დღევგრძელობა იყოს მისი,
ვინც ცხოვრებას გვიქმნის ნეტარს,
ვინც სიამის გვასმევს ნექტარს,
ვინც ცხოვრებას წაღმა მართავს,
ვინც ამბოღებს შრომას მართალს,
ვინც ამხნევებს მებრძოლს ველად, —
გაუმარჯოს ძვირფას ბელადს!

გაგვიმხნევეს მისმა ხმამა,
მტერი ჰკვეთოს ზასრმა ხმაღმა,
ბნელი დასწყვა ცეცხლის აღმა, —
გაუმარჯოს ხალხთა მამას!

ანთებულა ცეცხლის აღად
მოწმენდილი ზეცის თალი,
ბელადია ხალხის ძალა,
მისი ძალა არის ხალხი.

მას ბუნების ძალაც ჰმონებს,
მოიცილა ზეცამ მწუხრი,
ხალხში არის მისი ღონე
და ძლიერი ვეფხის მუხლი.
გაუმარჯოს დიად ბელადს,
ვისი ხმალიც ყველგან ელავს!..
მისი ხმა დღეს ყველგან ისმის
და მსოფლიოს კიდებ სწვდება,
დღევგრძელობა იყოს მისი,
არის მშრომელ ხალხის ნება!



ერყინული
ბიბლიოთეკა

მზად ვართ ცეცხლში გადავარდეთ,
რომ დარეკოს ბრძოლის წამმა,
ვაუმარჯოს მხნე შევარდენს —
ღიად ბელადს, ხალხთა მამას!

ვაუმარჯოს ბელადს სტალინს.
სპეტაკია, ვით კრისტალი,
მტარვეალთათვის ცეცხლის ალი,
ხუნდებს ლეწავს მისი ხმალი,
ვით მეღვარო ქარიშხალი!

დღეგრძელობა იყოს მისი,
გაიგონოს მთიდან მთამა,
მაზე ჰიმნი ყველგან ისმის, —
ვაუმარჯოს ხალხთა მამას!...

დღეგრძელ იყოს მასთან ისიც,
ვინც შშობელი არის მისი,
ვინც გაზარდა მძლე არწივი,
ვინც აკვანი დაარწია,
ვინც პარველად უთხრა ნანა,
ჩვილი ხელში აიყვანა,
და აჩვენა ეს ქვეყანა!
ვინც გაზარდა ჩვენი მხსნელი,
ტყბილი ძუძუ ვინც აწოვა,
ვაგვინათა ღამე ბნელა
მოგვაცოლა ბედზე გლოვა!

დღეგრძელ იყოს საქართველო,
მზიურ ბაღად გადაშლილი,
გაიხარე, გზანათულო,
ხალხებს სარძლოობს შენი შეილი!

გაიხარე გორის მიწავ
და მიდამოვ ლიახვისა:
შენს აკვანში ჩვილი იწვა,
შენს ხალხს შეება მან აღირსა;



შენს მიწაზე ცეცხლს ანთებდა
 იგი პირველ ამბოხისას,
 მან წყევლიადი გაათენა
 და ბრძოლებში არ მოხრილა!

მასი ცეცხლი ახსოვს თბილისს,
 მრისხანე მტერს როგორ სწევდა,
 შშრომელთათვის გულით თბილი
 იყო და ხალხს მისთვის სწამდა,
 მას უყვარდა მოძმე თვისი,
 ხალხსაც მისთვის შეუყვარდა.

მოგონებას გულში ვაჭსოვთ:
 თითქოს ბელადს რკინა ეცვა!..
 ჩვენ ბათომის ჯაწყი გვახსოვს,
 ზღვამ ნაპირი ჩამორეცხა.

ქუთაისში მტერს რომ ჰკვეთდა
 ლენინური აზრის ხმალით,
 კიათურაც შეუერთდა,
 ვით ქარიშხალს ქარიშხალი.

დღეგრძელობა იყოს, ძმებო,
 ამ მიდამოს მთის და ველის,
 ამ მშვენიერ საქართველოს
 გაუზრდია ქვეყნის მხსნელი.

შენ ვადიდებთ, საქართველოც,
 ხარ ბელადის გამომზრდელი,
 ვაიხარე გზანათელო,
 არ ხარ ძმათა სისხლის მღვრელი.

მზად ვართ ცეცხლში გადავარდეთ,
 რომ დარეკოს ბრძოლის წამმა,
 გაუმარჯოს მხნე შევარდენს —
 დიად ბელადს, ხალხთა მამას!..

ვალერიან გაფრინდაშვილი

რუსთველის დღე

მე ერთ ოცნებას ვულში ვინახავ,
ეს არის ჩვენი სულმნათის დედა,
მისი სურათი მე არ მინახავს,
და იმას მაინც მარადის ვხედავ.

მადლიან ძუძუს ბავშვს აწოვებდა,
და აწვეთებდა ყურში ტკბილ ნანას,
ბოელ ნეტარებას მასში კპოვებდა,
უვლიდა როგორც პატარა ყანას.

მას თინათინის თითები ჰჭუნდა,
ნატოფი სახე ქართველი ქალის,
ოქროს ღრუბლების ელვა მოსწონდა
და ბრწყინვალეობა ვარსკვლავით ამალა.

უყვარდა კითხვა ძველი წიგნების,
ვისოს, რამინის მის ბელი სწავდა,
კდემამოსილი, ნაზი, იქნებ ის
ფეხმძიმობის დროს მაჯამებს სთხზავდა.

ცა ბნელ ღრუბლებით შემოირკალა,
ძირს ხომალდით თრთოდა ვარძია,
ქალი გამოჩნდა, როგორც ვრიგალი,
და გული ქარში დიდბანს არწია.

მას აივანზე უყვარდა ჯდომა,
როცა არ ქროდა ქარი მზარავი,
იყო ლამაზი დაისში კრთომა
იმის ქარვისფერ ტან-საფარავის.

ასწავლა შოთას კითხვა და წერა...
 ბრწყინავს გმირების ველი მზიანი.
 ეს იყო დედის ტკბილი სიმღერა,
 თუ წაკითხული როსტომიანი?



ის, ალბათ, ადრე გარდაიცვალა.
 იგი ვერ დასტკბა შვილის დიდებით.
 დარჩა საფლავი და დაიცვარა
 ქარიშხლიანი, პანაშუადებით.

შოთას გამოჰყვა დედის თვალები,
 შოთას რითმებში დედის ხმა კვნესდა
 და თითქოს დედის შორ დაეალებით
 მისი რაინდი ეძებდა ნესტანს.

დღეს შოთას ძეგლიდან მე იმას ვხედავ
 მშრომელი ქალის წმინდა იერით,
 თითქოს გაკოცხლდა პოეტის დედა,
 ძალღონით სავსე და ბედნიერი.



გიორგი კახაიძე

ლაღი და სიხარული

შემოგებდავ. ამაღლებ, გამობრწყინებ გულს და ფიქრებს...
ჩვენი ღვიძლო, დიდა შოთავ, შეგხაროდი თამარს იქნებ.
გაყვარებდა იქნებ ბალებს, ცის მნათობებს მისი გავლა,
მისა სათნო, ნაზი თვალის წამწამების ჩრდილში მალვა.
შედოდი, ალბათ, მასთან დიდებულთა წესის დაცვით,
იგი დიდი მეფე იყო, შენ მგოსანი, ბრძენი კაცი.
მაგრამ შემდეგ მიწას ბევრჯერ გადაეწო მძლავრი ქარი
და წარსულის ბრწყინვალეობად წარსულს დარჩა მეფე ქალი.
შენ არ ჩაქჭრი, შენი სახე გაივსო და ვალამაზდა,
არც ქალაჩა ვაგერიო. დარჩი ისევ ახალგაზრდა!
გიყურებთ და თვალს გვიბრწყინებ, დაგვანახე სიბრძნე სრული,
შენ ხარ ჩვენი შვიდასი წლის ღაღადი და სიხარული!
გინახოდეს, რომ გაგიღეთ საქართველოს ყველა კარი,
რომ სამშობლო ვრცელი გახდა, რომ არა ხარ ობლად მდგარი.
რომ ხელს ართმევ დიდ სახელებს, რომ ადგილი მათში ნახე,
რომ სიბრძნით და ლექსით ხიბლავ განახლებულ ქვეყნის ხალხებს.
აქ მწუბარედ არ გამღერებს კაცის შრომა, შექე მზისა:
„ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე გქირსა?!“
გიყურებთ და თვალს გვიბრწყინებ, დაგვანახე სიბრძნე სრული
შენ ხარ ჩვენი შვიდასი წლის ღაღადი და სიხარული!

ივ. ჯიჯიანი

შოთას

თითქოს მიწიდან იშხუვლეს
ცხელი შადრევნის ჩქერებმა,
ბნელში გამოჩნდი, გენიავ,
ქართული სიტყვის მშენებლად.
გვატკობს, გვიტაცებს, გვაკვირებს
შენი ლექსების ჭენება.

მთრთოლვარე გულით დასწვრე,
პოეტო, „ვეფხისტყავე“ და
მასი ფრთიანი სახელი
ქვეყნიდან ქვეყნად ვავიდა.
შენ წიგნს მრავალჯერ წაკითხულს,
იწყებენ ისევ თავიდან.

მომხიბლავია სამი ძმა,
სალი კლდესავით მაგარი,
ვის არ იტაცებს სურვილი
გაჰყვეს ვაჟკაცთა მაგალითს,
იყოს ურთერთის ერთგული,
„მადალი, უხვი, მდაბალი“.

სიტყვის გრივალით დაანთე
ტრფობის და ძმობის ხანძარი,
ვერ დაგიტია სამშობლომ,
ინდოს დაიღე საზღვარი,
რანდებისთვის დაიპყრე
ველები უზარმაზარი.

ქართულ მიწაზე ვაზრდილო,
 ვშირობით ვულს რომ ალაგზნებ,
 შენი მზიურა ხსენება
 ჩვენ სიამაყით აგვაესებს,
 შეიღას წელიწადს გვათბობდი,
 კიდევ გაგვათბობ ათასებს.



ქართული
 ენციკლოპედია

რამდენჯერ გადაგვიჭროლეს
 განადგურების ქარებმა,
 შენ იუაე ჩვენი კანდელი,
 იმედი და გაბარება,
 ვერაფერ მოგესპო, გველირსა
 ამინდის გამოდარება.

ბევრჯერ მოგვართყეს ისრები,
 სისხლი ღვარებად გედენია,
 ვარშემო მტრების ლაშქარი,
 ღღესაც კი რაოდენია,
 მაგრამ ფოლადის იმედად
 ვეაქვს ჯულაშვილის გენია.

ყველა გამოვალთ საბრძოლად,
 რას გვიზამს ჭაჯთა ხროვანი,
 წინ წაგვიძღვება ჩორაღდნად
 ლოზუნგი ღრმაზროვანი:
 „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
 სიკვდილი სახელოვანი“.

: : :

სოლომონ თაყაიძე

ჯიღრო

მოთხრობა

1.

გახარებული ნერგებით დამშვენებულ ქვაფენილს გაჰხედა ფრიდონმა; აეტობუსს თვალი ვერ მოჰკრა. დამძიმებული ნაბიჯით გაემართა ხეივნიკენ და სკამზე ისე ჩამოჯდა, თათქო უძილობითა და უსაზომო შრომით ძალმიღებული ყოფილიყოს.

იქვე ახლოს, სადგეორაციო მცენარეებით გაბრწყინებულ ბაღში, პირქუშად ძირვადგმული ტაძრის ირგვლივ სააღმშენებლო მუშაობა იყო გაჩაღებული. უხვად მოეზიდათ აქ მუშებს ქეიშა, კირი, ცემენტი და ხე-ტყის მასალა. რკინაბეტონით აგებულ ამ უზარმაზარ შენობას, მაღალი ხარაჩოებით გარშემორტყმულს, ახალ შინაარსს ანიჭებდნენ, ახალი ცხოვრების გამოშახველს.

ხეს მიეყრდნო ფრიდონი, სკამს ხელი დააბჯინა და მზის მცხუნვარე სხივებში მოლაპლაპე მავნოლიებს თვალი მოავლო. თითოეულ ხეს იცნობს ფრიდონი ამ ბაღში, სიყრმიდანვე შეეტკბო მათ და, როცა აქ გაივლის, ასე პგონია, საალერსოდ უწედიანო შტოებს ეს მარად მწვანედ მოხასხასე მცენარეები. მაგრამ ახლა თვალებზე თითქო ბინდი აქვს, გადაფარებული და მხოლოდ იმას გრძნობს, რომ გული ერევა და თავბრუ ესხმის.

ამ დილით რომ ადგა და ოდის აივანზე გამოვიდა, უფროსი ძმა-ჯოტო ხანგრძლივად დააქქერდა სახეზე და შეგრული კილოსათვის დამახასიათებელი ლირიული ტონით უთხრა:

— ვერა ხარ, ძამო, შენ კარგად! ბაიასავით ვაყვეთლებულხარ, კაცის ფერი აღარ გჰქვს. დარჩი დღეს, ნუ მიდიხარ, თორემ სანამ მატარებელი ფოთში ჩავიდოდეს, ციებამ იქნება გზაში მოგისწროს.

ფრიდონს ღიმილი მოერიდა და ძმას თვალი გაუსწორა.

დარჩიო! განა თვითონ კი ჩაიდენს ამას? განა ჯოტო არ იყო, რომ ციებ-ცხელებით შეპყრობილი, სიტყვში ბორგავდა და თავის ეტანს მაინც არ შორდებოდა?

აი ახლა ფრიდონის გვერდით დგას ეს ქაბუკი, ტანადი მხრებგაშლილი; მის შავგვერემან, ტიპიურ ქართულ სახეს, თავისი შეჩაღლებული ცხვირითა და არწივისებური გამოხედვით, უტეხი ნებეყუყუყესა და ქარბი ენერგიის იერი ამშვენებს.

ჯოტოსაც გაეცინა, უკვე დავაჟაკებულ ძმას ქოჩორზე ხელი გადაუსვა და ტკბილი საყვედურით უთხრა:

— შენც ჩემსავით ჯიუტი ხარ, ძამია!.. ჩვენს ოჯახს შენ, მგონია, სხვაზე უკეთ ასახელებ...
 შიგლისი

ლევან ესაიას ოჯახი მართლაც სასახელო შეიქნა ამ ლამაზ გორაკზე შეფენილ სოფელში. ლევანი თავის დროზე დიდი ჯაფის ამტანი და თანაც გონება-მახვილი კაცი იყო. მართალია, დიდი სიმწარე განიცადა, მაგრამ მაინც შესძლო და კარმიდამო ჩინებულად გააშენა. თავისი პირმშო — ცქრიალა ელო სკოლაში შეიყვანა და საშუალო დაამთავრებინა. ჯოტოს სასწავლებელში დადიოდა, როდესაც ლევანი გარდაიცვალა. ფრიდონს კი ჯერ ამ ქვეყნის არც ავი ესმოდა და არც კარგი, ორისა თუ სამი წლისა იყო. მთელი ოჯახის სიმძიმე დაქვრივებულ დედასა და ელოს დააწვა...

ხოლო მას შემდეგ, როცა ელოს საქმრო ქლეჭმა იმსხვერპლა, ელომ შვეები ჩაიკვა, გათხოვებაზე ხელი აიღო და მთელი სიცოცხლე პედაგოგიურ მოღვაწეობასა და ძმების აღზრდას შესწირა.

ელოს ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“ უყვარდა, ამ თხზულებათა საუკეთესო ადგილები ზეპირად იცოდა, ძმებსაც აზებირებინებდა ხოლმე. ამიტომ იყო, რომ მათ ოჯახში რაღაც თავისებური კულტი შეიქმნა, მეგობრისა და საყვარელი ადამიანისათვის უანგარო თავდადების კულტი.

ახლაც, როდესაც ფრიდონს დაუგვიანდება ხოლმე უკვე ხანში შესული დის ნახვა, ან რაიმე ჭასაჭირს განიცდის, ისე ცოცხლად წარმოესახება, თითქო პირისპირ ესაუბრებოდეს.

თმა თოვლივით თეთრი აქვს ელოს, სახე კი სავსებით მოუტეხავი, უნაოქო, სადაფივით დაწმენდილი. გულში ღრმად ჩამარხულ კავშანს იშვიათად გამოამჟღავნებს, ნაძალადეგ ღიმილში თუ გამოკრთება ხანდახან, ან არა და მაშინ, როდესაც ჩონგურს აიღებს და თავისებური ნაზ-ტკბილი ხმით დაამღერებს:

„შალვა, ჩემო საყვარელო,
 სიცოცხლეზე მეტად ტკბილო“...

ან კიდევ ნესტანის წერილიდან:

„მე სიყვდილი აღარ მიმიძმს
 შემოგვედრებ რადგან სულსა“.

საოცარი თილისმა აქვს ელოს ჩონგურს, წარმტაცი, მომაჯადოებელი.

ელოს ძმებს — ჯოტოსა და ფრიდონს — დედის სიკოცხლში და მისი გარდაცვალების შემდეგაც დისადმი ღრმა მოკრძალება. ჰქონდათ/ჩანერგული გულში, მისდა უნებურად იშვიათად გადასდგამდნენ ერთმანეთს სერიოზულ ნაბიჯს. თუმცა ძმების საქმე არც ისე წარიმართა: ჩაჩუქნეს ელოს სურდა. ჯერ იყო და უნივერსიტეტში ჯოტოს შეყვანა ვერ შესძლო, პირველად რკინისგზაზე დაიწყო მუშაობა, მერე ალაზნის არხზე ტექნიკოსად, ხოლო როდესაც კოლხიდმშენის საფუძველი ჩაეყარა, აქეთ გამოემუერა, და ამჟამად ერთ-ერთი მეტად საპასუხისმგებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელია.

ჯერჯერობით ვერც ფრიდონმა შეასრულა ელოს დიდი ხნის ნატვრა: ტექნიკში რომ დაამთავრა, უნივერსიტეტში შესვლის ნაცვლად კომკავშირმა დაავალა და მისი სურვილიც იყო, რათა სახელოვან კაბიტანთან დომენტი რუბაისთან ემუშავნა და კოლხიდმშენის ყველაზე უძლიერესი ექსკავატორის რთულ ტექნიკას დაუფლებოდა.

ავტობუსის საყვირის ხმა შემოესმა ფრიდონს და მყისვე გამოცოცხლდა... მაგრამ როდესაც ავტო დაიძრა, კვლავ მოთენთა, ცივად შეაერთო და გულშედონებულებით მიეყრდნო ღია ფანჯრის ჩარჩოს.

არასოდეს არ უგრძენია ფრიდონს ასეთი უგუნებობა, ასეთი უილაჯობა. წინათ ამ გზაზე რომ გაივლიდა, სიამოვნებით გადახედავდა ქუჩის ნაპირებზე ჩამწყრივებულ ახალ მცენარეებს. კონტა ოდეების ირგვლივ გაშენებულ მანდარინის ბაღებს.

ახლა კი, თვალეზზე თითქო ბინდი აქვს გადაფენილი, თავის აწევაც არ ძალუძს.

ავტობუსი ქალაქის განაპირა უბანს გასცილდა და მრავალკეცად დაგრავნილ მოლისფერ ღრუბლებივით ალიმართა თვალწინ გურიის მთების პირველი წყება.

აღმოსავლეთით ქაობში ხარბად ამოხეთქილი მაღალი ლელი ბიბინებს, — ნიავე რომ მეტის სიძლიერით დაუბერავს, ტალღისებურად დაიქლაცნება ეს ლაქაში და ლალად ბზინავს ფენიდან ფენამდის, ბზინავს და მიიჩხევა პალიასტომის ტბამდე.

და ეს გულჩახვეული ტბა, გაუვალი ტყეებითა და ხაშშიანი ქაობებით გარსშემორტყმული, ახლა ისე მოსჩანს ვით ღრუბლების რკალში მოკამკამე, სხივდაფრქვეული ნაკვეთი ცისა.

ავტობუსი მალთაყვას მიუახლოვდა.

სხვა დროს, აქ რომ მოაღწევდა, გულგახსნილად გადახედავდა ფრიდონი ზღვას, ამ წუთას კი თითქო ყველაფერი ეზიზღება, მზადაა მივგდოს სადმე ცისა და მიწის განაპირას, ოღონდ მგზაურებმა კი არ შეამჩნიონ ეს სამარცხვინო სისუსტე, ასე მოულოდნელად რომ შეიპყრო, შეგაქვა და სასიცოცხლო უნარი წაართვა.

ზღვა კი მუდამ იტაცებდა ფრიდონს. ვერც ერთი მისი ამბანავი ვერ შესცურავდა ზღვაში ისე შორს, როგორც ფრიდონი, ცუხვიანში ტალღი არა ჰყავდა.

უფრო კი კაპიტნად გახდომა რომ გადასწყვიტა, მარტო შეწყვეტირდა ფრიდონს ეს სიყვარული ზღვისადმი.

ხანგრძლივად გაიჩინდებოდა ხოლმე აღელვებული ზღვის პირად და თვალს ადევნებდა ფაფარაყრილი ტალღების ნაფარდს.

განსაკუთრებით, აი ახლა რომ არის, ასეთი მშვიდი და გულგახსნილი ზღვა ხიბლავდა ფრიდონს: ფირუზისფერ სარკესავით კამკამებს თვალგადაუწვდენელი, კამკამებს და სრიალებენ ზედ დაუსრულებელ რკალეზად მოლივლივე ქაელები; ხოლო მზის გასწვრივ შექანებულნი ზოლი დაციმციმებს ზედაპირს ზღვისას, თითქო მარადის დაუღეველი გზა იყოს, — ვაჰჭევი ამ ნათელ გზას, შემოიარე მთელი ქვეყანა და ხელთ გეპყრას რიჟრაჟისფერი დროშა, რომლითაც შენი სამშობლო მწვერვალთან მწვერვალისაკენ მიიმართება...

კაპარტინაზე, ზღვის პირად, ოდესღაც ხიდი იყო აგებული, ახლა კორიხზე გახრწნილი უზარმაზარი ცხოველის ჩონჩხებით მოსჩანს ამ ხიდის ნანგრევი, ამიტომ ავტობუსი აქედან უკან გაბრუნდა.

ფრიდონმა ძალღონე მოიკრიბა და ვრიგოლეთისაკენ მიმავალ მგზავრებს ფეხდაფეხ გაჰყვა, მაგრამ ნახევარი კილომეტრიც არ გაუვლია, რომ მუხლები მოეკვეთა, შესდგა, სახეზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა და უნებლიედ გზის პირად ჩამოჯდა.

თბილ სილაში ჩასდო ხელი და ეამა ეს სითბო, ტანში კი მაინც შეაგრეოლა და წინწასულ მგზავრებს გააყოლა თვალი. მერე ირგვლივ მიმოიხედა: ახალგამარვლილ ყანის პირად იჯდა. წვრილ, მტრედისფერ სილაში ძირგადგმული სიმინდის ღეროები ფართოდ შლიდნენ ფოთლებს, ურთიერთისაკენ იზრებოდნენ გალაღებულნი, თითქო რაღაც მეტად სასიხარულო რამ უნდა წასწურსულნო ერთმანეთს.

წარბები შექმუხნა ფრიდონმა, ქვედა ტუჩს კბილი დააჭირა, მაგრამ მთელი სხეულის ცახცახი მაინც ვერ შეიკავა, გული მოუვიდა და ზეწამოჭრა, მთვრალივით დაბარბაცდა.

წელგამართული, მხრებგაშლილი სიარული შეენოდა ფრიდონს; ტანდობითა და ოდნავ მოგრძო სახის ვაჟაკური იერით ძმასა ჰგავდა, თვლები კი ისეთვე ჰქონდა, როგორიც ელოს, ლაქვარდისფერი, ნაწვიმარდილის ეაშს სხივანებულნი ცვარავით გამწვირვალე.

ახლა კი სულ გამოიცვალა, დამწუხრებულებით თავჩაქინდრულია და ძლივს შიადგამს ნაბიჯს.

ნავამდე სულ მცირე მანძილია... იქნება სჯობდა რომ ჯოტოსათვის დაეჯერებია და არ წამოსულიყო... მაგრამ დომენტი რუბაიას ხომ მისცა სიტყვა, რომ უთუოდ დღეს დაბრუნდებოდა ექსკავატორზე... ისედაც

გაძნელებულია დასახული გეგმის შესრულება, რაღაც თხელი ტოჩივით მოზიმშიმე ნიადაგს წააწყდნენ. 1500 კუბომეტრი უნდა ამოიღონ დღე-ში... მთელი ძალღონის დაქიმვია საჭირო...
 ე.კ.ი.ნ.ს.ს.ს.

ძლივს მიაღწია სანავემდე. ნავი ახსნილი დახედვს... დედაბერას მიღმა ლაქაშეში გათხრილ ფართო არხს გააყოლა თვალი, — შორს, შავად დაბურულ ტყის პირად, გადამწვარი ხეების წვეროებით გამოჩნდა ექსკავატორის ანძები...

არა, მეტი აღარ შეუძლია ფრიდონს, ნავის მოყვანამდე სადმე უნდა მოისვენოს...

შებრუნდა და იქვე ახლოს, ეამთასელაში სავსებით გაშავებულ ფიქრული სახლის გვერდით წამოწვა მზვარეში.

სილაში ამოსული მოლი საკმაოდ თბილი იყო, მაგრამ ფრიდონი მაინც მოიკრუნჩხა, ცახცახმა აიტანა და თავის გასართობად კბილების რაწუნს დაუდგო ყური.

2.

კაობსა და ზღვას შუა ვიწროდ შეკრილ, ოდნავ შემალლებულ კუნძულზე იდგა ეს ძველი სახლი, — დამტკბარი, მზიანი დღეების, ხშირი წვიმების, უცებ მოვარდნილი ქარტებილისა და ზღვის ბომოჭრობის ხანდაზმული მოწმე.

ახლა კი მომზიბლავი სიმშვიდით ნარნარებს ეს ზღვა ცის დასალიერამდე და საამოდ მოისმის რიყზე დამსხვრეული პაწია ტალღების გაბმული შრიალი.

ხოლო აღმოსავლეთით, ბაყაყებითა და ქვეწარმავლებით სავსე ეწერში, ზღვიდან მონაბერი ნელი ნიავე მიმოჭკრის და ოდნავ არხევს მზის სხივებში მოვარეარე ლელს, კილსა და ლაქაშს.

ჩქარი ნაბიჯით შევიდა ეზოში უკვე საკმაოდ გახუნებული შავით მოსილი, ხანში შესული ქალი, — ახოვანი, ჯერ კიდევ ძალღონით სავსე.

კარო რომ გააღო, მყის შავი თავსადარი მოიხადა და ტახტზე დააგდო, ჩამოსლილი ქალარა თმა გაისწორა და ირგვლოვ თვალი მიმოატარა.

ბინა სუფთად იყო მილაგებული, მხოლოდ კედლებზე შპალერის ნაცვლად გაკრული გაზეთები ალაგ-ალაგ ჩამოხეული იყო და ფიცრებს შორის გამოკონილ სინესტეს ყავისფერი ლაქები გაემრავლებია.

სახლის გვერდით, ახორში დამწყვდეული მოჭვის კაკანი შემოესმა, ქადის ცოშში შეხელილი ჭინჭარი წაიღო და დამშეულ ჭუჭულებს კარი გაუღო.

ზღურბლზე ჩამოჯდა და, სავსე პეშვი რომ ძირს დასწია, უსუსური ჭივილით შემოესიენ იხვის ჭუჭულები, მაიასფერი ხავერდით ღბილბუსუსებიანი. ერთმანეთს ეცილებოდნენ ნორჩნი, უმწეონი და გამალებით ატყატყებდნენ წაგრძელებულ ნისკარტებს.

— გეყოფათ ახლა, თქვე საცოდავებო! — ჩაილაპარაკა ტასომ, ხელი დაიფერთხა და უფრო გულდასმით დააკვირდა იქვე ახლოს მარჯვნივ წამოწოლილ უცნობს.

„ვინაა ნეტაი? — გაივლო გუნებაში. — რაცხა კახეთის უხუცესი უხუცესი შეხედე, რაფერ აბაგაგებს!“

ალარ დააყოვნა, მივიდა და ფრიდონს თავს წაადგა, სახეზე დააქვერდა და მზრუნველი ხმით შეეკითხა:

— რა მოგივიდა, ნენა-შვილო?

ძლივს წამოსწია ფრიდონმა თავი, დაბინდული თვალები შეავლო ტასოს და სანავესაკენ გაიხედა:

— ნავს ველი... ექსკავატორზე ვმუშაობ...

ტასო დაიხარა, „შუბლზე ხელი დაადო და თვალებში ჩაჰხედა.

— გაციებს, ნენა? — შეეკითხა და პასუხს ალარ დაუცადა. — აგი პირველი შემოტევა უნდა იყოს. ახლა სიცხეში ჩაგაგდებს, ოფლი უნდა იდინო. აქნაი წოლა კი არ შეიძლება, უფრო შეგეყრება, ნენა!

ფრიდონმა თავს ძალა დაატანა და წამოჯდა.

— მალე გამოჩნდება ნავი და წაველ...

— სად უნდა წახვიდე ახლა, ნენა! ახლა თუ ლოგინში არ ჩაწეკი და ოფლი არ იდინე, ვინ იცის, რათ გადაგექცევა. სხვაი რაი, თორემ აგი კი გამოვცადე ჩემს სიცოცხლეში. სამი შეილი მყავს, ნენა-შვილო, დამარბული, სამი ოქროსავით შეილი...

ფრიდონს თავისი ოსტატის, დომენტი რუბაიას სახე წარმოუდგა, მიცემული სიტყვა მოაგონდა და მტკიცედ ჩაილაპარაკა:

— უთუოდ უნდა მივიდე, დაპირებული ვარ!

— არა, ნენა — დაყვავებით უთხრა ტასომ და ფრიდონს მხარში ხელი ამოსდო. — ადექი, ნენა, მომყევი! შენ არ იცი ჯერ, რა საძაველი სენია ეს ციებ-ციხელება... მომყევი, ნენა! ვინცხარს არ იყოს, გადამთიელები ხომ არა ვართ...

იმდენად ავადმოყოფობამ კი არა, ტასოს დედობრივმა მზრუნველობამ გაიყოლია ფრიდონი. მსუბუქად დაეყრდნო ამ უცნობი ქალის ხელს და ცდილობდა როგორმე შეეჭრებინა მთელი სხეულის ძაგაგავი, კბილი კბილს დააჭირა, მაგრამ სუნთქვა შეეკრა, თან გული ერეოდა და თავის ტკივილი თვალებში წამოაწვა.

— ნუ გეშინია, ნენა-შვილო, ახლავე ჩაგაწვენ ლოგინში. — უთხრა ტასომ და სკამი დაუდგა.

მერე კვლავ სახეზე დააქვერდა და უმალვე მიხვდა:

— რაი, გული ხომ არ გერევა, ნენა?... აი ტასოს დაგიდგამ აგერ... აბა დასწი თავი... ნამეტარი მოგიხდება... წალაა ეს, ციებ-ციხელების შხამი... ზედავ. რაფერი მწვანეა, დამპალი გუბე რომ ლორწოს მოიყენებს, იმას ვავს...

მცირე შვება იგრძნო ფრიდონმა, გული კი ისე უფანცქალუნდა, თითქო ამოვადნას ლამობსო. თავი რომ წამოსწია და წელში ვაიხროთა, დატორტმანდა, ეგონა, სკამს ფეხი გამოაცალესო.

წამოგზნებული, ოფლიანი სახე მოსწმინდა ტასომ და მერმე კვლავინი გაშალა.

— არა, დედი, თქვენ ნუ სწუხდებით, მე ვაიხიდი! — შეებატიყო ფრიდონი და მეტისმეტად ეუცხოვა, მისი ხმა რომ ასე სუსტად გაისმოდა.

ფრიად ეამა ტასოს, ფრიდონმა რომ დედა უწოდა, და ისე შეესიტყვა. თითქო მადლობას უხდისო:

— შენს დედას უცოცხლოს განგებამ შენი თავი, ნენა-შვილო! აი, ახლა ჩაწეკი, სიცხე კი შეგაწუხებს, მარა ოფლი გამოიტანს, ნენა, სიცხეს...

საბანში რომ გაეზვია, მცირე ხანს კიდევ ცაბცაბებდა ფრიდონი, მერმე კი თანდათან წამოეპარა ბურანი და გულში სითბო ჩაწედა.

ტასომ საოჯახო საქმე სწრაფად მოითავა, ბოსტნიდან კეყერა ფხალის ფოთლები მოიტანა, ფრიდონს შუბლზე დააფინა და თავი შეუხვია.

— თავის ტკივილს დაგიაიმებს, ნენა, ეს ფოთლები და სიცხესაც გამოიტანს...

ფრიდონმა ჯერ ტასო შეათვალეერა მოკრძალებით და მერმე ამ უცხო სახლში მიმოიხედა, თითქო სურს გაიგოს — სად ვარო.

კედელზე რამდენიმე პორტრეტს მოჰკრა თვალი და მის გასწვრივ — ბალიშებით თეთრად შეხვინულ საწოლს.

რამდენჯერ გაუვლია ფრიდონს ამ ძველი სახლის სიახლოვეს, მაგრამ არასოდეს არ წარმოუდგენია, თუ მასში ესოდენი სისუფთავე და დამტკბარი მყუდროება სუფევდა.

ტასომ სასთუმალთან დაიდგა სკამი, ჩამოჯდა და წამოქარხლებულ ლოყაზე დაადო ხელი ფრიდონს.

— დიდი სიცხე ვაქვს, ნენა-შვილო, მარა ნუ გეშინია. მალე დაცხრება... ასე იცის ამ წყეულმა, დაგროვდებ ტანში ეს მოჭრილებელი შხამი და მერე უცებ იფეთქებს... ეჰ, ნენა-შვილო, ახლა რომ ბაქ, ამდენი გამოცდილება რომ მქონებოდა, იქნება ჩემი უბედური ბაღნები ცოცხალი მყოლებოდა ახლა...

ფრიდონს უკვე ბუნდოვნად ესმოდა ტასოს სიტყვები, მაგრამ მის ხმაში გამომჭრთალი ხალველი ჩაეწვეთა გულში და ტასოს სახეზე შეაცქერდა.

ლავეარდისფერად ანთებული თვალების შუქი შეეფინა ტასოს და დედობრივმა გულთამხილაობამ უკარნახა, თუ რაოდენი თანაგრძნობა გამოსტყვივოდა ამ უცნობი ქაბუკის გამომეტყველებაში.

— დამშვიდდი, ნენა, მოისვენე! მე აგერ რამეს მოგიყვები და გაგართობ. — დაყვავებით უთხრა ტასომ, ნიკაპთან საბანი გაუსწორა და მცირე ხანს ჩაფიქრდა.

— ჩვენ, ნენა-შვილო, — დაიწყო მერმე, — ისეთ დროს მოგხსენა ცხოვრებაში გამოსვლა, როცა ყოველ კაცს საკუთრად უნდა გაეკვლია გზაი...! ადამიანს ადამიანისათვის არ ეცალა, იმდენი სიჭკვიანობა უნდა ჰქონდეს, რომ ალმართში ძლიერ შეხვედეს. უნდა მოგხედავდა, ფერდობზე რომ დაგორებულ იყავი?... ასე იყო ჩვენი საქმეც. საწყალი ჩემი ქმარი თავის დროზე კაი ვაეკაცი იყო, მარა რაი მერე! ჯერ იყო და ზეგანში ამოგვართვეს სული, მერე მივატოვეთ იქაურობა და აქნაი ვადმოვსახლდით...

ტასო ხანგრძლივად დააცქერდა თვალდახუჭულ, სახეწამონთებულ ფრიდონს, „ხომ არ ჩაეძინაო“, გაივლო გუნებაში, მაგრამ მღელვარე კაი შანივით აღძრულმა მოგონებებმა გაიტაცა და განაგძო:

— უბედური ეფრემი დიდი ჯაფის ამტანი და ხელხევერიელი კაცი იყო, ამიტომ აქ პირველად გვარიანად მოგეწყევით, საყანე მიწა გავკაფეთ და კარგ მოსავალს გვაძლევდა, მარა რაი მერე! ეს წყეულ ეწერი კიდე უარესად დაჭობდა, აქედან ზღვამ შემოგვიტია და ამ ჩვენა სამოსახლო მიწიდან აღარაფერი აღარ დარჩა... ეს არაფერი, ნენა-შვილო, ამას კიდე გაუძლებდა კაცი. ვინცხაის არ იყოს, ცოცხალი ადამიანი, სანამ პირში სული უდგა, მუდამ იმედით შეჰყურებს ქვეყნიერებას. სიყვდილმა არ მოგვცა საშველი, ნენა, სიყვდილმა. ციებ-ცხელებამ დამიგლახა ბაღნები და სამი ოქროსავით შვილი ჩავაწყვე მიწაში...

ფართო, თაფლისფერი თვალები ცრემლით გაუბრწყინდა ტასოს, მცირე ხანს სღუმდა და მერმე თავის თავს გაესაუბრა:

— ან კი რაფერ ხარ, შე შავ დღეზე დაბადებულო ტასაი, ცოცხალი! ვერც ციებ-ცხელება მოგერიო შენ და ვერც...

სიტყვა შესწყვიტა, ფრიდონს დამნაშავესავით დახედა და თვალები მოიწმინდა.

— ჰო, იმას ვამბობდი, — განაგრძო თხოობა, — ციებ-ცხელება ყველას ერთნაირად ვერ ერევა, ზოგიერთს ისეთი აგებულება აქვს, რომ დიხნით ინელებს მის შხამს, მარა რაი მერე, როცა დროს უშოვნის, დასუსტებულ კაცს უცებ ჩაიგდებს ხელში და აღარ ვაახარებს. ჩემი საწყალი ეფრემის საქმეც ასე იყო...

რა მოსდის დღეს ტასოს? რამ გაუსათუთა ასე გული? იქნება ამ სიციხეში მშორგავ ავადმყოფის სასთუმალთან რომ ზის, ამიტომ გაუცხოველდა მოგონებები, და ცრემლიანი თვალები კედელზე ჩამოკიდებულ ქამარხანჯალსა და შალის ყაბალახს მიაპყრო.

საოცარია! ანაზღად სარკესავით აპროაღდა ეს კუთხე სახლისა და ტასოს ნათლად წარმოესახა ყაბალახით გურულად თავმორთული ეფრემი: შავი უღვაშები, შავი თვალწარბი, მაღალი ცხვირი და მოგრძო ნიკაპი, ოდნავ მკაცრი, შეუპოვარი გამომეტყველება... მაგრამ შემდეგ თანდათან

მოტყდა ეს ვაჟკაცური სახე, ნაადრევად გაყვითლებული ფრონტით დაჰქნა და ამ სამი წლის წინათ გათხრილ საფლავში ჩაიფარებოდა.

3.

სილონონის

მეტისმეტად შემოენთო ფრიდონს სიცხე და ლოგინში ველარ ისვენებდა. ეგონა, თითქო შავად პირდაღებული ჯურღმულის პირად ეცემოდა. ადგომას ლამობდა, მაგრამ მუხლები მოკვეთილი ჰქონდა და ვეება ბელტებს ამათღ ეჭიდებოდა. რალაც უხალავი ალი ამოდიოდა იმ ჯურღმულებიდან, ფრიდონს გარს ეფინებოდა და სულს უხუთავდა...

ტასომ ძმრიან წყალში დასველებული ტილოთი მოწმინდა სახე, გულმკერდიც დაუხილა, შუბლზე ფხალის ფოთოლი გაუსწორა და მხრებთან საბანი შეუკეცა.

— დამწვიდდი, ნენა-შვილო, მოისვენე! ცოტა ხანს კიდევ გაუძელ და ოფლი რომ წამოვა, მერე შეღავათს იგრძნობ... აი შე კიდევ რამეს მოგიყვები... ჰო, იმას ვამბობდი... აქ ჩვენ ერთი მეზობელი გვყავდა, წვრილცოლშვილიანი კაცი იყო, კაი მეთევზე, კაი მონადირე. მარა რაი მერე, საცხა ეწერში შეეყარა საშინელი ხაშში, ხამთარში ჩაყვა, გაზაფხულზე ქლეკად გადაექცა... ახლა იმ ცოდვიშვილის ნასახლკარზე არავინ აღარ ჰქაჰნობს... ერთი ბიჭი გადაიჩა მხოლოდ, დეიდამ წაიყვანა ზეგანში. ამ ახალმა დრომ მოუსწრო და ამბობენ, ახლა ნასწავლი კაცი იყო... აწი ვინც ცოცხალია, რა უქირს, ნენა! გზა გახსნილი აქვს... შენისთანა კაი ბიჭები რას არ მიაღწევენ!.. ამბობენ, რიონს ნაბადაში გადაუშვებენო, ამ ჩვენს პალიასტომში გემები შემოვაო, ეს წყეული ეწერი ამოშრებაო, ამ ზღვის ნაპირზე ავარაკი გაშენდებაო... ლამაზ ზღაპარს ჰგავს, ნენა-შვილო, ეს ამბავი. ვის მოუვიდოდა წინათ აზრად, თუ ამ საშინელ მეწყერს რაიმე საშველი დაადგებოდა. ახლა ფოთში რომ ვაგივლი, გული გამინათლდება. რადენი ახალი ნერგია, რამდენი მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი!.. თქვენ რომ იმ თქვენნი დიდი გემით არხი გააკავეთ, იგი თუ დამთავრდა და ეს ქაობი ამოშრა, მერე აქაურობა სამოთხეს დამსგავსება...

ფრიდონს შორეული, ოდნავ გასაგონი ზუზუნით თუ ჩაწვდებოდა ხანდახან ყურში ტასოს ხმა, ზოლო მისი სიტყვების დედა-აზრი აღარ გაეგებოდა, ვინაიდან მომწუსხველ ბურანისათვის თავი ვერ დაეღწია და წამსწამ ცვალებად შმანებებს ებრძოდა:.

....აი ეს კაპიტანი დომენტი რუბაიაა, ტანმორჩილი, სახეგარუჯული ძველი მეზღვაური. მის წვრილ, ცოცხალ თვალებში მუდამ მიმზიდველი შუქი გამოჰკრთოდა, მაგრამ ახლა რა მოუვიდა?! რატომ არიდებს ფრიდონს სახეს?! აჰ, ვულმოსულია ნამდვილად, ფრიდონს რომ მისგლა დაუგვიანდა. ამიტომაა, ალბათ, ექსკავატორი რომ ასე დამაყრუებლად რახ-რახებს და საოცარი სისწრაფით მიაჩრდევს ლაქაშებს... სად მიეშურება?!

დააცადლოს ცოტა, მთავარი ფრიდონი და ყველაფერს განუმარტავს, მაგრამ დომენტიმ სასტიკად დაწკურა თვალები და ექსკავატორი პალიასტომში შეაღწერა...

ერეკინული

ბიჭებს რაღა მოუვიდათ? ერთი ვინმე მაინც შეგვეცხვროს! გემბანის კბიქსთან დაცემულ ფრიდონს! არა, ეს პალიასტომი არ არის, ეს აბობოჭრებული ზღვია, ცამდე აყუდებულ ტალღაზე ირწყევა გემი. აჰა, თავქვე დაქანა, მეორე მძლავრ ტალღას დაეჯახა და დაყირავდა... ხოლო ეს შავტუხა კაცი, ეს დომენტი რუბაია ისე მშვიდად დგას საჭესთან, თითქო არაფერაც არ მომხდარაო, თავისებური სიღინჯით გაპყურებს მთავრეხილებივით დაკლანჩილ ზედაპირს ზღვისას და ერთხელაც არ მიუხედა ფრიდონს, რომ მასთან მისვლა შეაძლებინოს. გემბანი კი სავსებით გადაფერდდა და აი ყველასაგან მოძულებული, განწირული ფრიდონი უფსკრულში ეშვება...

ხელეში გაასავსავა და საბანი გადაიძრო, თან რაღაც გაუგებარი სიტყვები წამოიხრიალა უმწეოდ და წამოწითლებული, გადაბინდული თვალები მიაპყრო ტასოს.

— რა მოგჩვენა, ნენა? — დედობრივი მზრუნველობით შეეკითხა ტასო და პასუხს აღარ დაუცადა, ნიკაპზე მოუსვა ალერსით ხელი, საბანი შემოუკეცა და განაგრძო:

— ასე იცის ამ წყეულმა ციებ-ციხელებამ, არასოდეს რომ არ გიფიქრიც, იმისთანა უცხოფერი რამე მოგჩვენება. დამშვიდდი, ნენა! ახლა ისე ხარ სახეზე წამოწითლებული, რომ ოფლი მალე მოგივა... სხვაი რაი, თორემ ეს კი ვიცი... ჩემი უნცროსი ბიჭი ახლა შენი კბილა იქნებოდა, ნენა-შვილო... ვინცხაის არ იყოს, გაჭირვებულ კაცს ქვაი აღმართში მოეწევაო, და მეც ისე მომივიდა, სიკვდილმა არ გამახარა, ნენა, სიკვდილმა... ახლა ერთი ციციი შემჩრა, მარა რაი მერე, მის ნახვას მუდამ მონატრებული ვარ! ჯერ იყო და ფოთს მყავდა კლასში, ახლა აგერ ერთი წელიწადია, მასწავლებლად დანიშნეს სოფელში. ვებეწე, ისე შორს ნუ მიდიხარ, ვითხოვოთ, სადმე ახლოს მოგცენ ადგილი-მეთქ, მარა ჯიუტია, დედა ენაცვალოს მას, ჯიუტი! რაც არ უნდა უთხრა, მაინც თავისას გაატანს... რა ექნა, მის მეტი არაეინ გამაჩნია და ვერ ვაწყენიე, როგორც ერჩიოს, ისე მოიტყეს...

ტასომ სახეზე მოავლო თვალი ფრიდონს და საუბარი შესწყვიტა, უნებლიედ გაიფიქრა—ამ უცხო ყმაწვილთან ჩემი ანიკო ცუდად ხომ არ მოვიხსენიეო, მაგრამ ევადმყოფის წამოღვივებულმა ლაწებმა დაარწმუნა, რომ ფრიდონს მისი სიტყვები ბუნდოვანად ესმოდა და ამიტომ განაგრძო:

— არა, ნენა, იმას კი არ ვამბობ, რომ ჩემი ანიკო ცუდი ხასიათისაა და რამე უზნეობას ჩაიდენს-მეთქი, ან დედის ხათრი არა აქვს-მეთქი, მარა რა ქნას, ჩემსავით ხომ ვერ გამოყრუვდება ამ ზღვასა და ტაობს შუა ჩარჩენილ სახლში. ნამეტარი კი ვეცოდები, როგორც კი თავისუფალ

დროს იშოვნის, მაშინვე მინახულებს. აგერ ახლაც გუშინს ქუთ ველი და თუ ამ საღამოს მოვიდა, კაი ფეხის იქნები შენ, ნენა... აგერ აგერ ვიფიქრე, მივატოვებ ამ ადგილს და სადაც ჩემი ანიკოფი, იქვე წავალდი მეთქი, მარა ჩნელია, ნენა, ეს, ძნელი! თავს რომ მოვესწარმ, მხოლოდ ჩემი ძალღონე აქაურობას შევადიე და ახლა როგორ გავშორდი! ხანდახან მარტო დავრჩები და კაცი ხმის გამცემი არ მყავს, ჩემი საწყალი შვილები და ქმარი ცოცხლებივით მომჩვენებიან და მათთან ვმუსაიფობ. ასეთ დროს რომ ვინმემ დაძინახოს, შეშლილი ვეგონები, ნენა...

ფრიდონმა მხოლოდ ერთის წამით იგრძნო, ტასოს ხელი რომ შეეხო, ხოლო მისი მოაღერსე ხმა თითქო ჰაეროვან ტალღად იქცა და უფსკრულისაკენ დაშვებული ფრიდონი ზედიზედაც... სამშვიდობოზე გავიდა და მცირეოდენი შეება შემოეფინა, თითქო გრილმა ნიავმა დაუბერაო. მაგრამ აქაც მარტოობის სევდამ შეიპყრო ფრიდონი და ირგვლივ მიმოიხედა: აგერ ჯოტო დვას არხთან, ზვინულზე. რეზინის მალაყელიანი წაღები აცვია ჯოტოს, თავზე სვანური ქუდი ხურავს და ქუფრად დაბურულ ტყეს მისჩერებია. ერთხელ მაინც მოიხედოს, რომ ხმა გააგონოს! მაგრამ დღეს ყველამ ზურგი შეაქცია ფრიდონს. სწორედ იმ დროს, როცა გულ-ათრთოლებულმა ფრიდონმა ძლივს აითრია ფეხი და ძმისაკენ გაემართა, ჯოტომ სწრაფი ნაბიჯით გასწია ტყისაკენ. ხანდახან შესდგება მხოლოდ, არხს გულდასმით ათვალიერებს და უბის წიგნში რაღაცას იწერს.

ნეტავი რას ანგარიშობს ჯოტო? იქნება იმას ითვალისწინებს, თუ მოსალოდნელი დიდი წყალდიდობის დროს რაოდენ ნიაღვარს გაუძლებს ეს არხი...

და მოუთმენლად სწადია ფრიდონს, როგორმე დაეწიოს ძმას და ჩაიხედოს იმ საოცარ რვეულში, მაგრამ არც მას ჰყოფნის ძალღონე, რომ ნაბიჯს აუჩქაროს, და ძმაც ძალზე ისწრაფის იმ უღრან ტყისაკენ... ახლა კიდევ ეს ქაობი, მუხლამდის ეფლობა და ოფლით გაყვანილი პერანგი ტანსა სწევას. მაინც არ ჩერდება და ძმის ნაკვალევს მიჰყვება... აი ეს ტყეც, შშორიან გუბებში ფესვგადგმული... ჯოტო კი აღარსად სჩანს. ფრიდონი ნათლად ხედავს, რომ თუ ვინმე არ მიეშველა, ისე თავს ვერ დააღწევს ამ მეწყერს. შემზარავი დუმილია ირგვლივ, თითქო ნიავიც არ შეჩებოდეს მწვანე ხავსით შებარდნილ ხეების შტოებს. მხოლოდ ხანგამოშვებით იზარება პირგადაგლესილი უფსკრულივით ეს მყრალი ქაობი და შემაჭრუოლებელი ბუხბუყი დაინთქება ხოლმე ტყის სიღრმეში...

ამაოდ ცდილობს ფრიდონი, რომ საღმე ბილიკი იპოვნოს, ან ცის ნაჭერს მაინც მოჰკრას თვალი: დამპალი კუნძები ჩაბერგილი ამ ლორწოვან გუბებში და მზის სხივიც ვერ ატანს ტოტებგადაჭობილ ხეების თაღს ქვეშ. ზოგან კი ისეთი ეკალია დავრავნილი, რომ შიგ კინკრაქაც ვერ გაძვრება...

და მწვავე ტკივილით ეკუმშება გული ფრიდონს, რაკი ამ ქაობიან ტყიდან ვერსად გასავალი ვერ უპოვნია, ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ ძმა თუ ასე უშემწევოდ დასტოვებდა, ეს კი არ უნებუნებელია...

მწარედ ამოიგმინა, ერთ ხაესიან ხეს მიეყრდნო და: **გაგონებენ ესაბუღისწრო მოლოდინით შეპყრობილი.**

უცებ რაღაც ყრუ ხმაური მოესმა და მცირე ხნის შემდეგ თვალს ჰკიდა მაღალი ხეების დარხეულ კენწეროებს. ვიღაც უჩინარი დევგმირი მოარღვევს ამ უსიერ ტყეს და აი უკვე გამოჩნდა ცის პატარა ნაკვეთი, მზის სხივით გაბრწყინებული...

სული მოითქვა ფრიდონმა და აგუგუნებულ ტყის სიღრმეში მიმოიხედა.

აჰ, ეს ხომ ყოველი უპატრონო ბიჭია, ახლა ცნობილი კატერპილერისტი ზოდენკო! მართლა დევგმირული სიამაყით ზის თავის მანქანაზე ეს პატარა შავი კაცი და თბრის ვეება ხეებს, სწმენდს ნიადაგს, იპყრობს ახალ მიწას...

აგერ ზათქოთა და გრიალიო მოახლოვდა კატერპილერი და ზოდენკომ სწორედ იმ ხაესიან ხეს მოსდო ქანგი, რომელზედაც ფრიდონი იყო მიყრდნობილი; დიდხანს აღარ დაუყოვნებია, ძირს დაენარცხა ფესვებგამიშვლებული კოპიტი, ხოლო ფრიდონმა რომელიღაც დარხეულ შტოს ჩაავლო ხელი, კენწეროებიდან კენწეროებს გადაალაჯა და ზღვის პირად დაეცა თავებრუდახვეული.

4

ბოგაზე რომ გავიდა და სახლს მიუახლოვდა, პატარა ჩემოდანი ძირს დასდო, წელში გაიმართა და ეშმაკური ღიმილით მიმოიხედა.

წაბლისფერი ნაწნავეები ვიწრო წელამდის სწვდებოდა, ზღვის-ფერო აბრეშუმის კაბა ეცვა, ლამაზ-ფოთლებიანი, და ნაბიჯი რომ ფრთხილად გადასდგა, მიმზიდველად გამოინაცვთა მასი მწყაზარი ტანადობა.

თაფლისფერი თვალები და მთლად ეს უმანკო იერით დამშვენებული სახე გულის სიღრმეში ნაფეთქი ღიმილის შუქით სხივოსნობდა.

ფეხაკრეფით მიიპარა კართან და შიგ ფრთხილად შეიჭერიტა, ლოგინთან ზურგშეკეცივით ჩამომჯდარ დედას შეავლო თვალი და მერტი ვენდარ მოითმინა:

— ნენა, ჭიტა!

წამოიძახა და კარს მიეფარა.

გული აუჩქოლა ტასოს ამ ნანატრმა ხმამ და მყისვე ზე-წამოიჭრა: კარის ვალებამდე კი მაინც მოასწრო, წარბები შეკუმუნა და რამდენადაც შეეძლო, მკაცრი ტონით წამოსთქვა:

— საღ ხარ, ცაე?

ანიკოს სიცილი წასკდა და დედას მივარდა, მაგრამ მოხვია ხელე-
ბი და რამდენჯერმე აკოცა.

— არ მელოდი ხომ, ნენა?— შეეკითხა და თვალეზრით დასტურდა. —
მე ამდენ ხანს მოვიდოდი, მაგრამ სკოლაში დამტოვებტლი სტრახინ ვი-
შოვე...

ტასომ თავზე მოხვია ხელი ანიკოს, გულზე მიიკრა და ისე მიეფე-
რა, ბავშვობისას რომ მიაღერებია, თან კი უნებლიედ გაიფიქრა: „გა-
სათხოვარი ქალია ახლა ჩემი ციცი, ახლა უნდა ამას ხელის შეწყობა
და პატრონობა, მე კი...“

და მრავალი საფრთხე წარმოუდგა ტასოს: ვინ იცის, ვის გადაეყრე-
ბა... რალად ეღორება მისი სიცოცხლე, გაბახებული რომ დარჩეს. მაგრამ
არა, — ანუგეშა ტასომ თავისი თავი, — ანიკო თავდაპირილი, მტკიცე
ხასიათის ვოვოა. რაკი ამდენხანს ასე უმწიკლოდ გაიტანა თავი, აწი
აღარაფერი უშავს. დედის მორიდებაც დიდი აქვს. აი ეს ნაწნავეები, განა
ტასოს ხათრისათვის არ გაუშვა? რამდენჯერ უსაყვედურეს თურმე ამ-
ხანაგებმა და თითონაც სურდა შემოეპრა, მაგრამ დედის საწყენი არ ჩაი-
დინა.

ანიკომ თავი ასწია, ერთის წამით თვითონაც დედის უბეში გულ-
დაამებულ ბავშვად მიიჩნია თავისი თავი და ტასოს უღარდელი სიცი-
ლი შეაფრქვია, მერმე უცებ დედის სახეზე აღბეჭდილი დიდი მზრუნ-
ველობა ამოიკითხა და მოკრძალებით შეეკითხა:

— როგორ ხარ, ნენა, ხომ არ მემღერი?

— არა, ნენა. შვილო, შენ იყავი კარგად და ჩემი ჯავრი ნუ გაქვს,
მე რა მიშავს, ჩემი კუთვნილი ჭეყანა უკვე მოვქამე.

— კაი ახლა! ნუ გიყვარს შენ-ასეთი ლაპარაკი! არავითარი ჭეყანაც
არ მოგიქამია! — გულმოსულივით აუწია ხმას ანიკომ.

ტასომ ლოგინისკენ მიიხედა, შემკრთალივით ტუჩზე ხელი მიიღო
და ანიკოს წასტურჩულა:

— ნუ ხმაურობ, ნენა, უცხო ავადმყოფი მყავს სახლში.

— ავადმყოფი?!

გაოცდა ანიკო და ფრთხილად მიუახლოვდა ლოგინს.

უცნობი ვაჟის წამოწითლებული სახე ოფლით იყო შეეონილი. აგერ
ნიკას მოსწყდა ერთი ცვარი და ყელზე დაეცა; დახუჭული თვალების
ორგვლივაც ოფლი ჩასდგომია.

ანიკოს უნდოდა დედისათვის ეკითხა, თუ საიდან გაჩნდა აქ ეს ავად-
მყოფი, მაგრამ მის სახეზე რომ ესოდენი ოფლის ღვარი იხილა, ცნობის-
მოყვარეობაზე უფრო მეტად ქალის გულისათვის ჩვეული სიბრაღული
აღეძრა, დაიხარა და მორიდებით მოსწმინდა ვაჟს სახე.

ფრიდონმა, რომელმაც ის იყო კატერპილერით ამოთხრილი ხის კენჭეროს შეუშვა ხელი და ზღვის პირად დაეცა, ძლიერ გაახილა თვალი და უაზროდ მიაშტერდა კერს.

ერეკუნული

ამ ლაქვარდისფრად დანისლულ თვალებიდან ~~გეგულებული~~ გამოქვთაღმა შუქმა შეაკრთო ანიკო: ეს ხომ ფრიდონ ესაიაა!.. ჯერ კიდევ მეექვსე კლასის მოწაფე რომ იყო, მაშინ ზედებოდა ხშირად. მართალია, სხვადასხვა სკოლაში სწავლობდნენ, მაგრამ ფოთი დიდი არაა და იქაური მოწაფეები თითქმის ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს. ფიზკულტურული ვარჯიშობის დროსაც ბევრჯერ უნახავს ფრიდონი და განსაკუთრებული ყურადღებაც მიუქცევია. განა მართო ანიკოს? ყველა ამჩნევდა, რომ ფრიდონი ერთი მოწინავეთაგანი იყო. ყველაზე მეტად კი მოცურავეთა შორის იყო განთქმული ფრიდონი. რამდენჯერ უდევნებოდა თვალი ანიკოს, ფრიდონი რომ ზღვაში გადაეშვებოდა და მოხდენილად მისრიალებდა აგორებულ ტალღებზე.

ერთხელ დიღხანს, დიღხანს უმზირა და, ფრიდონი რომ ზღვის სივრცემ ჩანთქა, უნებლიედ ცრემლი მოერია. ერთობ მწვავე სევდამ შეუკუმშა გული, და ეს თვალწუვდენელი ზღვა უდაბნოს დაემსგავსა. იმ წამს ანიკოსათვის თითქო აღარაფერი არ არსებობდა, დედაც კი დაავიწყდა. იყო ტალღებზე მცურავი ვაჟკაცი, უცნაურად მიმზიდველი იერით მოსილი და ისიც ცის დასალიერის მიღმა გადაიკარგა... მერმე კი, როდესაც უკან გამობრუნებული ფრიდონი გამოჩნდა, ანიკო მყისვე გამოერკვა, ირგვლივ მიმოიხედა და სიცილი წასკდა. სასტიკად დასცინათვის თავს და ბინისაყენ ვაიქცა...

უფრო მეტად კი ამ ერთი წლის წინანდელი შეხვედრა ჩარჩა ანიკოს სსოვნაში. ორი ქალიშვილი ახლდა იმ საღამოს. ნავთსადგურში რომ კინო-თეატრია, იქით მისეირნობდნენ. გზაზე მათ ფრიდონი დაეწია. ანიკოს ამხანაგები მისი ახლო ნაცნობები იყვნენ. საოცარია, მუდამ გაბედული და დარბაისელი ანიკო იმ საღამოს როგორ გამოიცვალა, როდესაც ფრიდონი გააცნეს. გაუწოდა ხელი და თვითონაც იგრძნო, ლოყები რომ წამოენთო. საუბარი ვეღარ მოახერხა, ამხანაგებს უკან მიჰყვებოდა და თავის თავზე გული მოსდიოდა....

მას შემდეგ აღარ უნახავს ფრიდონი. ეგონა, რომ მათი გზები სამუდამოდ გაითიშა, ხოლო როდესაც სასიყვარულო ოცნება ეწვეოდა, ბუნდოვანი და ტკბილი ოცნება, ფრიდონის სახე უშალვე ნათლად წარმოდგებოდა და ლაქვარდისფერი თვალების ციმციმი ჰფარავდა ყველანაწნობი ვაჟის სახეს....

— რას უყურებ, ნენა, ეს ყმაწვილი სადმე ხომ არ შეგხვედრია? — შეეკითხა ტასო განცვიფრებულ ანიკოს.

— არა... ჰო... — გონება-გაფანტულად უპასუხა ანიკომ და დედას სახე აარიდა.

ესეც მოუწყობებლად მოუვიდა: ავადმყოფის სასთუმალთან სკამზე ჩამოჯდა და ისეთი ნაზი შეხებით მოსწმინდა ოფლი ლაწვებსა და ტუჩებზე, თითქო ფარულად ეალერსებაო.

ფრიდონმა კვლავ გააბილა თვალი და ახლა კერძო საცქეროდ ანიკოს შეაქერდა.

ვერ გაუძლო ანიკომ ამ დაბინდული თვალების ხანგრძლივ მზერას და განზე მიიხედა, მხოლოდ ის კი მოახერხა, რომ შუბლზე ფხალის ფოთოლი გაუსწორა.

ამ მიბრუნებულ სახესაც დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი ფრიდონმა, ხოლო როდესაც დაიჭანცა და ბურანმა თავის მორევეში ჩაითრია, მოეჩვენა, თითქო იქვე ახლოს, მის გვერდით ზის ელო და ჩონგურს უკრავს, თავისებური სევდიანი ხმით ამღერებს ელო ნესტანის წერილს, ათასჯერ დამღერებულს და მაინც ამოუწურავს, ამღერებს და ფრიდონს მხოლოდ ერთი ფრაზა ესმის გარკვევით:

„მზე უშენოდ ვერ იქნების,
რადგან შენ ხარ მისი წილი...“

მაგრამ სადაა ეს მზე, როდესაც ირგვლივ ტყვიისფერი ღრუბლები იგრაგნება და არც ცა მოსჩანს და არც დედამიწა!... ავერ ოდნავის შრიალით წამოუჭროლა ფრიდონს ღრუბლის ტალღამ და შეალიტაცა. თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაჭანებს მწვერვალთან მწვერვალამდე, დასაყრდენი კი არსად მოიპოვება... და ამ უორნის გუნდებივით მოსრიალე ღრუბლების დაუსრულებელ სრბოლაში გაბეეულ ფრიდონს ისეთი გრძობა იპყრობს, თითქო სავსებით დაქარვა ნებისყოფა. მისი ძალმილეული გულიც ამოდ სწუხს, კინაიდან შეუქამჭრალ უფსკრულიდან გამოსავალის პოვნა შეუძლებელია, და ზღვიდან და ქაობებიდან აორთქლებულ უსახო ნისლში ინთქება ფრიდონი...

მაგრამ ჩონგურის სიმების შორეული ელერა მაინც აღწევს ფრიდონამდე და აი კვლავ გარკვევით ესმის დის ხმა:

„მზე უშენოდ ვერ იქნების,
რადგან შენ ხარ მისი წილი...“

და ახლა გული მოსდის ფრიდონს: ხომ არ დასციინის ელო? დაუჩემებია მზეო! მზე კი არა, შმორიანი ქაობების ნისლშია ჩაძირული და სული ეხუთება...

არა, ამის მოთმენა შეუძლებელიაო, — გაიფიქრა ფრიდონმა და ზელებით დაემუქრა დას, თან ჩავარდნილი ხმით წამოიყვირა:

— ელო... ელო!...

— ნენა-შვილო! ჯერ კიდევ არ უცხრება სიცხე! — გულმტკივნეულად ჩაილაპარაკა ტასომ და ავადმყოფს მიეშველა.

ანიკომ უსიტყვოდ გამოსტაცა ხელიდან ტასოს ძმრიან წილში დას-
ველებული ტილო, ფრიდონს სახე მოსწმინდა და ერთობ გრძობიერი
აღერსით უთხრა:

— დამშვიდდი, ფრიდონს...

„ნენა-შვილო! ნაცნობი ყოფილა!“ — გაივლო გუნებაში ტასომ და
ტუჩებზე თითი მიიღო, თითქო თავის თავს არიგებს — საიდუმლო არ
გასცყო...

ცხოველყოფელი ნაკადის შხეფევით შეესხურა ფრიდონს ანიკოს
ხმა, კარგა ხანს უქცირა და, თვალები რომ დახუჭა, საესებით დარწმუნ-
და, რომ მის გვერდით ელო იჯდა და მისებური მზრუნველობით უფ-
ლიდა.

თანდათან დამშვიდდა. ალბათ, სიცხემაც იწყო კლება და ღრუბლებში
ბორიალს თავი დააღწია...

და ახლა გულდამტკბარ ფრიდონის თვალწინ უმშვენიერესი წალ-
კოტი იფურჩქნება. არასოდეს არ უნახავს ფრიდონს ასეთი ლამაზი
მცენარეები. არც ასეთი ხებილი, ოჭროსფერი ნაყოფით ტოტებდაბრი-
ლი. კოლხეთის მომავალზე ფიჭვის დროს თუ აისახა ეს ლამაზი სურა-
თი, მწვანე ღიმილით გაბრწყინებული...

არც ის უკვირს ფრიდონს, კრიალა აეტოში რომ ზის...

მთელი კოლხიდა მაგისტრალური და საწრეტი არხებითაა უკვე და-
სერილი.

ლარივით გავლებული, ხეივნებით დამშვენებული გზები გახსნილია
ბაზმაროდან ზემო სვანეთამდე.

და ამ საუცხოო გზაზე მიაჭროლებს ახლა აეტოს ფრიდონი.

პალიასტომის ნაპირს მიუახლოვდა და... სადღაა ხამშგამოულეველი
ეწერა! დიდი არხის გასწვრივ ევკალიპტების ზეაღმართულ შტოთა ფოა-
ლები ეღვარებენ, ხოლო ირგვლივ საუცხოო ბალი ბიბინებს. ნელი ნი-
ვი მოჭრის ზღვიდან და ნარინჯისფერი თუ ქარვისფერი ნაყოფით და-
ხუნძული მცენარეები მართლა ოჭროს-მატყლოვან გერძივით არხევენ
მსუქანი ღუმების მსგავს მტევენებს და შემოდგომის მზიან დღეს შეჭ-
ხარიაან...

ზღვით გარემოცულ კუნძულს ჰგავს აყვავებული ფოთი და ნარიო-
ნალში ხომალდები მიმოსრიალებენ...

ეს კი ახალი სოფლებია, უხვი დოვლათითა და ჯანსაღი სიცოცხ-
ლით სავსე სოფლებია...

ყორათი ქალაქს დამსგავსებია, ხოლო ჭალადიდსა და ქელონში ერ-
თი გუბეც ალარსად მოსჩანს, ყველგან წინასწარ დაგეგმილი და მზრუნ-
ველი ხელით მოვლილი კარმიდამო და მეურნეობაა...

ავტოს საჭე გადასწია ფრიდონმა, აღმართს შეუყვია და, თავის სახლს რომ მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ გადახედა ზღვის ვიდეში გამწვანებულ კოლხეთს:

მზის ღიმილი დაჰქათქათებდა მრავალფერ ზოლებზე დასწვრივ ველებს, ხოლო ახალი ცხოვრების დიდ მხატვარს ყველაზე მეტად ახლად ამოხეთქილი ჯეჯილის, ფირუზისა და დაწმენდილი ზღვის ფერი აერჩია.

5

კავკასიონის მოკაშკაშე მწვერვალებზე გადმომდგარმა მზემ აანთო პალიასტომის ირგვლივ ეწრიდან ამომავალი ბურუსი, როდესაც ფრიდონს გამოეღვიძა და თვალი ძლივს გააჭყიტა.

ისეთი სისუსტე იგრძნო, თითქო მთელ წელიწადს ევაღმყოფოს. პირიც შხაშხარევი სიმწარით ჰქონდა სავსე და ამ საძაგელმა ვემომ გული კინალამ შეუღონა. მაინც თავს ძალა დაატანა და სახლში თვალი მიმოატარა. ყველაფერი ეუცხოვა, თითქო უეცრად დაეშვა ფარდა და გადიმიჯნა ყოველივე ის, რაც სიცხეში მზორგავს ეზმანა.

ტასო ცეცხლის პირას იჯდა და საუზმეს ამზადებდა.

ანიკოს პირი დაებანა და თმას იწნავდა.

ხანგრძლივად დააცქერდა ფრიდონი ტასოს და თანდათან მოაგონდა, რაც მოუვიდა.

ეს ქალიშვილი კი ვინ უნდა იყოს?!

წუხელის საცხემ რომ უკლო, ასე ეგონა, ელო იჯდა მის გვერდით და მისებური მზრუნველობით უვლიდა. თუმცა კი, ეს პროფილი, მსხვილი ნაწნავი რომ ჩრდილსა ჰფენს, გუშინ თითქო რამდენჯერმე მოეჩვენა, ან არა და, იქნება წინათ უნახავს სადმე?..

ანიკომ ვაჟის დაკვირვებული მზერა იგრძნო და ლოგინისაკენ თვალი გააპარა. მცირე ხანს იყო ასე, მერმე ნაწნავეები უკან გადაიყარა და ფრიდონს მიეახლა:

— როგორ გრძნობთ, ფრიდონ, თავს?

არა, არც ეს ხმა და არც ეს ღიმილი ფრიდონს არ ახსოვს. სახე კი ბევრჯერ უნახავს, მხოლოდ მას შემდეგ ერთობ გამოცვლილა, სულ სხვა იერით დაშფენებულა.

— გმადლობ, ახლა კარგად ვარ, — უპასუხა ფრიდონმა და იმდენად შერაცხვა თავისი სისუსტის გამო, რომ სავსებით გატეტკილი სახე წამოევზნო.

ტასომ ჩამოშლილი ქალარა თმა გაისწორა და ლოგინისაკენ მიიხედა, ჯერ ფრიდონს შეაელო თვალი და მერმე ანიკოს შეაცქერდა, თან ისეთი ღიმილი მოერია, როგორიც შვილის ბედნიერებით გაბარებულ დედას

უხდება ხოლმე. წუხელის ავადმყოფის შოვლის დროსა და თერ ანიკოსთან საუბარში გამოარკვია ტასომ, უფრო კი დედის გულთამბილობამ უკარნახა, რომ ეს ყმაწვილი ფრიად სასურველი უნდა იყოს მისი ქალიშვილისათვის. თვითონაც მოსწონს, ოღონდ, ვინ იცის, და მდამოწინა ან როგორი ოჯახის შვილია...

— როგორ ხარ, ნენა, თავი ხომ არ გტკივა? — დაარღვია ტასომ ქალ-ვაეს შორის ჩამოვარდნილი დუმილი, ანიკოს წინ ჩამოუდგა და ფრიდონს თავზე ხელი გადაუსვა.

ფრიდონმა შეწუხებისათვის ბოდიში მოიხადა ტასოს წინაშე, ძალღონე მოიკრიბა და ასადგომად წამოიწია.

— ბოდიში რა საჭიროა, ნენა? — შეესიტყვა ტასო და ფრიდონს ხელი შეაშველა. მერმე ანიკოს მიუბრუნდა:

— წადი, ცაე, კიდან ახალი წყალი მოიტანე, ხელ-პირი დავაბანოთ. ანიკო გავიდა. ტასომ განაგრძო:

— შეწუხებაზე ლაპარაკი როგორ გეკადრება, ნენა! ვინცხაის არ იყოს, ურჯულოები ხომ არა ვართ, კაცმა კაცს უნდა მიხედოს, იმიზე ვართ გაჩენილნი... ნელა, შვილო, სული მოითქვი. შენ ახლა ნამეტარი დასუსტებული ხარ, მარა ნუ გეშინია...

ფრიდონი უცხზე დადგა და დაბარბაცდა, ისევ ლოგინზე ჩამოჯდა და თავის თავს დასცინა, მწარედ გაიღიმა.

— გული თუ სუსტად გაქვს, ისევ წამოწეჭი, ნენა-შვილო! — შეფერა ტასო, მაგრამ ფრიდონმა წარბები შექმუხნა და მკაცრად ჩაილაპარაკა:

— არა, ბატონო, შე ისედაც მთელი დღე დავეკარგე გუშინ, ექსკავატორზე ამხანაგები მელიან.

— მოესწრები, ნენა! ვინცხაის არ იყოს, კაცი იყოს კარგად და საქმე არსად გაიქცევა... აი მე აგერ იმისთანა წამალს დაგაღევირებ, რომ შეიძლება აწი ციება არასოდეს არ გაგეკაროს. ერთმა კეთილმა კაცმა მასწავლა ეს ამ ორი წლის წინათ. ვინც კი დალია, ყველას მოუხდა. ჭინაჭინა, ნიორი და არაყია ერთად შეზავებული... ნეტაი წინათ მკოდნოდა, იჭნება ჩემი ბალნები გადამერჩინა... ხომ გაგიგონია, ნენა, ურები რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო... ჩემს ანიკოს ციება პატარაობიდანვე არ შეპყრია, ზაფხულობით ხან ზევანში და ხან ბახმაროზე ვაგზავნიდი. ეს წამალი მაინც დავალევირე და ახლა უფრო დაიმედებული ვარ...

ტასომ ზანდუკიდან სავსე ბოთლი ამოიღო, მაგრა დაანებრია და არყის ჭიქა გაავსო.

— ა, ნენა! გემოს ნუ გაუცნობ, ისე ერთბაშად გადაჰყარი. პირსაც გაგიწმენდს, პატარა ხანს მერე კარგ ხასიათზე დაგაყენებს...

ფრიდონმა ჭიქა გამოართვა, ნიერის სუნი ეცა და სასმელს შეეზიზღა. მაგრამ ტასოს მიერ ასეთი დედობრივი მზრუნველობით მართლებული შამიც რომ ყოფილიყო, მაინც დაღვედა.

— მაგარი გული გქონია, ნენა... დღეს შეაღწევეს კიდეც დალიე. ამ ბოთლს გაგატან. დღეში სამჯერ მიილე... ალბათ გაგაციებს, მარა მთლად ამას მაინც ნუ დაენდობი. ჰაერი უნდა გამოიცივლო. ნენა! ციებ-ცხელება ისეთი წყეულია, ტანში იცის დამალვა, ჩამოახშობა, სისხლს გაუშრობს ადამიანს, ზოგს კლექად გადაექცევა... თავს უნდა მოუარო, ნენა!.. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და მშობლები გეყოლები... დასძინა ბოლოს ტასომ, რათა ფრიდონის ოჯახის ამბავი გაეგო.

— არა, დედი, და-ძმა მყავს მხოლოდ.

— მართლა? ობოლი ყოფილხარ, ნენა-შვილო! მარა რა გიჭირს მერე, ახლანდელ დროში ახალგაზრდას გზა გახსნილი აქვს, მეტადრე ვაჟს-ქალიშვილია პაწაი ცოდვა. აგერ ჩემი ციკაი მარტოდ მარტოა უცხო სოფელში...

ქიდან დაბრუნებული ანიკო კარს მიადგა, ტასოს უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა და დედას საყვედურით შეაცქერდა.

ტასომ საუბარი შესწყვიტა, ანიკოს დამნაშავესავით გაუღიმა, და:

— მოდი, ნენა, პირი დააბანიე სტუმარს...

იმ ცხარე წამალმა ფრიდონი სავსებით გამოაცოცხლა, მაგრამ სახეზე მაინც სიყვითლე გადაჰყარვდა და თვალები ამოღამებული ჰქონდა.

ხოლო საუშმის შემდეგ სანავესთან, როდესაც ტასოს გამოეთხოვა, მადლობა გადაუხანდა და ანიკოს ხელი გაუწოდა, თავისდა უნებლიედ სახე წამოეგზნო, ერთობ მიმზიდველი იერით შეიმოსა, და შინაგანი ღიმილით გაბრწყინებული თვალებიდან ლაგვარდისფერი შექი შეაფრქვა ანიკოს.

უკნობ თაიგულივით ჩამოართვა ქალმა ეს დაუეწიყარი მზერა, თვალები მაინც კდემით დახარა და, თვითონაც არ იცოდა, რომელმა ოცნებაში გამოიწვია ეს გულგახსნილი ღიმილი.

ტასომ შავი თავსაფარი ვაისწორა, ჯერ გარინდულ ანიკოს ახედ-დახედა დედობრივი მზრუნველობით და მერე ნაეში ჩამჯდარ ფრიდონს მიადახა:

— არ დაგვიეწყო, ნენა-შვილო, გამოიარე ხანდახან. წამლის დაღება არ დაგავიწყდეს. მე რომ დაგარიგე, ისე მოიქეცი. თუ კიდევ გაგაციოს, მაშინ მთაზე უნდა წახვიდე, ნენა, მთაზე!..

ნიანბი მოუსვა ფრიდონმა და ნელი რივტივით გასრიალდა ნავა, მრავალკეც ზოლებად დაიხარა ტბასავით მდორე დედაბერას ჰაელები.

ფრიდონს უნდოდა უკან მიეხედა, მაგრამ ზედმეტად მიიჩნია, რაკი ისედაც თვალწინ ედგა ის, ვისი ხილვაც სწყუროდა. წინათ, მოწაფეობის დროსაც ზომ ხშირად უნახავს, მაგრამ მაშინ სრულებით არ შეუმჩნევია

ეს სულში ჩამწდომი იერი, ეს თაფლისფერი თვალემა, ეს უიმეოსილი სახე. აი ახლა დედის გვერდით დგას ანიკო და ფრიდონს თვალს აყრულებს. იქნება წუხელის რომ სიცხეში ბორგავდა და უცნაურად უმეტეს ცინაიციებით იყო შეპყრობილი, იმან გაასათუთა, და ახლა უკანა-მხარეს გადამაგრძნობს, რომ გულის სიღრმემდის სწვდება ანიკოს თვალთა ისარი...

უფრო მძლავრად მოუსვა ნიჩაბი ფრიდონმა და ერთის წამით მოეჩვენა, თითქო საკმაოა იმ თაფლისფერი თვალეზიდან გამომკრთალი შეუქ მოეფინოს ამ ვრცელ ქაობს, რომ მზიური ცხოვრების წალკოტად იქცეს იგი...

ახალი არხისაკენ შეუხვია და ამ ფართო არხში ჩამდვარი წყალიც მდორე მდინარესა ჰგავდა. მარჯვნივ, ნაპირზე კი შეზენული იყო ექსკავატორით ამოთხრილი შავი, ტორფიანი მიწა — უამრავი წლის მანძილზე ქაობში მრავალგზის ჩამძალი ლაქაშის ნაკელი.

მხოლოდ ერთხელ შეუშვა ფრიდონმა ნიჩაბს ხელი და უკან მიიხედა. მაგრამ ზღვასა და ქაობს შუა შეჭრილი კორდი ლელს მიჰფარებოდა და ტასოსა და ანიკოს თვალი ვერ მოჰკრა. თვითონაც გაუკვირდა, რალაც სევდის მაგვარი გრძნობა რომ აღეძრა, თითქო სიყრმიდანვე თან-შეზრდილს შორდებოდეს სამუდამოდ. ოდნავ ჩაუკვირდა ამ გრძნობას და მისი გამზრდელი დაი მოაგონდა: ელო რომ ჩაფიქრდებოდა და თვალეზი გაუშტერდებოდა, ფრიდონი თითქო ალღოთი ამწნედა, რომ რალაც იღუმალი სხივი იყო გაბმული ვარდასულსა და ელოს შორის. და ის სხივი გამოკრთოდა ელოს თვალეზიდან, ასეთ დროს ფრიდონი ნათლად ხედავდა, რომ ამ მწარ-ტკბილი განცდით შეპყრობილი ელო მისგან შორის იდგა, და ამიტომ არ უყვარდა ფრიდონს ეს სევდიანი გრძნობა.

ახლა კი ნუთუ თვითონაც ამის მსგავსმა სულიერმა განწყობილებამ შეპყრო?!
 ოდნავ გაელიმა, თავი ვაიჭნია და კვლავ ნიჩაბს ჩაავლო ხელი.

შორს, არხის თავში, შავი გემივით დაყუდებული ექსკავატორი გამოჩნდა, ქარის წისქვილის ურთებვიით დარბეულ ლარებსაც მოჰკრა თვალი, და ამ ქაობში გატარებულმა დღეებმა მისი უშუალო საქმე და მოვალეობა მოაგონა.

აგერ ერთი წელიწადი სრულდება ექსკავატორზე მუშაობს და ერთხელაც არ დაუგვიანია, დათქმულ დროზე ყოველთვის მისტლა. ერთხელ კაპიტანმა დომენტი რუბაიამ კიდევაც უსაყვედურა — დაისვენე, შე კაცი. რამდენიმე დღეს, ჩვენ აქ საქმეს უშენოდაც გაუძღვებითო. მაგრამ ფრიდონს დასასვენებლად არ ეცალა. ექსკავატორის რთული ტექნიკის დაუფლება ეჩქარებოდა, და ამ ერთი თვის წინათ მის სიხარულს აზღვარი არა ჰქონდა. რაკი დარწმუნდა, რომ ექსკავატორის დამოუკიდებლად მართვა შეეძლო.

არხის ფსკერიდან ამოხეთქილ და წყალზე მოტიველ ნიჩაბი გაპკრა და ოდნავ გადაფერდებული ნაეი უფრო სწრაფად გასრავლდა.

ექსკავატორს რომ მიუახლოვდა, ზევით აიხედა და გემბანის შიდაჯიშზე გადმოწოლილ როსტომ გელანდიას მოპკრა თვალი. უნებლად თავი ძირს დახარა, რადგან ეს პირქუში მეზღვაური რაღაც ზიზღის მაგვარ გრძნობას იწვევდა ფრიდონში. მაინც მისმა ბუნებრივმა ზრდილობამ უკარნახა ფრიდონს, თავი ასწია და გელანდიას მიესალმა.

როსტომი ერთხანს არ განძრეულა, მერმე ზვიადად წამოიშარა, სქელი წარბები კიდევ უფრო შეკუმხნა და თვალდაწყურული, შავად გატრუსული სახე აარჩა ფრიდონს.

დამკინავი ღიმილი გააყოლა ფრიდონმა გელანდიას, მერმე ზიზღით გადააფურთხა და თანაც გუნებაში წარმოსთქვა:

— ლოთი, არამზადა...

6

ნაეი გემბანზე ასასვლელ კიბეს მიაბა ფრიდონმა და, ზევით რომ ავიდა, ჯიხურისებურ კაიუტიდან გამოძვრა დომენტი რუბაია, ხელები ფართოდ გაშალა და თავის ახალგაზრდა თანამემწყეს გულდია სიხარულით მიეგება:

— აა, ჩვენს ფრიდონს გატყუარა? სად იყავი, კაცო, შენ ამდენხანს?.. მოიცა, რაღაცა ნამეტანი გამზადარი მეჩვენები! რაფერ გაყვითლებულხარ, კაცო, შენ? ავად ხომ არ იყავი?..

კიდევ მრავალი შეკითხვა მიაყარა დომენტომ ფრიდონს და თავიდან ფეხამდის შეათვალერა.

ტანმოწილი კაცია რუბაია, ჩასვენილი, მოძრავი, სიცოცხლით სავსე. ორმოცდახუთმეტი წლისაა ახლა, თვითმპყრობელობის ფლოტში სამსახურის დროს უსაზომო ტანჯვა-წამება გამოუვლია. შემდეგაც დიდ ჯაფა გადაუტანია, მაგრამ მაინც არ გატეხილა, მზისაგან გარუჯულ სახეზე ნაოკები მხოლოდ სიცილის დროს ემჩნევა, შავად მოკიაფე თვალეში უშრეტი ენერჯის შუჭი გამოკრთის და მთელი მისი გამოშეტყველება ისეთ შთაბეჭდილებასა ჰქმნის, კაცს ეგონება, ამ ძველ მეზღვაურს, მრავალ ქარტეხილებში გამოვლილს, მუდამ ევრცხლის წყალივით მოძრაობა ძალუძსო.

ფრიდონმა ორიოდ შეტყუით უამბო, რაც გუშინ გადახდა და ამით მოაბოდიშა დაგვიანება.

— მერე და, შე კაცო, სახლში ვერ გაბრუნდი? აქ რას მოხვიდოდი? დღეს ისევ გაგაცივებს. ავადმყოფს მოვლა ესაჭიროება! — ძალდატანებული ს-მკაცრით შეუტია დომენტომ.

— არა, ბიძია დომენტი, წუხელს რომ ოჯახში მივიარო, რქ ამ დილით ისეთი წამალი დამალევინეს, რომ აწი არასოდეს არ გამოაციებს, აქაც გამომატანეს. აი, ამ ბოთლს ხომ ხედავ?

— ისემც კარგი დაგემართოს! — ჩაილაპარაკა დომენტის და ფრიდონს ბოთლი გამოართვა, წამალს გემო გაუცნო.

— ფუ, რას გავს, შე კაცო, ეს?! ამყრალებული ნიორი და ქინა, — წაპოიძახა დომენტიმ და ტრიუმფიდან ამოსულ ახალგაზრდა მეზღვაურებს მიმართა:

— ა, ბიჭებო, ჩვენს ფრიდონს ციების წინააღმდეგ ახალი წამალი აღმოუჩენია — ნიორი, ქინა და არაყი!.. თუმცა რა, თავისთავად ეს ყველაფერი სასარგებლოა, — დაუმბტა ბოლოს და ბოთლი თვითონ წაიღო ფრიდონის კაიუტაში.

ფრიდონი ამხანაგებს გამოესაუბრა და მერმე ტრიუმში ჩავიდა.

თაროებივით გაშლილ საწოლზე ეძინათ ბიჭებს, რომელთაც მეორე ცვლაში უნდა ემუშაენათ. ზოგი გამოღვიძებული იყო და, ფრიდონი რომ დაინახეს, ღიმილით მიესალმნენ.

ექსკავატორზე ოცდაათი კაცი მუშაობს და ამითგან უმრავლესობა ახალგაზრდაა, რომელთაც თავი მოაქვთ იმით, რომ კომკავშირელები არიან და ამ დამხალ ჭაობში უჩვეულო იერიშს აწარმოებენ. გამოსასვლელ დღეებში სუფთად რომ გამოეწყობიან და ფოთში გაივლიან ხოლმე, ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს თვალსაჩინო ქედმაღლობით დაჰყურებენ. უსრტყვოდ აგძნობინებენ: — აბა ერთი სცადეთ, ჩვენს ადგილას იმუშავეთ და მაშინ ვნახავთ, რა ბიჭებიცა ხართო.

ფრიდონმა იქვე, გვერდით, ვიწრო ოთახში შეიხედა. ეს იყო წითელი კუთხე. კედელზე ბელადის პორტრეტი იყო ჩამოკიდებული, პატარა კარადაში ორიოდე წიგნი ეწყო. მაგიდასთან ყველაზე უფრო ბეჯითო, წიგნებზე დახარბებული კომკავშირელი ვალიკო ჭოიავა იჯდა და რაღაცს კითხულობდა.

— როგორ არის, ვალიკო, საქმე? გაზეთები მოიტანეს? — შეეკითხა ფრიდონი.

ვალიკომ წიგნი თითოთ დანიშნა, ფრიდონს მიესალმა და შემდეგ ვილაკას შკაცრად შეუტია:

— დაიკარგონ იქით! მაგათ რამე მოეთხოვება? არც გაზეთი თავის დროზე, არც წიგნები! ისევე გრძელდება ეს ერთმანეთზე გადაბრალება, ფოთში გვეუბნებიან ლანჩხუთმა მოგხედონო, ლანჩხუთიდან ფოთისკენ გვიშვებენ ხელს!.. დამაცადონ ერთი, დავაყენებ მე მაგ საკითხს კომიტეტის კრებაზე და მაშინ ვნახავ, როგორ დაცხებენ მაგ ბიუროკრატებს!.. არა, გაგონილა, ჩვენ აქ შუა მეწყერში ვართ ჩაფლული და ისინი გაზეთების თავის დროზე გამოგზავნას ვერ ახერხებენ!..

ყვებზე უფრო მეტად ექსკავატორის ღარების რახრახს უკვდებოდა ყური, რათა დაიწმუნებულყო მის შეუფერხებელ მუშაობაში.

ესეც დომენტი რუბაიასგან ჰქონდა ნასწავლი: კარგი ოსტატები თავისი მანქანის მდგომარეობას მისი ნაწილების ხშიანობით უწყობდნენ.

აი ახლაც უსმენს ფრიდონი როფების ჯახა-ჯუხს, ჯაჭვების ხრილს და ერთობ მთელი ექსკავატორის დგანდვარს და ამ უაღრესად ნაცნობი ხშიანობით აღასტურებს დომენტის სიტყვებს.

— მხოლოდ სამანქანო ნაწილში კი ვერ უნდა იყოს საქმე მთლად კარგად, — განაგრძობდა დომენტი რუბაია. — წუხელის რაღაც შეფერხება შეჭნიშნე... იქნება, საკისურების გამოცვლაა საჭირო, ან და..

აღარ დაამთავრა დომენტმა, ვინაიდან ჯერჯერობით მისთვისაც გამოურკვეველი იყო, თუ რაში მდგომარეობდა ის მცირეოდენი მანქა, რაც მან მხოლოდ ალლოთი შეამჩნია.

— აი ჩავიდეთ ბარემ და დავათვალიეროთ, — სთქვა ბოლოს დომენტმა და სამანქანო განყოფილებისაკენ დაეშვა.

ჩავიდნენ ჭვევით და მეტად რთულ მანქანის ნაწილები, საათის მექანიზმივით დაკრიალებული, ისე ციმციმებდნენ, თითქო არასოდეს ჭუჭყი არ მიჰკარებიათ.

ამ ნაწილს ძველი, გამოცდილი მექანიკოსი მიხეილ ბუროვსკი განაგებდა, ეს გულმოდგინედ მოვლილი მანქანები ნათლად მოწმობდნენ მის ოსტატობასა და მუშაობის საუკეთესო ხარისხს.

დომენტმა მანქანების რაწკუნს მიუგდო ყური, მაგრამ ვერაერთარი ნაკლი ვერ შენიშნა.

მერმე ბუროვსკი განზე გაიხმო და თავისი საგონებელი გაუზიარა. მიხეილმა გრძელ უღვაშებზე ხელი გადაისვა, რუბაიას ცისფერი თვალები შეანათა და იმედიანად უთხრა:

— შენ ნუ გეშინია, მანქანები კარგად მოვლილია, მხოლოდ...

ირველივე მიმოიხედა მიხეილმა და განაგრძო:

— რამდენჯერ გითხარი, ეს ლოთი გელანდია მომამორე. მე აი ეს ყმაწვილიც შეყოფა თანაშემწედ...

კომკავშირელი მამია ტულუში, რომელზედაც მიხეილმა ანიშნა თვალთ, ახლა მანქანასთან იდგა, მკლავები დაკარწახებული ჰქონდა, ხელში ძენძი ეჭირა და წყალსაზომს აკრიალებდა.

რუბაიას თითქო ფერმა გადაჰქრა, მოიღუშა და ანგარიშიუცქლად ჩაილაპარაკა:

— რას გიშლის კაცო, ეს უბედური გელანდია?..

გულის სიღრმეში კი იგრძნო მცირეოდენი ჭმუნვა: იქნებ მართალა მიხეილი და საჭიროა ამ ყოვლად დაკარგული კაცის სავსებით მოშორება. ლოთია, უხასიათო, ჯიუტი, შურიანი... ჯერ იყო და რუბაიასთან მუშაობდა თანაშემწედ. მერმე, ფრიდონი რომ დაწინაურდა, მოხსნა და

აქ გადმოიყვანა. არაერთხელ გააფრთხილა სასტიკად, რომ ღოთობაზე ხელი აეღო და გამოსწორებულიყო, მაგრამ არაფერმა არ გასწავლა... საკვირველია, მთელი ქვეყანა მოვლილი აქვს, სად არ უმუშავებდა... შად, მეზღვაურად... ძველად, თვითმპყრობელობის დროს... შემდეგ რამდენჯერმე დომენტი და მუდამ მონურად ქედმოხრილი, ენაჩაკმედილი მეზღვაური იყო... აქ კი, ამ ბოლო დროს მიინც სულ წაეიდა ხელიდან. მიიღებს თუ არა ფულს, წავა სათევზაოდ, იყიდის არაყს და გაილეშება... ფრიდონი ხომ დასანახავად ეჯავრება... უთუოდ შურმა აიტანა ეგ უბედური... კაცს ეგონება ამდენ ხეტიალში თავისი ადამიანური ღირსებაც გაუფლანგავსო...

დომენტი რომ გელანდიას ბედზე პფიქრობდა, სწორედ იმ დროს შიადგა ფრიდონი კარს, რათა მახუთით საცხე ქვაბი დაეთვალიერებია. კი არ შეერთა, არ ესიამოვნა მხოლოდ, როდესაც როსტომ გელანდიას მარლი თვალები შეეფეთა. იქვე, ონკანთან იდგა გელანდია, ხელები მახუთში ჰჭონდა ამოსვრლო და, ფრიდონს რომ შეხედა, ეს უღწევე ჩამოფოცხილი, მრგვალი, ბანჯგვლიანი სახე ისეთ შთაბეჭდილებას აქვნიდა, თითქო ნადირს წააწყდნენ მოტაცებული პირუტყვის ლეშზე და მზად არის თავი დაიკვასო....

7

სამ დღეს ზედიზედ ექსკავატორი გეგმას ვერ ასრულებდა. დომენტო რუბაიასა და ფრიდონს დღედაღამე მოსვენება არა ჰქონდათ, ყოველ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა ჩამორჩენა როგორმე გამოესწორებინათ.

სწორედ ამ დროს შიადგა ექსკავატორის ფოთიდან მოსული მოტორიანი ნავი და დომენტი რუბაიას სასწრაფო წერილი გადასცეს.

ფრიდონიც იქვე იდგა, რუბაიამ რომ წერილი აუჩქარებლად გახსნა რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და თანდათან გაფითრდა, მერმე ირგვლივ მიმოიხედა და სივრცეს დააცქერდა.

— ფრიდონ, ჩემს ბიჭს რალაცა შემთხვევია, მძიმედ ავად არისო, მწერონ... ეინ იცის, იქნება მიმაღავენ....

სიტყვა აღარ დაამთავრა, ტონი შესცვალა:

— ჰო-და, მე უნდა წავიდე და აბა შენ იცი!.. ზედმეტად არ აჩქარდეთ და მანქანებს არაფერი მოსწიოთ...

კიდევ რამდენიმე დაროგება მისცა და დიდხანს აღარ დაუყოვნებია, იმავე მოტორიან ნავში ჩაჯდა და ფოთისაკენ გასწია.

ექსკავატორის ცხვირზე გადადგა ფრიდონი და არხში სწრაფად მიმავალ ნავს თვალი გააყოლა.

ხოლო შემდეგ, როდესაც ნავი მიიმალა, მისდა უნებლიეთ მოსტაცა მზერა იმ ადვილმა, სადაც ამ რამდენიმე დღის წინათ ტასო და ანიკო დასტოვა.

ერქვენული

ზღვისა და ქაობს შუა შეჭრილი კორდი არა მხოლოდ მზერა ფრ-
ლონს მაინც ნათლად წარმოესახა შავით მოსილი ტასო და უცნაურად მიმზიდველი იერით დამშვენებული ანიკო.

საოცარია, ამ წუთში თავისი გულითადი მეგობრის დომენტი რუბაიას მდგომარეობა აწუხებდა და იმას ნატრობდა — ნეტავი დომენტის შინ მშვილობა დახვდებოდესო, ახლა კი თითქო ყველაფერი გადააფრქ-
და და მარტოოდენ თავლისფერი თვალებიდან გამომკრთალი შუქი ციმ-
ციმებს, ციმციმებს და ლამობს ცხოველყოფელ სხივად ჩადგეს ამ ხაშ-
მიან ქაობში, რათა მზიური ცხოვრების წალკოტად აქციოს იგი...

აი ზღვიდან მონაბერმა ნიაცმა ააბიბინა ქაობის ლელი. ფრიდონმა საკინძვასნილი გულმკერდი შეუშვირა ამ გრილ ნიაცს და ისე ეამა, თითქო ანიკოს სუნთქვა ეგრძნოს.

აგერ ზოგასთან, ნავის მახლობლად დგას ანიკო და ფრიდონს ხელს უწვდის.

ახლა თითქო პირველად ხედავს ფრიდონი ამ შემადლებულ გულ-
მკერდს, ამ ლამაზ ყელს, ამ მაისის ვარდივით გაფურჩქნილ ტუჩებს,
მომხიბლავი ღიმილით დამშვენებულს...

და იმდენად მოსწყურდა, მოხვევოდა ასე ცხადად ზმანებულ ანიკოს,
რომ უნებლიედ ხელები გაშალა...

გამოერყვა და სახე მოელუშა, თითქო სინდისის ქენჯნამ შეიპყრო.
რა დროს ოცნებაა, როდესაც ასეთი საპასუხისმგებლო საქმე აქვს!.. პირ-
ველად ასრულებს ფრიდონი ამგვარ გართულებულ პირობებში კაპიტ-
ნის მოვალეობას და ახლა სჭირდება გამჭრიახი გონება და ყხიზელი
თვალი...

ექსკავატორი შემოიარა, ყველაფერი გულდასმით დაათვალიერა და
ბოლოს მთელი თავისი საზრუნავი მკაფიოდ გამოსთქვა, როდესაც ვა-
ლიკო ქოიავას გამოესაუბრა:

— თუ ძმა ხარ, ვალიკო, ერთი ისე დაფრახმით ბიჭები და საქმე ისე
აეაწყოთ, რომ ჩამორჩენაც გამოვასწოროთ და გვემაც გადაჭარბებით
შევასრულოთ...

და არა მარტო ვალიკო ქოიავამ, არამედ ყველამ, განსაკუთრებით
ახალგაზრდებმა იგრძნეს ის დიდი მოვალეობა, რასაც მათ ეს შემთხვევა
აკისრებდა. დომენტი რუბაია რომ დაბრუნდება, გულშიაც კი არ უნდა
გავივლოს, რომ ბიჭებმა მისი წასვლის შემდეგ საქმეზე გული აიცრუესო
ან საკმაო ცოდნა არ აღმოაჩნდათო.

ამიტომ იყო, რომ მეორე დღეს უკვე გამოიღო ნაყოფი ^{მე} გულდა-
გულ მიტანილმა იერიშმა, თან დომენტი რუბაისაგანაც მიიღეს ცნობა-
ყმაწვილი არც ისე ცუდად არის და მალე დაებრუნდება... ^{ნუ...!!}

ამან უფრო მეტი ხალხი გამოიწვია, ბიჭები შეეფარა ერთსაც
ტრიუმში აღარ იცდიდნენ, ზევით ამოდოდნენ და მომუშავეებს ეშვე-
ლებოდნენ, თანაც ხშირად სიმღერას შემოსძახებდნენ, და მათი წკრი-
ლა ხმა, ექსკავატორის რახრახში ჩაქოვილი, ქაობის სიღრმეში ჩაწო-
ლილ დუმილს არღვევდა.

ფრიდონი კაპიტნის სამზირზე იდგა, როდესაც უეცრად არყის სუნა
ეცა და როსტომ გელანდიას სახე წარმოუდგა. სწრაფად შებრუნდა და
ნართლაც პირისპირ შეეხეხა გელანდიას... მოეჩვენა, თითქო გელანდია
ზურგიდან ეპარებოდა და ხელის მოხვევას უპირებდა. ანგარიშშიუცე-
ლად დაიხია უკან და ჯიბეში ბრაუნინგს ხელი შეავლო.

გელანდიას წამობურძეულ სახეზე ჯერ დაუფარავი ზიზლი აღებეჭ-
და, მერმე შიშმა აიტანა, მოინდომა ჯარისკაცით წელში გამართ-
ლიყო, მაგრამ სიმთვრალემ დასძლია და დაბარბაცდა.

— ერთმა საწყალმა ბერიკაცმა შეგაშინა ვაყვაცო?.. ხა, ხა, ხა...

ჩაიხიბხითა, თავი განზე გადასწია, ცალი თვალი დახუჭა და ისე შე-
აქტურდა ფრიდონს.

— ძალა აღმართს ხნავსო, ასე იტყოდნენ ამას ძველად, შენ ხარ ჩემი
ბატონი... რა ვაეწყობა, დამაჯექით კისერზე ლაწირაკები და ეს არის...
ჯერ ფოთს არ ვასცილებია ყმაწვილი და კაპიტნობას აპირებს... მოდი
და სიცილით ნუ მოკვდები... ხა, ხა, ხა... შენ ხარ ჩემი ბატონი...

ფრიდონს ლაწვები შეეფაკლა, ბრაუნინგს ჯიბეში ხელი შეუშვა და
გელანდიას სახე აარიდა. გული მოსდიოდა და არ იცოდა, რა ეთქვა ამ
გალეშილი კაცისათვის.

ამ დროს სამანქანო გაანყოფილებიდან მამია ტულუშმა ამოიბინა
და გელანდიას ხელები მოხვია, სხეებიც მიეშველნენ.

— წათრიეთ და ჩაკეტეთ ეგ ლოთი, ხულიგანი! — ვასცა განკარგუ-
ლება ფრიდონმა.

— არა, თქვენ მე აქედან ვერ დამძრავთ! — დაიყვირა როსტომმა და
გემბანზე ჩაიჩოჭა. — დამაცადეთ, სათქმელი მაქვს... ამდენი ხანია ვითმენ,
მეტი აღარ შემიძლია...

— მომაშორეთ აქედან! — აუწია ხმას ფრიდონმა.

— არა, თუ ბიჭია, თვითონაც წამოვიდეს, მომისმინოს ერთი! — და-
იბღაველა როსტომმა და ცივად, სასტიკად შეაქტურდა ფრიდონს.

დამკინავი ღიმილით გაუსწორა თვალი ფრიდონმა, მივიდა და მაგ-
რა ჩაავლო ხელი.

სამანქანო გაანყოფილების გვერდით, ოდნავ გაშუქებულ ტრიუმში
შეიყვანეს.

იმდენი დაცემული ქალი იღუპება, იმდენი უმუშევარი... იტყვი იარაღი მზადდება ერთი მეორის ამოსაყლელად... ასეა ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი... თქვენ გვინაიათ, მე ამაზე არ მიფიქრია? თქვენ გვინაიათ, როსტომი ლენჩია და არაფერი ვაფიქრებ? არა, მე ისიც ვიფიქრებ, ვინ რას ფიქრობს. ყველას ის უნდა, რომ სხვას აჯობოს, სხვისი შიშით იცხოვროს, სხვაზე უკეთესად ჩაიცივას და სჭამოს... სად არ ვყოფილვარ რამდენი უფროსი არ მყოლია, მაგრამ არც ერთს არ მოუსურვებია ჩემ-შიაც აღამიანი დაენახა... არც არავინ მოისურვებს, შენ ხარ ჩემი ბატონი, თანასწორობა! ბავშობისას უთქვამთ ჩემთვის — ამ თითებს ხომ ხედავო, ასე გაუჩენიაო ლმერთს უფროს-უნცროსიო... ხომ გაბზარი, მე ისიც კი ვიცი, თუ შენ გულში რას ფიქრობ. შენ ვინდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, როსტომ გელანდიას დააბიჯო ფეხი და ისე ახვიდე ზევით...

ფრიდონი უცებ წამოდგა და ზიზლით დააცქერდა გელანდიას. გაუკვირდა, ამდენ ხანს უფრო რად დაეუგდევო. პირველად ეგონა, რაღაც არაჩვეულებრივს იტყოდა როსტომი, მერმე კი... აი მკაცრი გამომეტყველებით დაჰყურებს ფრიდონი „ამ ყოვლად დაკარგულ კაცს“, როგორც დომენტი რუბაიამ იცის ხოლმე თქმა, და ეს უღვაშებ-ჩამოფოცხილი, ბანჯგვლიანი სახე, ოდესღაც რომ აღამიანის იერი ჰქონია და სამუდამოდ წაშლია, ისე ეჩვენება, თითქო საუკუნეების მანძილზე დამღვარ ლაფშია ჩაფლული და იქიდან მისი ამოყვანა ყოვლად შეუძლებელია. ეს შარლი თვალებიც ამაოდ ბეტრეკენ ნაცარში ჩარჩენილი ნაპერწკლებივით, არც მის უსაცოცხლო შუქს შეუძლია მოუტანოს ვისმეს რაიმე სარგებლობა...

ასე დაასვენა ფრიდონმა და სამანქანო განყოფილებიდან გასვლისას შექანიკოს მიხეილ ბუროვსკის უთხრა:

— გელანდია მოხსნილია! მოვიდეს დომენტი და სადაც უნდა, აქ წაიყვანოს!

8

მზე ზღვისკენ გადაიხარა და ალისფერ ღრუბლებში გაეხვია, ხოლო ირგვლივ ამ ცუცხლივით ანთებულ მორევს ახლად გაპენტელ ბამბასავით სპეტაკი, ოდნავ მოოქროვილი ქობა აქვს შემოვლებული, და ამ მოკამკამე ქულებშიაც მზის ნათელი სხივი ფონავს.

არხში ჩამდგარო წყალი, უკვე საკმაოდ დაწმენდილი, დედაბერადან მოყოლებული ექსკავატორამდე ცისკიდურზე მოელვარე ღრუბლების ანარეკლით გაელენთილა და სარკესავით ბზინავს.

— მოუსვი, ნენა, ნიჩაბი, მოუსვი! — შემკრთალი ხმით უთხრა ტასომ ახალგაზრდა მენავეს, როცა მათ წინ მორევში ელვასავით გასრილდა თავშემართული გველი.

— ეს რაა? — შეესიტყვა მენავე. — შენ ის უნდა ნახო, რაკაყით გამოშქარი, მუცელგაბერილი გველი რომ დედაბერაზე გავიდა და განცხრომით შეკუჟრებს ცას.

— ნუ ამბობ, ნენა, ნუ! მტერი გვახსენებს ახლა ზღაპრულად ტასომ და წყალს თვალი მოაჩინდა, ეჭსკავატორს დააცქერდა.

მეშვიდე დღეა, ტასომ რომ ფრიდონი გამოისტუმრა. ახლა წამალი უკვე გამოღეული ექნებაო, — გამოიანგარიშა ტასომ და გადასწყვიტა ენაბა, გაეგო — მოიშორა თუ არა ციებ-ცხელება.

უჩვეულო გრძნობამ შეიპყრო ფრიდონი, როდესაც გემბანზე ერთობ გახუნებული შავით მოსილი ტასო ამოიშართა და თავისი ფართო, თაფლისფერი თვალები დედობრივი სიყვარულით შეანათა.

შავ თავსაფარს ქვეშ ჩამოშლილი კალარა და მთლად ეს ჭკობაზე ბარებული სახე, მშვიდი ღიმილით დამშვენებული, დიდ, უანგარო მზრუნველობას გამოხატავდა შეილივით მიჩნეულ ფრიდონისადმი.

დარცხენილად მიეგება ფრიდონი და მხოლოდ ეს-ღა მოახერხა:

— რატომ შეიწუხეთ, დედი, თავი?

— რა შეწუხებაა, ნენა-შვილო! — თავისებური გულგახსნილი ხმით მიეღერსა ტასო და, ხელში რომ პატარა კალათი ეჭირა, ძირს დადგა.

— აგერ ტყემალში ჩაწყობილი წიწილი და თბილი კადი მოგიტანე, ნენა! იმ წყეულმა ციებ-ცხელებამ მადის დაკარგვა იცის და პირს ავიხსნის...

ეუბნებოდა ამას და თან თავიდან ფეხამდე ათვალიერებდა:

— როგორ ხარ ახლა, ხომ აღარ გაცივებს, ნენა?

— გმადლობთ, თქვენმა წამლმა მომარჩინა...

— არა, ნენა, ჯერ მორჩენილი არა ხარ. ვერ ზედავ, რაფერ გამხდარი ხარ! საკმელს უნდა ეძალო, ნენა, ახლა და, თუ მოხერხდება, პაეროც უნდა გამოიცვალო. სულ რომ წამალი სეა, ჩამოვახმობს.

— ჯერ ვერ მოვიცილი, დიდი საქმე მაქვს აქ...

— საქმეს რა გამოღეეს, ნენა! — შეაწყვიტინა ტასომ. — ვინცხის არ იყოს, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემი ანიკოც ასე მეუბნებოდა გუშამ, როცა სამსახურში ვაფისტუმრე, — წელს ბახმაროზე ვერ წაველო, დაუსწრებელზე უნდა ვიმეცადინო, და რაცბა კიდევ დაასახელა უცხოფერი. ძალიან გავჯორე, ნენა! რას ქვია ვერ წახვალ-მეთქი! ადამიანი დაუსწრებელს კი არა, ყველაფერს მოესწრება, თუ ჯანმრთელადაა... რა ექნა. ფრიდონ, ნენა, გული გატეხილი მაქვს. ეს ერთი ციკაი შემრჩა და...

ტასოს ხმაში თრთოლვა შეეპარა და წამსვე იგრძნო, რომ ეს აქ უხერხული იყო, და ამიტომ სიტყვა შესწყვიტა.

მაგრამ ფრიდონი მაინც მისწვდა დედის გულის წრფელ ზრახვას და თვალწინ წარმოუდგა მიმზიდველი ღიმილით გაბრწყინებული სახე ანიკოსი...

ამ მცირე დუმბილმა გამოაუხიზლა ფრიდონი, ტასომ ბევრი გამოსდო და ეჭვკავატორზე მიმოატარა, ტრიუმი და სამანქანო ნაწილიც დაათვალიერებინა. ტასომ ბევრი საინტერესო რამ ნახა, მაგრამ ნაწილზე შეტად იმით იყო კმაყოფილი, რომ ფრიდონი ამ უცნაურად მოქმედების ალმონხდა. „ასეთი ახალგაზრდაა და ასეთი დიდი საქმე ჰქონია დავალებული“, — გაიფიქრო გუნებაში ტასომ და რაღაც განსხვავებული მოკრძალება იგრძნო ფრიდონისადმი.

— ...ასე ვმუშაობთ ჩვენ აქ... — დაამთავრა თავისი განმარტებანი ფრიდონმა.

— მართალია, ნენა, დიდი საშვილიშვილო საქმე კეთდება. ვინც ამას ვერ ხედავს... მე გზის პირად ვცხოვრობ და ბევრი გამვლელი გამესაუბრება, ნენა. მარა რაი მერე, ჯერ კიდევ მოიპოვება იმფერი უგრძნობო კაცი, რომელიც თავის ცხვირს იქით ვერაფერს ამჩნევს... ჰოდა, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს ვერ ხედავს, იგი ბრმად დაბადებულია. უფრო მეტი, ნენა, გამოგონია, ბრმა მზეს გულით გრძნობს, გულით ხედავს, ის კი, ვინც ამ ჭაობებიდან ამომავალ მიწას ვერ ხედავს, ვისაც ეს ახალ სიცოცხლეს არ ანიჭებს, ის ბრმად დაბადებულიც არის და გულდახშულიც, ნენა...

დაუფარავი პატივისცემითა და სიყვარულით შეავლო ფრიდონმა თვალი ტასოს. მერმე განზე მიიხედა და წარბები შეკუმხნა: როსტომ გელანდია მოავიწყდა. „ძალიან კარგად მოეჩქეცი, რომ ეს მართლაც გულდახშული კაცი სამუშაოდან მოგხსენიო“, — გაიფიქრა შემდეგ და წასასვლელად აჩქარებული ტასო დიდის ბოდიშითა და მადლობით გაისტუმრა.

ცისკიდურზე თვალუწვდენელ კოშკებად დაყუდებული ღრუბლები წამისწამს უფრს იცვლიდნენ, ხოლო მზის სხივი რომ სავსებით ჩაიფარდა. ჯერ იისფრად გამარწყვდნენ და მერმე ერთობ ქუფრი იერით შემოსნენ. აღმოსავლეთიდან კი, შუქდაფენილ მთების გასწვრივ, პირბადრი მთვარე ამოცურდა, და მწუხრის ბინდით დამძიმებულ ცის იერს მკრთალი ღიმილი მოერია.

პალიასტომის ირგვლივ, ეწერში, ბაყაყების ასიათასეულმა რაზმებმა დაუცხრომელი განვაში ასტეხეს, მაგრამ ეჭვკავატორზე მანქანებისა და ღარების რახრახი ნთქავდა ამ განვაშს, და ბიჭებმა ალტაცებით გააყოლეს თვალი თეთრად მოციმციმე ზოლს, უღრანი ტყიდან ზღვის კიდემისკ გაფენილს.

ლელსა და ლაქაშს ნელი ნიაფი აბიბინებდა. ჰაერი დატკბა და რულ-მორეულ გარემოს კლოებმის ზუზუნნი აკრთობდა ხოლმე.

დღეს ექსკავატორზე დიდ წარმატებას მიღწიეს, გვემა გაგაქარბებით შეასრულეს, 1500 კუბომეტრზე მეტი ამოიღეს.

ბიჭებს, ფრიდონს რომ გვერდით ჩაუვლიდნენ, უნებურად დაეშინებოდათ, რითაც თავიანთ სიხარულსა და სიამაყეს გამოსვალაქვეს.

ამიტომ იყო, რომ ეს საღამო ვალიკო ქოიავამ თავისი სიმებიანი ორკესტრის განსაკუთრებული გამოსვლით აღნიშნა. ტრიუმიდან მანდოლინები და გიტარები ამოიტანეს, გემბანზე ჩამოსხდნენ და ვალიკომ მოხდენილად აღმართა ხელი.

მწყობრად აწყრილდა ორკესტრი.

ბიჭებსაც სახე დაუშვენიდათ და თვალები შინაგანი ღიმილის სხივით გაუბრწყინდათ.

შაირის წამომწყები მამია ტულუშჩი იყო, ხმაც კარგი ჰქონდა. თვალებს მილულაღდა, სახე წამოეგზნებოდა და ხმას აუწყევდა.

აი, ახლაც თავისებური ექსტაზით შემოსძახა მამიამ:

ქაობს ნისლი წამოუსხამს,
სჩანს — უღსკრულის კარია;
აქ ტბებია, უღრანი ტყე
და პირქუშა დარია.

ამ ხაშმიან მეწყერ-გუბებს
სანამ უნდა ვუყუროთ?
ამოგაშრობთ და გაგაქრობთ
შენ, წვეულო უემურო!

დილაა და მზე ამოდის,
ეს ხომ ჩენი ჯარია!
კოლხიდმშენის ვაეკაცებო,
სხივი თქვენი ფარია!

ჯურღმულიდან რომ ამოგეაქვს
ჩვენ ეს მიწა ახალი,
მასთვის გვინდა, რომ შეიქმნეს
აქ ცხოვრება მაღალი!..

ტრიუმიდან როსტომ გელანდიამ ამოიხედა და მომღერლებს თვალი მოაჩინა.

ფხიზელი იყო, დაღვრემილი, სახე-მოჭურულებული.

ერთხანს იდგა ასე და მერმე წელმოწყვეტილივით ამოფოფხდა გემბანზე, ექსკავატორის ცხვირთან მოიერთხა ფეხი.

ერთად-ერთი გრძნობით იყო შეპყრობილი და ამ გრძნობას არაფერი ჰქონდა საერთო არც ამ მთვარიანი ღამის დამტკბარ ჰაერთან და არც ახალგაზრდების ფრთაშესხმულ სიმღერასთან.

მარტოოდენ ერთი ფიქრი აწამებდა: მთელს ქვეყანაზე არაეინ იყო მისებრ უთვისტომო და უშეგობრო. სად არ უვლია წინათ გელანდიას, სად არ უმუშავნია, მაგრამ ყველგან მძიმე უღელშია ჩაქონდა. ყველგან ითურგვებოდა მისი კაცური კაცობა. ამიტომ დაასკვნა წინასწარ კაცს თუ გაქირვებამ ერთხელ ქედი მოახრევიანა, მაშინვე ზურგზე შეასხდებიან და ასე ატარებენ სამარემდეო.

და ახლა მომღერალ ახალგაზრდების სიახლოვეს კი არა, ღრმად გათხრილ საფლავის პირად იჯდა თითქო უსასოო ფიქრებით განმარტოვებული როსტომი. უკვე ხანდაზმული კაცია და მთელ თავის სიცოცხლეში ერთხელაც ვერ შესძლო წელში გამართულიყო და ქედმაღლად გაესწორებია თვალი ამ ქვეყნისათვის. გულის სიღრმეში კი ჰქონდა ჩარჩენილი მცირეოდენი სიამაყე, გრძობა იმისა, რომ არავისზე ნაკლები ის არ იყო. მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამონახა მასზე მაღლა ასულ ადამიანებთან გამაერთიანებელი ხიდი. არც არაეინ მიეშველა... დომენტი რუბაიამ გაუწვია მცირეოდენი მეგობრობა და თავის თანაშემწედ აიყვანა, მაგრამ აქაც არ დაინდეს და ჩამოაყენეს...

„იქნება შენ თვითონ ხარ შენი თავის დაღუპვის მიზეზი? — ერთის წამით შეეკითხა თავის თავს როსტომი. — ლოთი ხარ, ურწმუნო, საქმის სიყვარული აღარ გაგაჩნია“...

— სიყვარული? რომელი საქმის? — პასუხის ნაცვლად შეუტია ვიღაცას გელანდიამ. — საქმე ქვეყანაზე მუდამ იქნება, როსტომს კი არაეინ გაახარებს... ახლა ზომ საესებით გაძევებული ვარ... სად წავიდე, სად შევაფარო თავი?... ღირს კი რაიმედ ასეთი ძალღური სიცოცხლე?... „ერთხელ სჯობია სიკედილი სულ მუდამ დაღონებას“, — დაამთავრა თავისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრი გელანდიამ და უმწეოდ მოიკრუჩხნა, თავი ძირს დახარა.

მჩქეფარე სიცოცხლით სავსე ახალგაზრდების მიერ შედგენილი ორკესტრი კი ხმა-შეწყობილად წკრაილებდა, და მამია ტულუში თანაზიარი ექსტაზით მღეროდა:

ჩვენ წინ ვილტვით და ხელთა გვაქვს
 რაც კი ძალთა ძალია!
 აქ მზეა და სიცოცხლე სტეფს,
 აქ სტალინის თვალია!

მუდამ მაგარი ძილი იცოდა ფრიდონმა. ბავშვობისას, პირველად რომ სკოლაში დაიწყო სიარული, მისი გამზრდელი დაი ელო უსაყვედურებდა ხოლმე, — დილით შენს ვაღვიძებას საშველი არ დაადგებო.

ახლა კი ჯერ კიდევ ღამეა და უცრად გამოვლევია.

ეგების მალარიამ აუწუნა ნურვები და ძილშიაც აღარ ასვენებს?

მაგრამ არა, უცებ გაახილა თვალი და თავს ისე გრძობს, თითქო სასუნთქო გამომძანებელი იყოს.

ეს კია: დაწოლისას რომ სახეებმა გაუელვა თქვენს, მალე იმავე სახეებს შეჰყურებს, და ჰგონია — იქვე მის გვერდით სხედან ისინი და საუბრის დაწყებას ღამობენ.

აი, ეს შავით მოსილი, დედასავით საყვარელი ქალი ტასოა. საცაა ვახსნის ჭკობაშეპარებულ ტუჩებს და მშობლიური ალერსით იტყვის:

— ნენა-შვილო!...

აი თითქო კიდევაც დაირბა ეს ხმა და თაფლისფერმა თვალებმა, წრფელის გრძობით ანთებულმა თვალებმა გაანათა კაიუტა.

გამოფხიზლებულია ფრიდონი და მთელის არსებით განიცდის, რომ ამ სამოა შექის იღუმალის ჩქერი ესხურება...

მაგრამ ეს ხომ ანიკოს თვალებია, გულვახსნილი ღიმილის სხივით გაბრწყინებული!

ცალი ნაწინავი შემალღებულ მკერდზე გადმოჰფენია და ჯადოსნური ძალით მიშხიდველი იერი შევნიხს ანიკოს...

როდის მოხდა ეს, როდის დაუახლოვდნენ ასე ერთმანეთს!? წინათ ბევრჯერ უნახავს, მაგრამ მაშინ არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა მოწაფეთაგან, ჩვეულებრივი ქალიშვილი იყო, ჩვეულებრივი კომკავშირელი.

ახლა კი გულის ჩქროლვით შეჰყურებს ამ ღიმილის სხივს და ეჩვეუნება, თითქო არც ერთი დღე არ გათენებია ისე, რომ მისთვის თვალი არ შეეელოს.

მაინც რალაც ახალი ელფერი შემოჰფენია ანიკოს სახეს, მთელს მის აღნაგობას. და ეს ახალი ელფერი, ეს ქალური ეშხი კიდევ უფრო მეტი ძლიერებით იზიდავს ფრიდონს. თვითონაც გრძობს, რომ მის არსებაში რალაც დიდი ცვლილება ხდება, ისეთი ძალის ელვარებით იმსჯელება, რომელსაც არც დასაბამი აქვს და არც დასასრული. რიკრავივით ნათელი ღიმილი უხდება ანიკოს, და უამრავი თაობების, გარდასული და მომავალი თაობების თვალთა ბრწყინვალეობით სხივოსნობს ეს რიკრავი. აი თვალუწვდნელი ასპარეზიდან ამოდიან დღეები, თანაზიარი შინაარსით აღსავსენი... და ეს წამიც ანაზღად გამოვლიძებულის ზმანება როდია, იგი მარადისობის უწყვეტ რგოლზეა გადაქცობილი და ციმციმებს ისე, ვით კავკასიონის მწვერვალებზე დაფრქვეული სხივთა ძა.

ამიტომაც ახლა, ამ ვიწრო კაიუტაში რომ ფრიდონს სული შეეხუთა, წამოხტა. ტანთ ჩაიცვა და გემბანზე გამოვიდა.

ეწერში ოდნე გაცოცხალი ღამე ჩაწოლილა. ნიაიცი არ არხევს ლაქაშბას. ბაყაყობის ლაშქარს კი განგაში ჯერაც არ შიოწყვირია. მაგრამ ყური ძალაუნებურად ეჩვევა ქაობის ამ განუყრელ კონცერტს, ვით მდი-

ნარის გაბმულ ჩხრიალს. ამიტომ ფრიდონი ისე გრძობდა თავს ახლა, თითქო ირგვლივ უძირო ღუმელი სუფევდეს და ეს ვარემოც უძირო იყოს, როგორც ტალღებდამცხრალი ოკეანე. მხოლოდ ერთ-ერთს უშვებდა ზოლი მოსწანს გარკვევით, მაგრამ ესეც ნისლის ჩრდილსა ზღვს; ქაობის სტორმე-ში დანთქმულს.

მძიმე და შეხუთული ღამეა.

მთვარე ღრუბლებში ჩაფლულა და მხოლოდ აქა-იქ ეონავს მისი მიმ-კრთალი შუქი. მაგრამ ის არეები ცისა, სადაც ეს შუქი ეონავს, მღვრიე გუბებს დასვავსებია, და კაცს ეგონება, ზესკნელიც ჭიობის ანაორთქ-ლით გაჟღენთილ და ხაშშიანი პაერი წაშლავს მთელ ქვეყანას.

ზღვას მაინც რაღა მოუვიდა! აღსდგეს, აბობოქრდეს მისი ტალღები: დაპბეროს ძლიერმა ქარმა და წარიტაცოს ამ უემურაინი ღამის რულ-წორეული ღუმელი!

კოლოების ზუზუნი თუ შეაკრთობს სმენას, თორემ ისე ნიავეც არ არხევს ლაქაშებს, მძიმე, შეხუთული ღამეა.

ფრიდონი კაპიტნის სამზირზე დგას გარინდული და ძილში აყო-ლილი ზმანების კენძა ხსნის.

აი ჩონგურის სიმების იღუმალმა წკრიალმა დაარღვია ღამის საფარვე-ლი და ქუფრად დაბურულ სივრციდან ნელნელა ამოტივტივდა სა-უცხოოდ აყვავებული მიდამო, რაც მის ოცნებას არაერთხელ წარმო-სახვია:

ახალი მიწაა ეს, შმორიანი ჭაობების ფსკერიდან ამოტანილი, რიონის ღამით გაპოხიერებული. მაგნოლოებითა და ეკალიატებით შემორგულ ნაირნაირ ბაღებში ნელი ნიავე ფორთოხლისა და ღვიძლის სურნელებას აკმევს. ლარივით გავლებული მაგისტრალური და საწრეტი არხების გას-წვრივ ფართო გზატკეცილები კრიალებს და ავტოებისათვის გზა გახსნი-ლია ბახმაროდან ზემო-სევანეთამდის... ეს კიდევ ახალი მოსახლეობაა, უხვი დოვლათით აღსავსე. სიცოცხლის ეშხით გაბწყინებულ სახეებს ამაყი სიმამაცის იერი შეენის, ვინაიდან იციან, რომ მათ უნდა დაიპყრონ მსოფლიოში ყველა მწვერვალი...

ამ ნარიონალიდან კი ახალი გემი შეჰყავს ზღვაში ფრიდონს და დარ-დანელისაკენ იღებს გეზს.

ჯერ უცხოეთის არც ერთი ნავთსადგური არ უნახავს ფრიდონს, მა-გრამ იმდენი რამ მოუხმენია ღომენტი რუბაიასაგან და წიგნებშიაც ამო-უკითხავს, რომ ასე მგონია — ყველა დათვალიერებული პქონდეს.

და აი ახლა მრავალი ზღვა გადასერა, მოიარა ნაცნობი, ოდნავ ნა-ხეცელილი ნავთსადგურები და კოლხეთში დაბრუნდა.

აქაც თითქო აყვავებულ მიდამოს ოდნავ სახე შესცვლია, კიდევ უფრო დამშვენებულია!

ჩონგურის სიმების საამო ელერით ეგებება შორი ვზიდან დაბრუნებულს ეს მშობლიური წალკოტი, და ფრიდონს ახლა გარკვევით ესმის ელოს ხმა:

„მზე უშენოდ ვერ იქნების,
რადგან შენ ხარ მისი წილი...“

ერკინული
გინგლიქოსეა

და ამ ხმას ანიკოს სახეც ამოჰყვა, გულგახსნილი ღიმილის სხივით გაბრწყინებული სახე!

ცალი ნაწინავი შემალღებულ მკერდზე გადაჰფენია და ჯადოსნური ძალით მიმზიდველი თური ამკობს ანიკოს...

მთელი ეს ახალი ქვეყანა, ეს უკნობი ბაღები, ეს კრიალა ქალაქი ამ ღიმილის შექში ეხვევა, და ამომავალ მზესავით კაშკაშებს ანიკოს ღიმილი.

და ახლა მისწვდა ფრიდონი ყრობიდანვე უამრავჯერ გაგონილ სიტყვების დედაარსს:

„მზე უშენოდ ვერ იქნების...“

მისწვდა და დამშვიდდა, თითქო ზღაპრულ გზაჯვარედინზე მდგარი-ყოს და საბედისწერო გამოცანა აეხსნას.

იქვე ჩამოჯდა, სახე მკლავებში ჩამალა და მალე ღრმად ჩაეძინა. ხოლო ირგვლივ, თვალუწვდენელ ჭაობებში, ბაყაყთა ლაშქარი განგაშს განაგრძობდა, და მძიმე, შებუთული ღამე იყო...

როსტომ გელანდიასაც არ დაეძინა იმ ღამეს. ჯერ იყო და ახალგაზრდების სიმღერამ აუზღერია ისედაც შეშფოთებული გულში. ხოლო მერმე, ტრიუმში რომ დაბრუნდა, ერთობ მწუკავე ფიჭვი დაეუფლა. ნათლად წარმოუდგა, რომ საესებით წყდებოდა ყოველივე კანშირი ამ უღმობელ ქვეყანასთან. უცნაურ მიჯნას მიადგა: ვადაღმა მზარეს უსახო სიცარიელე იყო, მეტი არაფერი. დიდ ხანს ჩაპყურებდა ამ ზმანებულ სიღრმეს და ცოილობდა დაერწმუნებია თავისი თავი, რომ დროა მოისვენოს... რა ჯარგია როდესაც არაფერ არაა შენი მბრძანებელი, არც არაფითარი სურვილი გაქვს, არც გშოია, არც გწყურია, არაფის აწუხებ, არც არაფერ გემუჭრება. ხარ სადღაც გათქვეფილი ამ არარაობაში...

შეაჭრეოლა და თავისი სიცოცხლის განგლილ გზას მოებლაუტა, მოენატრა — აქ მაინც აღმოვიჩინა რაიმე ნათელი, მიმზიდველი.

რატომაც არა! აი პატარა ბიჭი, ფეხშიშველა როსტომი. დაუბანელი თმა თვალეზამდის აქვს ჩამოზრდილი და დედნიშაცვალისც ერთობ ზშირად სცემს, მაგრამ მაინც მხიარულია, როცა მინდორში გაინაჯარდებს და პაეშიგბში თამაშობს... მაშინაც დიდი იმედიბით იყო აღსაესე, როდისაც ერთ ძვილ გემზე ცეცხლფარეშის დამხმარედ მიიღეს. ოფლად იღვრებოდა და ნახშირით იყო გამურული. ფიჭრობდა, მატროსობამდე თუ მივალწიე.

მერე მაინც გაეიშართები წელშიო. მაგრამ სწორედ იმ ხანებში ჩაუკლეს გულში ყოველგვარი სწრაფვა ოდნავ მაინც ადამიანური თანგრძობისაკენ. ჯერ საბატიშროში ჩაამწყვდიეს, მერმე უმუშევრად დარჩა და დიდ ხანს შიმშილობდა. აი მას შემდეგ მოჰხარა ქელი და სიტყვები, რომლებსაც ეწეოდა მონური შრომის უღელს. ხანდახან, როდესაც დროს იშოვნებდა და შეხარბოშდებოდა, მოიგონებდა ხოლმე იმ მეზღვაურებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს დიდ რევოლუციურ აჯანყებაში და თავი კატორგაში ამოჰყვეს. მათი ბედიც კი შეშურდა. მაგრამ შემდეგ თანდათან ჩაითრია უიმედობამ და ასეთ მწვავე წუთებს, უკურნებელი სევდის აღმძვრელს, ღვინოში ახშობდა.

ჯერ თავისი თავი შეებრაღა გელანდიას და მერმე ბრაზი მოერია... არა, წავა, მოშორდება აქაურობას. რა აქვს ამითან საერთო? ან დომენტი რუბაიას რა პირით შეხვდეს? რამდენჯერ დაარიგა — მე მომბადეო, ხომ ხედავ, მეც შენსავით უბრალო მეზღვაური ვიყავი, ახლა კი, ამ ჩვენი წყობილების მეოხებით, კაპიტანი გავხდიო... მაგრამ არა, როსტომის ბედი გადაწყვეტილია. საღ შეუძლია ახლა ახალი ცხოვრების დაწყება, სრული გადახალისება... აი ივანე რუსთან წავა. რამდენჯერ იყო იქ, ფიჩორის პირას, კარავში. კაცმა არ იცის, საიდან მოვიდა აქ ეს ივანე. ტყეს არ შორდება, მეთევზეობით ირჩენს თავს. გურულებს მოაქვთ ხოლმე ჭადი და არაყი, თევზზე უცვლიან. როსტომიც ამ ივანეს შეევედლებო...

აღგა, ძველი ქვეშაგები მაგრა შეჰკრა, ზანდუქში თავისი მცირეოდენი ბარგი ჩააწყო და გემბანზე აიტანა.

სანამ ნავში ჩაალაგებდა, კაპიტნის სამზირს დააკვირდა და იქ ჩაძინებულ ფრიდონს მოჰკრა თვალი. შეკრთა, თითქო ჭურღობაზე დაიჭირესო.

ბარგი ძირს დააწყო და, რაკი დარწმუნდა, სძინავსო, მიუახლოვდა.

კარგა ხანს უცქირა. მერმე ირგვლივ მიმოიხედა და მხოლოდ ერთის წამით გაიელო გუნებაში: რა ადვილად მოერევა ახლა ამ ბიჭს!

განა როსტომს არ შეუძლია მისწვდეს აი, აგერ რომ გრძელი რკინა ვლია, და...

მწარედ გაელიმა, ჩამოფოცხილ უღვაშებზე ამყადა გადაისვა ხელი და ბარგთან მიბრუნდა, თან თავის თავს ასე არიგებდა უსიტყვოდ:

— არა, როსტომ, ეს შენ არ შეგფერის... იაროს თავისი გზით. შენი საქმე ხომ ისედაც გათავებულა. ნურადის წინ ნუ ეღობები...

იქსაკაიაროს მიაწვა ნიჩბით და ნავი სწრაფად გასრიალდა არბშადამდგარ მდორე წყალზე.

ლილს რომ მიეფარა, გულს შემოწოლილი მწვავე ნაღველის გასაქარებლად ირგვლივ მიმოიხედა:

ქარიშხლის მოლოდინში გარინდული, მძიმე, შებუთული ღამეა.



რიჭრაქის ეამი იყო, როდესაც ფრიდონს წვიმის ქვეყნებზე შეეხებოდა და მყისვე წამოიჭრა. შეერთა, თითქო სრულებით მტრულად დასაზარელ სურათს წააწყდაო.

ჩაძინებისას განახლებული კოლხეთის წარმტაცი სანახები ედგა თვალწინ და ანიკოს სახისაგან განუყოფელი მზე დაკაშკაშებდა ამ აყვავებულ მიდამოს. ახლა კი დაწეწილი, შავი ღრუბლები ზედ თავზე დასწოლია, მძაფრი ქარი პქრის და კოკისპირული წვიმა იწყება.

ეს ვრცელი ეწერიც, ეს ხავეს-მოდებული ქაობიც გამოცოცხლებულა. ხმაშეწყობილად შიშინებს, შრიალებს, ხოლო შორიდან აბობოქრებული ზღვის მრისხანე გუგუნე მოისმის.

„ეს ქარიშხალი გეგმის შესრულებას ისევ დააბრკოლებს“, — გაიფიქრა ფრიდონმა და ტრიუმში ჩაირბინა. მერმე სამანქანო ნაწილს მიაშურა და ყველგან ავრალი გამოაცხადა.

სწრაფად შეესიენ ბიჭები ექსკავატორს. მოსასხამები ვერ შევლოდათ. ცა ნისლშეფენილ მთის ფერდობს დაემსგავსა და უცებ მოვარდნილი ნიაღვარი ჰფარავდა სივრცეს, წყალი საყელოში ატანდა, თავიდან ფეხამდე სველები იყვნენ. მაინც რაღაც ამამხედრებელ სიამოვნებას ჰპოვებდნენ ამ აწყვეტილ ქართან და ღვართქაფთან შეუპოვარ ბრძოლაში. ზეღმეტად ჩქარობდნენ და ერთმანეთს მხიარულად გასძახოდნენ...

მალე ყველაფერი მოაწესრიგეს...

ხოლო ნაშუადღევს, როდესაც ქარიშხალმა იკლო, მამია ტულუშმა მიიბრინა ფრიდონთან:

— როსტომს თავისი ბარგი წაუღია და წასულა!

სიტყვა ესა და ფრიდონს სახე აარიდა, თითქო რაღაცას უსაყვედურებს და პირდაპირ ცქერა ვერ გაუბედნიერა.

ფრიდონს გული მოტვიდა და პირზე მომდგარი სიტყვა ვერ შეიკავა:

— ჯანდაბას იქით წასულა!..

— კი, მარა დომენტის რა ვუთხრაო? — ცივად შეეკითხა მამია და ფრიდონს თვალი გაუსწორა.

— დომენტის?! — ჩაილაპარაკა ფრიდონმა და ჩაფიქრდა: მართლაც რა უნდა უთხრას რუბაიას? სამუშაოდან მოგვსენი და სად წავიდა არ ვიციო?.. ხომ უსაყვედურებს დომენტი — ჩემ მოსვლამდე რატომ არ დაციადეო. მართალიც იქნება. რამდენი ხანია აქ ინახავდა ამ კაცს. რაც არ უნდა იყოს, ძველი მეზღვაურია. ალბათ, ერთად უმუშავენიათ დიდხანს... არა, უთუოდ აჩქარდა ფრიდონი. ვინ მოსდევდა, დაეცადა დომენტიან მოსვლამდე... სად წავიდა ნეტავი?.. ჰო, უთუოდ იქ იქნება, ფიჩორის პი-

რას, კარავში, მეთევზე ივანესთან. ერთხელ ახლდა იქ დომენის და ერთად წამოიყვანეს ვალოთებული გელანდია...

— იცი რა, მამია! შე წავალ და მოვიყვან როსტომს^{ქმს} და მისი^{ქმს} აგერ ვალიკო ჭოიავას ვეტყვი კიდევ, აქაურობას მიხედვით.

მამიას კეთილმა ღიმილმა დაუშვეწნა სახე და ხანდაზმული კაცივით წარსიქვა:

— ნამეტარ კაის იზამ სწორედ!..

გასცილდა არხს და ნავი ლელში შეაცურა. აქ მუდამ ობზოღებული ვუბე იდგა, მაგრამ დღევანდელი კოკისპირული წვიმის შემდეგ ბევრად მოუმატნია და ოდნავ დაწმენდილა.

როსტომი ამ გზით არ წავიდოდა, სანაღეს გაყვებოდა, ფრიდონს კი შეუძლია ტყემდე მოკლედ გადასქრას.

ნავი ბადიასავით პატარა იყო და ადვილად მიჰყავდა წყლით შუამდე დაფარულ ლაქაშებში...

ტყეს რომ მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ ახედა ცას, ამინდი ხომ არ უარესდებაო:

სულ ახლა ჩამოწოლილი ტყვიისფერი ღრუბლები მოიგრაგნებოდა ზღვიდან და მთელი ეს დაბლობი და სივრცე ნისლოვანი თქორით იყო გაქლენთილი.

ტყეშიაც წყალი იდგა, მაგრამ სანავე—პატარა მდინარის დაკლაკნული კალაპოტი—ადვილი შესამჩნევი იყო, და ფრიდონს ორთაყურეობით გრძელი ჭოკით მიჰყავდა ნავი.

აქაც თინელავდა და ფოთლებზე დაცურებული სხვილი წვეთები ამოჩილებდნენ ტყეს. მაინც ისეთი უტყვი ღუმილი იდგა, ოდნავ მღელვარე ზღვის პირად განმარტოებულ კაცს რომ გააოგნებს ხოლმე.

ძველის ძველი გადაფერდებული ზეები, სახსებით ხავსით დაფარული, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდნენ, თითქო აქ დამიანს ფეხი არასოდეს არ დაუდგამსო. ყველგან ხავსის, ობისა და ნესტის დამძაღებული სუნნი იდგა, და ყველაზე თვალსაჩინო აქ მხოლოდ ლპობის პროცესი იყო.

ფიჩორამდე ჯერ კიდევ კარგა მანძილი იყო დარჩენილი, როდესაც ზღვის მხრიდან წამოსული კოკისპირული წვიმა ყალბზე შემდგარ ტალღის შხუვილივით მოედო დაბურულ ტყეს, და ფრიდონი ცივ თქეშში გაეხვია. ულტობი სამოსი ეცვა, მაგრამ საცვლები მაინც დანამული ჰქონდა, ახლა კი სულ ათიოდე წუთში მთლად დასველდა. ან კი როგორ შეიძლება ამ დელგამაში თავიდან ფეხამდე ნესტით არ გაქლენთილიყო, როდესაც ირგვლივ ყველაფერი წყალში ტივტივებდა. კაცს ეგონებოდა, ამ ეალტამიან ტყეში თვით ზეებიდანაც კი წყალი მოჰონავს და აქაურობის ამოშრობას არასოდეს საშველი არ დაადგებაო.

ფრიდონმა ნავში დაგროვილი წყალი ნიჩბით ამოხსნა, ~~ტყევის~~ წამით შეისღენა და რამდენჯერმე გააზმორა, თან სისუსტეც იგრძნო. არ ევაშნიკა. ორი დღეა წამალი არ დაუღვევია. უთუოდ გაატყვეს წყალი.

სახეზე დაგორებული წვიმის წვეთები ქვედა ტუჩის მხარეს და ქოკს მაგრა მიაწვია...

თავსმა კვლავ გრძელდებოდა, როდესაც ყრუდ მოგუგუნე ტყიდან გავიდა და ფიჩორის ნაპირები გამოჩნდა.

კუბეტებში წელგამართული ლელითა და ლაქაშით დაფარულ დაბლობებს ღვართჭაფის ბურუსი ნთქავდა და ფსკერდამპალი ქაობების დასაღიერი არა სჩანდა.

ერთი რამ იყო მხოლოდ საგრძნობი: უამრავი საუკუნე დახავსებულია აქ და ძლევამოსილი ადამიანის დაუხმარებლად ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოუღვია.

მხოლოდ ერთხელ გაუღვია ფრიდონს თავში — საცაა გამაცივებს და სჯობს დაებრუნდეთ, მაგრამ მყისვე უტუაგლო ეს აზრი, ღინაიდან იგი მის ხასიათს არ შეეფერებოდა; თვალები დაწყურა და ნიჩბი უფრო სწრაფად მოუსვა. ფიჩორი აქ აღიდებულ რიონზე უფრო ფართო და ღრმა იყო. შორიდან ქაობებში ტოტებგაშლილ ტბასა ჰგავდა, მაგრამ ფრიდონმა რომ შუა ადგილას მიაღწია, ნავი ძლიერმა მდინარეებამ თავქვე დააქანა.

დიდი ბოძოლა დასჭარდა ფრიდონს, რომ კარვის სიახლოვეს ნაპირამდე მიეღწია...



როსტომ გელანდია, ექსკავატორს რომ საკმაოდ გასცილდა, აღარ ჩქარობდა, ნელი რონინით მიჰყავდა ნავი. ქარიშხალმა ტყეში მოუსწრო. სინანულმა შეიპყრო, გყოფილიყავი მშრალად ტრიუმში, ვინ მომსდევდაო. მაგრამ თავიდან ფეხამდე რომ დასველდა და წამოღებული ქვეშაგებიც აღარაფრად ვარგოდა, გული მოუვიდა, მაგრა შეუტურთხა ამ ტყის მიღმა დარჩენილ ქვეყნიერებას და ძველებური, მატროსული იეროშით გასწვია ფიჩორისაკენ...

დიდის ვაივაგლაზით შიაბა ნავი ხეზე, ბარგი ამოიტანა და ივანეს ვასძახა.

აქარიშხლებულ, მერეხად ქცეულ სივრცეში განთიადის შუქი ვერ ატანდა. გელანდიას ხმაც ამ ამოზოჭრებულ სტიქიონში დაინთქა.

„სძინავს იმ გამოღენჩებულს“, — გაიფიქრა როსტომმა და კარი შეაღო. ძახილზე ხმა არაეინ ვასცა. კარავში წვიმა ჩამოდიოდა.

„თუ ზედა კარავში არაა, უთუოდ სადმე წასულა“, — გადასწყვიტა და სახიდან წყალი ჩამოიწურა.

დაიქანცა. რა კარგი იყო, რომ ამ ფაცხაში ცეცხლი დასველებოდა, ჩამოჯდებოდა და სულს მოითქვამდა. ახლა კი ისევ უნდა იხრიალოს ამ თქეშში...

წელმოწვეტილივით ძლივს მიაბიჯებდა. სათევზე ^{ერქენულს} რომ მიდიოდა, ერთის წამით შენელებულმა ქარმა აწვეტილი სიმძაფრით დაუბერა, როსტომი დაბარბაცდა და ორმოში ფეხი გადაუცდა. გუბეში უხერხულად ჩავარდა, მაგრამ გელანდია ძველი მეზღვაურია, საუკეთესო მცურავი და ფეხზე ადვილად დადგა. წყალი მკერდამდე სწევდებოდა.

ამ ორმოზე ივანეს ძელები ჰქონდა გადაფრებული და დაჭერილ თევზებს უშვებდა შიგ. ახლა კი... უთუოდ წასულა აქედან! ან კი რა მოაქდევინებდა! ისიც საკვირველია, იმდენი ხანი როგორ გასძლო აქ!.. „შენ რაღა მოგარბენინებდა?“ — შეეკითხა როსტომი თავის თავს და მხოლოდ ახლა სცადა ამოსვლა... ორმო მაღალი იყო. ხელი ვერაფერზე მოიკიდა, ვერც ფეხები გააწვდინა განდაგან... ბედრი იწვალა... ძაღლონე გამოეცალა... ხელები მკერდზე დაიქდო და თავი სველ მიწას მიადო. გათენდება, ქარიშხალი ჩადგება და ვინმე გამოჩნდებაო, თავის დასამშვიდებლად გაიფიქრა და თვალი მილულა.

არც სიცივე და არც წვიმა აღარ აწუხებდა, თითქო ნელთბილი წყლით ვაიჟლენთა სავესებით და აბაზანაში მწოლიარესავით ისვენებდა. მხოლოდ ერთი უღმღამო აზრი უღვივოდა თავში, ვით მცირეოდენი ნაპერწკალი, მიტოვებულ კერაში ჩარჩენილი. რამდენი წელია აწვალებს როსტომს ეს აზრი, გუნებაშიაც ღლიონებდა ხოლმე:

— ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა“.

მაგრამ კარგა ხანია დაპკარგეს ამ სიტყვებმა პირვანდელი სიცხოველე და რაღაც ბუნდოვანი სევდით შეიმოსნენ.

აი ეს სევდა ვინუახლდა ახლა როსტომს და ოდნაეის სიამოვნებითაც კი გაუღო გულის კარი, თითქო მოამაყე სიკაბუკის ეამს შეთვისებული მეგობარი ესტუმრაო.

„სჩანს კიდევ შემრჩენია საკუთარი თავის პატივისცემა, კიდევ მაქვს უნარი, როგორც მინდა, ისე მოვიქცეო,— ჰფიქრობდა როსტომი და თავს ძალას ატანდა — თვალდაბუქული ყოფილიყო, რათა ეს სევდიანი შვება გაეხანგრძლივებია...“

ზევით, ორმოს მიღმა დარჩენილი ქვეყნიერება ყრუდ შრიალებდა. ხანდახან დაუბერავდა მძაფრი ქარი და ზათქითა და გრიალით შეიჭრებოდა დაბურული ტყის სიღრმეში, მერმე, თითქო ტალღა ტალღას შეენარცხაო, ვაბმული ქშელით დაასკდებოდა ფიჩორის ნაპირებს, და უსასოოდ მოსთქვამდა ქაოჭის ლელი.

როსტომმა თავი უფრო ღრმად შერგო მიწაში. რათა წვეთები სახეზე არ დასცემოდა, და რულმორეულივით დახუჭა თვალები.

ბუნდოვან ოცნებასავით წამოებარა მკრთალი სახე, მესმის მესმის გრძელბაში ბავშვობიდანვე ჩარჩენილი. ეს იყო ყველაზე ადრინდელი მოგონება და ყველაზე უძვირფასესი:

შხარზე შეისვა ახალგაზრდა, ფეხშიშველა დედამ პატარა როსტომი და თან რალაცას უამბობს... არ ახსოვს ახლა როსტომს, თუ რას მოუთხოვდა მაშინ დედა თავისი ტკბილი ხმით, მხოლოდ ეს კია, რომ მას შემდეგ ისეთი საუცხოო და საამო აღარაფერი მოუსმენია... გარემოც, ეს ნორჩფოთლებიანი თხემლები, ეს წერწეტა, ცამდე ატყორცნილი ალვისხეები, ეს ვეება ჭადარი და მწვანედ მობიბინე თვალუწვდენელი ველო, ისეთ შუქსა ჰფენდა დედის შხრებზე განაბულ როსტომს, თითქო ისინიც დედასავით ეალერსებოდნენ...

აქ უცებ წყდება მოგონების ძაფი და... ოდნავ წამოზრდილი როსტომი კუბოში ჩასვენებულ დეძის სახეს დაჰყურებს...

ეს მაშინდელი ცრემლებია, ახლა რომ თვალები დაუამა, თუმცა მაშინ აღრე შეაშრა ის ცრემლები და ბავშვებში გაერთო. ახლა კი ერთობ ხანგრძლივად უმზერს იმ დაუვიწყარ სახეს, მძინარესავით კუბოში მწოლარეს...

და არ შეუშინებია როსტომს, ისე შესცვალა დედის სახე მეორე დაუვიწყარმა ადამიანმა. ესეც კუბოში წევს და ჭერა სახე სანთელივით ჩამომდნარი აქვს... მოთმინებას ჰკარგავდა შორი მგზავრობიდან დაბრუნებული როსტომი, სანამ გემი ნავთსადგურს მიაღებოდა. რამდენიმე თვის წინათ შეირთო ობოლი გოგო და მუშათა უბანში ერთი პატარა ოთახი გაიჩინა... აი უკვე მიადგა იმ დაბალ სახლის კარს და მომაკვდავის უმწუო კენესამ თავზარი დასცა...

ღრმად ამოიოხრა როსტომმა და თვალი ოდნავ გააჭყიტა, მაგრამ ამ ორმოში ჩამოწოლილ სინამდვილეს გარდასულთა მიმჭრალი სახეები ამჯობინა და სახადით უდროოდ დაღუბულ მფულლეს სამარემდის მიჰყვა...

მას შემდეგ დაეძალა როსტომი ალკოპოლს. მაინც ვერ ამოსწეა გულის სიღრმეში ჩარჩენილი კავშანი. ახლაც იმ ძველის ძველმა მოგონებებმა დაევიწყეს ეს ორმო, ეს ნიაღვარი და გაუფალი ქაობები, კარვა ხანს იყო თვალმიღწეული, მაგრამ ბოლოს ცახცახმა აიტანა, თავი მალდა ასწია და გამოსავლის ძებნას შეუდგა...

ჭარიშხალი ჩადგა. პაერი ნისლოვანი თქორით დამძიმდა.

გელანდიამ რამდენჯერმე მიიტანა იერიში, ათას ხერხს მიმართა, მაგრამ ორმოდან ამოსვლა ვერ შესძლო. დიდის წვალეებით გამოთხარა მიწა, ფრჩხილები დაუსისხლიანდა, ხელი მაინც ვერ მოიმაგრა. ბევრი იყვირა. ხმა ჩაუწყდა, უსიტყვოდ ხრიალებდა მხოლოდ...

ახალი თავსხმა რომ დაიწყო, ძალმილეულმა გელანდიამ უნებლიედ გაიფიქრა: ხომ შეიძლება აქ რამდენიმე დღეს არაეინ გამოიხროს?...
 ამ აზრმა მწვავე ყრუანტელად დაურა თავიდან ფეხბაძე და ნათლად წარმოუდგა ორმოში ჩამსრჩვალნი, რუმბივით გაქვრივნი...

მხოლოდ ახლა შეაშინია: ორმოში აქა-იქ დაწეწილი ლოპოვები ხავსი ტივტივებდა... აი, ასეთი ხავსი შემოეხვევა გარს და ბაყაყები დაიწყებენ ზედ ხტუნვას...

— არა, არა! — განწირულის ხმით დაიყვარა როსტომმა და...

ნუ თუ არაეინ გამოჩნდება, რომ ამ სამარიდან ამოიყვანოს?! ვინ სთქვა — სიკვდილი სჯობიაო. რა სიბრძნე ეს? სიბრძნე იქ არის, სადაც მზეა და სიცოცხლე!..

...რა კარგია, ზღვას რომ ჭანთიადის შუქი მოეფინება და ახალი იერიით დაიწყებს კაშკაშს ცის ნათელი შარავანდელი! გამსჭვირვალე სივრცეში ბროლივით მოკაშკაშე კავკასიონი ამობრწყინდება და აღისფერი ლეჩაქი დაამშვენებს პაეროვან გუმბათებად აღმართულ მწვერვალებს. ტყეში, ბაღებში და სახლების სიახლოვეს ჩიტები აჭიკჭიკდებიან. ყოველი მცენარე, ყვავილი, ბალახი მზეს გაუღიმებს და, მოციმიციმე ცვარნამი რომ აორთქლდება, ტრფობით თვალს გააყოლებს...

— შენ კი, შე ბედშეგო როსტომ გელანდია, ამ ჭაობში უნდა ჩაიხრჩო? — გაიფიქრა იმ წარმტაცი ზმანებით გულაკენესებულმა როსტომმა და უსასოოდ დაიგმინა....

სწორედ ამ გმინვას მოჰკრა ყური მიახლოვებულმა ფრიდონმა და ირგვლივ მიმოიხედა. რაღაც დგაფუნი შემოესმა. ორმოს მიაღდა და შიგ ჩაიხედა. ერთხანს უმზირა თავაწეულ, თვალბეგაშტერებულ გელანდიას და შემდეგ უნებლიედ ღიმილი მოერია.

— რას აკეთებ, როსტომ, შენ აქ?!

გელანდიამ ხმის ამოღება ვერ შესძლო, მხოლოდ ხელები აღმართა მალლა და შესაბრალისი გამომეტყველებით შეაცქერდა ფრიდონს...

ნავზე რომ გრძელი ჭოკი ჰქონდა, ის მოიტანა ფრიდონმა. ორმოზე ძელი გასდო...

ტანში ციება ჰქონდა შემდგარი და თავს ცუდად გრძნობდა. თორემ ასე არ გაუძნელდებოდა როსტომის ამოყვანა.

11.

მეორე კარავი იქვე ახლოს იყო, ფიჩორის ნაპირას, ტყეში. ეს ვეება მორევი ზედ კართან ჩამოუდიოდა.

ოდესღაც აქ საკმარად შემაღლებული კუნძული ყოფილა. ახლა კი გაუყვალნი ჭაობებითა და ჭანჭრობიანი ტყეებითაა გარშემორტყმული, და საცაა საესებით ჩანთქავს ეს ხავსმოღებულნი ეწერი.

კარავი პატარაა, ვიწრო. ზამთრობით აქ ნაევებით მოდიოდა იხვზე სანადიროდ და, შუაღამოს რომ აანთებენ, წვივებამდე სწევდნენ, უკან დასახვევი აღგილი აღარაა.

ამ კარავში გააჩნდა ცეცხლი ფრიდონმა.

გელანდია იმდენად ძალმილეული იყო, რომ ტანისამოსის ვახდა და გაწურვა ძლივს შესძლო.

ფრიდონი თავს ძალას ატანდა და ცდილობდა, როსტომს არ შეემჩნია, მთელი სხეული რომ უძაგდაგებდა. პირის გახსნას ერიდებოდა, კბილებმა რაწკუნნი არ დაიწყესო.

წვიმა შეწყდა.

ორთქლით დაბურულ კარავში მღვრიე სინათლე შედიოდა.

სანახევროდაც არ იყვნენ გამშრალი, როდესაც კარავს ნავი მიადგა და ომახიანი ხმა შემოესმათ:

— ვი, რომელი ხარ მაქ?

ფრიდონი არ ამდგარა, ისე დააყრდნო ხელი კარის ბეჭს და გარეთ გაიხედა.

— ფა, ფრიდონ, ჯიმაია¹, შენ ხარ, კაცო?! — გაიკვირვა მოსულმა და სწრაფად გადახტა ნაპირზე.

ფრიდონს ღიმილი მოერია, თანაც უხერხულობა იგრძნო, სამსონი რომ ასეთ მდგომარეობაში შეესწრო. მართალია, სამსონი ფრიდონის ძმის ჯოტოს საუკეთესო მეგობარია, ფრიდონიც კარგად იცნობს, მაგრამ მაინც არაა სასიამოვნო, საცვლების ამარა რომ ზის აქ და ამოდ ცდილობს შეაჩეროს მთელი სხეულის კანკალი. მერე ვის წინაშე... სამსონის ვამკილავი ხმა და ღიმილი!.. საკმაოა ვისმეს შეამჩნიოს სამსონმა მცოროვოდენი სისუსტე ან სულმოკლეობა და მის მოგრძო, სრულ სახეზე, მის მსხვილ თვალეში, მის ოდესღაც თეთრ, ახლა კი ყვითლად ფერგადაკრულ დაწვებზე მყისვე აღიბეჭდა საოცრად მეტყველი, დამცინავი ღიმილი.

პირდაპირ გულიდან ამომავალი ბოხი ხმა აქვს სამსონს და ლაპარაკში ხშირად ურევს სიტყვას — ჯიმაია. ამიტომ ამხანაგებმა მას გვარის ნაცვლად ეს სიტყვა შეარქვეს. აგერ ჩვენი სამსონ ჯიმაია მოდისო, იტყვიან ხოლმე, მას რომ დაინახავენ.

ორმოცდა შეიდი წლის კაცია სამსონი. საშუალოზე ოდნავ მომაღლო, მოქნილი, გაუტეხელი. ფაჩორთან ახლო მდებარე უბნის სამუშაოთა მწარმოებელია.

შედგა ფეხი კარავში სამსონმა და ჯერ ფრიდონს დააქტერდა, მერემე როსტომს.

¹ ძაშია

მყისვე შეამჩნია, ფრიდონი რომ მთელი სხეულის ძვადაც ქლივს იკავებდა, ხოლო როსტომს გაჩეჩილ ქალარა თმაზე ტალახი შეწრობოდა და სახეზედაც მიწის ფერი ედო.

— რა მოგივიდათ, ყაცო, თქვენ? — იკითხა სამსონმა — ცხს/მს/სტს აღარ დაუცადა, — მაგრამ ანკი რა საკითხავია! ამ წყეულ აედარს კაი დღე არ დაუყენებია თქვენთვის.

სოჭვა ესა და კვლავ ნაეში ჩახტა, ულტობი აბგა წაიღო და ფრიდონს გვერდით მიუჯდა.

— ვაცოვებს, ჯიშაია?.. ნუ გეშინია, ეგ ჩვენ ყველამ უნდა გამოვცადოთ, უნდა გავკაყედეთ. ხომ გავიფონია, სხვის გაჭირვებას ის გაიგებს, ვისაც თითონაც გამოუცდილაო...

ფრიდონს ეამა ეს ამხანაგური ტონი, ეს ხმა, რომელშიაც ფრიად მახლობელი ადამიანის გული თრთოდა თითქო. ამიტომ აღარ შეჰპატივებია, სამსონმა რომ თავისი შშრალი ტყაბუჭი ჩააცვა, ჯორჯოზე დააწვინა და სასტუმოლად მუხლი დაუთმო.

— შენ ეი, ბებერო! — შესძახა მერმე გელანდიას. — რაეა ვაშტერებულხარ, მისწი ეგ მუგუზალი!

როსტომი შეერთა, ცეცხლს შეშა შეუქეთა და სამსონს თვალი აარიდა, მის აბგას დააცქერდა უნებლიედ.

— მართლა, ჯიშაია! თქვენ ხომ მშიერი ხართ! — წამოიძახა სამსონმა და აბგიდან არყით სავსე ბოთლი ამოიღო, პური, ქაღი და ყველი ამოალაგა.

— ეს გურული არაყია, ფრიდონ, მოგიხდება, პირსაც გაგიხსნის... დალიე, ნუ გეშინია! ციება წყალია, ნოყო; არაყი კი ცეცხლია, ამოაშრობს მაგ ნოყოს...

გელანდიას თვალები გაუბრწყინდა, პატარა სასმრია რომ გამოსცალა. ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქო სულ მცირე ხნის წინათ სამარეში იყო გამოღვიძებული და ენით გამოუთქმულ წამებას განიცდიდა, ახლა კი გაიხსნა ულმობლად დახშული კარი და რიყრატის იმ სხივისნობამ შეანათა, რომელიც ორმოში ეზმანებოდა...

ფრიდონმა მხოლოდ ერთი ქიქა ძლივს დალია, საქმელს კი ვერ გაეყარა, რადგან გული ერეოდა და მთელი სხეული უძაგძაგებდა.

— კარგი, ფრიდონ, საქმელი შენ ახლა მართლა არ გეჭმევა... ნუ გეშინია, აგერ ყაბალახს და ხალათს დაგაბურავ კიდევ... აბა, ერთი კიდევ დავლიოთ, როსტომ! ჩვენისთანა გამობრძმედილებს ციება რას დააკლებს! ეს კი ჯერ ნორჩია, სათუთი, თავი მაინც შევაქცევით...

სამსონი უზომოდ მთერალი იშვიათად უნახავთ, მხოლოდ ერთ-ორ ქიქას რომ გადაჰკრავდა, უნებლიედ ამვლავნებდა საუბრის ხალისსა და თავის ბუნებრივ ენამქვერობას.

ახლაც, მეორე ჭიქა რომ დაისხა, ღიმილი მოერია, დამოკნა კი არა, ერთობ მალალი გრძნობით ვამოწყვეულა ღიმილი, ადამიანის გამოცეცხვლებას რომ მეგობრული თანაზიარობის იერით მოსავს, — ჯერ ფრიდონსა და როსტომს შეავლო თვალი, მერმე კარვის ვიწრო კარსა და მორევის გასწვრივ გადაფერდებულ ხავსიან ხეებს მიაბჟორო მხარა, თითქო ქარიშხლის შემდეგ გარინდებული ტყისა და ჭაობების იღუმალ ხმაურს უგდებს ყურსო.

უცებ შეტოკდა, ფრიდონს შუბლზე ხელი დაადო და:

— არა, ყოველთვის კი ვერ იბოვის კაცი საქირო სიტყვას! აი ახლაც რალაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვერც ერთ სიტყვაში ვერ ჩაეატე — დიდი, ჯიშაია, უხარმაზარი!.. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენად გრანდიოზულია ის საქმე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უამრავმა თაობამ ვერ გააყეთა! ახლა კი აგერ შენი, ფრიდონ, შენიც ბებურო, და ჩემი თაობა აკეთებს ამ უკვდავ საქმეს!.. ჰო-და, როგორ გინდა ახლა შენ ეს რომელიმე სიტყვაში ჩაატო! სიტყვაც სამოსელია, მასაც კარგი მეთარგე უნდა, ისე უნდა გამოჰკვეთოს, ჯიშაია, რომ ოღიშის საუკეთესო ქალს აჯობოს სილამაზეში!.. შენ რა მოგივიდა, ბებურო? მოიწმინდე, თმაზე რომ ტალახი შეგვრობია! რას მიყურებ აგრე გაკვირვებული?.. ძველი მეზღვაური ხარ ხომ? ბევრი გიხეტიალნია, ალბათ, ქვეყანაზე. მაგრამ, ნუ გეშინია, არც მე ვარ შენზე ნაკლები ნათრევი. სად არ ვიყავი, სად არ ვცადე ბედი! ჩემმა მშობლებმა ჩემს გამოზრდასა და სწავლას შეაღიეს თავი — დაეჯაკედება, დიდი კაცი გახდება და გაგვაბედნიერებსო. მეც მინდოდა, რალაც დიდისათვის მიმეღწია, მაგრამ საითაც არ გავიწიე, ყველგან ფეხი წამოგვარო... ჯარშიაც ვიყავი, ომშიაც, რამდენიმე სამსახური გამოვიცვალე. არსად არ აღმოჩნდა ის დიდი, ის ნათელი და გამაბედნიერებელი რამ, რასაც ახალგაზრდობიდანვე ვეძებდი. ის კი არა, დროზე ცოლშვილსაც ვერ მოვეციდე.

სამსონს ცალყბად გაელიმა, ფრიდონს ხანგრძლივად დააცქერდა და აღერსით თავზე ხელი გადაუსვა.

— არის, ჯიშა, ერთნაირი ბუნდოვანი ოცნება, შეიპყრობს იგი კაცს და გამოაღუნჩებს... ჩემს საშველი, ალბათ, აღარ იქნებოდა, ერთ მეგობარს რომ აქეთ არ წამოგვეყვანე. ახლა უკვე მეშვიდე წელიწადია კოლხიდმშენში ვმუშაობ. ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ მშობლიურ ჭაობებში ვპოვებდი სიცოცხლის აზრს...

სამსონმა ჭიქა დასცალა, კვლავ გაავსო და გელანდიას მიაწოდა.

— ჰო-და, მოდი ახლა შენ და გამოთქვი, თუ ბიჭი ხარ, ეს ისე, რომ გასაგები და ნათელი იყოს!.. აი ამ მყრალი გუბეებით სავსე ეწერს, ამ ჩამპალ ტყებს გახედეთ! თქვენ რომ მაგისტრალურ არხს გაიყვანთ და ამ მიდამოებს ამოაშრობთ, რა იქნება მაშინ აქ?! გრეიფრუტის მეურნეობა

ხომ ნახე? საცდელ ველზე რომ უცხო მცენარეებია, ისიც ხომ გინახავს? პო-და, იმაზე უკეთესი ბალები გაშენდება აქ... ჰაი, ჰაი, ბიჭო, ძველი, გაუსწორებელი მეოცნებე ვარ და ჩემს ბედნიერებას კახუღუღუღ... რა აქვს, როდესაც აქედანვე შევხარი იმ ახალ ბალებში ფიჭუღუღუღ... ბურჯების ნაყოფს, ვინაიდან იგი ჩვენი შრომის ნაყოფიც არის და თაობიდან თაობებში გადაიტანს ჩვენს სიყვარულს და სწრაფებს სიცოცხლისადმი... აი, რა განსხვავებაა ძველ კაცსა და საბჭოთა ადამიანს შორის! რამდენი ჩემისთანა ბედის მადიებელი ჩამკვდარა სასოწარკვეთილი, გაუბედურებული, საკუთარი თავიც კი მოსძულებია, ვინაიდან რა არის კაცი თავის თავად, თუ იგი თავისი სამშობლოს განუყრელ ნაწილად არ გრძნობს თავს?.. ასეა ხომ, ფრიდონ, ჯიშაია!..

სამსონმა კვლავ თავზე მოუსვა ფრიდონს ხელი, მიეაღერსა და შემდეგ განაგრძო:

— მაგრამ მთავარი მაინც ვერ გითხარით. მაინც გამომჩნა. მე მინდოდა მეთქვა: სანამ ამ დიდი საქმის მონაწილე გავხდებოდი, სანამ საბჭოთა ადამიანად გარდავიქმნებოდი, გარეგნულად ძლიერ ვამაყობდი, ცოტათი ამპარტყვანიც ვიყავი, მაგრამ ახლა შემიძლია გამოვიტყდეთ, რომ გულის სიღრმეში სავსებით დარწმუნებული ვიყავი საკუთარ არარაობაში, სიცოცხლის უშიშროებაში. ახლა კი გამთელებული გულის ყველა ძარღვით გადავეზარდე ჩვენს სამშობლოს, მის დიდ საქმეს და აწი რალამ უნდა გამტეხოს?!

პალიასტომის მხრიდან ქარმა დაუბერა: ქოროსზე დანარცხებულ ტალღასავით აშრიალდა ქაობის ლელი და სინესტით ფოთლებდამძიმებული ტყე.

ქარავში შუაცეცხლი გიზგიზებდა. ფრიდონს მაინც აკანკალებდა, ბუნდოვანად ესმოდა სამსონის საუბარი.

უცნაურად გამოიყურებოდა როსტომ გელანდია. გამწვარი ხალათი წამოესხა და მოშლილფებულ მოქეიფესავით ეჭირა თავი. გაჩეჩილ თმაზე შემხმარი ტალახი კიდევ შერჩენოდა, ქალარა ულვაშებიც წინანდებურად ჩამოფოცხილი ჰქონდა, მაგრამ გაბრწყინებული თვალებით და ღიმილრეული სახის გამომეტყველებით ამგლავებდა, რომ უდიდესი ექსტაზით იყო შეპყრობილი.

და უეცრად მოეჩვენა შმორიან ორმოდან ამოყვანილ გელანდიას:

ფეხშიშველა დედის მხრებზე ზის პატარა როსტომი და დედის ნაამბობს გულში ინერგავს, თან ირგვლივ თვალს აცეცებს და წარუშლელად იბეჭდება მის მესხიერებაში მშობლიური მიდამოს ულამაზესი იერი... ახლაც ისეთივე უქკნობი სიცოცხლით შეიმოსა მთელი ქვეყნიერება და ამომავალი მზის სხივი წამოისხა აყვავებულმა არე-მარემ.

არა, ორი ჭიქა არაყი რომ დალია და დანაყრდა, იმით არ იყო გამოწვეული ეს აღფრთოვანება. მართალია, ექსტაზატორიდან რომ გამოიპა-

რა, მოულოდნელად ჩავარდა ვასაქირში, სიკვდილის შირადი. აქ იდგა იმ ხავსიან ორმოში, და ახლა ეს ცეცხლი და არაყი თავის თავად დიდი ნეტარება იყო, მაგრამ როსტომი გრძნობდა, რომ რაღაც მარტოოდნეობრივი და ნანატრი განცდა იბადებოდა მისი გულის სიღრმეში. ჯერ იყო და აი ეს ბიჭი, აგერ ჯორჯოზე რომ წევს და ძაგბაგებს, მიეშველა სასოწარკვეთილს და დახრჩობისაგან იხსნა. ფრიდონს ხომ თავის მტრად სთვლიდა როსტომი, აქი პირშიაც უთხრა ერთხელ როსტომმა — შენ ვინდა მე დამადგა ფეხი და ისე ახვიდე მაღლაო. და სწორედ ამ კაცმა მოსძებნა და გადაარჩინა...

მაშინ აიგზნო როსტომის არსებაში ამამაღლებელი ცეცხლი და ის ცეცხლი შემოენთო მონური ცხოვრების ეამს მასში განმტკიცებულ შეხედულებას — „ასე ყოფილა და ასე იქნებაო“.

მერმე ეს სამსონ ჯიმაია!

რა ნაცნობი, რა მახლობელი და თანაც უცხოა ეს სიტყვები! როსტომსაც თითქო შეეძლო ეთქვა რაღაც ამგვარი, მაგრამ დღემდე თითქო დამუნჯებული იყო და ახლა აეხსნა ენა. ან არა და, კარგი ხანია ისახებოდა მასში ეს გრძნობები და ახლა იბადება ის კაცური კაცი, რომელსაც სამსონმა საბჭოთა ადამიანი უწოდა.

არა, მთერალი არ იყო გელანდია, უჩვეულო განცდა იდგამდა გულში ფესვებს და მხოლოდ ამით იყო შეზარხოშებული. სულ ორიოდე საათის წინათ ამოიყვანეს იმ საზარელ ორმოდან და მარტოოდენ სამოსს როდი იშრობდა, სრულიად ახალი აზრით, ახალი მისწრაფებით იმსკვებებოდა და უკვე სიამაყესაც კი გრძნობდა, რომ ამ უმაღლეს საფეხურზე შესდგა ფეხი...

არ ეხერხებოდა როსტომს ლამაზი სიტყვა, სიყრმიდანვე არ იყო შეჩვეული, თორემ ახლა სულითა და გულით უნდოდა ეთქვა:

„მე ქაობში ვიყავი ჩაფლული, მარტოოდენ ამ ქაობში კი არა, ამ კარავს რომ არტყია ირგვლივ, — ძველი ცხოვრების დამყაყებულ ქაობში, და გამოსავალს ვერ ვხედავდი.“

ახლა თქვენ დამავლეთ ხელი და ამომიყვანეთ.

და აღიესო გული ჩემი აღმავალი თაობების სიძლიერით, რწმენითა და იმედით.

ვერავითარი პირადი სიმდიდრე და კეთილდღეობა ვერ მომანიჭებდა მე ამ აღფრთოვანებას, ვინაიდან იგი ჩემთან ერთად ვაჰქრებოდა.

ახლა კი თქვენ, აღმავალო თაობებო, შეუდრეკლად მიდიხართ წინ და ყველგან, სადაც კი ფეხს დაადგამთ, ახალი სიცოცხლის ნერგი ჰყვავის და ჰხარობს.

მეც მაქვს ჯერ კიდევ ძალი და უნარი ვიარო თქვენთან ერთად და ეს არის ჩემი დიდი ბედნიერება!

უძლეველია თქვენი რაზმები, აღმავალთა თაობებო, თქვენ ^{არაფი} და ურყევი ნაბიჯით მიიმართებით წინ და ეგების მე ^{სადმე} განაზე ჩა-
შვავრჩეთ.

არაფერია, დუხჭირი ცხოვრების ქარცეცხლში ^{გამეფიქვალა} გაბრუნდით, ხერხე-
შალი და გულმკერდი, დაადგით მას ფეხი, ნუ გეშინიათ, ვაგიძლებთ,
დაადგით და გასწით წინ! მეც ხომ თქვენთან ერთად ვივლი, აღმავალთა
თაობებო!

და მე აქედანვე შევხარო იმ ვახარებულნი ნერგების ყვავილებს, რო-
მელიც თქვენ მიერ გავლილ შორეულ გზას შეამკობს, შევხარო და ასე
შგონია, ჩემი სიყრმის უწმინდესა გრძობები თავს ევლებიან იმ ყვავი-
ლებს, თქვენ მიერ დარგულ ნერგების ყვავილებს, აღმავალთა თაობებო!..

12.

იმ ზაფხულის დანარჩენი დრო ფრიდონმა ზემო-სევანეთში გაატარა.
კარავში რომ ციებ-ციხელება განუახლდა, რამდენიმე დღეს განუწყვეტ-
ლივ სიცხე ჰქონდა, ექიმს ეჭვი შესდიოდა — ტიფი უნდა იყოსო.

სამსონმა აცნობა ჯოტოს ძმის მძიმე ავადმყოფობა და ჯოტომაც
აღარ დააყოვნა, როგორც კი სიცხემ უკლო, მაშინვე წაიყვანა შინ, რად-
გან იქ ჰაერიც უკეთესი იყო და ვერსად ისე ვერაინ ვერ მოუვლიდა,
როგორც მათი გამზრდელი და ელო.

ხოლო როდესაც ცოტათი მოიკეთა, ფრიდონმა კვლავ ექსკავატორზე
დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ დაძმამ ამისი ნება არ მისცა.

ფრიდონისათვის არც კი უთქვამს რაიმე, ისე მოიყვანა ერთ დილას
ჯოტომ ცხენები, შესვა ზედ და სევანეთისაკენ გასწიეს.

— ეს ბიჭი შენთვის ჩამიბარებია, — წამოსვლისას უთხრა ჯოტომ თა-
ვის მეგობარს ბეჭობის. — თბუთმეტ სექტემბრამდე აქედან ფეხი არ
დასძრას... ხომ იცი, მმადნაფიცის სიტყვა სიტყვაა! — ღიმილით დასძინა
ბოლოს....

სულ მალე მოიკეთა ფრიდონმა, თანდათან გაჯანსაღდა, კვლავ და-
უბრუნდა წინანდელი ელფერი, თანაც უფრო დაეაყვაცდა, უღვაშები
წამოეზარდა და მზისაგან დამწვარი სახე სრულწლოვანი ვაჟის მტკიცე
გამომეტყველებით დაუმშვენდა.

მაგრამ დადგა სექტემბერი და ფრიდონისათვის უკვე აუტანელი შეიქ-
ნა სევანეთში დარჩენა. თვალგადაუწვდენელი მთაგრებილები უღაღეს ცი-
ხის ვალაყანს დაემსგავსნენ. გონებით სჭერტდა მხოლოდ ფრიდონი,
რომ ამ პრისხანე მწვერვალებს გადაღმა არის უსაზღვროებასავეთ ფარ-
თოდ გაშლილი ქვეყნიერება, არის გულღია ველები და უნაპირო
ზღვა....

და არის კიდევ ზღვასა და ქაობს შუა ვიწრო ხოლოდ მხარული კუნძული, ძველი ფიცრული სახლი და... ნანატრი თვალებზე ოპილით გასხივოსნებული სახე ანიკოსი...

იმიტომაა, ამ დილით უსაზომო აღტაცებით რომ ვეგონებოდა ფრიდონს. გუშინ ჩამოვიდა სევანეთიდან და ახლა ოდის გვერდით ღვას გორაზე და მშობლიურ კოლხეთს გადააყურებს.

მზის ღიმლოვით დაფარვატებს გამსკვირვალე მარმაში დამცხრალი ტალღებივით ოდნავ აქოჩრილვ ვაყეს და მუქი ნისლივით მოსჩანს შორს გურჩის მთები. თვალს ვერ აწვედნეს ფრიდონი ზღვას, ამ ველებს მიღმა რომ არის ქვესკნელის ცასავით გაწოლილი, მხოლოდ მის სუნთქვას კი გრძნობს, ნიავით მონაბერს...

დიდებული იყო სევანეთი. მთათა ყვავილების სურნელებით შეზავებულმა ჰაურმა განკურნა საცხებით და აღავსო უშრეტი ძალღონით, მაგრამ ფრიდონისათვის ახლა უფრო დიდებულია ეს თვალუწვედნელი ველები. ეს გულგაშლილა, უხვი და კიდევ უფრო მეტის სიუხვიითა და მშვენიერებით ქაობებიდან ამომავალი უქცნობი მიდამო.

მზეზე მოკამკამე ცვარივით უბრწყინავს ლაქეარდისფერი თვალები და ქვევით, ქალაში გაფანტულ სოფლებში რალაცას დაეძებს...

იქ არის სადღაც მასწავლებლად ანიკო. ახლა უკვირს, რატომ არ ჰკითხა, თუ სად, ვის სახლში ცხოვრობს, მაგრამ მაშინ ისეთი გრძნობა გამოჰყვა ფრიდონს, ფითქო ამ ქვეყანაზე მათი გზები მუდამ ურთაურთისაკენ მიიშართებოდა...

ახალი ჯებირებს კალამოტში მოქცეულ მდინარეს გააყოლა თვალი და შეამჩნია, ეს პატარა ღელე რომ უკერად აღიდებულია, საცაა ჯებირებს თავს გადაეცლება.

ყოველთვის მარცხიანი იყო ეს მდინარე. სრულიად მოულოდნელად, მაისის მზიან დღეშიაც კი აღიდებდა ხოლმე. შორეულ მთებში გადაივლის კოკისპირული წვიმა, ნიაღვრები ხევში დაეშვებიან ჯა, დაბლობამდის რომ მიაღწევენ, უცებ მოედებიან ნათესებსა და სოფლებს და ყველაფერს წალეკავენ. რამდენი ოჯახი გაუბარტახებია, რამდენი ადამიანი უმსხვერპლია, რამდენი უმწუო ბავშვი გაუტაცნია ზვავეზით მომსკდარ წარღვნას...

მაგრამ ახლა ეს ონავარი მალალ ჯებირებშია მომწყვდეული და სოფლებს საფრთხე არ უნდა მოელოდეს... თუმცა ქვევით, რიონისაკენ, მარცხენა ჯებირი აქა-იქ ჯერ კიდევ დამთავრებული არ უნდა იყოს. ჯოტოს უბანია ეს და ახლაც იქ მუშაობს...

გაივლო ეს გუნებაში ფრიდონმა და აღარ დაუყოვნებია, ძმის ცხენი შეეკახმა და ქალისაკენ გაეშურა.

სოფლებში, გაღმა-გამოღმა, უკვე გავრცელდა ხმა — მდინარე აღიდდაო. ატყდა აურზაური. ზოგმა ძველი ჩვეულებისამებრ საიმედო ადგილ-

ზე გახიზენა მოაწადინა. განსაკუთრებით მარცხენა მხარეს შერაცხუნდნენ მცხოვრებლები. პირუტყვეებმა ბლავილი დაიწყეს, ძალღებმა ყველა ასტეხეს. ადამიანთა სახეზე ამოიკითხეს მათ, რომ მოდისა მხარეს მხარეს ყველაფერს ულმობელი სტიქიონი და ყველამ, ვისაც შეუძლია, ისევე სწავდა უშველოს. მხოლოდ დედა არ დაივიწყებს შვილს, თორემ დანარჩენი — ადამიანი და პირუტყვი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის გადარჩენაზე ჰფიქრობს...

ასე იყო მუდამ, როცა ეს მარცხიანი შაფი მდინარე აღიდგებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა კოლხიდმშენის ბიჭები არიან აქ და ჯოტო ესაია ხელმძღვანელობს მათ, ახლა მეტი წინდახედულებაა საჭირო და გაერთიანებული ბრძოლა მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად.

მხოლოდ-ღა მცირე გამონაკლისი არ გამსჭვალულა ამ აზრით, დიდმა უმრავლესობამ თავი მოიყარა კოლხიდმშენის მუშების გარშემო და თავდაუზოგავი გულმოდგინებით სრულდებოდა ჯოტოს ყოველი განკარგულება...

სოფლის ბოლოში, სადაც ამ მდინარეს გადასახვევი შტო ჰქონდა წინათ, დიდი მუშაობა გაიჭდა. დროზედაც მიუსწრეს. მართალია, მდინარე ჯერ კიდევ მატულობდა, მაგრამ მაინც იმედი იყო, უკვე მოსატეხ სიმინდს წალეკვისაგან გადაარჩენდნენ.

ჯოტო ესაიამ რომ აღიდებულ მდინარეს მოჰკრა პირველად თვალი, ისეთი გრძობა აღეძრა, თითქოს მის პირად მოსისხლე მტერს პირისპირ შეეხეჩა და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღებოდა.

ულმობელი მრისხანებით მოიმართებოდა ეს ძველისძველი მტერი და მარტოდნენ ჯოტოს სიცოცხლეს კი არ ემუქრებოდა, არამედ ამ სიცოცხლის მიზანს, მის სახელს, მის დიდებას. არც სხვას და არც თვითონ არასოდეს არ შეუმჩნევია, თუ ამ სამუშაოთა წარმატებამ ასე ღრმად ჩანერგა მასში ქედმაღალი სიამაყე.

აი ამ ამაღლებულ ღორსებას ემუქრებოდა ახლა ეს უცებ მოვარდნილი ნიაღვარი, მაგრამ ჯოტო არ დაიბნა, მყისვე მოისაზრა, თუ რა უნდა ემოქმინა. სასწრაფოდ ცხენი იშოვნა და თავისი უბნის მუშებსა და კოლმეურნეებს მთავარ სამუშაოსთან მოუყარა თავი. თვითონაც იქ ტრიალებდა. წელამდე წყალში შესტოპავდა ხოლმე, მაგრამ სახე მაინც ოფლით ჰქანდა შეგონილი...

ზევით, მარცხენა მხარეს, ეგულდებოდა ჯოტოს კიდევ სუსტი ადგილი და მუშათა ერთი ნაწილი იქ გაგზავნა...

არაჩვეულებრივად აღიდებულ მდინარის უკანასკნელმა მკლავებმა ტალღამდე ამ სუსტ ადგილს მიაგნო და ზვინულის ზედა, გაუმავრებელი ფენა გადაარღვია...

საოცარი სანახავე იყო: ცაზე ახლო-მახლო ერთი ღრუბელიც არა მანია ირგვლივ კი, ველზე, მაღალი სიმინდის შეყვითლებული ფოთლე-

ბა მზის მცხუნვარე სხივებში ლაპლაპებდნენ, და ამ დროს ენათესავერი ნიაღვარი, ახავთებული და უღმობელი, კოკისპირული წვიმის ქამს მოვარდნილი თქვენივით ედება ყანებს, მუხანთურად მიქრქრქრებს ნთქავეს ყველაფერს...

მხოლოდ მაღალი, წერწეტა ალვისხეები, უჩინარი ხომალდების ანძებივით მწკრივ-მწკრივად ჩარაზმულნი, დვანან ამ დაბლობში დამშვიდებული ჭირისუფლებივით...

ნიაღვარმა რომ ზვინული გადააშევა, ახლო-მახლო მყოფნი შეპკრთინენ, ერთი წამით ბუნების ძალთა მძლეობამ შებოჭა მათი ნებისყოფა. მერე უცებ მოისაზრეს, რომ მოქმედება იყო საჭირო და ყველანი ახმაურდნენ...

მცირე ხნის შემდეგ ერთი მაღალი, ფერმკრთალი ქალის შეკიელებამ ყველას ხმა დაჰფარა:

— არიქა უშველეთ, სკოლაში ბაღნებს გული გაუსკდებათ, მასწავლებელი ქალების მეტი არაეინაა იქ!..

სწორედ ეს კივილი ჩასწვდა ყურში ფრიდონს, რომელიც ის-იყო ცხენიდან გადმოხტა და დაბლობში დაქანებულ ნიაღვარს ადევნებდა თვალს.

გზაზე, ცხენს რომ აქეთ მოაქენებდა, ანიკოს სახე ედგა თვალწინ, თანაც გული ეუბნებოდა — ანიკოს რალაც საფრთხე მოეღისო. შესაძლოა, ეს მარტოოდენ ზმანება იყო, ჭაბუკის ოცნებას რომ სჩვევია ხოლმე: თვითონ მოიგონებს საშიშროებას, რათა საშუალება მიეცეს, თავდადება გამოიჩინოს და საყვარელი ადამიანი გადაარჩინოს. სხვა დროსაც მოსვლია ეს ფრიდონს, გაუტაცნია ოცნებას და სავსებით ცხადად წარმოუდგენია გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობარი... მაგრამ ახლა ხომ მართლა გაიგონა ეს საშინელი კივილი... იქ უთუოდ ანიკოა... ეს ნიაღვარიც სკოლისაკენ მიემართება...

თვითონაც არ იცოდა, საიდან მოზღვევდა ეს უცნარი გრძნობა. ერთ ცეცხლოვან განცდად ქვეული. ფრიდონი ახლა ყოვლის შემძლეა, არ არსებობს ისეთი ზღუდე, არც ალთნაკადის ტალღა, რომლის გარღვევაც მას არ შეეძლოს, ყველაფერს დასძლევს და უთუოდ მივა იქ, სადაც იმ ბავშვებსა და მასწავლებელ ქალს შინისაგან გული უსკდებათ.

ფეხსაცმელი და ხალათი გაიხადა მხოლოდ, მეტი ველარ მოასწრო, ხელები მოხდენილად აღმართა და ზარდამცეში სისწრაფით დაქანებულ მდინარეში გადაეშვა.

ვინც კი თვალი მოჰკრა, ყველას გმინვა აღმოხდა.

— დაიღუპება ეგ უბედური! — წამოიძახა ვიღაცამ.

— შეხედეთ, შეხედეთ, როგორ გადაყირავდა, მდინარემ მოიტაცა! — დაიყვირა მეორემ.

მალალმა ქალმა კი სასოწარკვეთილი ხმით შეიცხად...

იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ფრიდონი ჩანთჭა მჭეხარე ტალ-
ლამ, ფესვებგარეცხილი ძირკვი ამოტივტივდა... მაყურებლებმა კი უკვე
ჩაძირული ადამიანის ნაცვლად ამ ძირკვის მოჭკრეს თვალი, სუნთქვა შე-
ეკრათ, რადგან ასე უცებ, თვალის დახამხამებაზე გადაწყდა იმ თავზე ხელ-
აღებული ბიჭის ბედი. ყველაზე მეტად შემადრწუნებელი ის იყო, რომ აი ამ
წუთში, მათ თვალწინ მოიტატა აბობოქრებულმა მდინარემ სიციცხლით
საესე ადამიანი და მიშველება კი არ ძალუძთ. ყველანი გაშეშებულნი
იყვნენ სხვადასხვა პოზიციით: ზოგს პირი დაელო, ზოგს თმაში ჩაეგლო ხე-
ლი, ზოგი წინ გადახრილიყო, თითქო გადახტომას აპირებსო... სწორედ ამ
დროს ამოჰყვა ფრიდონი იმ ძირკვის გრძელ ფესვს და, თმა რომ შეიფერ-
თბა, მარტო მას კი არ მოუთქვამს სული, მაყურებლებმაც შვებით ამოისუნ-
თქეს. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს შვება, ფრიდონმა რატომ-
ღაც ფესვს ხელი შეუშვა და გარღვეულ ზვინულისაკენ გასცურა. აქ
კვლავ ჩაიხვია ჩქერალისებურმა ტალღამ და მაყურებლებმა გადასწყვი-
ტეს, რომ ეს მამაცი კაბუკი ბედისწერამ აოტანა და სამუდამოდ ილუბე-
ბაო...

ხოლო როდესაც ფრიდონმა ქვევით, ქალაში დამდგარ ტბორში ამო-
ყო თავი, მაშინ საერთო სიხარულით გამოწვეული ჩოჩქოლი ატყდა და
ერთმა ხანდაზმულმა კოლმეურნემ წრფელის გულით წამოიძახა:

— შეილი ვამიზრდიაო, მაგის მშობელს ეთქმის! ასეთი გაბედული
მცურავი ჩემს დღეში არ მინახავს!

— ცურვა რა შეაშია, ძამია, გულია მთავარი, გული! — შეესიტყვა მე-
ორე...

ოთხწლელი იქვე ახლოს იყო, სოფლის განაპირას. ძველი ფიცრული
შენობის წინ ორი უზარმაზარი ცაცხვი იყო ტოტებგაშლილი. ფართო
ეზოს მუდამ მოლი ამშვენებდა, მაგრამ ახლა მთელი ეს მინდორი მღვრიე,
წყლით იყო დაფარული და მოაჯირზე შეჯგუფებული ბავშვები შიშ-
ჩამდგარი თვალებით გაჰყურებდნენ უცებ მომსკდარ წარღვნას.

მასწავლებელი ქალებიც იქვე იდგნენ, ფურგამკრთალნი, გულშელო-
ნებულნი.

ფრიდონმა რომ თხრილი გადასცურა და სკოლის ეზოში ფეხზე დად-
გა, ბავშვებმა ერთხმად ყრიაბული ასტებეს.

— შეხედე! ჩვენთან მოდის! ჩვენთან მოდის! — ყვიროდნენ ისინი და
ერთმანეთს ეხვევოდნენ.

ამ ერთმა ცაცმა, ასე უშიშრად რომ გადალახა ეს ნიაღვარი და ახლა
მათკენ მიიმართებოდა, უცებ გაჰფანტა მათი გულჩახვეული შიში. ეს კა-
ცი, — ჰფიჭობდნენ ისინი, — უთუოდ ყოველის შემძლეა და აწი არავეთა-
რი საფრთხე არ მოგველისო...

მღვრიე წყლით სახედასველებული ჭაბუკის ლაყვარლისგან თვალები იცნო ანიკომ და მწვავე ერუანტელმა დაუარა, გერ გაიჩინა და შერმე, ლოყები რომ წამოეგზნო, ისეთი ტონით გაეხმაურა მთელი გული თან ამოაყოლოთ:

მ ი ნ ა რ ე

— ნენა!.. ფრიდონ!.. საიდან გაჩნდი აქ, ფრიდონ?!.

წვივებამდე წყალში ჩამდგარმა ფრიდონმა ტანზე დაიხედა და წარბები შეიკუმბნა, მხოლოდ ახლა იგრძნო უხერხულობა...

მაინც იძულებული გახდა კიბეზე შემდგარიყო და ანიკოსათვის ხელი ჩამოერთმია...

ხოლო როდესაც ანიკომ თავისი საზაფხულო პალტო მოიტანა და ფრიდონს სველ მხრებზე მოახურა, ბავშვებმა თავშეუკავებელი სიცილი ასტებეს. ან კი მათთვის იმაზე უფრო სასაცილო რა უნდა ყოფილიყო, ეს გოლიათი კაცი რომ ქალის პალტოში გაეხვია!..



მდინარე უკვე აღარ მატულობს. მალე კლებასაც იწყებს...

წყალდიდობამ მარცხენა მხარის სოფელსაც ვერ მიაყენა დიდი ზარალი. აქა-იქ ყანები წაღეკა, ზოგან სამზარეულო სახლში შეიქრა, სადაც ერთი განაპირებული, უსუსური ხბო დაიბრჩო. — ეს იყო და ეს.

ხოლო მარჯვენა, სადაც მუდამ მეტი საფრთხე მოელოდათ, დღეს, რაკი ჯებირი დამთავრებული იყო, ყველაფერი გადაარჩა, — ნათესიცა, და კარმიდამოც.

და აი ახლა, როდესაც პირველმა შინმა გაიარა და წყალიც კლებულობს, სოციალიზმის მშენებელთა ხელებით ამოკირულ ჯებირთან, კალაპოტში მომწყვედულ, ამომოქრებულ ნიაღვრის პირად, თავს იყრიან გადარჩენილი სოფლების მშრომელნი, დიდი და პატარა, ჩვილბაღნიანი ქალები და მრავალჭირნახული ქალბაი მოხუცნი...

თავისთავად, უშუალოდ მოეწყო ეს ზეიმი...

ქვევიდან ანიკო და ფრიდონი მოდიოდნენ. მათ ჯოტო მოუძღვებოდა, — ტანადი, მხრებგაშლილი ვაჟკაცი. ულტობი სამოსი აცვია, წელს ქვევით ტალახშია გასერილი, მზით დამწვარ სახეზედაც ტალახს ნაშხეფარი ემჩნევა, მაგრამ არწივისებური გამოხედვა მაინც შეენის.

პარადის მიმღებ სარდალივით მიაბიჯებს ჯებირის პირად ჩამწკრივებულ ხალხის წინ და გულის სიღრმიდან დაძრულ საამო ღიმილს ვერ იკავებს. გულთბილად, მშობლიურად ესალმებიან ჯოტოს:

- ჩვენი ჯოტო მოდის!
- ჩვენი ჯოტო!
- ჩვენს ჯოტოს გაუმარჯოს!

საპასუხოდ მაღლა აღმართავს ხოლმე ჯოტო ხელს და წაქნობ სახეებს სიყვარულით თვალს გადაავლებს...

აგერ უკვე დამთავრდა ხალხის მწკრივი და ჯოტო უკვე მშებრუნდა, ანიკოსა და ფრიდონს ღიმილით დააცქერდა, მერნე მხედველად დაჩინილ ხალხს მოაელო თვალი და უღრმესი გრძნობით სთქვა:

— აი ეს არის ყველაზე უდიდესი ჯილდო, რაც მე-ჩემს სიცოცხლეში მიმიღია!..

13.

ოდნავის შრიალით დაირკალა რიონის მღვრიე ტალღები და ახლად შეღებილი კატარლა ნაპირს მიადგა.

ჯოტო ესაიას უბნის დასათვალეიერებლად მოსული სპეციალისტები, მათ შორის ჯოტოს ახლო ნათესავი, ახალგაზრდა ინჟინერი, უკან ბრუნდებიან.

ის იყო ყველანი ჩასხდნენ და მოტორიც უკვე აჩახახდა, რომ ამ დროს ფრიდონმა და ანიკომ მიიჩინეს და ძლივს მოასწრეს კატარლაზე შეხტომა.

გულაჩქოლებული იყვნენ, სახეწამოგზნებულნი. ახალგაზრდა ინჟინერს სალაში მისცეს და ქიმის სიახლოვეს განცალკევებულად ჩამოსხდნენ. არ შეუშინევიათ, ერთმა ტანშორჩილმა სპეციალისტმა რომ მრავალმეტყველი ღიმილით მოსწყვიტა მათ თვალი და მეორეს რაღაცა გადაულაპარაკა.

კატარლა რიონის მდინარებას მიჰყვებოდა ფოთისაკენ და დიდის სისწრაფით მისრიალეზდა, ამიტომ ნაპირებზე ისედაც უღრანი ტყეების სიღრმეში თვალი ვერ ატანდა.

ანიკო კატარლისაგან დარხეული ჰაელების ლივლივს დაჰყურებდა და სდუმდა, ფრიდონსაც სიტყვა ვერ დაეძრა. ხანგამოშვებით შეაველებდნენ თვალს ურთიერთს და მარტოოდენ ღიმილით საუბრობდნენ.

წუხელის ჯოტომ რომ გადაპატივია ანიკო და ნაეხშმევს ფრიდონმა დას ჩონჯური დააკერვეინა, მაშინაც ამავე ღიმილით უხიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გულის ნადებს. ელო ნესტანის წერილს ამღვრებდა და როდესაც მიაღწია ტაეპამდე — „მზე უშენოდ ვერ იქნების“.. მაშინ გააპარა ფრიდონმა მზერა ანიკოსაკენ, და მათი სხივანთებული თვალები მყისვე დაინთქნენ იმ მზეში, ერთ არსებად იქცნენ.

ახლაც ეს უკვდავი მზე კაშკაშებს სამშობლოს მაღალ ცაზე. კოლხეთის თვალუწვდენელ ქალებშიაც ამ მზის სხივი ანთია და ჰაობების ფსკერიდან ამოაქვს ახალი, ბედნიერი ქვეყანა.

ანიკო და ფრიდონიც აქ არიან, ამ ქვეყნის გულში, და იმდენად აღსაყვანი არიან ამ სანეტარო ვანცდით, რომ მის გამოსათქმელად სიტყვა ვერ უპოვნიან.

და იქვე ახლოს მოსაუბრე სპეციალისტებს რომ სახეე არიდედენ, შარტოოდენ ღიმილთ საუბრობენ.

ფრიდონმა რამდენჯერმე იგრძნო ბუნდოვანად, ^{ქართლის სპეციალისტების} კანკარის სპეციალისტების ნაცნობმა თვალეზმა რომ შეანათეს, ანაზდად რომელიმე გელანდიას სახეე კი ეზმანა, მაგრამ იმდენად იყო შეპყრობილი სიყვარულის თვალთ-ხილული ქვეყნიერების წარმტაცი მშვენიერებით, რომ მისთვის ყურად-ღება არ მიუქცევია.

კატარღა საკოლმტაციო უბანს მიადგა. სპეციალისტები ნაპირზე გა-დავიდნენ.

— იცი, რა დიდებული საქმეა ეს? მოდი ჩვენც დავათვალეოთ? — წამოიძახა ფრიდონმა და ანიკოს ხელი ჩაავლო.

სპეციალისტებს წინ ახალგაზრდა ინჟინერი მიუძღვებოდა, — იგი ცდილობდა საქმიანი კაცის მკაცრი გამომეტყველება შეენარჩუნებია, მაგრამ სანდომიანი სახისა და დიდრონი თვალეზის კეთილი იერი უქარწყ-ლებდა ამ ცდას; კოლხეთის პერსპექტივეებზე საუბრის დროს მშრალი ციფრების მეტი რომ არაფერი მოეყვანა, მის სიტყვას მაინც ლამაზი ოცნების ელფერი გადაჰკრავდა.

გასცილდნენ რიონის ნაპირს და ლამით ამოვსებულ ნაქაობარს გაჰყ-ვნენ.

— აი ამ ჩავარდნილ ტაფობს ზომ ზედავთ, — ეუბნება ხანდაზმული სპეციალისტი სტუმარს, — აქედან ფოთამდე სულ ქაობებია. რიონიდან გამოვიყვანეთ ცხრა არხი ამ ქაობებში. რიონის წყლის ლამი ავსებს ამ ქაობს და გვადლევს 3.200 ჰექტარს უნაყოფიერეს მიწას... ჩამდენიმე წლის შემდეგ არავინ დაიჯერებს, რომ აქ გაუფალი ქაობი იყო...

თხრილს მიადგნენ და ალტაცებულ სპეციალისტს ავიწყდება თავისი ხანდაზმულობა, ახალგაზრდასავით აბიჯებს, თანაც ოხუნჯობს:

— ზომ ზედავთ, მეც შევეჩვიე აქაურ ოღრო-ჩოღროებზე ხტუნვას!.. აგერ დაიხარა, ფელამუშისფერ ლამს ხელი მოუსვა, თითებით შეზილა და სტუმარს გაუწოდა:

— აი, ახალი მიწა! მერე რა მიწა, რა სასუქი!..

წერილი, ოდნავ მოკიანე თვალეზი აქვს ამ ქალარა მეცნიერს, მაგ-რამ იქვე ახლოს ანიკოსთან ერთად მიმავლ ფრიდონს მოეჩვენა, თითქო იმ კეთილი თვალეზიდანაც სიყვარულის თვალთ ხილულმა ქვეყნიერებამ შეაშტქა.

ქალარა მეცნიერსა და სტუმარს ახალგაზრდა ინჟინერი და დანარჩენი სპეციალისტები გარს შემოეხვიენენ. ფელამუშისფერი ახალი მიწა სათი-თაოდ თითებით გასინჯეს, თითქო თვალეზს არ უჯერიან და ხელის შეხე-ბით უნდა დარწმუნდნენ მის არსებობაში.

ახალგაზრდა ინჟინერმა მკლავი გაშალა და სტუმარს ფუთისაკენ მიახედა.

— აი აქედან ყველაზე უფრო ნათლად მოსჩანს კანკინის საქმე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ...

ამ ახალგაზრდა ინჟინერის დიდრონი თვალების გამომეტყველება და საამო ხმა თავისთავად ამელავენებდა, რომ იგი მართლა უსაზომოდ დიდ საქმეზე მეტყველებდა.

— კოლხიდის ამოშრობა უძველეს დროშიაც უცდიათ, — განაგრძობდა ახალგაზრდა ინჟინერი, — მაგრამ გავიდა მრავალი საუკუნე და ჰხოლოდ ახლა ჩვენი ეპოქა სწვევტს ამ ამოცანას... თქვენ ყველას მოგვხსენებათ თქმულება ოქროს ვერძზე...

— აჰა, დაიწყო თავისი მკვერმეტყველება! — სხეების შეუმჩნეველად წასტურჩულა ტანმორჩილმა სპეციალისტმა მის გვერდით მდგომს.

— აი ეს ლამი... რაქა-ლენხუმის მიდამოებიდან მოაქვს რიონს ეს სიმდიდრე, ცხენისწყალი კი, რომელიც ყორილდაშის ყინვარდნილიდან გადმოსჩქეფს ბროლისფერ ნაკადად, ლაშხეთის მთების კალთებიდან იღებს უამრავ სასუქს, გზადაგზა კიდევ უფრო მდიდრდება და რიონს ერთვის... დღემდე ეს სიმდიდრე ამაოდ იკარგებოდა ზღვაში, ახლა კი ჩვენ მას ახალ კოლხიდას ვუღებთ საფუძვლად...

ახალგაზრდა ინჟინერს სახეზე მიმზიდველი იერი გადაეფინა და ხმას აუწია:

— იცით, ამხანაგებო, რას მოგვეცემს ჩვენ ამ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ახალი კოლხიდის ერთი მეოთხედი? 50 ათას ჰექტარ ახალ მიწას, ორ მილიარდზე მეტ ცალ მანდარინს, 235 მილიონ ცალ ლიმონს, 184 მილიონ ფორთოხალს, 200 ათას ტონაზე მეტ რამს და უამრავ სხვა სუბტროპიკულ და ევროპულ მცენარეთა ნაყოფს, რომელთა საერთო ღირებულება 700 მილიონ მანეთს აღემატება, — აი ეს არის ახალი კოლხიდის მხოლოდ ერთი მეოთხედის სრულიად რეალური წლიური შემოსავალი! ახლა ამას მიუმატეთ ახალი მოსახლეობა, ჯანსაღი და უხვი დოვლათით აღსავსე ცხოვრება, კოლხიდის ახლანდელი მოსახლეობის 80 პროცენტის მალარიიდან განთავისუფლება, ფოთის უმესანიშნავეს ნავთსადგურად და ყოველმხრივ აყვავებულ სამრეწველო ცენტრად გადაიქცევა, და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი რამ!..

ახალგაზრდა ინჟინერმა ხელები ფართოდ გაშალა და ირგვლივ მიმოიხედა, თითქო ამით უნდოდა ენიშნებინა ამხანაგებისათვის ეს უთვალავი „რამდენი რამ“, რისი გამოთქმაც მას გაუძნელდა.

უკან რომ გაბრუნდნენ, რიონის პირად, კატარლასთან ფრიდონი როსტომ გელანდიას შეეხეჩა და უნებლიედ შესდგა. წიდანაც კატარლის

სარკმელში მოჰკრა მგონი ფრიდონმა თვალი, მაგრამ ყურადღებამ არ მი-
აქცია, ახლა კი...

საკვირველია, როგორ გამოცვლილა! ტანზედაც, სულთმაც, აცვია, მხრებშიაც თითქო გამართულა და წინათ მუდამ მუწუხიანი, სახე სრულებით ახალი იერით შესცვლია. წვერი გაუპარსავს, უღვაძები შეუ-
კრეჭია და მარლ თვალეებში ჭარმაგი კაცის სიცოცხლით სახეს გამომეტ-
ყველება გამოსჰქვივის...

გელანდია ფრიდონს მიუახლოვდა და მისთვის უჩვეულო მოალერსე
ლიშილით გაუწოდა ხელი.

— ვერ მიცანი, ფრიდონ?

— კი გიცანი, ბიძია როსტომ, მაგრამ...

— მაგრამ რა? — წაეშველა როსტომი და ფრიდონს ხელი მოხვია —
გამოცვლილი ვარ ხომ? მართალია, ამას მეც კარგად ვამჩნევ... იცი, რა
მოხარული ვარ ახლა, შენ რომ შეგხვდი? შენ შეგიძლია მხოლოდ გაიგო,
თუ საიდან სად ამოვედი! თურმე, შენ ხარ ჩემი... (ძველი ჩვეულებისა-
ებრ უნდოდა ეთქვა „ბატონო“, მაგრამ სიტყვა გადაასხვავებდა) ჰო,
ფრიდონ, შეილო, თურმე ახლა ჩვენს ქვეყანაში ყოველ კაცს თავის ბედ-
ნიერება თავის ხელში ჰქონია. დაინახე ეს ამომავალ მზესავით ნათელი
ქვეყანა, გამოიჩინე შენი უნარი, არაეინ წინ არ გელომება... თავის-თავად
ხომ ივარგებ და ივარგებ და კიდევ ამ დიდი, ამ ახალი ქვეყნის შემომქმედიც
იქნები... ეს მე, ფრიდონ შეილო, მერე დავინახე, შენ რომ იმ ორმოდან
ამომიყვანე... შენ გაგაცივა მაშინ და არ გაგიგონია, რას ლაპარაკობდა
სამსონ ჯიმაია... იცი, ფრიდონ, თურმე შესაძლებელი ყოფილა ხელახლა
დაბადება, არა, დაბადება კი არა, ქვეყნიერებებს ახალი თვალით დანახვა...

გელანდია რომ ამ სიტყვებს ეუბნებოდა, ფრიდონმა რამდენჯერმე გა-
დახვდა განმარტოებით დარჩენილ ანიკოს და მხოლოდ მისთვის გასაგები
ლიშილით ანიშნა, თუ რამდენად გახარებული იყო როსტომის სიტყვებით.

— ექსკავატორზე ბიჭები როგორ არიან? ჰკითხა ბოლოს გელანდიას.

— კარგად! მუშაობაც ხევრიელი აქვთ... მხოლოდ მე ახლა ექსკა-
ვატორზე აღარ ვმუშაობ. დომენტი რუბაიამ — აქ სახელი ვატეხილი გაქე-
სო, მითხრა, და ჯერ ეს კატარლა ჩამაბარეს. არაფერია, მერე სხვა იქ-
ნება... ჩვენს ქვეყანაში, ჩემო ფრიდონ, კაცი ვარგოდეს, თორემ საქმე
და წარმატება არასოდეს არ დაილევას!

— აბა, კაპიტანო! გავსწიოთ ახლა! — წამოიძახა მოახლოვებულმა
ახალგაზრდა ინჟინერმა და როსტომს მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი.

ანიკო და ფრიდონი ხელჩაკიდებულნი ჩამოსხდნენ ჭიშხე.

კატარლა სწრაფად მისცურავდა ფოთისკენ. ზღვიდან საამო ნიავმა
დაუბერა.

აგერ ნაბადას გასწვრივ შეუხვდეს. აქედან გადაუშვებენ რიონს ნა-
ბადაში.

— აი ხედავ! ამ ექსკავატორებთან გვაქვს ჩვენ შეჯიბრება — ერთხა ფრიდონმა ანიკოს და იმ მძლავრი მანქანებისაკენ გაიშვირა ხელე, რომლებიც მდინარეს ახალ კალაპოტს უხსნიდნენ.

ფრიდონთან შეხვედრით გახარებულ როსტომ გვერდში ჩიხუყუცარი სისწრაფით მიჰყავდა კატარღა.

აი უკვე გამოჩნდა ფოთის ნავთსადგურში მდგარი ხომალდების ანძები და ცისკენ აღმართული ღარებივით დაყუდებული ელევატორები.

ზღვისაკენ გადახრილი მზის შუქი, ირსფერი ღრუბლების ნაპრალებიდან გადმოფრქვეული, თეთრად მოკამყამე სვეტივით დაეშვა მდინარეში, და მარდად შებრუნებულ კატარღისაგან დარხეულმა ტალღებმა დაარღვიეს რიონის გულჩახვეული მდუმარება.

— რა მალე მოვედით! — წასჩურჩულა ფრიდონს ანიკომ, და კვლავ მარტოოდენ ღიმილით განაგრძეს საუბარი.

უნებლიედ შეიპყრობდა ხოლმე ტასოს მარტოობის სევდიანი გრძობა, სოფლის ბოლოს, ზღვასა და ჭაობს შუა განაპირებულ სახლში რომ ხმის გამცემი ხანგრძლივად არავინ ეყოლებოდა. ნალვლიანი ფიქრები დაუჩრდილავდა ჯერ კიდევ საკმაო ელვარებით ამომავალ დღეებს სიკოცხლისას და მხოლოდ გარდასულთა სახეები ედგა თვალწინ.

აი, ახლაც საოჯახო საქმეები მოითავა, ლოგინზე ჩამოჯდა, შავი თავსაფარი მოიხადა, ქალარა თმა გაისწორა, ერთხანს თვალები გაუშტერდა, კენობაშეპარებულ სახეზე კაეშნის მწუხრი გადაეფინა და მერკე კედელზე ჩამოკიდებულ ქალ ყაბალახს მიაბყრო თვალი...

რა ბედნიერი იყვნენ მაშინ, ეფრემმა რომ ნიშანი მიუტანა, რა ღამაში და ნეტარებით სავსე იყო ეს ქვეყანა... სიღარიბემ რა უნდა დაგვაჯლოსო, — ჰფიქრობდნენ მაშინ: — გულმოდგინედ ვიმრომებთ და არ დავბეჩადებთ... მაგრამ შემდეგ აღარ გაუმართლდათ ეს იმედო, არც თავდაუზოგავმა ჯაფამ უშველათ... სიმწრით გამოზრდილი შვილები ერთიმეორეზე ჩაასვენეს საფლავეში... ბოლოს „უბედური ეფრემაცი“ გატყდა წელში და...

ცრემლით გაუბრწყინდა ტასოს ფართო თვალები, თხელი ტუჩებიც ოდნავ შეერბა..

სწორედ ამ დროს მოჰკრა ჯური ანიკოს ხმას, გაინაბა, და სიხარული-საგან შეკუმშულმა გულმა მწუხარებით გამოწვეული კურცხალი შვების ცრემლად აქცია...

— შენ გაიხარე, ნენა, ისე, რაეც ახლა შენ ჩემი გული გაახარე! — წარმოსთქვა ტასომ და სახლში მკვირცხლად შემოჰკრილ ანიკოს მოეხვია.



მერმე ცრემლი მოიწმინდა, დაყვავებით გაუღიმა და ნაწილებზე ხელი გადაუსვა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, ანიკოს რომ უკვე დაჯილდოვდა და დარჩენოდა, და თითონაც იქით მიიხედა.

ანიკომ ღიმილი თვალებში გადაამალა და ძალდატანებულად შემადლებული ხმით უთხრა ფრიდონს:

— შემოდა, ფრიდონ, რისი გერიდება!..

ტასო ჯერ ანიკოს დააცქერდა ხანგრძლივად, მერმე სახლში შემოსულ, სახეწამოვზნებულ ფრიდონს მიაპყრო სიყვარულით აღსავსე თვალები და დედის გულმა უახრა ყველაფერი. მყისვე გაშალა ხელები და ფრიდონი გულში ჩაიკრა... შემდეგ მასაც ალერსით გადაუსვა ქოჩორზე ხელი და მთლად უანგარო გრძობად ქცეული ხმით მიეფერა:

— იცოცხლეთ, შეიღებო, იბედნიერეთ... შენთვის გამომიზრდია, ნენა-შვილო, აი ციცი და აწი თქვენ იცით... თქვენ იყავით, ნენა, კარგად და მე თქვენი ბედნიერებაც მეყოფა ჯილდოთ...

ანიკოს სიცილი წასკდა და გარეთ გაიქრა. ფრიდონიც თან გაჰყვა. ზღვის ოდნავ დაჩხუვებულ ტალღებს ჩამავალი მზის ბრწყინვალეობა გადაჰფენოდა. აღმოსავლეთითაც, ვრცელ ვწერში, მონარნარე ჭაულებივით ლივლივებდა ჭაობის ლელი, და კრიალა ცის ნაკვეთივით მოსჩანდა პალიასტომის ტბა.


კავკასიონის მწვერვალებს სხივთა ნაკადი შემონთებოდა და მთელი კოლხეთი მოთინათინე შუქში გახვეულიყო.

ანიკომ ენით გამოუთქმელი ბედნიერებით ფრთაშესხმული სიცილი შეიკავა და მიახლოვებულ ფრიდონს მიმართა:

— ყველამ მიიღო ჯილდო, — გუშინ ჯოტომ, ახლა დედაჩემმა... ჩვენ, ფრიდონ?

— ჩვენი ჯილდო? — იკითხა ფრიდონმა, ირგვლივ თვალი მიმოატარა. სავსებით აყვავებული კოლხეთი მთელი თავისი მშვენიერებით წარმოესახა, მიაბლა, მარცხენა ხელი ანიკოს მოხვია და მარჯვენათი მოკიაფე შუქში გახვეული სანახები შემოხაზა:

— აი, ხომ ხედავ, როგორ ამოდის იგი ამ ჭაობებიდან?.. განა ამაზე უდიდესი ჯილდო ამ ქვეყანაში ოდესმე ვისმეს მიეღია!





სიმღერა სისოცხლეზე

გერმანიის
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აკადემიის
კორესპონდენტი

მოხუცის სიმღერაც ვარდის გულს გაშლის,
არასდროს ბერდება სიმღერა ხალხში.
მშობლიურ სიმღერას ხალხი ჰყავს მცველი,
სიმღერას ვერ ამსხვრევს სიკვდილის ხელი,
გული და სიმღერა ერთ ძმობას ჰქვნიან,
ჩვენ სიხარულისკენ რომ გვეძახიან.

საუკუნეები ილტვიან მერანით,
ხსოვნაში წარმოსდგნენ ძველი სიმღერანი...
ვხედავ — უნაპირო სიერცეში მიჰქრის,
კაიგი ასანი¹ ძიების ფიქრით;
ის, მგზავრი მარადი, შორს გაითიშა,
მის მღერას მარხავდა უდაბნოს ქვიშა.

საუკუნეები ილტვიან მერანით,
ხსოვნაში წარმოსდგნენ ძველი სიმღერანი...
კორკუტმა² ცრემლებით სამშობლოს მიწა
ეძია, ვერ ნახა, ვერც დაიფიწყა.
სადაც კი მივიდა, დაქანცულს, მარცხად,
სამარე დაუხვდა სამშობლოს ნაცვლად.

საუკუნეები ილტვიან მერანით,
ხსოვნაში წარმოსდგნენ ძველი სიმღერანი...
ნოხს ჰქსოვდა თვითმფრინავს აქ ხალხი ჩვენი,
რომ გაფრენილიყო ვით შევარდენი,
მთა ალატაუზე გაეპო თალხი...
ასე ოცნებობდა ძვირფასი ხალხი.

საუკუნეები ილტვიან მერანით,
და მახსოვს წარსულის მე მწუხარებანი...
სახეში მირტყამდა ხორშაკი ქარი,
ხმებოდა ოცნება მთლად ჩამომქენარი,
ჩემს ძვირფას მიწაზე, დაბორკილს, დაბმულს,
ნათელი სიმღერა ვერ შეთქვა ჯამბულს.

¹) ხალხის საყვარელი ლეგენდარული მომღერალი, პედის მამიებელი.

²) ლეგენდარული მომღერალი, რომელსაც სამშობლოს ნაცვლად ყველგან სამარე დაუხვდა.



ფრიალო ბილიყზე მგზავრობის დროდან,
 ბევრი რამ შემომრჩა ხსოვნაში, პო დაუწყველად
 ვხედავ — სად უფსკრულზე თრთის ღრუბლის ბოლი,
 გადაჰქუხს სიმღერა ორბივით მჭროლი,
 რაინდი ხალხისა, გამოჩნდა შოთა,
 თვისი და მყინვართა სიმაღლის ტოლი.

შვილო დიდ ქართველისა, ამაყო მნათო,
 ვხედავ, ხეობაში მიდიხარ მარტო...
 სად პირქუშ კლდეებზე მიფორთხავს ნისლი,
 სად ვეფხმა დასტოვა კვალი და სისხლი...
 ახალ მოდგმებისთვის მოგაქვს და გჯერა,
 ტრფიალო, ოცნება და ხალხის მღერა.

ვკვრიტ, იკლავებოან ხავსებში გველები,
 ვუსმენ და გრგვინავენ, შფოთვენ ჩანჩქრები...
 მისდევენ, ჩააქრონ სიცივის ქაფით,
 სიმღერა სულისა, მხურვალე, მძაფრა,
 ის ტყავში ვეფხისა სიმღერას გახვევს,
 იჩქარის, გადასცეს სიმღერა ხალხებს.

დაღლილი აქლემი ქანაობს წყნარად.
 ხრიოკში მხედარი არ მღერის, არა...
 სისხლი სწევთს ბაგეებს, თვალს — ცრემლი შფოთვის,
 კუზიან აქლემზე რომ გადამჯდარა,
 დიდი უკრაინის შევჩენკო მოდის.

საუკუნეები ილტვიან შერანით.
 აქლემის ეფენების გაისმის ეღერანი...
 ბაგენი დახშვიან მწუხარე მხედარს,
 მონობით ნაწამებ თავის ხალხს ხედავს.
 დამძიმდა სიმღერა დიდ სულის წვაში...
 ორთავა ჯოჯო კი დაფრინავს ცაში.

დაჰჭროდენ გრიგალნი ღმუილით, ქაშპით...
 ბრწყინავდა მუნღირი, ელავდა ხიშტი.
 ქარის ქვეშ გარბოდნენ ქვიშების ბორცვნი,
 ქვიშებში დაინთქა სიმღერა მგოსნის.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საუკუნეები ილტვიან მერანით...
გზაზე მოჭრილებს ურემი ვერანი:
ზედ მოჩანს პუშკინი ძველ მოსასხამით,
გაისმის ჯაგლაგთა ჭიხინ-ს ხმანი,
თავს დასტრიალებს წორნები გუნდად,
საჯიჯგნად მომღერლის გული რომ უნდათ...

და მაინც სიმღერა მიჰქროდა ურჩი,
სიმღერა ჩაეცა აბაის სულში;
და სად ებჯინება ცას ტიან-შანი,
ნისლში ტარიათა ონეგინს ხედება,
გაისმის ლექსები მშობლიურ ხმებად,
მოოჭრულ ენაზე კაზახისტანის.

საუკუნეები ილტვიან მერანით,
საყვარელ მხარეში მოდის მომღერალი...
სული ჯამბულისა ფრთებს იალმასებს,
ორბივით გაფრინდა კავკასის მთაზე,
ვინც ცრემლებს არ ღვრიდა ხანის წინ მდგარი,
ჰე, მოდის ჯამბული დიდების ქარით.

არ არის მგოსანი ვინც მშრომელ ჯარებს
სიმღერით ბრძოლისკენ ვერ დააჩქარებს,
ვინაც ვერ გაუხსნის ხალხს გოლის აარებს,
ვინაც ვერ უმღერებს სამშობლო მხარეს.

ვიმღეროთ, დე მიწა მთებიდან ბარამდი
ბრწყინაუდეს, ვით კრემლის დიდება მარადი,
ბრწყინაუდეს იმ კაცის დიდებულ სახელად,
ვინც მიწას მზიური თვალებით დახედა,
ვინც ხალხში მოჰფინა სიმღერის ფურცლები:
პუშკინი, აბაი, ტარასი, რუსთველი.

სტალინო, ხალხებს ოცნებაჲ ნათელო,
ბალებით, ხალისით მიწის მომხატველო,
სტალინო, ძვირფასო, ვერ შეგწვდეს ვერავინ,
სტალინო, ხარ ქვეყნის დიდი მომღერალი,
სტალინო, ხალხური სიმღერის მამავ,
სტალინო, ჯამბულის ძლიერო მამავ.

მთარგმნელი დავით გაჩეჩილაძე

6. ასევე

შოთა რუსთავედი

თუმც მშობლიურად დღეს გვესმის ყველას,
ხან ნაზად, ხანაც რისხვით მელერავი...
ამ შაირების იდუმალებას
ვერ ჩასწვდომია ქვეყნად ვერავინ.

გზა, დროთა ბინდში რომ დაიმარხა,
ვერ განიზომოს, შორია, ბნელი...
როგორც მის ქედზე ორბის ფრთას, მიღლა,
ვერვინ მისწვდება ამართულ ხელით.

შეკრბეს ფიქაში, რაც გრძნობით ვეითქვას,
რჩეულ ბწკარების ელვარე თაფლი,
რომ შეინახონ ისინი დიდხანს,
როგორც რუსთაველის სიმღერა მძაფრი.

მთარგმნელი დავით გაჩეჩილაძე



მიკოლა გაჟანი

თმოგვის გზა

დაღლილებს მლაშე დაგვასხა ცვარი
და შუბლზე ნელა ხაზავდა ბილიც,
როს აღიმართა მისული ცამდი
თმოგვის თემშარის წითური ჩრდილი.

ზიგზაგი ნაპრალს მიჰყვება ბრუნდეთ,
ციცაბოს ჰშეწენის წახნავი მუჭი,
მთის კრასტალებს და მწვერვალთა ბუდს,
გადამტვრეული ეცემა შუქი.

ყველგან სიჩუმე. გზის კვალმა მტკიცედ
შეძახილივით გააპო ველი.
ღუმლით ხავეჭ ქალარა სივრცე
თითქოს საშინელ სურათებს ელის.

შრიანებს ქვიშა. ბალახთა შორის
იჭლეებს უცებ გველის ხმაური,
ამოდის ქვიდან ნახშირის შმორი
და წუთებოვით მიჰქრის აღმური.

ვიწროა ხევი. აღმართის კალთა,
როგორც გრიგალი აეარდა მალლა.
მიდის სიღრმეში, გზა დაიხლართა
და გადიფარა სიჩუმის ტალღა.

და ამ ღუმილის, ფერის და მთების
დაკვარგეთ ზომა და შედარება,
მივალთ ამ გზაზე, სხოვებით ვთბებით,
მოგვდექს ლეგენდა და მღუმარება.

და თიბაზი უზარმაზარი,
გაუგონარი, უაზრო რაღაც,
უცბად გამოჩნდა რუხი მაზარით
და ზევანს ცივი მოარტყა ტალღა.



კლდის კბილანებზე, პიტალოს ხაზზე,
ველურ ტიარ თ ნაპერწყლებს ისვრის,
სუნთქავს სიბნელით და მალალ მთაზე
თეთრი ცხვარივით ბალახობს ნისლი.

ქარი ქარს მისდევს ფრთების უარფალით
და გრივალური ქსოვილი გორავს.
აი, მთას იქით, დევის ნაპრაღში,
ტიტველ კონუსად აწვდილა გორა.

მთა სჩანდა, როგორც უჩრის ნაცარი,
მამა-პაპათა რომ აღის კვამლი,
დღეს შტვრად ქცეული ციხე, ტაძარი
იყო გამტეხი ორგულთა ხმალის.

ძველი კედელი მთას უვლის წრესა,
და აღმართებზე კოშკნი აღიან
და სათოფურის უბენი დღესაც
თითქოს წარსულის ბოღმით მთერალიან.

ჯერ კიდევ ტაძარს ადგია თალი,
მაგრამ გამჭრალა ხმალი და ჯვარი,
აფეთქებული კედლები ნაღმით
ყველა ქარსთვის განხმული არი.

ვით ვეფხის ტყაეი ეანგით ნალაქი,
ზეიადი, მუნჯი, სევდებით საესე,
სჩანდა პიტალოს პეშეზე ქალაქი
და ჩალმიანი ჩაჩქანი მთაზე.

და როგორც სიკვდილს ამ ბნელ იარაბს,
თავის ქალაზე სატევრის კვალსა,
დანგრეულ ტაძარს, გამტყდარ იარაღს
თქვენ უსწორებდით, ცოცხლებო, თვალსა.

გზა უკუღმართი კლდითა და ქვიშით
 არ მიდის სადაც ველი და მზევა.
 და ვაი იმას, სიკვდილის ნიშნით
 ვინც დიდი ხანით ღალავდა მზერას.



მაშ ჩვენ ვადიდოთ ცეცხლის განგაში,
 და ვინც ცხოვრებით ცოცხალს არ აცდა,
 ვინც მოდის შრომით, მოაქვს ხალასი,
 უკვდავი სოტყვა, სიკვდილის ნაცვლად.

ჰა, მოვიხედე, მთებს მისდევს ფიქრი,
 ბილაკის ჩანჩქერს სცვივა ქვიშანი
 და იკარგება ნისლეების იქით
 უცნობის კვალი, კვალის ნიშანი.

შებრუნდა გზა და თითქოს სოტყვა: არა
 და ფრინველივით ფრთა შეაჩერა;
 და შორს დაბინდულ დაისის ვარაყს
 ადამიანის მიადგა ჩერო.

მოდის, ვინც გზები შორი ალაგმა,
 რომ მარადიულს გასცილდეს ღამეს.
 რომ შეხედეს ყველგან: სოფლად, ქალაქად
 მეგობრობას და ქვეყნის სიამეს.

თმოგვის ნაპრალთან უცებ ვიცანი,
 სადაც ელავდა კლდეების ლაქა,
 რომ მიმავალი მგზაური ის არი,
 ვინც უკვდავება დაიპყრო აქა.

როს ვაიარა, ჩვენ მაშინ მივხვდით,
 რომ ვინც ანათებს სხივით უთვლელით
 და თავს არ უბრის დროსა და სიკვდილს---
 ვინმე მესხია, გვარად რუსთველი.

მთარგმნელი მიქელ პატარძე

3. სოსიურა

რუსთაველი

გასკერ უკუნი და შემოხველ სინათლის მფენი,
შენ წარსულიდან, ვით ავრორა შექ მოხასხასე.
ოქროს ჩარჩოთი ეგ მზიური სიმღერა შენი
მოგვაქვს, გვინათებს დიდებული მომავლის გზაზე.

სად ახალ გმირთა ლაშქრობანი ლექსებში ვაქეთ;
შენი მკაფიო შაირები ეღერს ჩაუწყრალად.
ჩვენც გვიხარია, ჩემი ქვეყნის ხარ სიამაყე,
დიდ საქართველოს რუსთაველო, უკვდავო მარად.

მთარგმნელი დავით გაჩეჩილაძე





მზიურ რუსთვებს

ქართველი ქალი, მზის სხივები და მწვერვალები;
ყურძნის წვენი და განთიადი, დაისის მთვარე,
ბედნიერებით საესე სახლი, საესე თვალები,
თითქოს ოცნებას გაუშლია ეს არე-მარე.

თაფლს ეზიდება მზრუნველობით ფუტკარი სკაში,
მწვენი ამღვრებს სალამურით ჰანგებს მზიარულს,
ტკბილ საქართველოვ! იალბუხით ასულო ცაში,
გულით ვესწრადით შენთან მღერას, შენთან სიარულს.

რუსთველთან ცოცხლობს სინამდვილე და თვით ზღაპარი,
ყოველ ჭობში და მათა შორის მიმალულ ხევში;
ამაზე მღერის ანთებული ცაზე ლამპარი,
არწივის ურუნა და ტყვრებში ფოცხვერის გეში.

გმირულმა ზაღმა გაიარა მთები და ვაკე,
სამშობლოს ორგულთ დაუნდობლად ებრძოდნენ. ჰგომოდნენ,
და მოიტანა მან რუსთველის სიტყვა და საქმე
სტალინის სხივით და სახელით ანთებულ დრომდე.

გავიდა ბერი საუკუნე, წავა მრავალოც,
ისე ურყევად იდგომები ამაყო ბუდე,
და საქართველო სიმღერების გზით მიმავალი,
როგორც რუსთველი გადალახავს ყამთა სელის ზღუდეს.

მთების ზღაპარი აღურსივით არის მზიანი,
შორეთი სხივით და ბინდებით გეზბლავს ადვილად.
წავიდა ყველგან, სადაც სახლობს ადამიანი,
შოთას ზღაპარი, შოთას ფიქრი და სინამდვილე.

ქართველი ქალი, მზის სხივები და მწვერვალები,
ყურძნის წვენი და განთიადი, დაისის მთვარე,
ბედნიერებით აესებული ქვეყნის თვალები,
თითქოს ოცნებას გაუშლია ეს არე-მარე.

პირისპირ

რომანი
მეოთხე წიგნი

(დასასრული)

კვიციანი გვარამია ხტის

კორნელი ისევ უფუნებოდ შეიქნა: „ეს რა ხალხს გადავეყიდე? უხდა ჭოუსვა აქედან, თორემ იასონი, ანტუშა და ვანიკო აღარ მომეშვებიან. შინ მომაკითხავენ. მეც თუ კარისმერეთის სამიკიტნოში მათთან ერთად არღნით ქეიფი დავიწყე, ჩემი საქმე აშენდებაო“. — ფიქრობდა. მაგრამ როდესაც აღმართი აიარა, ყანის მოზიარე გლეხის ჯაჯანა მენჯავეძის ეზოს გაუსწორდა და ბაზრიდან არღნის ხმა შემოესმა, რატომღაც იამა, გულში უზილაემა ნალველმა გააკრა: რატომ ვანიკოს და ანტუშას არ დავუჯერე და მეც ამათთან ერთად დრო არ გავატარეო. ასეთის ძალით ეძახის ნაცნობი განცდა და გარემოცვა ადამიანს. შეზარბოშებული სტუდენტი უნაგირზე გასწორდა. ცხენს სადავე დაუჭირა და თოხარიკზე გადაიყვანა. თავმომწონედ და ვაეკაცურად გაიხედა ეზოსკენ, ჯაჯანა და ლუკაიას თავკაცით მიესალმა, თითქო ორლობეში ოტია მდივანი მი-აგელვებს ალიასო. მათ მიადახეს:

— კორნელი, შეგვიცადე, შეგვიცადე, ბატონო! — არ ეშვებოდნენ. ლობისაკენ წამოვიდნენ.

კორნელიმ ხელით ანიშნა: არ შემოძლიაო. მაგრამ მერე სახლის ყუ-რეში ლუკაიას ცოლი სალომე და მისი ქალი ქეთუა დაინახა. ალფირო მოზიდა და ცხენი შეაყვანა.

ლუკაია ლობეზე გადახატა. მას ჯაჯანაც მიჰყვა. ტუნძულით გაეშურ-წენ კორნელისკენ. მოლიმარი და ბედნიერი სახით გარს შემოეხვეინენ ორლობეში. შეიქმნა იმერული პატივი:



ერეკონული
ბიბლიოთეკა

— ნუ დაწიხლავ, ბატონო, ჩემ ოჯახს.
— ერთი ჭიქა ღვინო დაგვილიე.
— დამკალი და წადი...
— დედა შენს გაფიცებ...
— დანა გამომისვი ყელში და ესაა...
— გოკადრე, ჩემო ბატონო, — დაეხმარა ლუკაიას და ჯაჯანას ლობეზე გადმომდგარი სალომე.

— მობრძანდი ბატონო, — ისეთის მუდართი და სახით დაუძახა ქეთუამ კორნელის, რომ მხედრის გული გატყდა. მოაგონდა იონას ნაამბობი და ცნობისმოყვარეობამ დასძალა.

ძასპინძელმა ლუკაიამ ცხენს აღვირში წააგლო ხელი. კორნელი ცხენიდან ჩამოვიდა. გვერდში მოხუცი ჯაჯანა ამოუდგა და ასე წავიდნენ ორლობეში.

— სტუმრები გააცილე, ბატონო?

— დიას.

— რა დიდებული ხალხია! დიდი შიშინაობა ნახეს ამ თოფ-ზარბაზნების გრიალში. სულ იმ გალაქტიონის და რაქდენიას ბრალია. რამდენი ხალხი გააფუჭეს! არ დამიჯერეს, ბატონო. გოჯასპირი შენანება, ის უბედურ დღეზე გაჩენილი.

— გოჯასპირს ნუ მომაგონებ. მისმა საცოდავობამ დამწვა, — უბასუბა კორნელემ ჯაჯანას და მოჰყვა სახრჩობელის ამბავს.

ასეთი საუბრით შევიდნენ ეზოში. ჭიშკართან კორნელიმ ხელი ჩამოართვა სალომეს და ქეთუას. ქეთუას დააკეკრდა. იგი მართლაც ჰგავდა იონას, ხოლო ცხვირი როდი ჰქონდა იონასავით დიდი და ნესტოებ-დაღრენილი. ქეთუას გარდა სალომეს კიდევ ჰყავდა ორი ვაჟი. უმცროსი ჯერ კიდევ ძუძუს სწოვდა. ლუკაიამ სკამები გამოიტანა. ხელპირი დაბანინა ნაპგზავრ კორნელის და სუფთა პირსახოცზე შეამშრალეზინა.

— აგაშენა, ქეთუა, ღმერთმა, შენს ქორწილში ვიჭეიფებ, — უთხრა ფეხშიშველ გოგონას კორნელიმ ხანშესულ კაცავეთ.

— შავის ქორწილი კაი შეიღია. ვინ სულელი გაბრიყვდება და შეირთავს?

— შეირთავს კი არა, თვალი გეჭიროთ: არავინ მოგტაცოთ!

ქეთუას შაბუამ ჯაჯანამ და მამამ ლუკაიამ ხალისით ვადიხარხარეს. ქეთუას შერცხვა, ხეს ამოეფარა და იქიდან იჭვრიტბოდა. „ნუ გეშენია, აბა, ქალაქის გოგოს/კი არ შერცხვებო“, — გაიფიჭრა კორნელიმ და კაკლის ქვეშ დაჯდა.

ნიაგმა დაუბერა. აგრილდა. მზე ჩადიოდა და მისი უკანასკნელი სხივები „მკედრის მხესავით“ ანათებდნენ ჯაჯანა მენჯაეიძის პატარა და მწვანე-მოლღან ეზოში აღმართულ აღვის ხეების კენწეროვებს.

— ქეთუა! — დაუძახა შვილს სალომემ, და ამის შემდეგ ქათამების კრიახი გაისმა.

კორნელი შეერთა და ქალაქურად მიჰმართა მასკურულად.

— აბა, ეგეთები არ იყოს. დიდხანს ვერ მოვიცდი. ერთი ქიქა ღვინო მოიტანეთ. იქნებ ჩურჩხელა გაქვთ. ძალიან მიყვარს ჩვენებური ჩურჩხელა.

— ჩურჩხელა რაა, ბატონო?

— ჯანჯუხს აღმოსავლეთ საქართველოში ჩურჩხელას ეძახიან.

— ჯანჯუხი რაღა არ მაქვს, ბატონო, — უპასუხა ლუკიამ და ხის პატარა სახლში შევიდა.

ჩურჩხელა, ღვინო და ქინკილები გამოიტანა — ტაბურეტზე დააღაგა.

სახლის უკან მოდგმულ პატარა სამზადიდან ბოლი ავიარდა. სალომე სწორუბოვარი დიასახლისი იყო. საქმეს ცეცხლს უყიდებდა. სანამ კორნელი რამდენიმე ქინკილას დაღევდა, საუბარს შეჰყვებოდა და შინ წასვლას დააპირებდა, სალომემ და ქეთუამ ვახშამიცი დაამზადეს.

მაგადა მოიტანეს და ზედ შესანიშნავად ნახელავი ბადრიჯანი, წნილი, ქვინტი ყველი, ხაჭაპურები, ნიგვზითა და ძმრით შეკაზმულ წვენი, ბაეში ჩაწყობილი შემწვარი ქათამი დააღაგეს. თამადამ ჯაჯანა მენჯავიძემ კორნელის სადღეგრძელო დალია. დაილოცა, ბედნიერება უსურვა მასა და მის დედას ტერეზას. თავისი თავიც არ დაავიწყდა.

— ჩემთვის დედა შენა ტერეზა დიდი იმედია. რომ გამიქირდება, მაინც იმას უნდა მივაღვე, ხან ცხენი, ხან სიმინდი და ხან ტყეში ხის მოჭრა ეთხოვო. მაგარი ქალაა. ხელმოქერილი თუ არ იქნა, ბატონო, რას ბრძანებ: ოჯახი დაენგრევა. ესაა მხოლოდ, სანახევროდ არას გზო. არ დამითმო ქინქარული. მეოთხედიდან არ გამოეყავართ. კერკეტი ქალია, ვერ ვავტებეთ:

— მეოთხედი უნდა დაგვიტოვოს? — შეეკითხა ლუკია კორნელის და ეზო გადაღმა გადაშლილ ყანას — ქინქარულს გადახედა.

— წელსაც მეოთხედი გიწვეთ? — დაინტერესდა კორნელი, თითქო ძალიან ეპრიანებოდა ყანაზე და მოსავალზე ლაპარაკო.

— მეოთხედი, ბატონო. ახლა ამ დისაქცევმა გვალვამ დაზავრა ყანა და რაღა უნდა დაგვრჩეს? დაგვიდექი, შენ გაზრდას, ქალბატონთან მოციქულად. იქნება სანახევროდ დავითანხმოთ, — დაეღრიჯნენ ტერეზას ყანის მოზიარენი ჯაჯანა და ლუკია მენჯავიძეები კორნელის. კორნელის მოაგონდა დომენტისათვის მიცემული სიტყვა და ჯაჯანას უთხრა:

— კარგი, ვეცდები. საერთოდ ბევრ რამეზე უნდა მოველაპარაკო დედას.

— შენ იხარე, ჩემო ბატონო. შენც თუ იონასავით მოგვხედე, დიდად შეუშუბუქდება სოფელს გაქირვება. იონა გაქირვებული და დატაკო გლეხკაცის მშველელია. დადგება და მისთვის შთელ სოფელში შეწირუ.

ლებას შეკრიფავს. ზამთარში უნდა ნახო მისი სახლი: სამკობილო გვეგონება. თავს შეუყრის გოგო-ბიჭებს და წერა-კითხვას დაუწყოს. მოზრდილებს წიგნებს შეურჩევს. იქვე თავის ოთახში დააჯიხნის კაბუჭებს.

— შინ კი არავის ვაატანს წიგნს, — დაეხმარა ბიჭებს. —
— შენს შეტს, — ჩაიცინა ჯაჯანამ და კიდევ მოჰყვა სოფლისათვის იონას ჭირისუფლობაზე.

ქეთუა წარბაზიდული ისმენდა იონაზე ნაამბობს და გზაგზა ისევ შველოდა ბაბუას:

— ეზოში მაშვსაც კი არავის მოაკვლევინებს. მაშეის გალობა ჩემთვის ერთ რამეთ ღირსო.

— მის სახლში ჯერ ქათამი არ დაკლულა, ცოდვააო, — სთქვა ლუკაიამ.

— ერთხელ დედა თქვენის ეზოში ხეზე ჩამოკიდებულ ბატკანს ატყავებდა დომენტო. იონას გულისრევა აუეარდა და კინაღამ არ მოკლა. — მოიგონა სალომემ.

— წინათ ხორცს არ სჭამდა, — სთქვა ჯაჯანამ.

— ახლა ქე დაიწყო ხორცის ჭამა, — გაიცინა ლუკაიამ.

კორნელი სალომეს დააცქერდა. მერე ქეთუას შეხედა, მოეწონა. ქეთუასაც იონასავით ღიდრონი, შუქიანი და მგზნებარე თვალები ჰქონდა, თეთრი ფერხორცი. ლოყა აღისფერ ღვინოსავით აღანძული. არ ჰგავდა სალომეს, ლუკაიას მით უშეტეს. „როგორ შეინახა ამ ხალხმა ამდენხანს ეს საიდუმლო?“ — გააფიქრა კორნელიმ. ჯაჯანას შეხედა და შეკრთა: „არ შენისწინ რომ ეს საიდუმლო ვიცო“. მაგრამ ჯაჯანას თავისი დარდი აწუხებდა: ისევ სთხოვდა, სანახევროდ მიეცა დედა მისს ჭინჭარული.

სალომემ კორნელის ბავშვობა მოიგონა: ტერეზას თავის შვილებში კველაზე გამორჩეულად შენ უყვარხარო. ხელი მოხვია და თავზე აკოცა. ლუკაია დასაწყლებული და ბედნიერი თვალებით შესცქეროდა კორნელის, ჩაბალახი მოხადა. მაგიდისკენ მიიწია. წაბლისფერი წვერულვაში გაისწორა, აბედისფერი, დაკოყრილი ხელით, აიღო კულა და ჯაჯანას ჰაიწოდა: ქალბატონ ტერეზას სადღეგრძელო დალიეო. ჯაჯანა მოჰყვა ტერეზას ქებასა და ღიდებას. კულა მეორეჯერ აავსო. ახლა კორნელის მამა მოიგონა, ეჭიმი გიორგი მხეიძე:

— მამაშენს ჩემთვის და ჩემი შვილებისათვის ეჭიმობაში ფული არასდროს არ გამოურთმევა. იმისთანა ეჭიმი იმერეთში არ ყოფილა. არც ნადირობაში, ქეიფობაში და თამაშობაში ჰყავდა ტოლი. ავიც იყო და კარგიც. იონა მამაშენმა გამოზარდა. იმან შეაყვარა წიგნი და სწავლა.

კორნელის ღიღად იმა ჯაჯანას სიტყვა, რადგან მამით იმყოფდა. მანაც ჯაჯანასავით დააქცია ღვინო პურზე და ასე დასცალა კულა.

გლეხებმა უნდობლად გადახედეს კორნელის. აღარ სჯეროდათ, აზნაურის, წარჩინებული და დიდი კაცის შვილი თუ კეთილი გაზრახვით დაკლებოდა გლეხებთან პურის საჭმელად. მათ თავიანთი ცხოველებდით. სადღეგრძელოს დაღვევისას გვალვის შესახებ ჩამოაგდეს სიტყვა. შიმშილიანობასა და სძვირუბე. თუ რამ ებადა სოფელს, გვარდიელებმა გაიტაცეს. მენშევიკურმა მთავრობამ გლეხკაცობა გასწირა. მეფის დროს ისე არ გვაწოკებდნენ და გვაეწოვებდნენ მამასახლისები და ბოქაულები ბევრით, საიჯარო გადასახადით, როგორც დღევანდელი მთავრობის კომისარი და მოხელეებო. ვისაც საკუთარი პატარა ნაკვეთი მიწა შერჩა, იმასაც სული ძვრება გადასახადით და ბევრითო... მოგონებ მუხაზე ჩამოხრჩობილი ოთხმოცი წლის მოხუცი გოჯასპირი, დახვრეტილი გლეხები, დარბეული სოფლები.

კორნელიმ გაიფიქრა: სადღა თავისუფლება? წინათ გლეხი უფრო თავისუფალი იყო და უფრო ყოჩაღადაც გამოიციკრებოდაო.

ჭიშკართან კიდევ ერთხელ დალოცეს კორნელი. ამდენი ღვინო თავის დღეში არ დაუღვევია. ძლივს შეჯდა ცხენზე, შინისაკენ გაეშურა. ჯაჯანამ და ლუკაიამ კარგა დიდ მანძილზე გააცოლეს და სულ იმას ეხვეწებოდნენ: სანახევროდ დაგვითმოს ქალბატონმა ჭინჭარეულიო.

დედა და შვილი

კორნელი ღობეს მიადგა. აივანზე ლამპა ენთო. ტერეზა დომენტისთან საუბრობდა. ძალღმა გებენმა კეფა ასტეხა. დომენტიმ თავი ასწია, ჭიშკრისაკენ გაიხედა და დაიძახა:

— რომელი ხარ?

დომენტიმ იცნო მხედარი და ჭიშკარი გაუღო. კორნელიმ ცხენი ეზოში შეაჭენა. კიბეს მიაყენა. დედა მიუხვდა: კიბეზე აპრებს ცხენის ამოყვანასო და იკივლა. მაგრამ კორნელიმ მაინც აიყვანა ცხენი ქვის მაღალ კიბეზე. ძალღმა კიბეზე მამალი ინდოურივით აფორხილი და აივანზე ბაკუნით მოსეირნე ცხენი რომ დაინახა, ძალზე გაუკვირდა: აივანზე სეირნობა რა ცხენის საქმეაო. ისიც კიბეზე ავიდა. კორნელის აპხედა. თავიანთიანად გაუქნია კუდა მონა-მორჩილმა, მაგრამ ის კი ეერ მოისახრა: ცხენა ფეხში, რო პირი ვკიდო, კორნელის დაუშავდებო. ცხენმა წიხლი ჰკრა ძალღს. წიხლი ასცდა და კედელს მოხვდა. აივანზე ბრახუნი და ტერეზა-მაიკოს წივილ-კივილი გაჰმა. აგოია გამოვარდა, და მამა-შვილი აღვირში სწვდნენ ცხენს. დომენტიმ კორნელის შესძახა:

— ჩამოდი. ბოშო! ჩამოდი, მარცხი მოგივა!

მამა-შვილი აღვირით ეწეოდნენ ცხენს, მაგრამ ადგილიდან ვერასგზით ვერ დასძრეს. ან აივანზე ყოფნა მოეწონა ცხენს, ან კიბეზე ჩასვლისა ეშინოდა.

— რას დაესვი ერთ ადგილზე, შე მგელის შესუქმელო! დაიძახა დომენტიმ.

კორნელიმ ცხენს მათრახი გადაჰკრა და კიბისაკენ სტეჟდა წაწაღია. ცხენი გაჯრუტდა. ისევ გააქანა წიხლი. დარბაზის კარებს ლეწია და ფრთარი გაბზარა. მოთმანებიდან გამოსულმა ტერეზამ იყვირა:

— რას გავს ეს უსაქციელობა, კორნელი! დომენტი, ჩამოგდე ცხენიდან ეს გამოსულელებული ბიჭი!

დომენტიმ აღვირი გადასცა აგოას. ფეხსა და მკლავში წაავლო ხელი „უსაქციელო“ მხედარს, დაითრია და უზეზად შეჰყვია:

— რა ამბავია ეს, ბოშო? ეს გეკადრება ნასწავლ კაცს? ჩამოდი!

— დომენტი ხელი აიღე! როგორ მიბედავ ყვირილს? იქით! — დაიძახა კორნელიმ და ცხენი ყალყზე შეაყენა.

ტერეზამ და მაიკომ ეხლა ისეთი კივილი გააბეს, რომ მეზობლები ღობეს მოაწყდნენ. სულგანაბული უცქეროდნენ კორნელისა, რომელსაც ნელა და ფრთხილად ჩამოჰყავდა აივნიდან მაღალ კიბეზე ცხენი. კორნელიმ ასკუბა და მთვართ განათებულ ეზოში გააქენა. მერე ცაცხვის ქვეშ შეაჩერა და დომენტის უთხრა:

— შე ჩემი ზოში მოვიკალი და ახლა ჩემის ნებით ჩამოვალ ცხენიდან. აივანზე რო მეცი, რა გეგონა: მომერეოდი და ძალით ჩამომადგდები ცხენიდან? არ იფიქრო...

დომენტიმ შეინამუსა:

— ქალბატონს შეხედე, რატომ არ გეცოდება?

კორნელი ცხენიდან ჩამოხტა, დედასთან მივიდა, ხელი მოჰხვია და კიბეზე აიყვანა:

— ნუ ჯავრობ, დედა ჩემო. — ქალაქურად უთხრა: — მეც კაცი ვარ ქვეყანაზე და ქული მხურავს. გაუშვი მეც წავიქეიფო და გავინავარდო, დიდი ამბავია?

— მე არ მეგონა, თუ ასეთი ჭირვეული იყავი. ბაზარში ლოთობა, ცხენით კიბეზე პორწიალი, ყაილა და უსაქციელობა რა შენი საკადრისია? რომ არადფერი ნოდარ ყიფიანი მყავხარ! რითი განირჩევი ახლა შენ იასონ ჯანჯღავასაგან?

— იასონ ჯანჯღავას და ჯაჯანა მენყევიძის ბრალია, დედა ჩემო. არ მომეშენენ: ჩაის ჭიქები დამაყარეს. მერე რა: ნაკლებად უჯობნებით. მე კახურ ღვინოსა ვარ შეჩვეული. ქალაქელი ბიჭი გახლავარ. ღვინოში იმერლები ვერ მაჯობებენ. შენც არ მომიკვდე.

— გაუმარჯოს ლუარსაბ თათქარიძეს! — დასცინა დედამ. — ღვინით გამომწვარი და გამოკუპრულ იასონ ჯანჯღავას, ჯაჯანა და ლუკაია მენყევიძეებს როგორ ეჯობრები სმაში?! ჭკუა სად დაკარგე, შე უბედურო? მოვიდეს აქ ჯაჯანა, ის მართლა ბებერი ტურა, იმას კი ვასროლიებ კუ-

დით ქვას! პატივისცემა ჰგონია, იმ სულელს, კაცი თუ ღვინოში ჩაახრო და მოკლა.

— რა შენი საქმეა ჯაჯანასთან ღვინის სმა: შენც და შენც შენიშნა მაიკომაც.

— როგორ თუ მომკლავს? განა მთვრალი ვარ მე ეხლა? უთხარო, დომენტო, მთვრალი კაცი ცხენს კიბეზე აიყვანს და ჩაიყვანს? შე ნასვამი ვარ და არა მთვრალი. ნასვამი ვარ მართალია, მთვრალისა კი რა მოგახსენოთ.

— ვაი ჩემს უბედურ დღეს: ენას ძლივს ამოტყუებ და მთვრალი არა ვარო. მადლობა ღმერთს, ბიჭო, ნინო და მისი მშობლები აქ არ არიან. ლოთი ქმარი ვის რაათ უნდა?

— არ უნდათ და ნუ უნდათ! არ იფიქრო, ვისმე დაუჩოქო.

— კი დაუჩოქებ, შეილო, მაგრამ გვიანლა იქნება.

— რისთვისინაო? განა ცოტა ჭალია ამ ქვეყნად!

— ჭალი ბევრია, კარგი კი ცოტა.

— ნინო რა ისეთი ხეითაა? შენ მაინც არ გამოგადგება, დედა ჩემო. ისეთი უჭნარი, პროექტორის ჭალი.

კორნელიმ გაიცინა და თვალი უყო დომენტის, დედა არ დაეთანხმა:

— შენ გამოგადგეს, შეილო, და მაშინ ჩემთვისაც გამომდგარი იქნება. — ეს ისეთი გულდაწყვეტით სთქვა ტერეზამ, რომ კორნელიმ ამოიკითხა ამ სიტყვების იქით დაფარული ნამდვილი აზრი დედისა: არც ერთი რძალი არ გამომადგავო.

— დედა, აშკარად სთქვი: შენ ისეთი რძალი გინდა, კარისმერეთში მოიცადოს და დიასახლისობა გასწიოს? ვთქვათ ისეთი, როგორც ქეთუა.

— ახლა არც ქეთუა მოგიცდის. დაასრულებს სკოლას და ისიც ჭალა-ჭისკენ გასწევს.

— ვინ ქეთუა? უი, ღმერთო ნუ მომკლავ! ლუკაია მენჯავიძის შეილზე ამბობს? იგი რა შენი საქმეა, კორნელი? სიძეც ამისთანა უნდა: პატარძალი ესეცაა გააცილა და აგერ შენჯავიძის ქეთუას ეპოტინება! — გაუკვირდა მაიკოს.

— ჩინებული გოგოა. ზეპირად იცის აკაკი და ილია, ვაჟა და ბარათაშვილი, — შეაჭო კორნელიმ.

— იონას წიგნები სულ წაკითხული აქვს, — დაუმოწმა მაიკომ და ჭალბატონს შეხედა. ჭალბატონი მრისხანე სახით იჯდა.

— სახლის ყურესთან ასეთი მშვენიერი გოგონა ყოფილა და მე ვილაღ მაყაშვილებს გადავეყიდე, — გაეხუმრა დედას კორნელი.

დედამ არ მოუწონა:

— კორნელი ხუმრობასაც თავისი ადგილი აქვს. ცოლქმრობა სამასხარო საქმე არაა.



— არ ვხუმრობ, შენ არ მომიკვდე!

— მით უარესი. არ გრცხვენია შენეფიძეების ცხვირ-მოლოცულ გოგონებზე მაგას რომ ამბობ?

— შენ არ იცი, რა პირველი. განებივრებული, განბრუნებული და ცერმონიების მოყვარული ხალხია მაყაშვილები.

— ეხლა რაღა დროს მაგისი ლაპარაკია? თუ მასე იყო, რაღას ეფიცებოდი და აყვარებდი ქალს თავს? — გაუკვირდა დედას.

— მაშ თავს ზომ არ შეეძლებდი? წესია ასეთი, — აუხსნა დედას შვილმა. დედას ეწყინა შვილის უხნეო ლაპარაკი.

— ქალის შეცდენა რა საკადრისია? ორპირობა სიყვარულში ვაჯაკც არ შეშვენის. „სიტყუე და ორპირობა აუნებს ხორცსა, მერმე სულსა“ო. ზომ გახსოვს შოთას ნათქვამი! მე შენ ვერა გცნობ, შვილო, ამ საღამოს.

— გამოცანი. რას მიყურებ ვგრე გაკვირვებული? როდესაც ირგვლივ მხოლოდ სიტყუეს, ორპირობასა და ვერაგობას ზედავ, მაშინ მწელია დარჩე უმწიკლო. მე ბევრი რამ გადავაფასე. ბაშვობისას რომ გახსოვარ, ის აღარ ვარ. მერე გეტყვი ყველაფერს. მაიკო, ვახშამი გამოიტანე, კო, რა მშია...

— ჯაჯანა სწორუბოვარი მასპინძელი იყოო, აკი თქვი?

— მასპინძელი კარგი მყავდა, დედა ჩემო, მზიარული, საყვარელი სტუმარიც ვყავდი, მაგრამ რადგანაც ღვინის სმა ჩამოვარდა, — ქათმის ფრთის შეტი არაფერი მიჭამია.

— ღვინის სმის დროს არ უნდა ჭამო?

— შენც არ მომიკვდე. ოტიამ მასწავლა: ფრთა ან ბარკალის ძვალო ტყემალში, ოღნაშოს წვენში ამოაწე, ლოკე და ღვინის სმაში ვერაფერ ვაჯობებსო.

— ნამდვილია. — დაემოწმა დომენტი.

— ჭამა ღვინის სმის შემდეგ უნდა, — განაცხადა კორნელიმ.

— როგორ გამოუწვროთნია ოტიას? ნეტავი სხვა რამეს ისწავლდე და შეასრულებდე, შვილო, ასე გულმოდგინეთ.

მაიკომ ვახშამი მოიტანა: საცივი, ყველი და მჭადი. კორნელიმ დომენტი და მაიკო მოისვა გვერდით, ღვინო დაასხა: სახარჯო, ამბარებული, დაიწუნა, მაგრამ ამ შუალამეს ქვევრს შენი ვულისათვის ვერ მოვხდითო. — უთხრა დედამ. კორნელიმ ჭიქა ასწია და დაიწყო:

— ნუ მიშლი, დედა, სმას. აკი გითხარი, მთვრალი არა ვარ, ნასეამი ვარ მეთქი. ეს ღმერთმა ვაგიმარჯოს და კიდევ დიდხანს გაცოცხლოს, დედა ჩემო! — უთხრა კორნელიმ და სახე დაულოშნა. დედამ დანერწყვილი სახე მოიწმინდა ცხვირსახოცით და კორნელი გააფრთხილა:

— გახსოვდეს, შვილო, ცოლს ლოთი ჭმარი არ უყვარს.

— შთვრალი კაცი, კარგი კაცი. ვისაც ქეიფი და ღვინო უყვარს, მისი ნურადფერი გინდა. იგი საეკვო კაცია, გულჩათბობილი, ჩუმი გარაგი.

დომენტი დაემოწმა და მერე მანაც აღდგარძელა ტერეზა:

— ღმერთმა კარგათ გამყოფოს, ქალბატონო. შენი თავი ნუ მოგვიზღალოს და შენი წყალობა ნუ მოგვაცლოს.

— რა გიწყალობა დედა ჩემმა, დომენტი?

— ბევრი რამ, კორნელი, ვინ მოსთელის?

— მაინც რა? სამოსახლო მიწა? ხე-ტყის მასალა?

— დომენტი! — დაიძახა ტერეზამ, — შეილებთან ჩემზე საჩივრებს თავი გაანებეთქვა, რომ გითხარი და გაგაფრთხილე, მაინც არ იშლი? მგ ვხით უფრო მაწყენიებ და საქმეს წაიხდენ. ახლა ჯამუშობა დაიწყე? — კუნიახივით გადახედა მოჯამაგირეს ქალბატონმა და მონუსხა.

— არა, შეილებს გეფიცები... — თავს იმართლებდა შერცხვენილი დომენტი.

კორნელის ეწყინა:

— დედა, კიდევ რომ ეთქვა, მერე რა? მე ხომ შორეული არა ვარ? რა საიდუმლო უნდა გეჭონდეს შენ ჩემგან დაფარული?

— არის ოჯახში ათასი ისეთი საკითხი, რომელიც მე შემეხება, მე უნდა გადავწყვიტო და რომელშიაც სხვისი ჩარევა არაა საჭირო!

— მე სრულწლოვანი ვახლავარ, ამ ოჯახის წევრი, მონაწილე, და მამასადამე, ჩემგან დაფარული არაფერი არ შეიძლება იყოს... მე რომ მიმაღავ ბევრ რამეს, იმართმაც აენებ შენს თავს. ხალხს ეზარები. ყველას გულცივი, ხელმოჭერილი ჰგონიხარ. კაკალს ვერ გააგდებინებო, — ამბობენ.

— იმდენი კაკალი თავში გამოტეხავს ჯაჯანა მენტავიძეს, რამდენჯერ შე მისთვის დახმარება გამეწიოს! ვერც ერთი მეზობელი და მთელი ეს სოფელი რომ შეყარო, ვერც ის იტყვის ჩემზე, კრიტიკაიო. თავი რო შებას მხრებზე და სხვაზე უფრო საზრიანი ვიყო, ეს რა კრიტიკობაა?

— მართალია. ვაგიგონია, ქალბატონო! დაუდასტურა დომენტომ.

კორნელის გაუკვარდა: შეშინდა თუ თვალთმაქცობს დომენტო. გაქვავებული იჯდა ქალბატონის სუფრაზე, ჩამოხეული, ჩაბალახით თავწაკრული გლეხი და მორჩილი თვალებით შესცქეროდა ტერეზას. კორნელის შეეცოდა:

— დედა ჩემო, ხვალვე უნდა მიეცეთ დომენტის მიწის პატარა ნაკვეთი და ცოტადენი ხე-ტყე სამოსახლოდ. ნუთუ არ გეცოდება წვრილი ცოლშვილით ჩაპარკული, შენი ერთგული მეზობელი? — მოულოდნელად მიახალა კორნელიმ.

აგოიას წარბიცი არ შეურხევია, მხოლოდ თვალები უფრო მწუხარე მეტყველებით მიაპყრო მამას. მამას გულს მოეწევა.

— რაო? პირიქით. აგოია კკულით და გრძნობით სტყურობდა. — გამოეჭრა კორნელი და დაუძახა: — აგოია, მოდი აქ! — დარცხვენილი ბიჭი ადგილიდან არ იძროდა.

— აგოია აქ მოდი! — ისევ შესძახა კორნელიმ.

„მიდიო“ — შეაპარა მამა მისმა, კორნელიმ ხელი წაავლო მკლავში და ისე მავრა მოუჭირა, რომ აგოიამ ტანჯვით შესტეხა სახის კუნთები.

— შენ არ იცი, დედაჩემო, — დაიწყო კორნელიმ, — რა აღამაინა გამოვა აგოია. ისწავლის. კაცი იქნება ქვეყანაზე. შენ, ალბათ, არ ვისაუბრია აგოიასთან?

— ენა ვრძელი აქვს, ვიცი.

— გონება — მახვილი. ასე, დედაჩემო. მოიტა ხელი. ერთგულ, მოკეთე და დაცემულ ხალხს ხელი გაუწოდოთ. გაქირვებული კაცი ხეზე კი არ უნდა ჩამოახრჩო გოჯასპირივით. — კორნელიმ თვალებზე აიფარა ხელი და სთქვა: — არ მშორდება იმ უბედური მოხუცის სახე, ნეტაე არ მენახა და არ მესაუბრა მასთან.

კორნელიმ ხელი მოახვია ქანდაკივით უძრავსა და კუმტად მჯდომ დედას, შუბლზე აკოცა. ლოყა მიადო დაღუმებულ, ცივსა და დამპყნარ სახეზე: დედა არ შერხეულა და არც გამოხმაურებია. რა ფიქრთა გროვა იყო დაბუდებული მღუპარე და ხელმოჭერილი ტერეზა მხეიძის შუბლს იქით, არ იცოდა შეიღმა. მისჩერებოდა მოხუც დედას, ენას უჩლექდა და თანაც საწყენ სახელებს არქმევდა: „კუნიაზი“ და „კებრანი“ ჭალი ნუ ხარო. „უხვად ვასცემდე, ზღვასაცა შესდის და გაედინებისო“.

— თუ თავად გიჭირს, რაღა უნდა ვასცე?

— შენ ისე არ გიჭირს, ნახევარი ქცევა მიწა და ხუთი ძირი ხე რომ ვერ ვასცე.

ტერეზა შეირხა და აღელვებით დაიწყო:

— დღეს დომენტი ხვედელიძე მთხოვეს სამოსახლო ადგილს და ხეტყეს, ხვალ ჯაჯანა და ლუკაია მენეაიძეები, ზეგ მარკოზა ფაიჭიძე და ასე თუ მივეცი და ვარიგე ადგილ-მამული, ნეტაეი დედა ჩემს! გარდა ამისა, იცოდეს ყველამ, რომ იწოს ვერავის ვერ მივცემ.

— არ ვრცხვენია, ქალბატონო, ჩემი ამაგი, უანგარო სამსახური ძივიწყე, წყალში, ვადამიყარე და ჯაჯანა, ლუკაია, მარკოზაში ამსვარე?

— რა ამაგი? ტყუილა მემსახურებოდი თუ? მავისთანა ლაპარაკი იულა-დურგალს უყვარს და მეზარება. მემსახურე თუ არა, მე ვიცი, ოქროს ჯიღები დამადგი თავზე! — ჩაიჭნია ხელი ქალბატონმა და მრისხანე შუბლზე კოპები დაისვა.

— ზეარბელო რომ არ მომერწყა და ვამეთოხნა ამ ზაფხულს, მუშას შენ იშოვიდი?

— რომ ვათოხნე, იმიტომაც მიირთმევ ამ ქარვისტერს... ქათქათა კაღს.

პარიზი

— შენი ვენახი ჩემს კისერზეა. დღემუდამ შიგ ვტრიალებ და ვუვლი.

— რომ უვლი, იმიტომ მიირთმევ ჩემ ღვინოს სათრობლად.

— სტუმარი თუ არ გეყოლა ღვინოს სათრობლად შენ დააღვივებ კაცს? რა ხელმოჭერილი და ქვაწვა ქალი ხარ, არ იცი, ქალბატონო?

— შენც კაი გვარიანი ეშმაკი, ჩუმი-ვერაგი, ქვებუდანი ყაზახი ზრძანდები, ჩემო დომენტი.

ასეთ კინკლაობაში გადავიდა ქალბატონისა და მოჯამავირის საუბარი. კორნელიმ ვერ გასტეხა ხელმოჭერილი, „ქვაწვა ქალი“. წამოდგა. ჩაის ჭიქაში ჩაასხა ღვინო და ასე დაიწყო:

— მე შენი შვილი აღარა ვარ. ვათაედა, დედა ჩემო. ხელზე წავალ, დავტოვებ აჭაურობას და მერე აქ ფეხდადგმულს ვერ მიხილავ. ჩაიტანე საფლავში შენი ეზო-გარემო. მე ნემსის საღირალიც არა მსურს. ეს ჩვენი გაყრისა იყოს, — სთქვა კორნელიმ, ჩაის ჭიქა გადაჰკრა და ეზოში გავიდა.

ცაცხვის ქვეშ წამოწვა. გვერდზე ძალღი გებენი შიუწვა, შიუალერსა. კორნელიმ თავზე ხელი გადაუსვა, ჭკვიან, მონა-მოარჩილ თვალეშში ჩაჰხედა და ასეთი საუბარი გაუმართა:

— ეხ, ჩემო გებენ, ბევრი რამ არის საიდუმლო ამ ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმარშიც არ დასაზმრებიათ. — ძალღმა თავისი სახელი რომ გაიგონა, თანხმობის ნიშნად მაგრა დაუწყო რიკივით გრძელი კუდის ცემა მიწას. — შენ ლეკვებს გადაჰყრიან, მოჰკლავენ, შენ კი მაინც უნდა ლოკო იმ ვერაგი პატრონის ხელი, ფეხქვეშ გაეგო, მის სახლკარს უნდა იცადდე, რომ ერთი ლუკმა საქმელი წამოგიგდოს, ბევრად გჯობია ნადირი-მტაცებელი.

ძალღმა კალთაში ჩაუდო თავი და წამუტუნე დაიწყო, თითქო ტირის და თავის ძალღურ ცხოვრებაზე შესჩივისო.

აივანზე ტერეზა ელაბარაკებოდა დომენტის, ჰკიცხავდა, ჭკუაზე არიგებდა:

— კორნელი მამა მის ჰგავს. ხათრიანი და ხელგაშლილია, ყველა თავზე დააჯდება. შენ მაგის გულკეთილობით გინდა ისარგებლო. მე ჩემ ქმარს და შვილებს რომ ავეყოლოდი, ჩემო დომენტი, ახლა მათხოვარით ქაჩა-ჭუჩა ვიქნებოდი ალოღებული და სხვის კარზე მისული.

— ნახევარი ქვევა მიწა და ხუთი მუხა რომ მიწყალობო, ეს შენ, ქალბატონო, რავე დაგაქცევს?

— წადი აქედან, რას მომჩერებიხარ პირში! — შერისხა ავლი ტერეზამ.

შეურაცყოფილმა ყმაწვილმა პირველად შეუბრუნა კიტიკა ქალბატონს, ნელა ჩაივსო კიბეზე და კორნელისთან მივიდა. კორნელის კრახი კიტიკის ზურგზე დაედო. ავლიამ უღიმღამოდ გაიცივნა და გვერდით მიუჯდა მათ.

მთვარე მთა-შუბანის თავზე დამდგარიყო. სოფლის მყუდროებას მღინარის გრიალი არღვევდა. კორნელის ხაზა და ტუჩები გამშრალი ჰქონდა. ავლია მდუმარედ შესცქეროდა კორნელის. ჩვეულებისამებრ არ იღიმებოდა და არც ცელქობდა. ღმობიერი თვალებით მისჩერებოდა კორნელის და ვერ მოეხერხებინა ეთქვა მადლობა მამის მავიერ. კორნელის გაუცქირდა და შეეკითხა:

— რა მოგივიდა, ავლია, ხომ არ მიგპერტყეს?

ავლიამ ღიმილით გაიჭნია თავი.

— აბა, რაზე დაღონებულხარ?

ავლია კორნელის მიუახლოვდა. გებენს დაძვინდა და ისევ გაეცივნა ცოტა ხნის შემდეგ, შორაპნის სადგურიდან ორთქლმავლის კივილი მოისმა. ავლიამ კორნელის ჰკითხა:

— კორნელი, რა ძალა აქვს იმისთანა ორთქლმავალს, ამტონი ვაგონები რომ მიყავს და მიაქროლებს?

კორნელის თავის ტკივილი აწუხებდა და უხალისოდ უპასუხა:

— რა დროს ორთქლმავალია ამ შუალამეზე?

ავლია ისეთი ცნობისმოყვარე თვალებით დააცქერდა, რომ კორნელიმ უამბო პაპინის ქვაბისა და შეკუმშული ორთქლის თვისების შესახებ.

— ქალაქამდე რამდენი ვერსი იქნება რკინიგზით?

— ორასი იქნება.

— აუ! რამდენ საათში გადის ამ გზას?

— თუ არაფერიმე შეუშალა ხელი, ხუთ საათშიც გაივლის.

— აუ! — ისევ დაიძახა ყმაწვილმა. — საათში ორმოც ვერსს განავალა! კი მატარებელი ცხენიც ვერ დაეწევა, ალბათ.

— სწორია, — მოუწონა ანგარიში კორნელიმ და საფეთქლები მოისრისა.

— წამიყვანე, კორნელი ქალაქში, დეოდა ელენეს, ევგენის ან ქალბატონ ვარდოს ვეზახურები. მითხრა, ჩამოდიო.

კორნელი დახმარებას შეჰპირდა, გაზურგებულ ტუჩებზე უნერწყვო, გამშრალი ენა მოივლო და ავლიას ცივი წყალი მოატანინა. ტერეზას შეეშინდა, ეზოში დაცვარულ ბალახზე წამოწოლილი შვილი რო ნახა — არ გაციედესო, და შეეხვეწა ამდგარიყო:

— რაა ამ გასვრილ ძალს რო ჩახუტებიხარ, რწყილებს დაგასევს.

— ეს ძალღიმი მირჩევინია მე ზოგიერთ ადამიანს.

— მამაშენიც მასე ყველაფერში ახირებული კაცი იყო და შეილებიც დმას დაემსგავსენ.

— მამაჩემი არ იყო ცუდი კაცი.

— ცუდა არ იყო, მაგრამ უხეირო, უანგარიშო და უჩვეულო კაცი იყო ის საცოდავი. სხვას იმდონი ცოდნა და ნიჭი რომ ჰქონებოდა, სოფელში კი არ დარჩებოდა და დაობდებოდა, პროფესორი გახდებოდა და ტფილისში იცხოვრებდა.

— მართალია, კარიერის მოყვარული კაცი არ იყო.

— რა საქმესაც მოჰქვია ხელს იმ საქმეში უნდა ივარგო და დაწინაურდე.

— უკეთესი ექიმი იმერეთში არ ყოფილა.

— ფულს ნახევარზე მეტს ჰაციენტს არ აართმევდა და მუდამ უფულოდ ვიყავით.

— ფულია შენთვის კერპი, სალოცავი, ფული — სათავე ყოველგვარი უბედურებისა. შოთა ამასაც ამბობს: „მნახე, თუ ოქრო რასა იქს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“.

— აბა, გადიკიდე ჩანთა და იარე მათხოვარივით... ადექი კორნელი, შენ ახლა მთვრალი ხარ და ხვალე მოგელაპარაკებ.

— ხვალე მე შენ აქ ვეღარ მნახავ.

— კორნელი, რაა ეს უსაქციელობა? რა მოხდა?

— შენ ერთად-ერთი ჩემი თხოვნა არ შეასრულე. მე ხალხის იმდენი ვაპირებ, ტანჯვა და წამება ვნახე, რომ აღარ მსურს წილი მედოს სხვის უბედურებაში. მე არაფერი აღარ მინდა შენი. ვტოვებ იონასავით ამ სახლკარს.

გაოცებულმა დედამ კორნელის გადახედა და გაიფიქრა: იონას გადაუბრუნებია, იმ უსახლკაროს და უქნარსო. გულზე ცეცხლი წაეკიდა.

— არასოდეს თქვენ არ გესმოდათ ჩემი ნამდვილი გულისთქმა. არც ჩემიანებს, ნათესავებს, და არც სხვებს. ყველანი მიუჯარებელ, გულცივ და ახირებულ აღამიანად მსახავენ, მაშინ, როდესაც ჩემი გრძნობა მთელ ამ ქვეყანას ვასწვდებ. არასოდეს მე არ მიგვრძენია ისეთი მარტოობა, როგორც ამ უკანასკნელ ვაშს. არც შენ, არც ნინომ და ვინმემ სხვამ იცის ჩემი გულისთქმა. რა მაწუხებს, რა მალეღვებს და რა შეადგენს ჩემს საფიქრალ საგანს...

— მითხარი, შეილო, რა გაწუხებს? მე ხომ დედა ვარ, ჩემზე უფრო ვინ გაგიგებს? — მიუჯდა ახლოს დედა.

კორნელიმ ცას გაშხედა. ვარსკვლავს მიაჩერდა და ნაღვლიანად წარმოსთქვა:

— „ოღონდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“. ამ საიდუმლოს მე აღბათ საფლავში ჩავიტან.

დედამ თვალზე ცრემლი შენიშნა და შემოთოდა:

- რა საიდუმლოა, რა გაწუხებს, შვილო, მითხარო, ნუ მტრად მჯავს!
- მე მწყურია ზნეობრივი განწყობენდა. ახალი ცხოვრება ვერ შენ მიეცი დომენტის, რასაც გთხოვს, და მერე გატყვევო. ეტყინესული
- მივცემ, ნუ მომკალი, შვილო, მივცემ, — უბრალოდ: მომეცე ხელად გაუძლო უცნაურად გაბრწყინებულ თვალებს შვილისას და თავი ჩაჰკიდა.

ჭუთაისში

რამდენიმე დღის შემდეგ კორნელი ქუთაისში ჩავიდა. მისი შვებულება ვადაგასული იყო და ტფილისში დეზერტირად გამოაცხადებდნენ, სათანადო სამუთო რომ არ ჩაეტანა.

კორნელის ძმამ სტეფანემ თავისი მეგობარი ექიმი როდიონ თოფურაძე ინახულა და მას სთხოვა კორნელის განთავისუფლება ჯარიდან. როდიონმა უთხრა: სამხედრო საავადმყოფოში დავაწვინოთ ორი-სამი დღით, იქიდან კომისიაში გავატარებთ და უთუოდ გავანთავისუფლებთო, კორნელიმ გადასწყვიტა სამი დღის შემდეგ საავადმყოფოში დაწოლა.

სალამოს კოსტუმი ჩაიცვა და ქალაქის ბაღისაკენ წავიდა. თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, გზაზე უბელო და გაღანულ ცხენებზე გადამსხდარი ჯარისკაცები დაეწინ. კორნელიმ იცნო ხიდაშელის ბატარეის ჯარისკაცთა შორის რამდენიმე ამხანაგი—სტუდენტი, მეწინავე მხედარმა, მალალმა და ახოვანმა ჭაბუკმა, მიხა მაკეფარიანმა ცხენი შეაყენა და კორნელის ხელი ჩამოართვა. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მიხამ უთხრა:

— ქალაქის ბაღთან ისეირნე, ცხენებს ყაზარმაში მივიყვან და შეც მალე მოვალ.

ჯარისკაცებმა გზიდან გადაუხვიეს და ცხენები რიონისკენ წაიყვანეს. კორნელი თეთრ ხიდზე შეჩერდა. მოაჯირს მოაწვა და რიონს გაჰხედა. ცოტა ხნის შემდეგ მიხამ და მისმა ამხანაგებმა ცხენები მდინარეში შეიყვანეს. წყალი შეასვეს, დაარწყულეს და მერე ბანა დაუწყეს. კორნელის ტფილისი მოაგონდა, საბურთალოდან რომ მიჰყავდათ ცხენები მტკვარზე საბანაოდ. ყაზარმა, თავლა, ჯარში სამსახური კარვა ხანია წარსულს ჩაბაბრა კორნელიმ და ეხლა უკვირდა, თეთრ ლოდებთან სიბზე შემდგარი, დაკარწახებული სტუდენტები რომ ამხანაგებდნენ ბატარეის ცხენებს.

მზე ჩადიოდა. რიონის მარცხენა ნაპირზე კობტად ვადმომდგარ სახლების ფანჯრებს ცეცხლს უკიდებდა. უკანასკნელი სხრები ეცემოდნენ მთის თხემზე დარჩენილ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს და გაბაშვილის გორაზე აღმართულ ხეთა კენწერობებს. რიონის ნაპირთან, ვაკეთა გიმნაზიის ეზოში, ტოტებდაგრავნილი, ასწლოვანი ქანდარი იდგა გოლიათით. მის ჩრდილ ქვეშ უყვარდა დასვენება და რიონის ნიავით შუბლის გაგრილება სოლომონ მეფესო, — გაუგონია კორნელის. ეხლა მის ძირად

გერმანელი ჯარისკაცები ირეოდნენ და სამხედრო სიმღერას ამბობდნენ, რომელსაც ლოდებზე მარბენალი რიონის ფაფარაყრილ ტაღლათა გრიბლი ფარავდა.

ჭუთაისში ჯერ კიდევ ცხელოდა. ხალხი თეთრ ხრტალს უტანდათ და გასაგრილებლად. რიონზე ვადმომდგარი რესტორანის „იალტის“ აივანზე ყველა მაგიდა ჭუთაისელებს დაეჭირათ, ლბიძის ლიმონის წყალს მიირთმევდნენ, ცივსა და საამოს.

კორნელი კარგა ხანს იღვა თეთრ ხიდზე. ვერა ძღებოდა „სავარდო და წამაისო“ ჭუთაისის მშვენიერებით და რატომღაც მსცოვანი პოეტის აკაკის ლამაზი, მოლიმარი და ქალარა სახე ავონდებოდა.

ეს მოგონება წაუშალეს „კასკებით“, ჩაჩქნებით თავდახურულმა და შუბებით შეიარაღებულმა გერმანელმა ცხენოსნებმა. რაზმი ხიდზე გავიდა. „ას წელზე მეტ ხანს თელავდა მეფის რუსეთი და მისი ჯარი საქართველოს, ნუთუ ახლა, რევოლუციის შემდეგ, გერმანიის ახალშენად უნდა ვიქცეთ? მართლაც, რა მიიღო დამოუკიდებლობის შედეგად საქართველომ: თავისუფლება თუ ოკუპაცია?“ — შეეკვდა კორნელი და საამო სალამო ჩაეშაბა. თვალი გააყოლა რიონიდან აღმართით მიმავალ ქართველ მხედართა ჯახრაკა ცხენებს და მერე ჩაჩქნებით თავდახურულ, შუბიანი დრაგუნების გავაჩასქელებულ ცხენებს.

ქართველმა მხედრებმა საავადმყოფოს გაუარეს. სამხედრო საავადმყოფოს ქვითკირის მაღალი ყორე ერტყა ვალაენივით და ეზოში, თეთრად შეღებილი ერთსართულიანი შენობების გვერდით, პატარა ეკლესია იყო აღმართული, ხახვისმაგვარი გუმბათით შემკობილი. აი, ამ საავადმყოფოში უნდა დაწოლილიყო კორნელი ეჭიმთა კომისიაში გამოცხადების წინ. მოაგონდა ბინძური ლოგინი, ნარძის საცვლები, შავი პური, ჩაი და შაქრის ნაცვლად მლაშე „სახარინი“, უყურადღებოდ მიტოვებული, სნეული ჯარისკაცების ტანჯვა-წამება და ტანთ ვააერცოლა. „ნეტავი არ დამაწვენდნენ იმ საავადმყოფოში და ისე მომცემდნენ შვებულების ვაგორძელებას ან ჯარიდან განთავისუფლების ქალაღს“, — გააფიქრა კორნელი.

ნფლის ნაბიჯით გაუღვა გზას. ჯერ ხიდზე არც კი იყო გასული, რომ რესტორანის დარბაზში სამჯერ გაისროლა ვილაყამ რევოლვერი. რესტორანის „იალტის“ დარბაზიდან და აიენიდან გამოქცეული ხალხი წივილკივილით გამოვარდა ქუჩაში.

— რა ამბავია?

— ნოდარ ყიფიანმა კაცი მოკლა.

— ვინ მოკლა ყიფიანმა?

— ოფიცერი კლემენტი ჩიჩუა.

რისთვის მოკლა ჩიჩუა ყიფიანმა, ვერ გაიგო კორნელიმ. ბოლოს ქუჩაში გამოვიდა თვით ნოდარ ყიფიანი. მაღალი, მხარბეჭიანი და წითური

ვაჯაკია ეღალი ჩოხა ეცვა. უკან მეგობრები მოჰყვებოდნენ ოციურება და ჩოხიანი თავადები. ნოდარს წელზე მუხური ეკიდა და მუდრდღრად იცქირებოდა. მილიცია, პატრული და კომენდანტი, უკვე ვერ ბედავდა მის დაპატიმრებას, სანამ გარნიზონის უფროსი ვაჭყალიყუმბათაშვილი არ მოვიდა. დაბალი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანიანი და ბრვე მოხუცი ეტლიდან ჩამოვიდა. ნოდართან მივიდა, ცისვერი თავლები შეანათა და უთხრა:

— კორნეტ, გამომყევით!.. — მერე გენერალმა ხმას დაუწია და შეეხვეწა: — წამომყევით, მიაბნეთ, რა მოხდა? ხომ იცით, მე თქვენ არ დავლუპავთ!

ნოდარი და ორი მისი ამხანაგი ეტლში ჩაუსხდნენ გენერალ სუმბათაშვილს და ასე გაჰყვნენ შტაბისაკენ.

მეორე დღეს კორნეტი ნოდარ ყიფიანი ისევ არხეინად დასეირნობდა ბაღის წინ თავად-აზნაურებთან ერთად. ხალხი ამბობდა:

— ეს მეოთხე კაცი მოკლა ყიფიანმა. ნიკოლოზის მთავრობამ ვერაფერი მოუხერხა და ქორდანიას მთავრობა რას დააჯლებს?

საკმარისი იყო არ მოსვლოდა ვინმე თვალში შეზარხოშებულ ყიფიანს და იგი მაშინვე გააჩურებდა, აბტუნებდა, ბტუნვის დროს ფეხებში ტყვიებს დააყრიდა ან ხმლით ყურს ჩამოაყლიდა. მერე პანდურს ამოჰკრავდა და გაისტუმრებდა. ამიტომ მოჩხუბარი ბიჭებმ ხშირად ეტყოდნენ ხოლმე ერთმანეთს:

→ მომწყდი თავიდან, თორემ ნოდარ ყიფიანივით გაბტუნებ.

რა ვაჯაკობა ან რა ქინის მოკვლა იყო ეს, კორნელიმ ვერ გაიგო. ხოლო ნოდარის მეგობარ ოციურებს და თავადებს ძალიან მოსწონდათ მისი ასეთი საქციელი და დიდხანს ხარხარებდნენ ამის გამო ქუთაისის ბაღთან.

— სიგივე თერთმეტნაირაო, ამბობს საბა-სულხანი: შმაგი, ხელი, სულელი, ცოფი და სხვა, — უპასუხა კორნელიმ ამხანაგს მიხა მაჭავარიანს, როდესაც ყიფიანის ოინები გაიგო.

კლიმენტი ჩიჩუას გვამი წაიღეს და ცნობისმოყვარე ხალხიც წავიღწამოვიდა.

ვათა გომნაზიის ალყაფის კარებთან მეხილეებისა და მიკიტების ბიჭები. ქუთაისელი ნოქრები გერმანელ ჯარისკაცებს ფერადი საღებავით აჭრულებულ კონსურვებს, წვევზე დასახვევ პამაშებს ართმევდნენ და ევაჭრებოდნენ. ნოქრები გომნაზიელებს ებეწებოდნენ:

— შეეკითხეთ რა ღირს.

და გომნაზიელები გერმანულად ამტყრევდნენ:

— ვიფიელ კოსტეტ?¹

¹ რა ღირს?

ფეხმოჭყეული და ჯუჯა გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც შესაძლოა, აფრიკაში ყოფილა, ზანგები იაფფასიან ბრჭყეილა შეღებილი ქვებით, ქიქებითა და რკინის ყუთებით განუცვიფრებდა და მოუჯადოებდა, არ უწყვიდა, რომ კულტურულ ქვეყანაში და ხალხში უნდა გვემოცა, ეშმაკურად იღიმებოდა და ვაჭრობის დროს თითებს იშველიებდა.

ამ დროს კორნელის დაეწიენ ოფიცერივით გამოპრანჭული მიხა მავარიანი და ქუთაისის ვაჭრის შვილი, სტუდენტი კოტე ადვიშვილი. მიხას ტფილისის ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. მერე მხატვრობა დაიწყო. ახირებულ და საინტერესო კაცად სთვლიდნენ ნაცრობი ქალები და ამიტომაც გაჰყვა მას ცოლად ნინოს ბიძაშვილი ელო. საუბარი მაყაშვილებზე ჩამოაგდო. მიხა მოქეფე, ჭალთა მადეგარი და მურღალი ენის პატრონი ჯაბუკი იყო. კორნელის თვალი უყო და შეეკითხა:

— ნინოსთვის წესი ზომ არ ავიგია, შე პირძაღლო?

— რას ამბობ? — იწყინა კორნელიმ.

— ხელი აიღე! მე ვიცი, მამა აბრამის ბატყანი მყევხარ! — მიხას არ სწამდა არც თავისი და არც სხვისი წმინდანობა. ამიტომ შეაჩერა კორნელი და განაჯრძო: — მე რომ ელო არ შემერთო უთუოდ ნინოს ჩაეჭიდებდი ხელს.

— ნინო ადვილად არ ჩააქედინებს მამაკაცს ხელს. — გაბრაზდა კორნელი, მაგრამ მიხა მინც არ დაერიდა:

— ნინოში ვაცოლებით მეტი ჭალობა იგრძნობა, ვიდრე ელოში. შენშიმე, როგორი პაწია, შავი უღვაშები აქვს?

— მერე რა?

— უღვაშები ვნებიანობის ნიშანია. ო, რა ვნებიანი იქნება! — გააქნია მიხამ თავი და თვალეზ ნეტარებით მიპლულა.

— დაანებე თავი ნინოს! სხვა საღაბარაყო ვერაფერი გამოძებნე?

— კარგია ერთი, ნუ ცხარობ. განა ნინოს ვაძაგებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ზნეობადაცული ქალია. მეტსაც ვეტყვი: სიტყვას ვიძლევი, რომ ხელუხლებელია.

— დარწმუნებული ვარ! — უპასუხა კორნელიმ.

მიხამ მხარი დააჯახა და უთხრა:

— ვაი შენს ტყავს!

აბეზარი ამხანაგის საქციელმა გააცინა კორნელი. მიხამ ამით ისარგებლა, შეაჩერდა და საიდუმლო გაუმხილა:

— იცით, ბიჭებო, მე ხელუხლებელ გოგოებს როსკიპები მირჩევნია. ისეთები შეგხვდება მათში, რო ფა, ფა, ფა!

— ისეთებიც შეგხვდებიან, რო დაბადების დღეს დაგაწყველინებენ, — შენიშნა ადვიშვილმა. გაფანჩულ წარბებზე ქუდი ჩამოიფხატა, თავი მოიჭექა, გაიღიმა და გიშერივით შავი თვალეზი მიაპყრო მიხას.

— მგლების თუ გეშინია, ტყეში ნუ შეხვალა, ზომ ვაგიგონია რუსული ანდაზა? კორნელო, გინდა ცირკში წავიდეთ? ცირკის ქალებს გა-

გაცნობ. ნახე როგორებიცაა. ფული შევავაროვით და ვივაროვით. წამოდი! — არ ეშვებოდა მიხა კორნელის.

— ქუთაისის ცირკი რა სანახევია! ბაღში გავისვენებთ მშვენიერად. მერე თუ გინდათ, ვივაროვით.

— თაუი გაანებე ამ ბაღს! ქუთაისის ბულვარდში (დაცინავით უთხრა ეს სიტყვა მიხამ კორნელის) რა ყრია? ჯარ-ჯარად დადიან მოწაფეები და სუხარს ახმობენ. სხვა არაფერი. აბა, შეხედე!

მართლაც, ჯარ-ჯარად მოსეირნე ახალგაზრდობა ბაღის ირვვლივ ტროტუარს უფრო ეტანებოდა, ერთმანეთში ირვოდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, ყვიროდა, იცინოდა და ისე ხმურობდა, თითქო ბაღი სკააო, ფუტკარი შიგ ვერ ეტყევა; ათასობით გამოსულა, სკას გარს დაჰხვევია და გუგუნებსო.

დაღამდა. სანათურები მხოლოდ აქა-იქ ბეუტაედნენ. სიბნელეში მოსეირნე ბიჭები ეხლა დაურიდებლად ვადადიოდნენ შეტყეაზე და აქა-იქ გაისმოდა გათამამებული კაველარების მიერ შეწყუხებული გოგოების კივილი და გინება.

თეთრ ხიდიდან კორნელიმ ერთხელ კიდევ გადახედა ადრე ჩაძინებულ ბნელ ქუჩებს და მთებზე ჩაბუდრულ პატარა ქალაქს. მხოლოდ ქალაქს ბოლოს მოსჩანდა ალისფერი ცა, მასზე ახატული გაბაშულის გორა და გორიდან აღმართული ცაცხვები. რიონის გრაიალში ძლივს მოისმოდა ტუვებიან ნაპირიდან ძაღლის შორეული ყეფა.

თეთრი ხიდის შემდეგ, აფთიაქის ახლოს, ეზოში სახელდახელოდ შეფიცრული ცირკი, კარებზე ასხმული პატარა ლამპები და სასულე ორკესტრის ხმა სრულიადაც არ ეხმანებოდა სიბნელეში ჩაძინებულ პატარა ქალაქისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას.

კორნელი უგუნებოდ შევიდა ცირკში.

კარებში კაპიტანი ხიდაშელი შეეფეთა. კორნელი და მისი ამხანაგები მიესალმნენ. მიხამ კორნელი გააცნო.

— რომელ ბატარეაში მსახურობთ? — შეეკითხა კაპიტანი.

— ალექსიძის!

— ეიცო. იგი ახალციხე-ახალქალაქის ფრონტზე გავზაენეს. ქუთაისში რას აკეთებთ?

— შევებულეებაში ვიმყოფები. — იცრუა დეზერტირმა და თვალა-გაუსწორა ჯმუხ, შავვერემან, დაბალ და ულამაზო კაცს. ხიდაშელს უბრალოდ ეცევა, ოფიცრის ეპოლიტები რომ არ ჰქონოდა და წმ. გიორგის ორდენი არ ჰქიდებოდა, ჯარისკაცი გეგონებოდათ.

— შედით, შედით. პირველი განყოფილება არაა საინტერესო. მე მე-რე მოვალ, ქიდაობაზე. დღეს მედელაური და ახალგაზრდა სპორტსმენი ქვარიანი ქიდაობენ. განთქმული მოქიდავე ზანგი დეოე-მორა ქვარიანზე

დიდ იმედებს ამყარებს. მართლაც, იმ ქაბუჯისაგან იმშვიადით მოქიდავე დადგება.

— უკეთესი აღნაგობა, ძალა და სიმარტე მოქიდავესათვის მკარ მიწა-ხავს, — დაიწყო აღტაცებით მიხამ.

— რა უყრთ მერე, შენ რომ არ გინახავს! — შენიშნა ზნაძემ და აღმოხიზრად გაიღიმა. მიხას მხარზე მძიმე, ქვასავით მაგარი ხელი დაატყა და წავიდა.

კორნელიმ თვალი გააყოლა. ხიდაშელი ისეთი საამხანაგო და გულკეთილი კაცი ჩანს, თითქო მის კისერზე არც კი იყოს კარისმერეთისა და ახლო-მახლო სოფლების დარბევა, გლეხთა დახვრეტის და მოხუცი გოჯასპირის ცოდვაო, — გაიფიქრა კორნელიმ.

ცირკში ცოტა ხალხი იყო. ჯარისკაცები და მოწაფეები სქარბობდნენ. ქანდარაზე მღვდომნი ჩვეულებისამებრ სიცილით, ყვირლით და სტვენით ამჟღავნებდნენ თავიანთ განწყობილებას ცირკის მსახიობისადმი. გაფაციცებით შესტქეროდნენ გაქიმულ მავთულზე ქოლგით მოსეირნე ქალს, რომელსაც წელტყვევით ტანზე შემოჭირებული ხორცისფერი ტრიკო ეცეა და შიშველსა ჰგავდა. მავთულზე მოსეირნე ქალს, საესებით მოგუჯადობილი მყოფრებლები. მყოფრებლების განწყობილება უმაღლე ვადეცა კორნელის და მის ამხანაგებსაც.

ქალი ოსტატურად არხვედა წითელ ქოლგას, წონასწორობას იცავდა და თანაც უსირცხვილოდ უცინოდა და ტუჩზე ხელის მიღებით უგზავნიდა კოცნას ხალხს. ხანაც სიჯდომით დაეცემოდა მავთულზე „ჰოპლაო“ დაიძახებდა, ჰაერში შეხტებოდა და ისევ დადგებოდა მავთულზე ფეხის ტერფებით. მიხა იდაყვით მიაწეა კორნელის:

— როგორი ტანი აქვს, შეხედე! მირონის ქალია. არა? გინდა მაგას და მაგის მეგობარს წამოვიყვან ვახამხმ?

კორნელის მართლაც მოეწონა ახალგაზდა ქალის აღნაგობა და, როდესაც მოვარჯიშე მავთულის ბოლოს შეჩერდა, გაიზნიქა და ასე გაიზბინა, ეხლა თითონვე ჰკრა ხელი მიხას და უთხრა:

— როგორი ვიწრო წელი აქვს. მშვენიერია!

— აჲ ვითხარი, გველივით დაიკლაკნება და ისე შემოგებევეა მეთქი. მიხამ, კორნელიმ და კოტემ ტაშისცემით აიკლეს ცირკი. მათ სტე-ბიკ აიყოლიეს, და ასეთი გამარჯვება და მოწონება მალამოსავით მოედოთ გულზე მოვარჯიშე ქალსა და ცირკის ფეხმოტეხილ და კოჭლ დირექტორს, დირექტორმა და ქალმაც შენიშნეს კორნელი და მისი ამხანაგები. მავთულზე მოვარჯიშე ქალი მიწაზე ჩამოხტა. ცოტა გამოიზბინა. კორნელის მოეჩვენა ჩემკენ მობრძისო, უფრო მოუმატა ტაშისცემას. იი, ქალმა გაუცინა აღერსით, მადლობა გადაუხადა და რევერანსი გაუყენა. კორნელის ტაშისცემით ხელისგული ეტკინა. რამდენჯერმე გამოიძახეს მან და მისმა ამხანაგებმა ქალი და იგი ყოველთვის კორნელისკენ გამოიქ-

ცოდა. ბრკვეილა თვლებით მორთულ კოკობზიკა და მოკრეკაბას აიწვედა ხელით, ნაზად გაიციუნდა, რევერანსს ვააკეთებდა. შერაწილდებოდა და ასე გაქცეოდა არენიდან. ცირკში მოთამაშე ნებვერად შიშველი ქალის ამ გაკვეთილში და გაზეპირებულში სიკვდილს იმეორებდა. მოაჯადოვა კორნელი, მიხა და კოტე.

— ამას თუ წაიყვან, ეახშმად გაბატეებთ! — დაიძახა კორნელი.

მიხასაც ეს უნდოდა. აღარ დაუცადა ღერძზე მოეარჯიშე ქალებს გამოსვლას, არც ვანო შედელაურისა და ქვარიანის ქიდაობას. უკანა შესასვლელით საპირფარეოში წაიყვანა კორნელი და მეთულზე მოეარჯიშე ქალი და მისი მეგობრები გააცნო.

ძვირად დაუჯდა კორნელის ეახშამი და საგარაკოდ წასულ კოტე ადგიშვილს მშობლებს ბინაზე ცირკის ქალებთან ვატარებული ღამე. სამგზავროდ და ტფილისში სახარჯოდ დედის მიერ მოცემული ფული გაუნახვერდა.

ნამთვრალეები ყმაწვილები მხოლოდ შეადლისას ადგნენ. რიონში იბანავეს. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი გამოცვლილიყო, მოღრუბლულყო. ცივი ქარი უბერავდა და ოდნავ ეინვლავდა, კორნელიმ მიანც დიდხანს იბანავა. ვაცივდა და ესპანურა შეეყარა. მესამე დღეს წელისა და სახარების მტვრევა დასჩემდა. სტეფანეს ცოლმა, სათნო და გულკეთილმა ქალმა კატომ სიტზე გაუზომა. სიტზე ორმოც გრადუსამდე ასულიყო და რძალმა ძალით დააწვინა მაზლი. სადილობის დროს, როცა სტეფანე გიმნაზიიდან მობრუნდა, კორნელის აბოდებდა. შუბლზე ცივი ტილო ედობნელ ოთახში მწოლიარე თავისი ძმა რომ ამ დღეში დაუხვდა, სტეფანე მაშინვე ქალაქში გაიქცა და ექიმი მოუყვანა. სტეფანეს სკოლის ამბანავმა როდიონ თოფურიძემ დიდის ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი და, ანთების წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღების მიზნით, კოტეშების მოკიდება აჩიია, შემდეგ წამლები გამოუწერა.

შავსათვალეებიანი, შავგვრემანი, გაპარსული და ჩასუქებული კაცი სტეფანეს მაგიდაზე სწერდა რეცეპტს. შუბლი შეკრული ჰქონდა და ქვედა ტუჩზე მალმალ იკებნდა. სტეფანე თვალს არ აშორებდა. შეშინებული სახით იჯდა მის წინ და მაგიდაზე დაწყობილ თეთრ და ფუნჩულა ხელს თითებს იმტვრევდა.

— როდიონ, როგორი მდგომარეობაა? მაგას რაიმე დაემართოს, დედაჩემი აქედან ვადაამასახლებს. ქუთაისში გამოვგზავნე და თვალწერ ადევნო. შეტყვის.

— ესეც რომ არ იყოს, — განავრძო ქმრის სიტყვა კატომ, — კორნელი უმცროსი შეილია, ვაგიყებით უყვარს და, არ ვიცი, დედას რა მოუვა.

— ჯერ არაფერი მაგის მსგავსი საშიშროება არ მოგველის. — უბასუხა ცოლქმარს ექიმმა. თავი ასწია და შავი სათვალეების შუშა მიანათა. — თუმცა, — დასძინა ექიმმა, — ფილტვები არც ისე საღი აქვს. ფილტვი-

ბის წვეროებში ხიხინი მესმის. ერთ ადგილას შემკვრავებიც იგრძნობა. მაგრამ კოტოშების მოკიდებაც იმიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, წყეულ ესპანურას თუ თავშივე არ წაავლე ხელი, იგი სწორედ ჩემს მტკბარეს დააწვება, რომელიც ყველაზე უფრო სუსტია ჩვენს ორგანიზმში.

— რათ უნდა ჰქონდეს მოვარჯიშე ვაეკაცს სუსტი ფილტვები, მიკვირს.

— ნუ გიკვირს, სტეფანე, — უპასუხა ქმარს ცოლმა, — უნეი ძეა, საცოდავი კოტე ხომ ქლეჭით ვარდაიცივალა...

— გასაკვირი არაფერია, — ჩაერია ცოლქმრის საუბარში ექიმი, — იმერეთის მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი მალარიითა და ქლეჭით არის დაავადებული. რუსეთში წასვლაზე ხელი უნდა აიღოს კორნელიძეს კარგად დაიხსომეთ.

— რუსეთში წასვლას ვინ დაეძებს! — მწუხარედ ამოიოხრა საამო სახის მქონე კატომ.

— ნუ გეშინიათ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად მოგვარდება. ესპანურა ვის არ შეპყროა! — დაანუგეშა ექიმმა ცოლქმარი.

კორნელის მხოლოდ მეცხრე დღეზე დაუვარდა სიცხე. მაგრამ ოდნავ მომატებული სიცხე კი ოცდაერთ დღემდე ვერ გამოუდევნა ტანიდან ექიმმა. კორნელი ოფლში სცურავდა და კატო ვერ უთავდებოდა საცვლებისა და ზეწრის ცვლას. ბოლოს სიცხეც გამოუნელდა, მაგრამ წვერომომეხებული და ჩონჩხივით ჩამომხმარი კორნელი მართლაც ქლეჭიანს დაემსგავსა და ექიმმა როდიონ თოფურაძემ, აგარაკის ნაცვლად, სამშობლო სოფელში — კარისმერეთში ურჩია დასვენება, რთველის იქ გატარება და ყურძნის ბლომად ჭამა. ექიმის აზრით, ყველა აგარაკზე უკეთ ის ადგილი და იმ ადგილის ჰაეა მოუხდება კაცს, სადაც დაბადებულია, ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია. სოფელში წასვლას წინ კორნელიმ ექიმთა კომისია გაიარა. ვანციფურებული ქეჩიმები მისჩერებოდნენ მის ტყავგადაჭრულ ჩონჩხს, ნეკნებს. როდიონმა აქაც გაუმეორა:

— რუსეთში წასვლაზე ნურც იფიქრებ, ძამია!

კომისიამ ერთი წლის შევებულება მისცა.

საექიმო კომისია ტფილისის ქუჩაზე იყო მოთავსებული, რეალური სასწავლებლის გვერდით.

როცა კორნელი ქუჩაში გამოვიდა, ბიცოლა ბაბო შეეყარა. უკან მოურავი ბეგლარ სანიკიძე მოჰყვებოდა. ბეგლარს მწვანე ბაზარში ნაყიდოსურსათით და სანოვაგით დატვირთული კალათი ეკავა ხელში. კორნელის დანაბნაზე ბაბო თავზარდაცემული შეჩერდა. შიშისაგან გაფართოვებული თვალებით მისჩერებოდა კორნელის. ეცნობოდა, მაგრამ კარგად ვერ მიმხვდარიყო, ვინ იყო.

— დედა, შეილო, კორნელი! ეს შენა ხარ? რა მოგვიტყვეს? — დაიძახა ბოლოს ბაბომ და კორნელი ვადაკოცნა.

— ასე გამათავა კაცი ესპანურამ, — უპასუხა კორნელიმ მერე ბევლარს ხელი ჩამოართვა.

— აქ რას აკეთებ?

— ერთი წლით გავინთავისუფლე ჯაროდან თავი. იცნობდე: ჩემი მეგობრებია, მიხა მაქაეარიანნი და კოტე ადღეიშვილი.

ბაბომ ეშხიანი და ბრიალა თვალეები მიიპყრო მათ. ეაკეტი გაისწორა: ორსულობას მუცელი დაემჩნია. კორნელიმ თვალით აწიშნა:

— ეს რა ამბავია?

ბაბომ ისეთი ომახიანი ხმით გაიცინა, რომ ტფილისის ქუჩა თავით ბოლომდე ხარხარით აავსო. ძვირფასთვლიანი ბეჭდებით შემკული ხელი მუცელზე გადაისვა და კორნელის უთხრა:

— ჩემო კორნელი, უშეილოდ და უძიროდ აღარ ვადავა ბიძა შენი, ცა გაგვეხსნა და ღმერთმა შეილი მოგვცა.

ბევლარმა დარცხვენით ჩაჰკიდა თავი და შიშით საესე თვალეები შეაპარა კორნელის. ღმერთმა კი არა, მე მოგვეცითო, — გაიფიქრა მან. ბაბომ დაიჭირა ბევლარის ვახედვა. დააქეჩრდა ქლეჭიანივით ჩამომხმარ მულას შეილს. მოაგონდა 1905 წელს ბრძოლის დროს გაციეებული და ქლეჭით გარდაცვლილი რევოლუციონერი სტუდენტი, კორნელის ძმა კოტე. შეკრთა და შეეხვეწა:

— კორნელი, წამოდი ჩვენსა, ზედაზენში. ისე ვაგზდი და ვაგასუქებ, რომ ტერუზამაც ვეღარ ვიცნოს. ეს შენი მეგობრებიც წამოიხვეანე.

— ოტია მარტოა და გაეხარდება, — ჩაერია მოურავიც.

ბაბომ დონჯი შემოიდგა, თავი კორნელისკენ გადაჰხარა და ისევ შეეხვეწა:

— კორნელი, წამოდი მართლა ზედაზენში შენი მეგობრებითურთ.

ბაბომ მიხა მაქაეარიანს და კოტე ადღეიშვილს გადახედა, გაიცინა და ბროლივით თეთრი კბილეები გამოაჩინა.

„ეს პატრონმკვდარი ორსულადაა და კეკლუცობას მიინც არ იშლის“.

— გაიფიქრა ბევლარმა.

— ჩვენ ვერ წამოვალთ, ქალბატონო. არ გეცალია. კორნელი რომ დაგოჯერებდეთ და წამოვიდოდეს ზედაზენში, მართლაც კარგს იზამს, — უპასუხა მიხამ.

— არა, ბატონო. თქვენც წამობრძანდით. მართალია, ბოლშევიკებმა აგვაწიოკეს. მაგრამ ახლა ისევ კარგათ ვართ, ღვთის მოწყალებით. — ბაბომ ცხიერად გაიღიმა და კორნელის შეეეთხა: — ბოლშევიკებო ზომ არ არიან ეს შენი მეგობრები!

— არა, ქალბატონო. ჩვენ ბოლშევიკები არა ვართ. ის ჩენნი ხარბაზენები იყო, რომ ვრიალებდა ზედაზენში, — უპასუხა მიხამ.

— ჰო-და, მით უფრო უნდა დაგვეპატიოთ, — მიეღობოდა მისთვის მოურავი.

— ღმერთმა დასწყევლოს იმ ყაბაღების თავი და ტერეხის დაიწყო ბაბომ. — გლებები რო თავზე დაგვესხენ, იმ ღამის მერე სერი უნდა იყოს ოტიო. ლოგინიდან აღარ ამდგარა, ის ცოდვით საესე.

— რა დაემართა? — შეეკითხა კორნელი.

— დიდი შიში ჰქამა, გენაცვალე. რუმბივით გაუსივდა მარჯვენა ფეხი. ახლა ქე დააკლდა სიმსივნე. ოშოშია ვერ ვიშოვნეთა ზედაზენში და, ტერეხას ქირიმე, იმან გამომიგზავნა კარისმერეთიდან ბეგლარის ხელით.

— ოშოშია რათ გინდათ?

— ჯინჰარს და ოშოშიას ვადებდით ფეხზე და იმან დააგდებია სამსივნე. შენ გეცინება, კორნელი, მაგრამ ხშირად სოფლის წამალი უფრო რგებს ავადმყოფს.

— ოშოშია კი არა, წყალტუბოში წაიყვანეთ, — ურჩია კორნელიმ.

— წყალტუბო, ზეკარი და არც კისლაეოდსკი დაუკლია, მაგრამ ფეხების გასივება ვერც ერთმა ვერ მოუსპო. არ იცი, ბიძა შენის ამბავი დაუსრულებელი ღვინის სმა და ქალების დევნა რომ ამ დღეში ჩააგდებდა, უნდა ცოდნოდა.

— მაინც არ იშლის თავისას, — ჩაერია ლაპარაკში მოურავი, — იმ ღმერთგამწყვრალ ონას მიწერა: მარტო ვავდივარ ოთახში და თავის შესაქცევად მათხოვე შენ რომ დურბინდში გასახედავი, სასაცილო სურათები გაქვსო.

მოურავი აქიხვინდა. კორნელის ხელი წაავლო და ჩემად შეეკითხა:

— ზომ გინახავს ის გარყვნილი სურათები?

— ჰო-და, ის სასაცილო სურათები რომ უყვარდა და უყვარს, იმითმაც არის ფეხები რომ რუმბივით უსძვდება. მერე აღარც ოშოშია უშველის, — ჩაიქნია ხელი ბაბომ.

— ოშოშია მოუხდა, რალა დროისაა, — უბასუხა მოურავმა ქმრის სქესობრივ აღღირახსნილობის გამო თითქო ნაწყენ ქალბატონს.

კორნელი დააქცერდა გარედან ჩოხამოსხმულ მოურავს. მის ფართო ხანჯალს. ცხვირი გალურჯებოდა ღვინის სმისაგან ბეგლარს. უბეები შესივებული ჰქონდა. თვალები აჯამეთის ტყის კატასავით ველური და ანთებული. ოშოშიას ხსენებაზე სოფელი, ოთხმოცი წლის მოხუცი გოჯასპირ და მის ვეება ხელზე დაზღმურდული ძირმაგარა მოაგონდა კორნელის. მოაგონდა ძირმაგარის შესახებ თქმული გოჯასპირის სიტყვები: „ხარის თვალისით მაჯდა. ყურწუმელის ნეშო დავადევი. დავამწიფე და შერე დანის წვერით ავბიე“-ო. კორნელიმ უამბო ეს ბაბოს და ბეგლარს, თანაც დასძინა:

— ოშოშია და ყურწუმელის ნეშო უებარი წამალი ყოფილა.

— უებარი წამალია, — დაუდასტურა ბეგლარმა და კორნელის შეატყობინა: — ვოჯასპირი რო მუხიდან ჩამოახსნევენეთ და შიწას მიაბარებინეთ ქირისუფლებს, დიდი მადლობელია შენი დაჯერებული სოფელი სარკოია.

სამსაქმისაჲს

— ეს რა საშინელება ვნახე! — ზიზლით ჩაილაპარაკა კორნელიმ.

როცა ბაბო და ბეგლარი წავიდნენ, მიხა მაჭავარიანი გაეხუმრა:

— რა დიდებული ბიჭოლა გყოლია, შე სახედალო!

კორნელი კვლავ კარისმერეთისაკენ გაეშურა.

რთველი სოფელში გაატარა. დედა თავგამოდებით ჰქეცებოდა რძით, ვერცხით და მწიფე ყურძნით. ერთ ღვეში ისე გაასუქა, რომ ტანსაცმელში ვეღარ ეტეოდა. უღვაშები მოუშვა. დასრულდა და სულმთლად დაეაქაცდა. დურგალს იულოს, დომენტი ხვედელიძეს, აგოიას შეელოდა მუშაობაში, კირნახელის მოწვევასა და ყურძნის წურვაში. რთელის შემდეგ დომენტი ტერეზასგან მიღებულ საეზოვე ადგილში უნდა შესდგომოდა ხის პატარა სახლის მშენებლობას და ამიტომ აგოიას ქალაქში წასვლაზე უარი უთხრა.

ნოემბერიც დადგა. ცივმა ქვენა ჭარმა დაუბერა და ხეზე შერჩენილი გამხმარი ფოთოლი ჩამოჰყარა. მუხისა და ქანდრის გახევებულ, მოკრუნჩხულ და კიბორჩხალასავეთ ფეხებზე შემდგარ ფოთლებს უმოწყალოდ მიერეკებოდა მინდორსა და შარა-გზებზე. აბლოვდებოდა ზამთარი. ქარი მძვინვარებდა და ტყიდან უზარმაზარი მუხების გუგუნე მოისმოდა. ხვედელიძეთა პატარა სახლის სახურავზე დაცუტულ დურგლის იულოს და დომენტის ჩაქუჩის კაკუნს ფარავდა. ქარი გულსაკლავად წიოდა ტიროფების ტოტებში.

მეორე დღე კვირა იყო და ტფილისში წასასვლელად გამზადებულ შვილს კორნელის ადრე გაუშალა დედამ სუფრა. სუფრაზე, დომენტისა და იულოს გარდა, ჯაჯანა და ლუკაია მენჯავიძეებიც ისხდნენ. ტერეზას ყანის მოზიარე გლეხებმა თამადად აუჩქარებელი, დინჯი და ჯმუხი დომენტი ხვედელიძე აირჩიეს. ტერეზა აჩქარებდა: კორნელის სადგურზე არ დააგვიანდესო. შეზარხოშებულმა ხალხმა დიდის ამბით გააცილა სადგურისაკენ კორნელი. როდესაც კორნელი მენჯავიძის ეზოს მიუახლოვდა, ქეთუამ ჭარვისფერი ყურძნის აკიდობები გამოუჩვენინა. როგორ საცოლესავით უცინისო, — ვაიფიქრა ტერეზამ. კორნელიმ მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— გმადლობ. ქეთუა. მე ვახაფხულზე ისევ ჩამოვალ სოფელში. ისევ გინახულებთ. მაშინ აი იმ ცაცხვის ქვეშ გამართულ ჯარში ვაცხვებ შენთან ერთად დაირაზე.

ცისფერთვალეზიანმა და ლოყაწითელმა გოგომ თავშეუყავებლად გადიკისკისა.

— ნუ ასულელებ! — უთხრა ჩემად ტერეზამ შვილს, მაგრამ კორნელიმ ქეთოს კვლავ უცნაურად უთხრა:

— ეს შემოდგომაც წაია. ახლოვდება სუსხიანი ზამთერიც და ქარიშხალი წააქცევს მუხებს აჯამეთის ტყეში, თოვლს და დამიწას და შენც ვეღარ განახავს ჩემი თვალები. მოვიტაცებენ, მაგრამ განათხულზე კვლავ გიპოვის დედა შენი და ის შეინახავს ჩემთვის შენს თავს.

ებლა ქეთომ და ყველამაც გაიციინეს.

— ნატავი შენ, შეილო, ასე რომ თავს იქცევ. თავს გაუფრთხილდი. მთვრალი ხარ და გზაზე არათფერი მოიწიო. — უთხრა ტერეზამ, გადაეშვა, ჩაჰკოცნა და გამოემშვიდობა.

რ ა მ ი ნ ს ბ ზ ა ზ ი

ქვენა ქარი უბერავდა, ცივი და ძვალრბილის დამაზრობელი, თანაც თოვდა და წვიმდა, თოვლქყაპი მოდიოდა. მთის მწვერვლები ნისლით იყო დაბურული. წყლით გაქლენთილი და დამძიმებული ღრუბელი მიწაზე ეშვებოდა და ისე ნელა მიიზღაზნებოდა, როგორც ის მატარებელი, რომელშიაც კორნელი იჯდა, საათში ორმოც კილომეტრს კი არა, ათსაც ვერ გადიოდა, და აჩქარებული ნაბიჯით, ალბათ, აგრიაც კი გაასწრებდა. ყოველ უმნიშვნელო სადგურზედაც კი საათობით ჩერდებოდა და ქუთაისიდან ტფილისში ჩასვლას დღენახევარს უნდებოდა. ტრანსპორტიც ისე მოშლილი იყო, როგორც მენშევიკური სახელმწიფოს ყოველი დარგი.

გაქვარტლული ორთქლმავალი მისუსტებული ხმით გაჰყავდა გულსაკლავად აღმართზე, თითქო ძალა გამოეღია და შეეღას ითხოვსო. ძლივს მიიტანა სადგურამდე უვიარისი და დანჯღრეული ვაგონები, გაჩერდა, დაბარბაცდა და ზურგზე მოკიდებული ვაგონები შუბლით ერთმანეთს შეაჯახა. ასე უხეიროდ შესდგა სადგურზე იმ იმედით, რომ კარვა ხანს დაესვენა, იარები მოეშუშებინა და გზაზე დაღლილს ძალა მოეკრიბნა.

კორნელიმ ვაგონიდან ჩასვლა ვერ მოახერხა, რადგან სველ და დაკონკალ ჩაბალახით თავწაკრული გლეხები მოაწყდნენ კარებს. ყივინით, დაფეთებული თვალებით აწვებოდნენ ერთმანეთს. კიბეზე, ბაქანზე ლობიო-სიმინდით სავსე ტომრები, ხურჯინები და კალათები ამოჰქონდათ. ქალაქისაკენ ეჩქარებოდათ. უნდოდათ ბაზარში სურსათის ჩატანა და ორიოდვე გროშის გამოჩენა.

ყველას ფლანწვერიანი, ქურქში და ჯარისკაცის ჩექმებში გამოწყობილი ვაგაკი სჯობნიდა. იდაყვით აწვებოდა ხალხს. დახეულ პატიქეზიან, ჩია და სუსტ გლეხებს ცხვრის ფარასავით აფენდა აქეთ-იქით. ასე იკაფავდა გზას მგელივით მუხლმაგარი. მარჯვედ აღარდა კიბეზე და

ბაქანზე შეავდო ხურჯინი, რომელშიაც დაკლული ვიგბა ღორი ჩაეტენა ტფილისში გასასყიდად. გაბუტული ღორი არ ეტეოდა ხურჯინში და უზარმაზარ ღამურასავეით აბარტყუნებდა ცეცხლზე გვეჯვეჯვედა ვადმოფენილ ყურებს. უმოწყალოდ ჩაჰტრენოდა და ფეხსაქოფეხდა მძიმე ხურჯინს ქურჭიანი კაცი. იყო რაღაც მგლური ამ კისერბოლდრეკელი და გაათრებული კაცის სახეში და მის შმაგ მოძრაობაში: თითქო ადამიანი კი არა, მგელი მიათრევს ამ კისერგამოლადრულ, დაკლულ ღორს ხურჯინით. კარებში შეჩერდა და გაწყვიტა ხმით გადასძახა ამხანაგს:

— ერმილე, მომაწოდე ტომარი!

ხალხში გაჩრილი ზიქი ერმილე ვერ ახერხებდა ტომრის მიტანას კიბემდე.

კიბესთან საშინელი ყიჟინა, ყაყანი და ცოდვა-მადლის განკითხვა იდგა გეგონებოდათ, გაათრებულნი ხალხი დასარბევად მოაწყდა ვაგონსო. „როგორი ყაყანი იცის ჩვენმა ხალხმა,“ — გაიფიქრა კორნელიმ.

ვილამაც შეუტია ვაგონის ბაქანზე ასულ ელალწვერა, ქურჭიან კაცს:

— სად მოძვრები, სვეკულიანტო?

— შენ თითონ ხარ სვეკულიანტი! — იწყინა ქურჭიანმა და ისე დაულრინა და შესძახა, რომ შიშისაგან სული კინალამ არ გაავდებინა.

— მაშ, სად მიათრევ ამ ტომრებს და ხურჯინს? — გამოეკეკომა ვა პირველს მეორე მგზავრი.

— არა და, მე ვიცი, შენ გამოკვებავ ჩემ ცოლშვილს ქალაქში! — მიუჯო ქურჭიანმა, ქალაქ ბუხარის ერთერთი რესტორანის ბუფეტის ყოფილმა გამგემ. მას კოლა ერქვა და ოქტომბრის რევოლუციის შენდობა საქართველოში ჩამოვარდა და გეარდიაში მსახურობდა ჯარისკაცად.

„რუსეთში ენახე ბოლშევიკების „ეშნი“ და საქართველოში ღმერთმა ნუ მომასწროს“-ო, — ამბობდა ბუხარიდან გამოქცეული ჩარჩი.

კორნელიმ გადახედა კარებში გაჩრილ ქურჭიან კაცს და უთხრა:

— მოეცალე კარებს. აცალე სხვებსაც შემოსვლა, ბაირამობა ხომ არაა?!

ქურჭიანმა იმდენი ტომრები და ხურჯინები დაახვეა, რომ ვაგონის ბაქანი საწყობი გეგონებოდათ.

ტყუილად გაემართა ასეთი ტყუილტა კიბესთან ხალხს. მატარებელი დიდხანს ჩერდებოდა სადგურზე: ასჯერაც რომ შესულიყვნენ რივრივობით ტომრისანი და ხურჯინისანი გლეხები ვაგონში, დრო მაინც დარჩებოდათ. ეხლა კი ერთმანეთს უშლიდნენ ხელს და თავპირს ამტვრევდნენ.

— დაიცათ, აცალეთ ერთმანეთს შემოსვლა, დრო კიდევ ბევრია. დაეწყვეთ და ყველა მოასწორობთ! — ყვიროდა კორნელი. მართლაც, გლეხებმა რივრივობით იწყეს ვაგონში შესვლა და „ბაირამობაც“ გათავდა.

„ასეა ყოველთვის, — ფიქრობდა კორნელი, — ხალხს თუ წინამძღოლი და ხელმძღვანელი არ აღმოუჩნდა, თხასავით აირება და ერთმანეთს და-

ხოცავს. ვასაგებია, თუ რა იწვევს ადამიანში მასების ხელმძღვანელობის სურვილს“.

კარგა ხანი გავიდა. ხალხი დალაგდა თავისი ბარგი-ბერძენით სველა პაჭიჭების, აბედისა და თუთუნის სუნი დააყენეს ვაჭურველ-ვაჭურებაში.

კორნელი კარებთან იდგა და ნაღვლიანად გასცქეროდა სადგურის იქით აღმართულ, ნისლში გახვეულ იმერეთის მთებს. თბილი პალტო ეცვა. თავზე დაბალი ბუხრის ქუდი ეხურა. ავადმყოფობის შემდეგ ძლიერ გამოცვლილი ჩანდა: არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. თვეზე მეტია წიგნების კითხვაში ვაიბარა სოფლად. მამას მდიდარი სამკითხველო დარჩა და კორნელი ხარბად შეუდგა ბიოლოგიური სოციოლოგიური და ისტორიული ხასიათის წიგნების კითხვას. მართალია, ერთ: თვე და თუნდ ერთი წელიც ამ რთულ მეცნიერებათა შესწავლისათვის მეტად მცირე და არასაკმარისი დროა, მაგრამ კორნელი დაახლოვებით მაინც გაეცნო შემოაღნიშნულ დისციპლინებს, რის შედეგადაც ბუნება, ადამიანი და საზოგადოების განვითარების კანონებიც უფრო სხვაგვარად და ფართოდ ეჩვენენ ვიდრე აქამომდე. ვარდა ამისა, რაც მთავარია, მასში დაიბადა მძლავრი წყურვილი ცოდნის შეძენისა და ქვეყნის შემეცნებისა.

კორნელი ფიქრობდა თავის მომავალ გზაზე, სწავლა-განათლებლაზე. ვაგონის სახურავიდან ჩამოდენილი წვიმის წვეთები ეცემოდნენ კიბის საფეხურებს, სვეტიდან სვეტზე გაჭიმულ მათულზე კრიალოსნის მძივებივით მისრიალებდნენ. წვეთი წვეთს ეწეოდა, ერთი მეორეს უერთდებოდა და სიმძიმის გამო მათულს სწყდებოდა. ასევე ამ რკინიგზის ლიანდაგზე მდგარი კორნელის ფიქრი ფიქრს მისდევდა, ერთ გარკვეულ მოსაზრებაზე მძივებივით აცმული, და ეგ მოსაზრება მიმართული იყო მისი ქვეყნის მომავლისა და ამ ქვეყანაში თავისი წილის და დანიშნულების შეცნობისაკენ.

ამ დროს სადგურის ბაქანზე ზარს შემოაკრეს. ცოტა ხნის შემდეგ ორთქლმავლის კივილი გაისმა. ბაქანზე სადგურის უფროსი გამოვიდა, და კორნელის თვალწინ ეშელონმა გაიარა, აღარ თავედებოდა ქვემეხებით, ავტოებით, ყუთებით და სხვა ბარგით დატვირთული თავახდილი ვაგონები. ეშელონი გაჩერდა და სადგური დაუფარა კორნელის. ვაგონებს წვიმით გაელენთილი ბრეზენტი ეხურა. ბრეზენტიდან პერანგვადაცმული ქვემეხის ლულები სჩანდნენ. ქვემეხთან კორნელის ხნის გერმანელი ჯარისკაცი იდგა. მწვანე მაზარა ეცვა, სულმთლად დასველებული, მზრებაწეულმა ჯარისკაცმა უძილო თვალები მიაპყრო კორნელის. კორნელი აიწურა. მოაგონდა ოსმალთა ეშელონი და ასკერები. ასკერებსაც ასეთივე მაზარები ეცვათ. „როგორ არზენიათ მიდი-მოდინ ჩვენს რკინიგზებზე უცხო ქალები. ჩვენც თავისუფალი ქვეყანა ვართ რაღა!“—ფიქრობდა კორნელი და ზიზღით უყურებდა გერმანელ ჯარისკაცებს, მის დაქანცულ ყვითელ სახეს, წყლისფერ უსიცოცხლო თვალებს, მაზარას, რომელზედაც შეცივებულ და

წყალში ამოწუმბულ, აბუზულ წიწილასავით იჯდა მოკრუნული ეპო-
ლეტები.

დიღბანს უცქეროდნენ ერთმანეთს სულ აბლოს ეჭყყინებულ მდგარი
კორნელი და გერმანელი ჯარისკაცი. მერე კორნელმა მუტქმმმმმ

— საიდან მოდიხართ?

— ტფილისიდან. — უხალისოდ უპასუხა ჯარისკაცმა და შიშით ირ-
კვლივ მიმოიხედა, თითქო საიდუმლო წამოსცდაო.

— საით მიდიხართ?

გერმანელმა ჯარისკაცმა არ უპასუხა არც ამ და არც სხვა შეკითხ-
ვებზე და მერე ისეთი დაღლილი, ნაღვლიანი და უვნებო თვალებით და-
უწყო ცქერა კორნელის, თითქოს ამბობსო: რაც შემეძლო გითხარი და
შეტი არც არაფერი ვიცი, არც არაფერს ვეტყვი და თავი დამანებეო.

კორნელმა მეორე ვაგონისკენ გაიხედა. იქ ხუთი ჯარისკაცი იდგა. ესე-
ნიც ამოწუმბულნი იყვნენ და ამათაც გაშტერებული და ნაღვლიანი თვა-
ლები ჰქონდათ. გერმანელი ჯარისკაცის გაწვრთნილობისა, მხედრული
წარმოსადგობისა და სიმხნის ნიშანწყალბაც კი არ ეცხობო. თითქო ბრე-
ზენტით დახურული ქვემეხები კი აქა, საყვარელი მეგობრების კუბოები
უდგათ ვაგონზე, იმათ გლოვობენ და საპატიო ყარაულში დგანანო. ასე
საცოდავად გამოიციქირებოდნენ სხვა ვაგონებზე მდგარი ჯარისკაცებიც,
რომლებიც ბედს გადმოეგდო თავიანთ სამშობლოდან მათთვის უცნობ
და, შორეულ საქართველოში, ამ ნისლით დაბურულ მთათა შორის გაყ-
ვანილ რკინიგზაზე.

„რამ დაამუნჯა ეს ხალხი! რა უბედურება ეწვიათ?“ — გაიფიქრა კორ-
ნელმა. ამ დროს ისევ გაისმა ზარი ხმა.

ესლა ბათომიდან მომავალი ჯარისკაცებით და ქვემეხებით დატვირ-
თული ეშელონი ჩამოდგა სადგურზე. გერმანელთა ეშელონის იქით, ლიან-
დაგის პირველ ვაგონზე გაჩერდა. თავახდილ ვაგონებზე ინგლისელი ჯარის-
კაცები ისხდნენ. მიხაკისფერი მაზარები ეცვათ, თავზე გადმოხურული.
ჩაბალახის მსგავსი კაბიშონებით, ტანამართულნი, მხნე და დამცინავი სა-
ხით მისჩერებოდნენ ისინი თავიქინდრულ გერმანელ ჯარისკაცებს. ინ-
გლისურ ეშელონს თან ჩამოჰყვია მზიარულება, ზეიმი, ხოლო გერმანულ
ეშელონს — გლოვა და ნაღველი.

ამოდ ცდილობდნენ გერმანელი ჯარისკაცები ინგლისური ეშელონის
წინაშე წელში გასწორებას, თავალებით ცქერას. ინგლისელები დასცინოდ-
ნენ მათ, კორნელისათვის გაუგებარ სიტყვებს გასძახოდნენ და შეურაც-
ყოფას აყენებდნენ. კორნელის მახლობლად მდგომ გერმანელ ჯარისკაც-
ების ძვალზე ამობურთული კუნთი შეუთამამდა, კბილთა ღრჭიალით,
ზურგი შეაქცია მოპირდაპირე ინგლისელს.

ვერ აეხსნა კორნელის ცივი ნოემბრის ამ თოვლქაბაიან დღის საქართველოს რკინიგზის პატარა სადგურზე პირისპირ მდგომ ეშელონთა შორის არსებული ასეთი განწყობილება. არ იცოდა კუჩუქელევი უფრო ინგლისელთა ზეიმი, ხოლო გერმანელთა გლოვა გამოაჩინა დიდი ისტორიული გარდატეხისა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ მოხდა იქ, ევროპის მატერიკზე.

ასს საათს გრძელდებოდა დასავლეთის ფრონტზე ათასი ზარბაზნის განუწყვეტელი და ვულშემზარავი გრიალი და მერე მიწყდა უკანასკნელი გრგვინვის ხმაც. გაისმა საყვირები და ბრძოლის ხაზი უცნაურმა ავტოებმა გაიარეს. გერმანელი რწმუნებულნი მესაყვირით და თეთრი ღროშით გაემართნენ საფრანგეთის ჯარების უზენაეს სარდლობისაკენ ზავის დასადებად. გერმანიის არმიამ წააგო ომი. მისი სამხედრო ძლიერების მზე ჩაესვენა. წასვლის წინ გენერალმა, ფელდმარშალმა პინდენბურგმც პირველად გადასახა თავის ოფიცერებს და უთხრა: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე. წადით და ეცადეთ მამულისათვის უკეთესს“. მაგრამ გამარჯვებული მტერი უღმობელი აღმოჩნდა. მან მოითხოვა ელზას-ლორენი, მდინარე რეინის მარცხენა ნაპირი, ქალაქების: მაინცის, კობლენცის, კელნის რაიონების ოკუპაცია ათი კილომეტრის რადიუსით. ბლოკადა ძალაში რჩებოდა. გერმანიას უნდა გადაეცა გამარჯვებულ სახელმწიფოთათვის ყოველგვარი საომარი იარაღი ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერში. უნდა გადაეცა ქვემეხები, ტყვიამფრქვევეები, ვაგონები, ორთქლმავლები, გემები, აეროპლანები. ხელი უნდა აეღო თავდაცვის ყოველგვარ საშუალებაზე. ეს იყო გერმანიის სრული კაპიტულაცია, გერმანიის პოლიტიკისა და სტრატეგიის სრული გაკოტრება. ამოდ უცხადებდა გერმანიის საზავო კომისიის თავმჯდომარე ერცბერგერი საფრანგეთის ჯარების უღმობელ მარშალს ფოშს: სამოცდაათ მილიონიანი ხალხი იტანჯება, მაგრამ არ კი კედებო.

წელში გატეხილი, მშიერი, სისხლისაგან დაკლილი, უსუსური და უიარაღო სამოცდაათ მილიონიანი გერმანელი ხალხი მომავლის წყვიდადში ეშვებოდა.

აი რითი იყო გამოწვეული გერმანული და ინგლისური ეშელონების გლოვა და ზეიმი საქართველოს რკინიგზის პატარა სადგურზე.

როდესაც გერმანელ-ინგლისელთა ეშელონები სხვადასხვა მიმართულებით წავიდ-წამოვიდნენ, კორნელის მატარებელიც დაიძრა ტფილისისაკენ. კორნელი ფანჯარასთან დაკავებულ თავის ადგილზე დაჯდა, თვალი მიმოავლო ვაგონში ბარგი-ბარხანით ერთმანეთში უწყესრიგოდ არეულ და გაქედილ ხალხს. დაგლეჯილ, გაძვალტყავებულ და დაჩაივებულ გლეხებს აკვირდებოდა და თანაც ფიქრობდა:

„არც კი იციან ამ საცოდავებმა, თუ რა დიდი აზრები ზღობა ღღეს ამ წუთისოფლად. არც კი იციან, თუ რა უცხო ძალები მიდი მოდიან ჩვენს მიწა-წყალზე. ნეტავი როდის შევა ამ ხალხში შეგნებულად და ამყარდება წესრიგი და როდის მიეცემა ეს ვალატაკებულნი საზღვრის და დოვლათიან ცხოვრებას?“

ამოიოხრა და ფანჯარაში გაიხედა. ცხვირწინ აღმართული მთები ისევ ნისლში იყო გახვეული, წვიმა ისევ თინჯლადა და სვეტიდან სვეტზე გაკრულ მავთულებზე ისევ მისრიალებდნენ უთვალავი წვეთები კრილოსონის მძივებივით.

„ალარ თავდება, — გაიფიქრა კორნელი, — როგორც აღამიანთა ისტორია, ხალხთა შორის ბიძგი, ჯიბრი და ომი, თვით სახელმწიფოთა შიგნით არსებული ბრძოლა-ჭიდილი“. და მოაგონდა კაცობრიობის მიერ განვლილი გზა ანტიკურ ქვეყნიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდლამდე, და ისტორია მას წარმოუდგა, როგორც დაუსრულებელი ომები სახელმწიფოთა შორის, თვით ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით არსებული კლასთა შორის ბრძოლა. მოაგონდა პრუსიისა და საფრანგეთის ომი და შემდეგ პარიზის კონფერანსა. მსოფლიო ომი და მერე რუსეთის რევოლუცია. „ნეტავი თუ მოისპობა სახელმწიფოთა და კლასთა შორის ომი და ბრძოლა? ნეტავი თუ მოისპობა ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა? მაინც რა საშინელია საქართველოს ბედი? არა ერთხელ გაუგიათ ფეხქვეშ და ნაბადივით უთელავთ ჩვენი ქვეყანა ძლიერ სახელმწიფოებს“, — ფიქრობდა კორნელი დგერმანიის დამარცხება უკვირდა, უკვირდა და თანაც ასე ამბობდა თავის გულში: „დეე, ძლიერებმაც გამოსცადონ ეროვნული ჩაგვრის სუსხი. დამარცხებული გერმანიის საოკუპაციო ჯარი მიდის საქართველოდან, მაგრამ რა? ნაცვლად იმისა, ეხლა ინგლისი იკავებს ჩვენს მიწა-წყალს. ეს არის დამოუკიდებლობა?“ — ფიქრობდა კორნელი და მოაგონდა ნიკო გოცირიძის მიერ კარისმერეთის სამკითხველოს წინ თქმული: „საქართველოს დამოუკიდებლობა შტკნარი სიცრუეა. საშობლო მენშევიკებს ფეხებზე ჰკიდიათ. პირველ შემთხვევისათანავე მიჰყიდეს მათ საქართველო გერმანელ იმპერიალისტებს და თუ დასჭირდათ, მერე ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებსაც მიჰყიდიან“.

მატარებელი ტფილისისაკენ მიდიოდა.

(მეორე წიგნის დასასრული)

რაინდი ერთი საათით

თუ დღეა ნისლიანი
 და ღამე ბნელი,
 თუ შემოდგომის გრიალებს ჭარი,—
 სულში მეფდება
 მძაფრი ნალველი
 და გონებას ფლობს სევდა საზარი.
 მხოლოდ ძილი თუ გიშველის რამეს,
 მაგრამ, ვაი, რომ არ მეძინება...

დალოცა ღმერთმა! ყინვიან ღამეს
 გულს ბოღმა აღარ მოეფინება.
 გავეყვები წყნარად გადაშლილ მინდორს,
 ირგვლივ ნაბიჯი ჩემი ისმის შორს.
 ჰა, გავადვიძე წყალზე ბატები,
 ძნაზე უეცრად დავაფრთხე ქორი—
 როგორ შეთრთოლდა! გაშალა ფრთები!
 მალლა სიერცეში გასწია ქროლვით.
 გაოცებული დიდხანს ვუმზერდი
 და უნებლიეთ „ყოჩაღ!“ შევეძახე...
 აგერ ჭრიალით მიდის ურემი
 და კუბრის სუნი ჩამოდგა გზაზე.
 ყინვაში ყნოსვა მახვილობს მეტად,
 ფეხი გამძლეა და აზრი სალი;
 ფზიზელ ბუნების მკაცრი მშვეენება
 გიპყრობს, გიტაცებს ძლიერი, ლალი!
 ვნება, სიმტკიცე, ახალგაზრდობა,
 თავისუფლების დიადი გრძნობა
 გამოცოცხლებულ გულს ეუფლება
 და მოქმედების წყურვილი ჩნდება:
 მოგაგონდება განვლილი გზები
 და იწყებს მღერას სინდისის ხმები.

გირჩევთ, განდევნოთ იგი თავიდან—
 ანგარიშისთვის კიდევ მოვა დრო—



ერეკლესის
პროპაგანდა

ამ საუცხოო ღამეს, მთვარიანს,
 ნაზი ოცნება შეპფერის უფრო.
 გამჭვირვალეა სივრცე და სუფთა,
 ტყეს დაქათქათებს მთვარე გაშლილი;
 ელავს ტრედისფრად, იისფრად, ლურჯად
 ცა—საოცნებო ბაღნარად შლილი.
 ვერცხლის ზოლივით ბრწყინავს მდინარე,
 მიწას მოუსხამს როგორც ნაბადი,
 მთვარის ნათელი პირმომცინარე
 და მოქარგული ჩრდილების ლანდი.
 დიდი, გამჭვირვალ სურათებიდან
 აზობას ქსელის ვიწრო ძაფამდის
 ყველაფერი ჩანს: ფართო ველიდან
 ზოლად გაწოლილ მწიფე ყანამდის,
 რომელიც დაღმართს მიჰყვება ქვემოთ,
 მძინარ ყანების, მინდვრის გარშემო,
 ფოთლით მოსილი ტყე თრთის, შრიალებს
 და, მთვარის შუქით ნავარაყები,
 ნაირ ფერებით ელავს, კრიალებს.
 მუხას დაღვრემილს, მზიარულ წიფელს
 ტყის შუაგულში ადვილად ამჩნევ.
 მკერდგაშვერილი ჩრდილოეთისკენ
 ბებერ ბის ტოტზე, ხედავ, ყვავი თვლებს.
 შემოდგომაზე, რაც არის წესი,
 მშობელმა დედამ შეიღს მისცეს შეება—
 აქ ყველა არი: მწვანე ნათესი
 და სელის ჭალა, ოქროს ყანები.
 მინდვრებზე მთვარით გაშუქებული
 ძნების ჯარი დგას აქ დიდებული,
 ყველას სიამით ხედავს თვალები,
 არ აივსება გული დარდებით,
 კიდევ რომ ფიცხლავ შეხედო ამ დროს
 მშობლიურ სოფლის არე-მიდამოს.
 მის სიღარიბეს ახლა ვერ ხედავ.
 გარს შემოირტყა, ძვირფასმა, ძნები
 მოიმარაგა სარჩო, საცვები,
 და დგას ისე, ვით თასი ავსილი.
 უსურვე იმას მშვიდობის ძალი,
 მოჭანცულია მრჩენელი ჩვენი!



ვისაც ენებოს, მან დაიძინოს,
 მე კი არ ძალმიძს ამ ღამით ძილი.
 ვდგავარ მღუმარედ და ვუმზერ მინდორს, *არაქონსული*
 მწიფე ძნებით რომ ჩემს წინ გაშლილა. *სინგულირისეა*
 თან მიპრობს სვედა განუქარველი...
 ვერ დავეუფლე მე საკუთარ თავს,
 ველარ დავძლიე მწარე ნალველი...
 მე მსურს ამეამად ცრემლი დავღვარო...
 ვიგონებ კრძალვით შორეულ საფლავს,
 სად განისვენებს დედა საბრალო.

დიად ქალაქებს მოშორებული,
 სოფლის გადაღმა, გორაკზე მღვარი,
 მოვარის სხივებით შეთეთრებული,
 თვალწინ მიდგია ძველი საყდარი.
 მის თეთრ კედელზე მკრთალად ეღვარებს
 განმარტოებულ ჯვარის აჩრდილი.
 დიახ, ღვთის სახლო, ეხედავ შენს კარებს...
 ეხედავ წარწერას... სად ხმალაწვდილი
 დგას მოციქული პავლე ოლარით.
 ოდნავ დანგრეულ სამრეკლოს კიბეს
 მოხუცი მნათე აკყვება ზღაზვნით
 და წვდება ვაკის შორეულ კიდეს
 უზარმაზარი იმისი ლანდი.
 ადი! და ზარი შემოჰკარ წყნარად,
 რომ მის გუგუნნი დიდხანს ისმოდეს,
 ამ ხმების ძალა მეუფებს მარად,
 ყრუ ღამეებში გაისმის ოდეს.
 თუ არის სადმე ქოხში სნეული,
 ყურს უგდებს სმენად გადაქცეული
 და, რა დაითვლის თრთოლვით ზარის ხმებს,
 წუთით კაეშანს გადაივიწყებს.
 ღამეში ვინმე მოხეტე მგზავრი
 ზარის გუგუნზე ნაბიჯს უმატებს,
 მთესველი კრძალვით ყურს უგდებს ამ ხმებს
 და, რა გადიწერს პირგვარს მღვიძარი,
 ცას შეთხოვს წვიმას მოსავლისათვის.

აი, მიყურდა წკრიალი ზარის.
 უკვე თორმეტი საათი არის,



ერეკლესი
ნიკოლოზის

და სამრევლოდან მოხუცი დინჯი
ჩამოდის წყნარად ფრთხილი ნაბიჯით.
ვხედავ მის აჩრდილს: ზის, საფეხურზე,
თვლემს. დაუდვია იდაყვი მუხლზე.
თავს ბეწვიანი ახურავს ქული,
ჩამოხვევია გარს ტანსაცმელი...
რაც არ მინახავს ამდენი წელი,
რისგანაც ვრცელი სივრცე მაშორებს —
ცხოვლად, თვალნათლივ წარმომიდგება.
ხსოვნაში ისე ცოცხლობს ყოველი,
რომ, მჯერა, თითქოს ამ წუთში ვხედავ
აწ განსვენებულს ჩემს ძვირფას დედას.

გამომეცხადე, თუ ვინდ ერთ წუთით,
ო, საყვარელო, მშობელო დედავ!
სხვისთვის სცხოვრობდი
და სხვისთვის სწუხდი,
თვით კი ობლობა გჩაგრავდა ქვეყნად.
რაოდენ ტანჯვას, ქუხილს, ქარიშხალს
თავზე გამსხვრევდა ცხოვრება ფლიდი.
შენ სუსტი მკერდით იცავდი შვილებს
და გაჭირვებას არაფრად თვლიდი.
ბოლოს, ცა თითქოს მეხით დაგეცა,
გრივალის ხმაზე შენ არ შეთრთოლდი,
მტრებისთვის ლოცვას უვლენდი ზეცას
და შვილებისთვის შეწევნას თხოვდი.
ნუ თუ ესოდენ ვაი-ვაგლახით,
ბრძოლით მოქანცულს, ვაება გავლილს,
ვისაც სასოებ, ღირსად არ გაგზდის,
ეჩენო წუთით შენს საცოდავ შვილს?

ჩემს მრავალი წლის უმძაფრეს ნაღველს
მშობლის წინ თრთოლევით გადმოვალაგებ
და მწუხარე ხმით, გულს დამდაღველს,
ღარდით გაქედილს, გიმღერებ ჰანგებს.
ო, მაპატიე! არა სიხარულს,
ტანჯვას აღვიძრავს დღეს ჩემი ხმები,
მაგრამ დავეცი! და შენს სიყვარულს
ხსნიასთვის, დედავ, ეუხმობ ვედრებით.
მონანიების გიმღერებ ჰანგებს,



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

რომ ცხარე ცრემლით თვალები შენი
განბანდეს ჩემი შერცხვენიის ლაქებს
და მომცეს შვება, ნუგეშის მფენი!
რომ იგი ძალა, ზვიადი, ლალი,
რაც ერთხელ მკერდში შთამიდგი გზნებით,
თავისუფლების გრძნობა ამაყი
კვლავ განამტკიცე ძლიერი ნებით.
განშორებული სოვლიურ, ლელვას,
არ ამტვეყნიურ თვალთა იერით,
ნუჭუჭთმიანი, ცისფერთვალემა,
მკრთალ ბაგეებზე ჩუმი ნალველით, —
ცხოვრების ტვირთქვეშ მუდამ სულგრძელი
მოკვდი ჯერ ნორჩი და მშვენიერი.
სწორედ ასეთი გამომეტებადე
მომაჯადოებელ ვერცხლისფერ ღამეს.
ღიახ! მე ვხედავ მიბნედილ სახეს
და შენს სამსჯავროს წინაშე ვდგებო.
სიმართლისა წინ შიში, დათმობა
შენ ჩემს მუზისთვის არ გისწავლია;
არ მსურს მეგობართ მე თანაგრძნობა
და არც თილისმა ვერაგი მტრების.
მხოლოდ შენდობის სიტყვა მითხარი
შენ, სიყვარულის, ღვთაებავ წმინდა!
რა არი მტრები!

დეე, დამწამონ იმით სიხარბით,
დღეს პატიება მათი არ მინდა.
ვერ მოიგონონ მათ უფრო მძაფრი
ტანჯვა, რომელიც გულში გაღვივდა!
ან მეგობრებთან რაღა მაერთებს!
მე საშუალო გზა არ ვიცოდი.
რასაც ისინი განზე უვლიდნენ,
იქ ბრძოლის ცეცხლით მუდამ ვიწოდი!
და არ მჯეროდა ახალგაზრდული
უღრვეი ძალა რომ ჩაქრებოდა,
წყურვილი მტკიცე და ვაქკატური
მუდამ წინ და წინ მეზიდებოდა.
გატაცებული ამაო ბრძოლით
რამდენჯერ ვიდექ უფსკრულის კიდეს.
ისევ ვდგებოდი მე შენის ლოცვით,
და ვეცემოდი. დავეცი კიდევ!



თბილისის
გაბრიელის

გამომიყვანე ეკლიან გზაზე!
გადავეჩვიე მასზე სიარულს.
აჰა, დავეფალ უწმინდურ ჭაობს,
ტყვედ ვყავარ ვიწროს გულისთქმას ფარულს.
უქმად მოხეტეთ, მცონარეთ წრიდან —
ხელს რომ უტეფრად ისერიან სისხლში, —
გადამიყვანე იმათ ბანაკში,
ვინც კედება ტრფობის დიად საქმისთვის!
ვისი ცხოვრება დაიმსხვრა უქმად,
სიკედლით ძალუძს გიჩვენოს მუღამ,
რომ მისი გული არ ფეთქდა მხდალად,
რომ სოყვარული მას ძალუძს კვალად.

(დილას ლოგინში)

ოი, ოცნებაე! ლალი ბუნების
სიმშვენიერეე, ძალაე დიადო,
ვაგაკურ ცეცხლის, ლტოლვის და ვნების.
თავისუფლების გრძნობაე, ზვიადო —
კვლავ გაიღვიძეთ ჩემს ტანჯულ სულში.
მაგრამ სადა ხარ თითონ შენ, ძალაე...
ავდექი ბავშვზე მე უფრო სუსტი.
დღეს დავადამებ, ვიცი, ნალველით,
ლამით კი ვყლაპავ მიქატურის წვეთებს,
და შემაშინებს საფლავი ბნელი,
სად დედაჩემი აწ განისვენებს!
ჩემს სულში დღემდის თუ კი რამ დუღდა,
ეს ყოველივე გაქრა დილაზე
და დამცინაემა შინაგანმა ხმამ
იწყო სიმღერა შხამიან ჰანგზე:
„დაემორჩილე, ტომო საბრალო,
აუცილებელს, სასტიკს, მწარე ზვედრს,
დრო შეგხვდა მძიმე და საეალოლო
დიად ბრძოლისთვის მოუმზადებელს!
არ ხართ საფლავში,
ჯერ ცდებალი ხართ,
თუმცა საქმისთვის ხართ უკვე მკვდარი,
თქვენი წილია კეთილი ზრახვა,
მაგრამ საქმით ხართ უქმი, მცონარი!

თარგმანი ვ. გორგაძისა

საქართველოს საბჭოთა დიქტიატორია

საქართველოს
საბჭოთა დიქტიატორია

კანდიდ ჩარკვიანი

საქართველოს საბჭოთა დიქტიატორია უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე

მოხსენება სსრკ საბჭოთა მწიგნობის კავშირის გამგეობის
რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე

ამხანაგებო! ამ დღეებში საბჭოების მთელი თვალუწვდენელი ქვეყანა დღესასწაულობს უდიდესი ქართველი პოეტის, მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი გენიოსის 750 წლის იუბილეს. თვით ის ფაქტი, რომ 750 წელი შეუსრულდა პოეტური შემოქმედების ისეთ შედეგს, როგორც რუსთაველის უკვდავი ეპოპეა, უაღრესად თვალნათლივ მოწმობს ქართული ლიტერატურის უდიდეს ტრადიციებს. იგი მოწმობს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, სიღრმესა და უდიდეს ძალას იმ ლიტერატურული მემკვიდრეობისას, რომელიც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას დაუტოვა ქართველი ხალხის კულტურის მთელმა უწინდელმა განვითარებამ.

ერთერთმა მომხსენებელმა აქ სთქვა, ქართული საერთო ლიტერატურის თვალისგადგენება, მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის დროს, 15 საუკუნის მანძილზე შეიძლება. ამ ათასხუთასი წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა განიცადა მრავალი უდიდესი ისტორიული კატასტროფა, რომელიც დროდადრო შეარყევდა მხოლოდ მისი ცხოვრებისა, კულტურისა და ყოფის ღრმა საფუძვლებს. არაბთა ბატონობა, მონღოლ მომთაბარეთა რამდენიმე თავდასხმა, ირანელთა და თურქთა მიერ დაპყრობა — ყველა ამ სახალხო უბედურებას შედეგად მოსდევდა ქართული კულტურის მიღწევათა ნაწილობრივი დაღუპვა და განვითარების დროებითი შეჩერება.

მაგრამ პოლიტიკურ კატასტროფებს ჩვეულებრივად სცვლიდა ნაციონალური აღორძინებისა და კულტურის აყვავების ხანმოკლე პერიოდები. ხალხი აღადგენდა და ამდიდრებდა ხოლმე თავის კულტურულ ღირებულებებს, ვმირულად იცავდა მათ უცხოელ დამპყრობებთან გამძაფრებულ ბრძოლაში. ხალხის მძლე სულმა დაიცვა და უბედურებათა და კოლონიური დამონების საუკუნეებზე გამოატარა ქართველი ხალხის მაღალი კულტურა, რომელიც, როგორც მითითებული ფენიქსი, აღორძინდებოდა ხოლმე თვითყელი, თითქოს გამოუსწორებელი, კატასტროფის შემდეგ.

მაგრამ ქართული კულტურის განვითარების ნამდვილი „ჩრქოს ხანა“ დგება მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. სოციალისტურმა რევოლუციამ ქართველ მშრომელ ხალხს მთელტანა როგორც სოციალური, ისე ნაციონალური განთავისუფლება მოუტანა. რუსი ხალხის დახმარებით საქართველო, ისევე როგორც ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ჩაგრული ხალხები, ჩაება სოციალიზმის შენების დიად პროცესში. ქართველი ხალხის განთავისუფლებულმა ძალებმა სწრაფად წასწიეს წინ მისი კულტურის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ყველა დარგი.

საბჭოთა ხელისუფლების წლები საქართველოში აღნიშნულია ქართული საბჭოთა კულტურის მძლავრი ზრდით. მიუხედავად ტროცკისტ-ბუხარინელთა კონტრრევოლუციური აგენტურის ძირგამომთხრელი მუშაობისა ლიტერატურულ ორგანიზაციებში, მხატვრული ლიტერატურა ჩვენში ნამდვილად ჰყვავოდა და ჰყვავის. იქმნება ნაწარმოებნი, რომლებიც ასახავენ სოციალისტურ გარდაქმნას ხალხის ცხოვრებაში, ჩნდება ახალი ბრწყინვალე ტალანტები, მხატვრული სიტყვის ძველ ოსტატთაგან საუკეთესონი გამოდიან საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე და აქტიურად ებმებიან ახალი სოციალისტური ლიტერატურის შექმნაში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის ზრდისათვის ძალი ფართო პერსპექტივები გადაშალა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ახალი ქართული კულტურის შეგობრისა და მშენებლის ლავრენტი პავლესძე ზერიას უშუალო დახმარებით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა სძლია ჯგუფობრიობას თავის რიგებში და მოსპო ზღუდეები, რომლებსაც ეგრეთწოდებული პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზაზე ჰკმნიდა.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომლის ხელმძღვანელთა უმრავლესობა, როგორც შემდეგ გამოირკვა, წარმოადგენდა მტრის აგენტურას ლიტერატურულ ორგანიზაციებში, ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას ლიტერატურულ ფრონტზე. აცხადებდნენ რა ლოზუნგს „თანამგზავრი ან მტერი“, ლიტერატურაში ანტი საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები მტერთა ბანაკისაკენ ისროდნენ ძველი სკოლის საუკეთესო მწერლებს.

ისინი განსაკუთრებით ძლიერ მავნებლობდნენ კლასიკოსებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ებრძოდნენ რა ლენინის გეზს წარსული კულტურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეში, „რაპულები“ ცდილობდნენ საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა მოეწყვიტნათ ქართველი კლასიკოსების საუკეთესო ტრადიციებისაგან. ქართული ლიტერატურ-

რის უდიდესი წარსულიდან ისინი ყურადღების ღირსად სთვრიდნენ არა შოთა რუსთაველის დიად პოემას, არა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვ. შემოქმედებს, არამედ ხელოსანი პოეტის იოსებ დავითაშვილის პრიმეტიულ ნაწარმს.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ლიკვიდაციისა და სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი მისი იდეურ-შემოქმედებითი გეზის განადგურების შემდეგ დაიშალა მწერლების სხვა კარჩაკეტილი, განცალკევებული დაჯგუფებებიც. მოხდა საბჭოთა მწერლების საზოგადოებრიობის კონსოლიდაცია. დადგა ინტენსიური შემოქმედების პერიოდი. ქართველ მწერალთა ძირითადი მასა აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში.

უკანასკნელი ხუთი წელი იყო წლები ქართული საბჭოთა ლიტერატურის მძლავრი აღმავლობისა. ჩვენი ლიტერატურის განვითარების ეს პერიოდი ხასიათდება მდიდარი თემატიკით, თანრების მრავალფეროვნებით და სერიოზული მხატვრული ტილოებით, რომლებიც ასახავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებისა და ბრძოლის სხვადასხვა მხარეებს.

ჩვენი მწერლები ცდილობენ მოგვეცენ სტალინური ეპოქის ადამიანის სახე, ისინი მართლად ხატავენ საკოლმეურნეო სოფლის სინამდვილეს, მის განუხრელ ზრდას და წინსვლას შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზით.

ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრების, ადამიანთა სოციალისტური ურთიერთობის ჩვენება ქართველი საბჭოთა პოეტების, პროზაიკოსებისა და დრამატურგების ნაწარმოებთა უმრავლესობის ძირითად თემას შეადგენს.

ამასთან ერთად ჩვენი მწერლების შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს ისტორიულ თემებს, რომლებიც გვიჩვენებენ ხალხის გმირულ წარსულს, მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის.

გადავდივარ რა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცალკე სახეების განხილვაზე, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა საბჭოთა პოეზიამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

ყველან ახსოვს ლიტერატურის ახლო მყოფი და მტრული ელემენტების მიერ წამოწყებული დავა იმ საკითხზე, რომ ლირიკა საჭირო არ არისო. საბჭოთა პოეზიის შემდგომმა განვითარებამ უკუაგდო და გააცამტვერა საბჭოთა ლიტერატურის მტრების კონტრრევოლუციური თეორია. უკანასკნელი სოციალისტური ლირიკა მტკიცედ შევიდა საბჭოთა პოეზიის არსენალში და მასში ერთერთი საპატიო ადგილი დაიჭირა.

თავიანთ გულწრფელ ლექსებში, რომლებშიც სიახლე და სითბო გამოსჰქვივის, საქართველოს პოეტები უმღერებენ საბჭოთა ხალხის მდიდარი და

სისხლქარბი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, ჩელუსკანელთა ისტორიული ეპოპეა, გმირული გადაფრენები ჩრდილოეთის პოლუსით ამერიკაში, წითელ მესაზღვრეთა საგმირო საქმეები, კოლხიდის ქვეყნის მშობლობა, სტაბანოველთა საწარმოო რეკორდები — მხურვალე აკადემიური პროფესიონალიზმის საქართველოს საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში.

განთავისუფლებული კაცობრიობის ქართის — სტალინური კონსტიტუციის მიღებას ქართველი პოეტები გამოეხმაურნენ მთელი რიგი მაღალმხატვრული ლექსებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი პოეტური ნაწარმოებები. ბელადის სახე, როგორც ჩვენი გამარჯვებების სიმბოლო, ახალი განთავისუფლებული კაცობრიობის სიმბოლო, ჩვენი პოეტებისათვის აღფრთოვანების უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

წელს გამოცემული კრებული „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“ წარმოადგენს გვაძლევს იმაზე, თუ რა უდიდესი აღფრთოვანებითა და ტემპერამენტით, რა გულწრფელობითა და სიყვარულით ქართველი პოეტები და მთელი ქართველი ხალხი ასხამენ ზოტბას სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების შემოქმედს ამხანაგ სტალინს.

ორდენოსანი პოეტის ალიო მაშაშვილის ლექსი „სამშობლო ბელადისა“, რომელიც დაბეჭდილია ამ კრებულში, უთუოდ ერთერთი საუკეთესო ნიმუშია უკანასკნელი წლების ქართულ საბჭოთა პოეზიაში. პოეტი ცდილობს დაგვიხატოს ბელადის სახე საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების გრანდიოზულ გარდაქმნათა ფონზე, ის ალტაცებულ სტროფებში გამოსთქვამს ხალხის მადლობას დიდი სტალინისადმი და, მიმართავს რა მას, ამბობს:

„ბრმა იქნებოდა ჩემი ქვეყანა,
რომ არ ბრწყინავდეს შენი თაობა,
რომ არ უცემდეს მკერდში ძლიერად
შენი გული და გამბედაობა“.

მეორე მოწინავე საბჭოთა პოეტი სიმონ ჩიჭოვანი თავის ლექსში „ბელადის თვალი“ აღიდებს სტალინის სიტყვისა და სტალინის ნებისყოფის ძალას:

„სტალინი ამბობს...

...როინიკ ამგვარ შეგნების მერე
იბრუნებს მხარს და გაარღვევს საკანს“.

ამავე კრებულში დაბეჭდილია ს. ჩიჭოვანის მეორე ლექსი „სიმღერა სტალინზე“, რომელსაც მღერიან მთელ საქართველოში.

უნდა ითქვას, რომ სიმონ ჩიჭოვანის სახით ჩვენ გვყავს ერთერთი წამყვანი საბჭოთა პოეტი. ჩიჭოვანი განთავისუფლდა „ლეფის“ ტრადიციები-

საგან, რაც ერთ დროს მას ამძივებდა, მან სძლია ფორმალისტური გატაცებანი და მტკიცედ დადგა საბჭოთა ლიტერატურის ნიდაგზე. უკანასკნელ წლებში მან მოგვცა საუცხოო ლექსები საბჭოთა რეალობის შესახებ, რომლებსაც მაღალი პოეტური ოსტატობა ახასიათებს. *საბჭოთა*

საქართველოს სახალხო პოეტის ორდენისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სტალინი“ ბრწყინვალე ფერადებით მოცემულია სტალინური საქმეების სიდიადე და გამოხატულია სიყვარულის უდიდესი გრძნობა მისდამი, ვინც დიად საბჭოთა ხალხს ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა.

გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციამდელი პოეტური კულტურის საუკეთესო წარმომადგენელია, რომელიც თავიდანვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. მან შესძლო „მთაწმინდის მთვარის“ და „ლურჯა ცხენების“ მომღერლის ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა და საბჭოთა პოეზიის ფრონტზე მოწინავე ადგილის დაკავება. მისი პოემა „ეპოქა“ ჰამინია ჩვენი სოციალისტური საშობლოს ძლიერებისადმი, ჰამინია ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანებისადმი, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ.

კრებულის სხვა მონაწილეთაგან საქირთა აღინიშნოს ა. აბაშელი, რომელმაც დასწერა საუცხოო ლექსი „ფოლადური“, მიძღვნილი დიდი სტალინისადმი. ეს ლექსი მით უფრო შესანიშნავია, რომ აბაშელი ეკუთვნოდა მწერალთა მემარჯვენე დაჯგუფებებს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამდე მცირე შემოკმედებითს აქტივობას იჩენდა.

ა. აბაშელის უკანასკნელი ლექსები მოწმობენ, რომ პოეტმა შესძლო წარსულის მძიმე ტვირთის მოშორება და საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე დადგომა. იგი გამოეხმაურა კოლხიდის ამოშრობის დარგში წარმოებულ გრანდიოზულ მშენებლობას საუცხოო ლექსით „ოქროს საწმისი“, რომელშიც აღიღებს სოციალისტური შრომის ძალასა და ძლიერებას, რომელნიც საუკუნოვან ჭაობებს ციტრუსებისა და ჩაის აყვავებულ პლანტაციებად აქცევენ.

იგივე უნდა ითქვას ვალერიან გაფრინდაშვილის შესახებაც, რომელიც უკანასკნელ წლებში განთავისუფლდა „ცისფერყანწილების“ ტრადიციებისაგან.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე სანდრო შანშიაშვილის ლექსი „იხებ სტალინს“ და სანდრო ეულის ლექსი „დედის ნახვა“.

ს. შანშიაშვილმა, ჩვენი რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის ერთერთმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესძლო გაეშალა თავისი შესანიშნავი შემოკმედებითი შესაძლებლობანი როგორც პოეზიაში, ისე, განსაკუთრებით დრამატურგიის დარგში. აღნიშნულ ლექსში პოეტი უმღერს ბელადს, „მოხვეულ მღელვარე ხალხის გულიდან, ხალხის გულთანვე ცეცხლის მიმტანი“.

ს. ეულის ლექსში ლირიკული კილოთი გადმოცემულია მოქმედი ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის შეხვედრისა თავის დედასთან. პეტრე შესწლო ხაზი გაესვა იმ ღრმა ადამიანობისათვის, რომელიც ესოდენ ახასიათებს ამხანაგი ხტალინის სახეს. სანდრო ეული ჩვენი აქტიური ძალია.

აღსანიშნავია აგრეთვე დიდი ეპიკური ტილოს შექმნის ცდა, რასაც ხელი მოჰკიდა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. პირველი ნაწილი მისი პოემისა „ბავშვობა და ყრმობა“ დაწერილია დიდი პოეტური აღფრთოვანებით. პოეტი წარმატებით მუშაობს ფართოდ განზრახული და ფრიად პასუხსაგები ნაწარმოების დასამთავრებლად. გ. ლეონიძე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთერთი იმ პოეტთაგანია, რომელთაც ყველაზე მეტად კითხულობენ და რომლებიც ყველაზე ნაყოფიერი არიან.

განსაკუთრებით უნდა შეეჭვოდეთ პოეტ ილო მოსაშვილის შემოქმედებაზე. მოსაშვილი წინათ ეკუთვნოდა მემარჯვენე მწერალთა ჯგუფს „არიფიონს“. უკანასკნელ წლებში მან სწრაფად იწყო ამ ჯგუფის შემოქმედებითი პრინციპებისაგან განთავისუფლება და ქართული საბჭოთა პოეზიის ერთერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი გახდა. მისი პოლიტიკურად გამახვილებული ლექსები გაეღწეოდა დღევანდელი დღის პათოსით და მათი უმრავლესობა წარმოადგენს გამოხმაურებას საბჭოთა ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ქართული პოეტური სიტყვის ოსტატებს ეკუთვნიან აგრეთვე იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რაეღენ გვიტაძე.

„რაპელების“ პოლიტიკის შეოხებით იოსებ გრიშაშვილს დიდხანს შერჩა „გაუსწორებელი რეაქციული“ პოეტის ეპიტეტი, მაგრამ თავისი შემოქმედებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ გრიშაშვილმა დაამტკიცა, რომ მას ღირსეულად შეუძლიან საბჭოთა მწერლის საპატიო სახელწოდების ტარება.

კარგი ლექსები მოგვცეს და უკანასკნელ დროს საკმაოდ აქტიური გახდნენ პოეტები: პეტრე სამსონიძე, ი. ლისაშვილი, კ. ბობოხიძე, შ. აფხაიძე, ვ. ყურული, ვ. გაბესკირია, მ. პატარიძე, ა. ქუთათელი და სხვ.

პოეტური ახალგაზრდა თაობის ზრდა საქართველოში სასიხარულო სურათს იძლევა. ხუთი-ექვსი წლის მანძილზე ჩვენში იდეურად და თეორიულად გაიზარდნენ ისეთი პოეტები, როგორც არიან: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ვოშიაშვილი, გიორგი კაჭახიძე. ეს ამხანაგები მკითხველებს შორის პოპულარობით სარგებლობენ. მათ უკვე აქვთ საკუთარი პოეტური ხმა და, მიუხედავად მათი შემოქმედების ცალკეული ფორმალური არასრულყოფისა, ისინი ერთგულად ემნახურებიან თავის ხალხს. მთელი რიგი ახალგაზრდა დამწყები პოეტები დაგვუფლებული არიან ტურნალ „ჩვენი თაობის“ გარშემო: ამისულაშვილი, უბილაეა, შამათაეა,

გ. აბაშიძე და სხვ. უკვე გამოირჩევიან თავიანთი უდაგო პოეტური ნიჭით. ახალგაზრდა პოეტებმა გულმოდგინედ უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე და დაეუფლონ პოეტურ ოსტატობას, რომელიც მათ შეუძლიანთ ისწავლონ და კიდევ უნდა ისწავლონ მოწინავე საბჭოთა პოეტებისა და ჩვენი კლასიკოსებისაგან.

ვამთავრებთ რა ლაპარაკს პოეზიის შესახებ, არ შეიძლება არ შევეხოთ ორ ნიჭიერ პოეტს, რომლებსაც, ასე ვთქვათ, დიდი რევოლუციამდელი სტაფი აქვთ და რომლებიც დღემდე იჩენენ მცირე წარმატებებს საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე გადასვლის საქმეში. ესენი არიან პოეტები: კ. ნადირაძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე. ორივე ამ პოეტის შემოქმედებას ახასიათებს ჭანყენებული ლირიკა, ბუნდოვანი სახეები. საბჭოთა თემატიკის უგულვებელყოფა. ჭიჭინაძისა და ნადირაძის ლექსებს რომ კითხვლობთ, ზშირად გაგიძნელებათ განსაზღვრა, თუ რომელ ეპოქას ეკუთვნიან ისინი.

საქართველოს სხვა პოეტებთან ერთად კოლაუ ნადირაძე წავიდა შემოქმედებითს მივლინებაში კოლხიდაში, ყველა იმ მოვლენიდან, რაც ხდება ამ, არსებითად რომ ვთქვათ ახალ მატერიკზე, რომელიც აღმოჩენილია ბოლშევიკების მიერ, მან შეამჩნია მხოლოდ ერთი ტყემლის აყვავება. ლექსს სათაურიც ასეთი აქვს „თეთრი ტყემალი“. ხოლო კ. ჭიჭინაძის საუკეთესო ლექსი „რიონის აპოლოგია“ აღიდებს ბუნების ბრმა სტიქიას, საზოგადოებრივ მოვლენათაგან სავსებით აბსტრაგირებულად.

ჭიჭინაძეც და ნადირაძეც სერიოზულად უნდა დაუფიქრონ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს გზას. მართო უიდეო ტყემლის რომანტიკითა და სიმბოლისტური ბურუსით სოციალიზმის ეპოქაში შორს ვერ წახვალ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძველი ქართული პროზის ბევრი შესანიშნავი ძეგლი, ქართულ პროზას მაინც არა აქვს ისეთი ბრწყინვალე ისტორია, როგორც ქართულ პოეზიას. ქართულ პროზას წარსულში არა ჰყავს ისეთი შეუღარებელი ოსტატი, როგორც იყო პოეზიაში გენიალური შოთა რუსთაველი. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართულ ლიტერატურაში ჰეგემონია განუყოფელად ეკუთვნოდა პოეზიას.

ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი ახალ ქართულ პროზას. მისი მოთხოვნები აღსაესება ხალხური სიბრძნით და გვიბილავს თავისი იდეური მიზანდასახულობითა და მხატვრული უშუალობით. აკაკი წერეთელმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, დავით კლდიაშვილმა და ეგნატე ნინოშვილმა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, შექმნეს კლასიკური ეპოქა ქართული პროზის განვითარებაში.

რეაქციისა და მენშევიკური დიქტატურის პერიოდში ქართული პროზა გადაგვარდა და დეგრადაციას განიცდიდა. იდეურ-მხატვრული მნიშვნ.

ვნელობით დიდი ნაწარმოებების ადგილი დაიკავა უბადრუტ ნოველებმა, ესკიზებმა, ეროტიკული და ხშირად პორნოგრაფული შინაარსის მინიატურებმა.

მხატვრული პროზა მხოლოდ პროლეტარიატის ^{ქრქქქქქქქქ} გამყარების შემდეგ იკავებს მისთვის შესაფერ ადგილს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ქართველ პროზაიკოსთა თანამედროვე კადრები შესდგებიან როგორც რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის წრიდან ჩვენთან მოსული მწერლებისაგან, ისე იმ მწერლებისაგან, რომლებიც როგორც მხატვრები საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბდნენ.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით, ჩვენმა მწერლებმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შექმნეს დიდი ნაწარმოებები, რომლებშიაც ასახულია სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. ასახულია ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლა წარსულში. ასეთ პროზაულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ლეო ქიჩელის „გედი ბიგეა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „იმერეთი“, შალვა დადიანის „ურდული“, რ. გვეტაძის „თეო“ და „ჭიაკოკონა“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“, დ. შენგალაიას „ბელადის ყრმობა“ და სხვ.

მაგრამ სწორი არ იქნება ვიგულისხმოთ, რომ თანამედროვე ქართული პროზის ნაწარმოებები მთლად შედევრია. არა, ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის ასე. ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი პრობლემა სოციალისტური ეპოქის ადამიანის ჩვენებისა, პრობლემა ჩვენი სამშობლოს გმირ ვაჟთა და ქალიშვილთა ჩვენებისა. ამხანაგი ლ. ბერი თაქის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე საკვებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ჩვენს გმირულ საბჭოთა სინამდვილეს ჯერ კიდევ არ უპოვნია მასში დირექტული მხატვრული, სრულფასოვანი ასახვა“.

ჩვენმა პროზაიკოსებმა ბევრი და ბევრი უნდა იმუშაონ ამ ხარვეზის შესავსებად.

ქართული პროზის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ოსტატად სამართლიანად ითვლება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატად ამას წინათ არჩეული ძველი მწერალი შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი, პირველი რომანი, რომელმაც განსაზღვრა მისი სახე, როგორც მხატვრული პროზის დიდი ოსტატისა, დაწერილი და გამოქვეყნებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ ნაწარმოებში ავტორი ჯერ კიდევ არ არის განთავსებული თაქის ძველი მსოფლმხედველობის ილემენტებისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხატვრის ოსტატური კალმით მან შესძლო ცოცხალი ფერებით დაეხატა ეპოქა, ცხოვრება და ყოფა XII საუკუნის ქართველი საზოგადოებისა, რომელმაც წარმოშვა ქართული ლიტერატურის

სიამაყე შოთა რუსთაველი. დრამატურგიის დარგში ნაყოფიერი მუშაობასთან ერთად დადიანი განაგრძობს ქართული საბჭოთა პროზის გამდიდრებას ძვირფასი ნაწარმოებებით უმთავრესად ისტორიულ-საბრძოლველ თემებზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი უკანასკნელი რომანი „ურდუმი“. რომანის თემაა მეგრულ გლეხთა ცნობილი აჯანყება მეფის მოხელეებისა და სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. რომანი აგებულია მდიდარ ფაქტურ მასალაზე და დაწერილია მშვენიერი ქართული ენით.

რომანის მთავარი გმირია აჯანყების ხელმძღვანელი, მკედელი ურუ, შიქავა, რომელსაც თანამებრძოლებმა სამეგრელოს დანტონი უწოდეს. აჯანყებამ ფართო მასშტაბი მიიღო. გლეხებმა, შიქავას ხელმძღვანელობით, დროებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებაც კი მოახერხეს და თავისი წინამძღოლი სამეგრელოს უზენაეს მმართველად გამოაცხადეს.

შემდგენი აჯანყება ჩაქრობილ იქნა მეფის ჯარების მიერ.

ამ შესანიშნავი აჯანყების ისტორია მაღლიანი თემაა საბჭოთა მწერლისათვის. შალვა დადიანმა თავის რომანში დაგვიხატა ქართველი მშრომელი ხალხის საუკუნოებრივი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, ქართველ გლეხთა საუკუნოებრივი ბრძოლა თავის მჩაგვრელებთან. მწერალმა სიყვარულით დაგვიხატა სახალხო გმირის ურუ შიქავას ფიგურა, რომელზეც ქართველმა ხალხმა თქმულებები და ლეგენდები შექმნა.

ამხანაგ დადიანის რომანი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი იქნება დიდი ნაბიჯი წინ როგორც ავტორისათვის, ისე მთელი ქართული პროზისათვის.

დამახასიათებელია მეორე ცნობილი საბჭოთა ბელეტრისტის ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი გზა. გამოვიდა რა სამწერლო ასპარეზზე შესანიშნავი რომანით „ტარიელ ვოლუატი“, ლეო ქიაჩელმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოიჩინა თავი, როგორც თვალსაჩინო მწერალმარეალისტმა. ამ რომანში 1905 წ. რევოლუციური ეპიზოდების ცოცხლად გადმოცემამ დიდი პოპულარობა შეუქმნა ავტორს.

მაგრამ რეაქციის წლებმა თავისი დალი დაასვა ქიაჩელის შემოქმედებას. ქიაჩელმა უღალატა რეალისტურ ხელოვნებას და ამ წლებში სანტიმენტალურ მინიატურებზე და სიმბოლისტურ-დეკადენტური სტილის ესკიზებზე გადავიდა.

საბჭოთა სინამდვილემ გაუღვიძა ლ. ქიაჩელს მისწრაფება რეალიზმის პოზიციებზე დაბრუნებისა. 1927 წელს მან გამოაქვეყნა დიდი რომანი „სისხლი“, რომელშიაც სკადა მოეცა სურათი მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლისა. მაგრამ ეს მას ვერ გამოუვიდა. რომან „სისხლში“ ავტორმა დაუშვა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ერთგვარი ფალსიფიკა-

ცია — ვერ მოახერხა მკაფიოდ აესახა საქართველოს ბოლომდე, რომელიც ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი ამ ბრძოლაში.

უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ლუკაჩენკოს შემოქმედებაში ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა. მისი *ხეცხეცობა* ჩვენ გვეყავს დიდი შესაძლებლობების მქონე მხატვარი, რომელიც მტკიცედ დგას საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე. რომან „გვალი ბიგვაში“, რომელიც ამჟამად იბეჭდება, ქიაჩელი გამოდის როგორც დაკვირვებული საბჭოთა მხატვარი-რეალისტი, რომელიც მკითხველის წინაშე შლის ადამიანთა სოციალისტურად გარდაქმნის რთულ პროცესს. რომანის გმირი გვალი ბიგვა დაცემის უკანასკნელ საზღვარამდე მიყვანილი კაპიტალისტური ურთიერთობით სოფლად. მაგრამ იგი, დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობა ჩაიდება. შრომა, რომელიც ასე სძულდა გვალი ბიგვას და რომელსაც ასე გაურბოდა იგი, ზდება ღირსების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ. მოწინავე საბჭოთა ადამიანების — კოლმეურნეობის მშენებლების კოლექტივი ხელს ჰკიდებს გვალი ბიგვას გარდაქმნას. საკოლმეურნეო სინამდვილე მას, ექსპლოატატორული წყობილებით მორალურად და ზნეობრივად დამახინჯებულს, ამაღლებს თავისი ადამიანური ღირსების შეგნებამდე. იწყება ბიგვას მორალური ამაღლება, მასში იღვიძებს მის წრადგება პატროსანი საკოლმეურნეო შრომისაკენ, რომელმაც მისი მუშაობელი კოლმეურნეი ბედნიერ, შეძლებულ ცხოვრებამდე მიიყვანა.

ქიაჩელის რომანი მთლიანი და წარმატებული სიუჟეტით განირჩევა. ის დიდხანს დარჩება ერთერთ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად, რომელიც გვიხატავს საკოლმეურნეო სოფელს და მის შესანიშნავ ადამიანებს.

მწერალი რაყდენ გვეტაძე, რომელიც თავის დროზე „ციფერყანწელ“ პოეტთა ჯგუფს ეკუთვნოდა, მალე განთავისუფლდა სიმბოლისტურ-დეკადენტური იდეური ბურჟუასიზმისა და საბჭოთა ლიტერატურის აქტიური ძალა გახდა. მისი პირველი რომანი „თეო“ უხვად შეიცავს დრამატულ მომენტებს და საკმაოდ მკაფიოდ გადმოგვცემს კოლმეურნეობის წინა საბჭოთა სოფელში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის სურათს.

რომანში „ლაშაურის საღამოები“, რომელიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა, გვეტაძე მიზნად ისახავდა ეჩვენებინა საბჭოთა ინტელიგენტის სახე. ავტორი გაიტაცა რთულმა კომპოზიციამ და დახლართულმა სიუჟეტმა და მან თავის მიზანს ვერ მიაღწია. მისი გმირები ვერ ახდენენ საბჭოთა ინტელიგენტების — სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეების შთაბეჭდილებას.

რაყდენ გვეტაძემ უნდა გაითვალისწინოს ეს გაკვეთილი თავის შემდგომ მუშაობაში.

დეკადენტური გავლენებიდან საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე პოზიციებისაკენ — ასეთია თანამედროვე ქართული პროზის ერთერთი

თვალსაზრისით წარმომადგენლის — დემნა შენგელაიას გზა. შენგელაია იყო „ლეფელთა“ ჯგუფში და განიცდიდა სიმბოლიზმის ძლიერ გველენას, რომლის სულითაც გამსჭვალული იყო მისი წინანდელი ნაწარმოებები „სანაეარდო“ და „თბილისი“. ამ რომანებში შენგელაიას წინაშე მდებარეობდა ერთად მომქმედ პირებად გამოჰყავს კინკები, ქაჯები და მითიური სამყაროს სხვა „წარმომადგენლები“, რომლებიც ავტორის განზრახვით, წარმოადგენენ იდეების უსხეულო განსახიერებას, არც მეტი და არც ნაკლები.

ჩვენი პარტიის, სოციალისტური სინამდვილის იდეური გავლენით, დ. შენგელაია საბოლოოდ განთავისუფლდა ამ ნაკლოვანებებისაგან და მოწინავე საბჭოთა პროზაიკოსი გახდა. მის მოთხრობებში სამოქალაქო ომის შესახებ კვალიც აღარ არის წარსული მისტიკისა. რომან „ბათა ქექიათი“ შენგელაიამ საბოლოოდ მოიმაგრა ფეხი სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე.

ამეზამდ შენგელაია მუშაობს დიდ და პასუხსაგებ ნაწარმოებზე „ყრმობა“, რომელშიაც იგი აგვიწერს დიდი სტალინის ყრმობის წლებს. მწერლის ოსტატობაც, ნიჭიც და იდეური მომწიფებულობაც საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ იგი დასძლევს დასახულ ამოცანას.

წარმატებით მუშაობს პროზის დარგში ს. კლდიაშვილი. მისი „სვანური მოთხრობები“ უთუოდ მოწმობენ მწერლის შემოქმედებითს ზრდას.

საკოლმეურნეო თემაზე დაწერილია კონსტანტინე ლორთქიფანიძის დიდი რომანი — „იმერეთი“, რომელიც ცნობილია კიდევ სხვა სახელწოდებით: „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“. კ. ლორთქიფანიძის მხატვრული ნაწარმოებები განიარჩევა დიდი პრობლემების დაყენების სიახლით და ღრმა იდეურობით. რომან „იმერეთში“ ლორთქიფანიძე ჩვენს წინაშე გამოდის როგორც მომწიფებული, საბჭოთა მწერლის მახვილი თვალის მქონე მხატვარი. მას გამოჰყავს მთელი გაღვრეა საკოლმეურნეო სოფლის ახალი ადამიანებისა, რომელნიც სისხლქარბი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ლორთქიფანიძის, როგორც მწერლის, დამახასიათებელი თვისებები არის, რომ მას არა აქვს მევიარაღა ფრაზა და მოეპოვება დიდი შინაგანი ძალა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე. გამსახურდია წინათ მწერალთა ეგრეთწოდებულ „აკადემიურ ჯგუფს“ ეკუთვნოდა. მისი შემოქმედება ხასიათდებოდა მტბრძოლი ნაკონალიზმით, მისტიკითა და წერილობურენაზიული ინდივიდუალიზმით.

სესხულობდა რა ნიციშვანურ ამორალიზმს ევროპის ლაბობადი კაპიტალიზმის ფილოსოფიისაგან, გამსახურდია ფართოდ ანვითარებდა ამ იდეებს თავის ნაწარმოებებში. ზოგიერთ ნოველაში იგი „რასობრივი თეორიის“ პირდაპირ ქადაგებამდე მიდიოდა. ბოროტი სულელები, კინკები და ალქაჯობის სხვა აქტესუარები აჩემებულ პერსონაჟებს წარმოადგენდნენ გამსახურდიას მთელ რიგ მოთხრობებში.

სოციალისტური სინამდვილის გავლენით გამსახურდიამ დაე-
ტრევიზი თავისი წინანდელი იდეური პოზიციები. თავის უკანასკნელ
დიდ რომან „მთვარის მოტაცებაში“ მწერალმა მიზნად დაესახა
ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, ჩვენი საბჭოთა აღმშენებლის ცდა
გერ გამოუვიდა. რომანი „მთვარის მოტაცება“, მიუხედავად ავტორის
ზოგიერთი ფორმალური მიღწევისა, გამსჯეალულია ჩვენთვის უცხო და
შიუღებელი იდეური ტენდენციებით. იგი მოწმობს იმას, რომ გამსახურ-
დია იდეურად და შემოქმედების მხრივ ჯერ კიდევ საკმაოდ არ ვაღაი-
ჩალებულა.

რომანის ცენტრში დგას თარაშ ემხვარი, „ზედმეტი აღმშენის“ ტიპი.
შველი არისტოკრატიული გვარის ნამსხვრევი, რომელსაც მთელი ევრო-
პა შემოუვლია და ევროპული ბოჰემის ყველა მანკი შეუთვისებია. ავტო-
რი განსაკუთრებული სიმპატიით ეკიდება ამ ავანტიურისტს, რევოლუ-
ციის მიერ განადგურებული ექსპლოატატორული კლასის ნაბოლარას.

თარაშ ემხვარის დასაპირდაპირებლად გამსახურდიამ სცადა მოეცა
კომკავშირულ-აფხაზის სახე, მაგრამ კომკავშირული მას არ გამოუვიდა.
ყოფილა წვრილფეხა აზნაური, ცრუმორწმუნე და ცრუ, ყოფილი თავა-
გადის ქალის „ციხფერი სისხლით“ გატაცებული, რომელიც იმით ამთავ-
რებს, რომ თავის საკუთარ მამას ჰკლავს, — აი ვინ არის კომკავშირული
კ. გამსახურდიას რომანში.

ასეთი ნაწარმოებით, რა თქმა უნდა არ შეიძლება გქონდეს მოწინა-
გე საბჭოთა მწერლის სახელწოდების პრეტენზია. კონსტანტინე გამსა-
ხურდიამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ საბოლოოდ
განთავისუფლდეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ტყვე-
ობიდან და თავის შემოქმედებით შესაძლებლობათა შესაფერი ადგილი
დაიკავოს საბჭოთა ლიტერატურაში.

კ. გამსახურდიამ გაამდიდრა ქართული ლიტერატურა დანტეს „ლეთ-
ებრივი კომედიის“ კარგი თარგმანით. მისი მოღვაწეობის ეს დადებითი
მხარე აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

სხვა პროზაული ნაწარმოებებიდან საჭიროა აღინიშნოს ბააზოვის რო-
მანი — „ფეთხანი“, რომელიც გვიხატავს ღარიბ ებრეალთა ცხოვრებას,
ე. ლისაშვილის — „გარდნილი“, ა. ჭეიშვილის საკმაოდ კარგი რომანი —
„ლელი“, ა. ქუთათელის — „პირისპირ“, ე. პოლუმორდინოვის — „იდე-
მბენ მთები“, სულიაშვილის — „კედელი“ და სხვ.



ოქტომბრის დიდი რევოლუციის 20 წლისთავისათვის ქართული თე-
ატრების რეპერტუარში ჩვენ გვქონდა ორმოცზე მეტი ორიგინალური
ჩივისა აქტუალურ საბჭოთა თემებზე. მარტო ეს ციფრი მოწმობს ქართუ-
ლი მხატვრული დრამატურგიის სწრაფ ზრდას უკანასკნელ წლებში.

მეორე პიესით „გმირთა თაობით“ ს. კლდიაშვილმა დაამტკიცა, რომ მას ეხერხება აირჩიოს ცხოვრებიდან ყველაზე აქტუალური თემები და საკმაოდ კარგად ამუშავებს მათ. დრამის მოქმედება განხორციელდა კოლხეთის ჭაობების ამოშრობისათვის წარმოებულ გრანდიოზულ მშენებლობაზე. პიესის ღერძს წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ბრძოლა ტროცკისტულ ჯაშუშებისა და დივერსანტების წინააღმდეგ. გმირების რთული ხასიათები და ავტორის მიერ სოციალურ მოვლენათა ღრმად გაგება ფრიალ აქტუალურს ხდის ამ პიესას. ის იწვევს მაყურებლის დაძაბულ ყურადღებას და წმინდა ხიბულვალს მტრებისადმი. იგი სცენიდან მოისმის როგორც მძლავრი მოწოდება რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო მეტად ამალღებისაკენ, მავნებლებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლისაკენ.

უკანასკნელ წლებში ახალი ნაწარმოებებით გაამდიდრეს ჩვენი ლიტერატურა აგრეთვე დრამატურგებმა პ. კაკაბაძემ, ი. ვაკელმა, ს. შთვარაძემ, რომელიც უმთავრესად ნორჩი მაყურებლის თეატრებისათვის სწერს, ბუნდიაშვილმა, რ. ქორჭიამ და სხვებმა.

ამ ერთი წლის წინათ ქართული საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა დრამატურგმა გ. მდივანმა. მისი პიესა „ალკაზარი“, რომელიც მიძღვნილია ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი ფაშისტ ინტერვენტთა წინააღმდეგ, დიდი წარმატებით სარგებლობს მაყურებლებში. უკანასკნელ დროს მდივანმა დასწერა საკმაოდ კარგი პიესა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარულის თემაზე.

მდივანის პიესების ძირითადი ნაკლოვანებებია მოქმედების ეპიზოდურობა, იაფფასიანი ეფექტებით ვატაცება, ზოგიერთი გმირის სტემატიურობა. მაგრამ ყოველივე ეს ანაზღაურებულია იმით, რომ ამ პიესებში ბგერს საღი იდეები, რომლებიც მთელ საბჭოთა საზოგადოებას აღელვებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მდივანს შეუძლია გული დაიმშვიდოს და არ იმუშაოს თავისი ოსტატობის შემდგომი ამალღებისათვის. პირიქით, მას ისევე ესაჭიროება ისწავლოს და გააუმჯობესოს თავისი შემოქმედება, როგორც ბევრ ჩვენ სხვა საბჭოთა დრამატურგსაც.

ყველაზე შესანიშნავ მოვლენად ჩვენი დრამატურგიის განვითარებაში უკანასკნელი 5 წლის მანძილზე აქცილებლად უნდა ჩათვალოს შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“. ჩვენი პლენუმის მონაწილეებმა ნახეს ეს პიესა რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრის დაღვით.

ეს პიესა მისი ავტორის დიდ იდეურ ზრდას მოწმობს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. „ნაპერწყლიდან“ წარმოადგენს იმის პირველ და წარმატებით დამთავრებულ ცდას, რომ თეატრალურ სცენაზე ნაჩვენებ იქნას ერთერთი ეტაპი საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გმირული ბრძოლისა მეფის თვითმპყრობელობის და კაპი-

ტალიზმის წინააღმდეგ. იგი წარმოადგენს სერიოზულ ცდას დატყვევებული იქნას მხატვრული თეატრალური ილუსტრაცია იმ უდიდესი მუშაობის ისტორიისა, რომელსაც ატარებდა აქ, საქართველოში ახალგაზრდა სტალინი, კავკასიის სახელოვანი ბოლშევიკური ორგანიზაციის უდიდესი მღებელი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამხ. დადიანის პიესამ ახალი ფურცელი გადაშალა ქართული საბჭოთა დრამატურგიის ისტორიაში, და ამასთან ამ ისტორიის ყველაზე ბრწყინვალე თავის ფურცელი. ნაპერწკალს უნდა მოჰყვეს ალი, იმ ისტორიული ბრძოლის სურათების შემოქმედებითი ათვისებისა და მხატვრული ჩვენების ალი, რომლის ფინალიც გახდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია.

ეს ამოცანა გადაუდებლად დგას მთელი ჩვენი ლიტერატურის წინაშე. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქართველ მწერლებს ძალიან გაუსწრეს ქართველმა მხატვრებმა. სურათების ცნობილი გამოფენა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“, რომელიც შემდეგ გადატანილ იქნა მოსკოვში, გაცილებით მეტს ეუბნება საბჭოთა ადამიანს საბჭოთა ხალხის გამორულ წარსულზე, ვიდრე ჩვენი მხატვრული ლიტერატურა. სულით და გულით მიესალმებიან რამხატვართა გამარჯვებას, საბჭოთა მწერლები, ჩვენს შორის რომ ეთქვათ, არ შეიძლება ამავე დროს ერთგვარ შურს არ გრძნობდნენ მათდამი. კაზმულ ლიტერატურას — ხელოვნების ყველაზე მოქნილ, ყველაზე ძლიერ, ყველაზე მასობრივ სახეს — ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ არაეის არ დაუთმოს პირველობა ბოლშევიზმის ისტორიის, საბჭოთა ხალხების რევოლუციური ბრძოლის ისტორიის მხატვრული ასახვის საქმეში.

ამხანაგი ლავრენტი ბერიას ბრწყინვალე შრომამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ აღაფრთოვანა ქართველი მხატვრები ამ მშვენიერი ტილოების შესაქმნელად. გამოავლინა რა კავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და განვითარების ნამდვილი სურათი, ამხანაგმა ბერიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა პარტიის ისტორიის მრავალრიცხოვან ფალსიფიკატორებს. ამხანაგ ბერიას წიგნი, რომელიც ღირსეულად დააფასა მთელმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა, მკაფიოდ და რელიეფურად გვიხატავს ახალგაზრდა სტალინის, ლენინური წრეთომის ახალგაზრდა, მაგრამ ბრძენი და სამატი მხედართმთავრის საყვარელ და განუმეორებელ სახეს.

ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი ჩვენს წინაშე აცოცხლებს უშესიანდშნავეს გამირ-ბოლშევიკთა, დიდი სტალინის მოწაფეთა და თანამებრძოლთა, პირსისხლიან ტარიზმთან უთანასწორო ბრძოლაში დატყვევლთა მთელ გალერეას. ისტორიაში ბევრს ეერ იზოვი ისეთი შეუღრეკელი ნებისყოფისა და ენერჯიის, ისეთი გაქანების ადამიანებს, როგორიც იყო, მაგალითად, ლადო კეცხოველი. ამ დიდი რევოლუციონერის კრისტალური სახე, მისი

ბოზოჭარი სიკოცხლე, დრამატოზმით აღსაესე და ოცდაშვიტე წელს შეწყვეტილი, უმდიდრეს თემას წარმოადგენს დიდ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის.

წულუკიტე, შაუშიანი, ჯაფარიძე და ბევრი სხვაპატრიოტული მხატვარი—მუშები, გლეხები, ინტელიგენტები აღზრდილნი არიან დიდი სტალინის მიერ. მათი სახეები დიდი ხანია ელიან მხატვრულ სიტყვის ოსტატებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთერთ ძირითად ამოცანად ჩვენ მიგვაჩნია ამ თემატიკის დამუშავება. მაგრამ ეს თემატიკა იმდენად ვრცელი და მდიდარია, იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ტრიბუნიდან არ მოვეწოდოთ მთელი საბჭოთა კავშირის მხატვრული სიტყვის ოსტატებს—მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ მუშაობაში. აქ ადგილი და თემები ყველასთვის საკმარისია.

ბოლშევიკური მატთანე საქართველოსი და კავკასიისა, სადაც ყოველი გოჯი მიწა სუნთქავს მოგონებებით, იმის პირველ დევემირულ ნაბიჯებზე, ვისი სახელიც ახალი, სოციალისტური კაცობრიობის უძლეველი დროშა ვახდა, ამხანაგ სტალინის სახელი ათასწლების მანძილზე შთააგონებს მწერლებსა და პოეტებს, სახალხო მელექსეებსა და მომღერლებს, მუსიკოსებსა და ყალმის ოსტატებს.

მწერალი თავის ეპოქისა და თავის ხალხის დიადი იდეების გამომხატველი უნდა იყოს. ბოლო ერთერთ ასეთ იდეას, რომელიც აერთიანებს ხალხთა მთელ სტალინურ ოჯახს, წამოადგენს პატრიოტიზმი, უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მზადყოფნა მისი წმინდათა წმინდა საზღვრების დასაცავად ბრძოლისათვის.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ვაკეცურად გაისმის საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივები, მაგრამ ჩვენმა მწერლებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ ამ მიმართულებით. სოციალისტური სამშობლოსადმი, მისი ხალხებისადმი, მისი უდიდესი მინდვრებისა და ტბებისადმი, ზღვებისა, მთებისა და მდელიებისადმი, მისი კულტურისადმი სიყვარულის დიადი გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული საბჭოთა მწერლის ყოველი ნაწარმოები, მიუხედავად ქანრისა და თემატიკისა.

აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ შევეხოთ საკითხს მწერლის მოქალაქეობრივ მოვალეობისა და მოქალაქეობრივა სახის შესახებ.

ხალხის საზიზღარმა მტრებმა ტროცკისტ-ბუხარინელებმა ჯაშუშებმა და დივერსანტებმა საქართველოს საბჭოთა მწერლების წრეშიაც მოახერხეს შეპარვა. დაცემის უკანასკნელ საზღვრამდე მისულ ამ ადამიანებს, რომლებიც მწერლის ნიღაბს ეფარებოდნენ, უცხოეთის დაზვერვები იყენებდნენ მათი მყარალი საქმის ყველაზე ბინძურ სამუშაოზე.

განსაკუთრებით „გამოიჩინა თავი“ ამ მხრივ „ცისფერყანწელთა“ უმრავლესობამ, რომელნიც ქართულ ლიტერატურაში დამპალ, შხამიან ნა-

კადად შემოიჭრენ ომამდელი ევროპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ლიტერატურული კაობიდან. „ცისფერყანწელთა“ ხელმძღვანელნი, რომლებსაც სძულდათ თავისი ხალხი, არ გააჩნდათ ფესვები აქვეყნისაში, არც აწაყოში და რომლებმაც თავიდანვე კულტად აქცეეს ვერაგობა, თვალთმაქცობა და შენიღბვა, შესაფერისი მასალა აღმოჩნდნენ უცხოეთის ჯაშუშური ორგანიზაციების ხელში. ამ მოარულმა სიღამაღამე ზოგიერთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ჩათრევაც მოახერხა.

პარტიული ორგანიზაციების დახმარებით საქართველოს მწერალთა ორგანიზაცია გაიწმინდა ჯაშუშურ-დივერსანტული და ტერორისტული სიბღწისაგან. მაგრამ ამით როდი დამთავრებულა ბრძოლა ჩვენი ჩიგების სიწმინდისათვის.

ჯერ ხომ კიდევ რჩება კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც, როგორც ბელადმა მიგვითითა, მომავალშიაც გამოგზავნის ჩვენში ტერორისტებსა და ჯაშუშებს.

უნდა განვამტკიცოთ და გამოვაწრთოთ მწერალთა ჩიგები. უნდა გამოვიმუშავოთ ისეთი იმუნიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს მწერალთა წრეს ყოველგვარი ანტი სახალხო სენის გადადებისაგან.

ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ თავგამოდებული მუშაობით ჩვენი მწერლების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის და მათში მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნების აღზრდისათვის.

გავისხენოთ წარსულის დიდ მწერლები, ადამიანთა აზრის მოელვარე მონბლანები — პუშკინი, გოეტე, ბელინსკი, შილერი, შევჩენკო, ბაირონი, შელი და სხვები. მათი სიდიადე არა მარტო მათს განუმეორებელ გენიაშია, არამედ იმაშიაც, რომ მიუხედავად ექსპლოატატორული წყობილებისაგან ჩაგვრისა, ისინი იღვწენ თავისა დროის მოწინავე იდეოლოგიის დონეზე, იწვოდნენ ხალჩისადმი სრყვარულით და იყენენ მისი მოქალაქეობრივი იდეალების მამაკი მატარებელნი და გამომხატველნი.

ვინ უნდა განავრძოს და განავითაროს ახალ პირობებში წარსულის ეს დიადი ტრადიციები, თუ არა საბჭოთა მწერლებმა, რომელნიც ცხოვრობენ და ჰქმნიან სოციალიზმის ქვეყანაში?

საქართველოს საბჭოთა მწერლებს ახსოვთ, და მათ ქცევის განუხრელ წესად უნდა დაისახონ ამხანავ ლ. ბერიას სიტყვები, რომლებიც მან წარმოსთქვა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) X ყრილობაზე: „საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება, იგი უნდა იყოს გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აღართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან“.

ნამდვილ საბჭოთა მწერლად ყოფნა — ეს ნიშნავს პირველ რიგში იყო საბჭოთა მოქალაქე და პატრიოტი, არა მარტო შენს ნაწერებზე, არამედ მთელი შენი ფიზიკური და სულიერი არსებითაც.

იმ კითხვაზე, თუ ვინ უნდა იყოს ჩვენი მწერლები, ჩვენ უნდა დავიხსენოთ ძირითადი გმირი, ამომწურავი პასუხი გასცა დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე: „ჩვენი წიგნების ძირითად გმირად, — სიტყვა გორკიმ, — ჩვენ უნდა ავირჩიოთ შრომა, ე. ი. ადამიანი, რომლის ორგანიზებასაც შრომის პროცესები ახდენენ, შრომისა, რომელიც ჩვენში შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკის მთელი სიმძლავრით, ადამიანი, რომელიც თავის მხრით შრომას უფრო მსუბუქს, პროდუქტიულს ხდის და ხელოვნების საფეხურზე აყავს იგი“.

ასეთ ადამიანებს წარმოადგენენ ქალაქისა და სოფლის ჩვენი სტახანოელები, ჩვენი გმირი მფრინავეები, რომლებმაც დაიპყრეს პოლუსი. შრომის ყველა დარგის მთელი მოწინავე მუშაკები. ისინი წარმოადგენენ იმ ახალ ადამიანებს, რომლებზეც სამწუხაროდ, იმდენს არა სწერენ, რამდენსაც დსკუსიას ეწევიან ჩვენი მწერლები.

პრობლემა ახალი ადამიანის ჩვენებისა, მისი ხასიათის და გარემოცვის მთელი მრავალმხრივობით, კვლავ რჩება ქართული ლიტერატურის. ისევე როგორც მთლიანად მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ცენტრალურ პრობლემად.

ჩვენი ეპოქის საღიადის გამოსაცემად აუცილებლად საჭიროა სოციალისტური პოეტური ეპოსის შექმნა. ჩვენ გვაქვს ისეთი წარმატებითი ცდები ამ მიმართულებით, როგორცაა ალიო მაშაშვილის პოემა „ენგურნი“ და ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“. მაგრამ ეს მხოლოდ ცდებია, რომლებიც შემდეგ უნდა გაგრძელდეს და განვითარდეს ნამდვილ თანრად.

ქართველ საბჭოთა მწერლებს შეუძლიათ და უნდა ისწავლონ ამ მხრივ ისეთი ოსტატისაგან, როგორც არის დღევანდელი იუბილარი — უკვდავი რუსთაველი. შოთა რუსთაველის მდიდარი მემკვიდრეობის ათვისება და შემოქმედებითი გამოყენება ქართული პოეზიის გადაუდებელი ამოცანაა.

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა მწერლებისაგან მათი შემოქმედების ღრმა ხალხურობას. ვინაიდან ხალხურობაშია ყველა ღრმის მხატვრული ლიტერატურის ძალა.

ამხანაგ ხტადინის გენიალური სიტყვები ბოლშევიკთა უძლეველ ძალაზე, რომელიც მდგომარეობს მათ კავშირში ხალხთან, გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოთა ლიტერატურის მიმართაც. საბჭოთა ლიტერატურა ძლიერია თავისი ხალხურობით. იგი თავის უძლეველ ძალას იკრებს ხალხი-

საგან, როგორც მითითური ანთეოსი იკრებდა ახალ ძაღლებს, ისე იკრებდაც მიეკარებოდა თავის დედას — მიწას.

დიადი საერთო-საკავშირო ლიტერატურა იქმნება ქვეყნის ლიტერატურებისაგან, რომლებიც ერთნაირად ძვირფასი და მშობლიური არიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მშრომელებსათვის. ეს ავალებს სხვადასხვა ეროვნებათა მწერლებს უფრო მკიდრო კავშირს, უფრო მკიდრო თანამშრომლობას. ყოველი ჩვენი ხალხის საბჭოთა ლიტერატურის თვითიული მნიშვნელოვანი ნაწარმოები უნდა გახდეს საერთო საკავშირო კუთვნილება, გადათარგმნილ უნდა იქნას სსრ კავშირის ხალხთა ენებზე.

აქ განსაკუთრებით დიდაა რუსი ამხანაგების, რუსული საბჭოთა ლიტერატურის როლი, ვინაიდან დიადი რუსი ხალხის ენა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყველა მომხე ხალხთა ურთიერთობისა და ერთიანობის მძლავრ საშუალებას.

საბჭოთა ხალხი ჰქმნის დიდ ლიტერატურას, რომელიც ნავარაუდევია არა ხუთი ან ათი წლისათვის, როგორც ამას ჩვენი მტრები ამტკიცებდნენ, და ერთი თაობისათვისაც კი არა. ჩვენ ვქმნით სოციალისტურ ლიტერატურას, რომელიც უნდა გახდეს მწვერვალი, გვირგვინი მსოფლიო ლიტერატურის მთელი წინანდელი განვითარებისა და ჩვენ ეპოქის უკნობი ძეგლი.

ჩვენ შევქმნით ასეთ ლიტერატურას. ამის საწინდარია სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ამის საწინდარია ჩვენი ხალხების ურღვევ სტალინური თანამეგობრობა და ის განუწყვეტელი ყურადღება და ზრუნვა, რომლითაც ეკიდებიან საბჭოთა ლიტერატურას მთელი საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკური პარტია და ჩვენი ბრძენი ბელადი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი! (ტაში).



შოთა რუსთველი

შოთა რუსთველი და მისი „ვაჟის-ბაბოსანი“.

შოთა რუსთველი თამარ მეფის დროის უდიდესი მგოსანია. ბიოგრაფიული ცნობები რუსთველზე ცოტა გვაქვს. თვის თხზულებაში შოთა სწერს: „დაესჯექ, რუსთველმან, გავლექსე“, კიდევ: „მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღ არი, ვის ჰმორჩილებს ჯგარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკედარი“; მერმე: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“; ბოლოს: „ტარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსა“.

სწამს, შოთა იყო დაბა რუსთაველიდან, რომელიც მდებარეობს მესხეთში. შოთას გვარი არ ვიცით. რუსთველი ფსევდონიმია, როგორც ხონელი, თმოგველი.

სახელი შოთა გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“. მატანე რომ სწერს გიორგი III-ის ბრძოლას ტახტის უმკვიდრე დიმიტრისთან, მოგვითხროს: „მამან დიმიტრამ წარგზავნა ლაშქარნი, რომელნიცა დარჩომოდეს ერთგულებასა შინა და შეიქმნა ომი. სძლია გიორგიმ და შებყრეს... შოთაცა ძე ართავაზოს ძისა“. გიორგიმ მათ „არა მიავო მზგავსად მისაგებელის მათისა, არამედ შენდობითა და წყალობითა სწრთენა“.

სხვა შოთა იხსენება რუსულდანიის მეფობის დროს. სწერია: „რუსულდან მოციქულად წარმოავლინა... ერეთის ერისთავი შოთა, რომელსა სიშავისათვის კუპრობით უხმობდნენ“; კიდევ: „წინა მოგვებეს შანშე... შოთა-კუპრი და წარიყვანეს მეფე ძე რუსულდანიისა დაეით“. რუსულდანიის შემდეგ მომხდარ ამბებს რომ აღწერს მატანე, ამბობს: „შეკრბეს მთავარნი საქართველოსნი იმერნი და ამერნი: შანშე... კუპრი შოთაი“. ლაშას ძის დავითის საპყრობილიდან ამოყვანაზე რომ ამბობს მატანე, სწერს: „მიეგებნეს ყველანი წარჩინებულნი საქართველოსანი: შანშე... შოთა-კუპრი“. არც შოთა ართავაზის ძე, არც შოთა-კუპრი რიტორებად არ იხსენებიან, როგორც თმოგველი. ტომოთე ეპისკოპოსს მე-18 საუკუნეში უნახავს რუსთველის სურათი იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში. ძაძით მოსილი

შხატიაო იგი. სახელი შოთა შეგვხვდება ზარზმის ტაძრის მეთერთმეტე საუკუნის წარწერაში.

ერკინული

სხვა ყველა ცნობა შოთა რუსთველის შესახებ მხოლოდ ცნობაზე არის დამყარებული. ამ ცნობებით, შოთა დაიბადა 1172 წელს, რუსთავეში. ადრე დაობლდა და აღზარდა იგი მისმა ბიძამ მონაზონმა. ბიძამ მიაბარა ის რუსთავეის სასწავლებელში. აქიდან გადაიყვანეს ტბეთის სკოლაში. შემდეგ გაგზავნეს სასწავლებლად გრემს, ხოლო იქიდან გადაიყვანეს იყალთოს აკადემიაში, რომელიც მაშინ განთქმული იყო საქართველოში. გაგზავნეს ათონზე იმ ოცდაათი ახალგაზრდის რიცხვში, რომლებსაც ჰგზავნიდნენ მაშინ ყოველწლივს საზღვარგარეთ სახელმწიფო ხარჯით. იქ შეისწავლა რუსთველმა ბერძნული ენა, „საღმრთო და საერო მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება. დაბრუნდა საქართველოში და იყო მოღარეთ-უბუცესი მეფე თამარის კარს. ერთი თქმულება ამბობს, შოთა ეტრფოდა თამარს და რადგან მისი სიყვარული ყოველად უძიმედა და უსაგნო იყო, წავიდა იერუსალიმში, შესდგა ბერად და იქვე აღესრულა. სხვა თქმულებით მგოსანს უღალატა მეუღლემ; ეს ამბავი შეატყობინა შოთას მისმა განტევებულმა საცოლემ. ამით გულგატეხილი შოთა წავიდა იერუსალიმში და იქ ბერად შესდა. სხვა თქმულებით შოთა თავმოკვეთილი იპოვნეს წყლის პირს.

„ვეფხისტყაოსანი“ საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში. იგი გვიჩვენებს ჩვენის ოქროს საუკუნოსი და მანქნებელი იმ მაღალხარისხისა, სადამდისაც შესძლო იმ დროს განვითარება ქართველთა ნიჭმა. „ვეფხისტყაოსანი“ დამყარებულია იმ საბუნებრაზო თქმულებაზე ტარიელისა და ლელწამ-დარეჯნის შესახებ, რომელიც ძველის-ძველად ყოფილა გავრცელებული დასავლეთ აზიის ხალხთა შორის, ქალდელთა თუ ქართველთა შორის, რომელიც დასავლეთ აზიის უძველეს ხალხთაგანია. ეს საბუნებრაზო თქმულება ეკუთვნის იმ უძველეს ეპოქას, როდესაც ქართველნი ჯერ ისევ ნათელის თავყანისმცემლები იყვნენ და იმ რჯულზედ დამყარებული მსოფლმხედველობა ჰქონდათ განვითარებული. რუსთველს უპოვნია იგი ქართველთა საყვარელი საბუნებრაზო თქმულება, დაუმუშავებია იგი თავისი საკუთარი თვალსაზრისით და შეუქმნია უკვდავი პოემა, რომელშიაც სავსებით აღსახავს ძირითადი მისწრაფებანი ქართველთა სულისა. ლექსად დაუმუშავებია რუსთველს ქალდთა თუ ქართველთა ეს სამიჯნურო თქმულება, თუმცა მას იგი სპარსულა ჰგონებია, რადგან სპარსთაც, როგორც სხვა ხალხთაც წინა აზიისა, აქით ამგვარი თქმულება, მხოლოდ ყველას თავისებურად მოთხრობილი. ძნელია იმის თქმა, აზიის რომელმა ხალხმა უფრო ადრე შექმნა ეს მიმობავალი ძველის-ძველი თხრობა ან რომელმა უფრო ადრე განავითარა იგი. უხლაც ბევრი ფრიად ძველი ქართული სიტყვა თუ თქმა სხვა ენებიდან

მოტანილი ჰგონიათ, ქართულ ენაზედ შემდეგ დამუშავებულ ნებებიდან ნასესხები.

„ვეფხისტყაოსანი“ „ვის-რამიანივით“ მთლიანი პოემა ვერც განსაზღვრული იდენის მატარებელი და გარკვეული მიზნისადაც კი მართალია. დედა-აზრი პოემისა არის: ჭეშმარიტი სიყვარული თვისი ბუნებით უშეიკვლოა და შეურყეველი, ხოლო პიროვნება, რომელშიც განხორციელდება იგი ნათელი სიყვარული, შეიქმნება უებრო და ჩანთქმულ იქნება ამ სულისკვეთებით. უმთავრესი გმირნი პოემისა არიან ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი და თინათინი. იდეა ყოველად მძლავრ სიყვარულსა სავსებით არის განხორციელებული ტარიელში. ტარიელში უფრო უკლებლივ: ტარიელი მთლად შეუბყრია ამ გრძნობას, აუფსია მისი არსება, მოფიქრების უნარიც კი დაუბნია ამ ჭკვიან ვაჟკაცისათვის; ნესტანს კი დევე შერჩენია საქმის გამორჩევის უნარი. ისე უნაკლოდ აქვს შოთას თავისი დედა-აზრი განვითარებული, ისე ბუნებრივად გატარებული და თვალწარმატად ასახული, რომ დროთა მსვლელობა ვერ მოქმედობს ამ თბულებაზე: ვერ ახუნებს მას, ვერც თუ აბყრებს. მეთორმეტე საუკუნიდან ქართველი შესტრფის მას და რაც დრო ვადის, უფრო მეტად სტკება იქ დახატული სიმშვენიერით და სიმდიდრით. ვარდუვალ გრძნობათა და მშვენიებთა მხატველია ეს თბულება და, როგორც ესეთი, კუთვნილებაა არა მხოლოდ ქართველთა, არამედ მთელი კაცობრიობისა.

დედა-აზრის განვითარების დროს რუსთველი დიდის სინამდვილით ახასიათებს სულის ბუნებას და მის მოძრაობას, საკვირვლად ნათლად ჰხედავს, თითქო თითონ რეალურად განიცდის იმ სულისკვეთებას და თანაც უკლებლივ ჰქარგავს განცდილს მტკიცედ ნაქსოვ ლამაზ სიტყვათა ბადეში. შოთა უდიდესი ფსიქოლოგთაგანია, ხოლო მისი პოემა საუკეთესო ფსიქოლოგიური ქმნილებათაგანი. სიმართლევ ფსიქოლოგიური აქ განვითარებულია და ცხადქმნილი მიზანშეწონილ მოქმედებებში, რომლებიც მწყობრად მიმდინარეობენ მთელ პოემაში და ჰქმნიან ერთ დამატკობელ ილუზიას. სიტყვა და ცნება, ფრაზა და აზრი, შინაარსი და ფორმა სავსებით შესთანხმებიან ერთმანეთს, განუპობლად დაჰკავშირებიან, განუყრელად შესდულებიან ერთფრთხის, ორნივე ტურფანი, პაეროვანნი, ულევლად მდიდარნი.

„ვეფხისტყაოსანი“ ძველის-ძველ ქართულ თქმულებაზედ არის აგებული და ამითი აიხსნება ის ვარემოებაც, რომ იგი განავითარებს მხოლოდ ძირითად რელიგიურ დებულებებს, ისეთ სარწმუნოებრივ იდეებს, რომლებიც ახასიათებენ ნათელთა თაყვანისმცემლობას და თანაც საერთონი არიან ყველა დიდ რელიგიათათვის. ამითვე აიხსნება ისიც, რომ ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებს არ მოსწონდათ ეს უკვდავი პოემა, ეჭვის თვალთ უყურებდნენ მას. ალბათ, ალლოთი გრძნობდნენ მასში ჩვენი

ძველი სჯულის გაღვიძებას, თამარის დროსვე რუსთველს დაქვემდებარება კათალიკოზმა იოანემ, ამბობს ვადმოცემა. მიტროპოლიტი იტყვის, რუსთველმა ქართველ ქალს სიბილწე ასწავლაო. ანტონ კათალიკოზი სწერს: „შოთა ბრძენი იყო, ფილოსოფოსი, პიიტეტიკოსი, ამბობდ დაშვრა, საწუბ არს ესე“. მან კიდევ დააწვევინა ვანსტანგის მიერ დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთველის სიტყვა მიჯნურობაზე და ჩასახვა მის პოემისა

მიჯნურობა საზენაო საქმეა, მიმცემი აღმაფრენათა. საცნობელად ძნელია იგი, ჭკვიანნიც ვერ მიხედედიან მას, რადგანაც მხოლოდ გონების თვალთ მისი შთლად შეგნება შეუძლებელია: იგი ეკუთვნის გრძნობათა სამფლობელოს.

მარტო ეს ჩასწვდება მიჯნურობას საესებით. ვისაც ზემოდღებული ბუნება აქვს და შეუძლიან დაიტოს გრძნობა ღიადი.

გონების თვალთ შეიძლება მარტოოდენ დაუპალოვდეს ადამიანი ამ გრძნობას, გაიკვლიოს მისი თვისებები და შეუფარდოს მას თვისი ქმედობა: არ სიძვის, შორით ბნდებოდეს; ეს მაინც არ იქნება თვით განცდა მიჯნურობისა. იქნება მხოლოდ მიბაძვა მკა.

მიჯნურს თითონაც არ შეუძლიან მხოლოდ აზრით ჩასწვდეს ამ გრძნობის სიღრმეს და ჰხატოს სიტყვით მისი არსება: მიჯნური შმაგია, ამ საზენაო გრძნობით შეპყრობილი აღტაცებულია, ხოლო შმაგს არ შეუძლიან მსჯელობა: ხელი ვერ იქმს ბრძნობასა.

მიჯნურობა წმანდა გრძნობაა, ტურფა, ფაქიზი, არ სიძვისთან დასადარი: ის ნათელი, გულსითქმა იტყვის, მსხვერპლად მიეძღვნას თავისსა რჩეულს, თვით სიცოცხლაც შესწიროს იმას; ეს ბნელი ლელვა მიისწრაფის. თვით შეიწიროს იგი მკორე, სიცოცხლაც მისი. ისინი არსებითად განირჩევიან ერთმანეთისაგან, მათ შუა მზღვარი სძევს გარდუვალი და მათი ერთმანეთში გარევა არ შეიძლება.

უძღვევლი გრძნობაა მიჯნურობა. სატრფოს დათმობა, მისი, თუნდ წუთიერი უარყოფა შეუძლებელია: „მიჯნურის გული იმ ერთსა სჯერა, სამუდამოდ თავისსა რჩეულს, თუნდაც სხვთ თვალში ეშუტი იყოს იგი ან ქუში. გონებისაგან შეგნებული ნაკლიც სატრფოსი ვერ შეასუსტებს მისადმი სწრაფვას: მიჯნურობა გრძნობათა სამფლობელოშია და გონების ხმა სუსტი არის იმის არეში.

მიჯნურობა ამის გამო ხანიერია: მოტრფვალე ვეღარ მისცემს დავიწყებას თავისსა სატრფოს, ვერც უღალატებს; მას არ შეუძლიან დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა; მიჯნურის არსება მხოლოდ მას ერთს ევლება თავს, ისწრაფის თუნდ მსხვერპლად მიეცეს: მისთვის ქირი ღებინად უჩანს; მისთვის ცეცხლს მოიღებს, დასთმობს წყრომას მეფეთაგან; თვით სოფელსაც დასტოვებს იგი, აქვს შიში, კრძალვა მხოლოდ მისი, თვის მიჯნურისა.

მიჯნურობა პირადი გრძნობაა. მზე გარეშე ვერ დასწრები სხვის ტრფობის სიღრმეს, ვერ შეიგნებს იმის სიტკბოს, ვერც მის სიმწარეს, ვერ იზიარებს. ამისათვის მიჯნურსა ჰბამს არ დაჩენა მტრისა მსჭვანვე; იგი თვისსა ხვიშიადა ვერაინა უმელავენებდეს; თავს დასწრებას რომ მიეცეს განუყოფლად თვისსაკუთარ სულისკვეთებას. შეჰშვენის მიჯნურს განმარტრება, გასვლა დაკვალული ცხოვრების წრიდან, გაჭრა, სოფლით გაღმა გაბოჯება.

გამიჯნურდა ჩემი გულიც! განვიცადე სიკვდილამდინ გასატანი ძალა ტრფობისა. ეს ჰპორჩელებს ჯარი სპათა, მისთვის ვებლობ, მისთვის მკვდარი. ამისთვის ვაქებ მზე-მეფე თამარს სისხლისა ცრემლ-დათხეული გულმაც მიბრძანა მისად საჭებლად თქმა ლექსებისა ტკბილისა.

ის ჩემი სატრფო ჯიქია ჩემთვის და მთლად უწყალო; ხორციელად დამწველი ჩემი, სულის ჩემის ამშაღლებელი. მოუძღოურდი მე მიჯნურობით და წამალი არსაო არის ჩემის წყლულების; მიწადაა მკურნალი ჩემი, ის მესამაროს!

მიუწოთმელია თამარ ჩემთვის: იგი მეფეა, მზე დიდებული, ქვეყნისა მნათი მნათობი, ხოლო მე... ვინმე მესხი მელექსე. გარნა რა ვყო, ოდეს ლახვარი მეცა ცნობასა და წარმტაც გული, გონება, მთლად სული!

დიდებულის თამარის მიჯნურს ჰბამს სიტურფე, ვითა მზეუბა, სიბრძნე, სიმდიდრე, სოხვე, სიყრმე და მოცალოება, ენა, გონება, დათობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა; ჰპართებს ყველა ეს სიკეთე მნათობის ტრფიალს, რომ ნათელის ღვაწლით დაიმსახუროს თვის ნეტარება, და შეჰხედეს სატრფოს ღირსეული, გაბრწყინებული.

მე რომ არ ვიყო რუსთავედან ვილაც მგომანი, არამედ ვიყო.... ნეტა ვინ იყო? ამირანი, დალის შვილი ოქროს თმიანის? არა! იმან ვერ შექმნა ყარამან-ქალთან კერა სანატრი. დიდებული მონადირე როსტომ განთქმული? არა! ვერ იქნო შვილი ოჯახიდან გარს გასულმან, გარეწარ ქმნილმან, და ღალატით მოკლა ვაეკაცი. მაშ? მე რომ ვიყო ქართველთ ხალხში ზღაპრად იქმული ტარიელ გმირი, ხოლო თამარ—ინდოთ მეფის ქალი ნესტანი, მაშინ....

აგერ ტარია, მზე-ქაბუჯა, გმირი უებრო. შეავლებს თვალს მზე-ქალს ნესტანსა, და...

და მთელი წიგნი ოცნებაა შეუწყვეტელი, ჩვენებით მთვრალი ნიქის სიტყვა ცხოველმყოფელი. ეს სულ ბოლომდის, ვიდრემდისინ დათავდ-

მა ოცნების გრკალი და მიწაზედვე თვალს გააღებს ალტარებულო, კა-
ბადონზედ ჩვეულებრივ არსებობისა.

და იტყვის შწარედ დაღონებული:

ეს ყოველზევე საარაკო ნატერა არის ტრფობის წაყოფი, სრულებით
არ ჰგავს სინამდვილეს, უფსკრული რომ გაუპია ჩემს და მის შორის,
ეჰ, რაცა ვისა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს! მავრამ...
გული გზნებული არ სჯერდება თავისსა ბედსა! გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძლომელი...

მარცხ გავლექსავ საარაკო ჩემს ოცნებასა, შწყობრად აგსახავ თბოლ-
ობოლ მარგალიტებად: იქნებ აღირსოს მოწონება ჩემსა შრომასა და...
ჩემმან ხელშეწყვლმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები!

აუსრულდა, იტყვის ხალხი, ნატერა რუსთველსო, დაუმაღლა დიდმა
თამარმა: ძვირფასი ჯიღა რომ ამშვენებს მის ნათელ შუბლსა, თამარ
მეფის საჩუქარი არისო ისა.



გიორგი ნატროშვილი

აღქსანდრა ყაზბეგი

განვლილი საუკუნის ოთხმოციანი წლები მძიმე და სუსხიანი დრო იყო რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ცხოვრებაში. ბნელმა პოლიტიკურმა რეაქციამ და მხეცურმა ძალადობამ, ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გაქელვამ ამ ხანებში ყოველგვარ ცინიზმს გადააქარბა. 1880 წლის ხუთ თებერვალს ზამთრის სასახლის აფეთქების ცდა და 1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლას ცარიზმმა უსაშინელებსი, მხეცური რეპრესიებით, ზისტებიითა და სახრწობელებით უბასუხა. ათეული წლების გამოცდილებით გამოზრდილი მთავრობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ის გარემოცულია ასაფეთქებელი ნივთიერებით, რომ საკმარისია შტორფდენი ნაპერწკალი, საკმარისია პროტესტი კარცერის წინააღმდეგ, რომ ხანძარი აეარდეს (ლენინი). შავი რეაქციის სულსწამდგმელმა პოპედონოსკევმა, რომელიც პეტრეს წინააღმდეგელი პატრიარქალობის აღდგენაზე ზრუნავდა, ნამდვილი დარბევის წესები, ველური ტერორის, პოლიციური სიბრიყვის ბნელი კანონები კიდევ უფრო გაამძაფრა და უქიდურეს საზღვრებამდე მიიყვანა. თავიდან ბოლომდე დამშალი ბატონობის შესანარჩუნებლად ცარიზმი ნერგავდა და ავრცელებდა სიბნელეს, უვიკობას, რელიგიურ სიდუხჭირეს, წაციონალისტურ შუღლს ერებს შორის და გამოცდილი განდარმის სიმკაცრით და პუნქტუალობით საფუძველშივე სპობდა თავისუფალი აზრის ყოველ გამოვლენას. ბნელი რეაქცია სულს უხუთავდა ლიტერატურასაც.

ცხადია, ეს პოლიტიკური რეჟიმი მთელი სიმძაფრით საქართველოშიაც მძვინვარებდა. ლიტერატურა, პრესა ფრთებ-მოკვეთილი და ტერორიზებული იყო. ცენზურა ვულმოდგინედ სპობდა ყველაფერს, რაც კი არსებული წყობილების ოღნაევი კრიტიკის ცდას შეიცავდა.

ასეთ პირობებში და ასეთ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ალექსანდრე ყაზბეგი, და ვაჯაკურად აღიშალა ხმა სოციალური უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მან ბარბაროსულ რეაქციას კეთილშობილ ედამიანთა თავისუფლების მოყვარე ოცნება და თავგანწირული ბრძოლა დაუპირისპირა. სამხედრო-პოლიციური რეჟიმის პირობებში ეს უდიდესი მოქალაქეობრივი სიმამაცე და გამბედაობა იყო.

ბუნებრივია, რომ უმკაცრესი რეპრესიები, ცენზურის მხრივ ალექსანდრე ყაზბეგსაც განაცადა. კერძოდ, ცნობილია, რომ 1884 წელს გამოცემული „ელგუჯას“ მთელი ტირაჟი დასწევს და სრულყოფილ ქვეყნავეთ სადაც გადაიხა რამდენიმე ეგზემპლარი. ეს ფაქტი, ლეონოვიჩის ლაპარაკობს იმაზე, თუ რა საშიში მტერი დაინახა ალექსანდრე ყაზბეგის სახით თვითმპყრობელურმა რეჟიმმა. სამაგიეროდ მკითხველმა პირველ სტრიქონებიდანვე ამ მწერალში იცნო კეთილშობილური ჰუმანიზმის დიდი მოციქული, რომელიც იტანჯებოდა თავისი ხალხის ტანჯვით და ტკივლებით, რომლის შემოქმედება „არ იყო მარტო ერთი ეაციის წუხილი თავის უბედურებაზე, არ იყო ტირილი მარტო ერთი პირისა თავის დაკლებულზე — აქ გამოითქმოდა საერთო ვება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა; აქა სცემდა საერთო ძარღვი და ერთის გმინვაში გამოითქმოდა გრძობა და მდგომარეობა მთელი ხალხისა“. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე ყაზბეგის თითოეული სიტყვა „გულის საძირკვლიდან სწყყდებოდა, ენთებოდა, სდუღდა და სწვავდა მთქმელსა და გამგონს“ („ელისო“).

ალექსანდრე ყაზბეგი ჭეშმარიტი და გენიალური შვილი იყო თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხისა. მისი შემოქმედებებს შჩქეფარე სათავე ხალხის ჭირი და ლხინი იყო. იმ საერთო სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, იმ მკაცრ და პირქუშ საუკუნეში ყაზბეგის გულწრფელი და ძარღვიანი სიტყვით მთელმა ხალხმა გამოამხუტრა თავისი ნაღველი და ბრძოლის წყურვილი. ყაზბეგი ღვიძლი შვილი იყო იმ ლიტერატურული სკოლისა და ჰუმანიზმისა, რომელსაც ჩვენ მწერლობაში მჭიდრი საფუძველი ჩაუყარა ილია ქაეჯავაძემ. ყაზბეგი სამართლიანად ამბობდა თავის თავზე: „ჩემი არსება გადაბმულია ჩემი ჭევენის არსებასთან ჭხილაგის ძალით... სადაც უნდა ეტკინოს ჩემსას, მისი ტკივილი მეც მაგრძნობინებს და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც.“ რაოდენი ნაღვლიანი ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში! ალექსანდრე ყაზბეგი არა ყოფილა ვარცხენ მოწმე თავისი ხალხის ტრაგიული ცხოვრებისა, მას არ შეეძლო გულგრილი მაცურებელი ყოფილიყო იმისა, თუ როგორ ეყარნენ ტყვიებით დაცხავებული ელისო, მოხვეე ვაჟია და შამილის განთქმული ნაიბი ანზორა ჩტრბიეი. მას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა, როცა სჩეხავდნენ ელგუჯას, როცა ახრჩობდნენ ელბერდს, როცა ცოცხლად სწვავდნენ იაგოს, ფარჩოსა და კობას, როცა აუპატიურებდნენ და ველურად აწამებდნენ მისი ხალხისა და მისი ფანტაზიის საყვარელ და უნაზეს შვილებს — შხალოს, ნუნუს, ჯაჯალას, როცა ერთ ვაჟკაცზე ასი მოდიოდა, და ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულებს რაღაც გმირული, იმედდაუკარგავი და ზარიანი მოთქმით დასტიროდა მოხვეე სანდრო ყაზბეგი. გმირულ სულს აღვიძებდა და ათბობდა თავისი სიტყვით მწერალი. „მე მყავს ჩემი მკითხველებიო“, — ამბოდა

სწერდა თავის ერთ-ერთ წერილში ყაზბეგი და იმედოვნებდა, რომ „იმით მაინც ესმით მგოდებელის გულის გმინვა და ცრემლებს არ ეშურებენ მისი გმირების დასატირებლად“.

ერკანულში

ასე ღრმად, ასე ინტიმურად განიკვირდა თავის ზემოთხსენებულ კავშირებს მწერალი. ამ მხრად დაუდგრომელ ძლეულარებაში ჩაიფერვლა იგი. „ტანწერილი ვაეკაცი, თეთრი ჩოხით, რომელშიაც თეთრი ძვლის მასრები ჩაებნია და ქეროზე პატარა ნაბდის ქუდი მოვადო“, — რომელიც ესოდენი ეინით და ექსტაზით შესტქერის ყოჩების ქიდაობას, შეახარის ბუნების პირველყოფილ სიახლეს და სიახლისეს, უცებ შესცვალა გულჩათსრობილმა, სახედანაოჭებულმა მოხუცმა. ზოლოს კი დიდი სიყვარულით და დიდი სიძულვილით დაქანცულმა სანდრო ყაზბეგმა შესწლილთა სახელში დაამთავრა თავისი აწეწილ-დაწეწილი, მოუსვენარი ცხოვრება.

აღუქსანდრე ყაზბეგამდე კავკასიის მთის ხალხთა ცხოვრება სავსებით უცნობი და ბნელით მოცული არა ყოფილა, თუმცა ხშირად ეს ქვეყანა ეგზოტიკით გატაცების საგანს უფრო წარმოადგენდა ზოლმე. რუსეთის ლიტერატურა უკვე იცნობდა რომანტიულ ჩერკეზებს, ჩაჩნებსა და დაღესტნელებს; ქართულ ლიტერატურაში წარმტაც ფიგურად იყო მიჩნეულ მოხვევ ლელთ ღუნია, რომელიც შესწიოდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუნდოდეს“.

და მაინც აღუქსანდრე ყაზბეგის შემოქმედებამ სავსებით ახალი შუქი მოჰფინა იმ ხალხთა ცხოვრებას, რომელნიც კავკასიონის მთაგრებილის ორივე მხარეზე შეხიზნულან. ყაზბეგმა თავისი პირველივე მოთხრობებით მკითხველის ყურადღება გადაიტანა იმ ეპოქაში, როდესაც ცარიზმი პირველად ეუფლებოდა კავკასიას. როგორი იყო ამ დაპყრობის ხასიათი?

კ. მარქსი თავის გენიალურ „კაპიტალში“ ერთი ინგლისელი მწერლის სიტყვებით კოლონიურ სისტემას განსაზღვრავს, როგორც „ბარბაროსობას და ხაშინელ სიმკაცრეს, რომელიც ვერ პოულობს თავის შესადარს მსოფლიო, ისტორიის ვერც ერთ ხანაში“. ჩვეუ აღნიშნულია, რომ ეს სისტემა „დალატის, მოსყიდვის, ვერაგული მკვლელობის და მზაკვრობის შეუდარებელ სურათს წარმოადგენს“-ო.

ცხადია, ასეთივე იყო რუსეთის კაპიტალიზმის კოლონიური ძარცვა-გლეჯა, რომლის ობიექტებს განაპირა ქვეყნები და მათ რიცხვში კავკასიაც წარმოადგენდა. კავკასიის ხალხები, რომელთა მიწა-წყალს ცეცხლითა და მახვილით ეუფლებოდა რუსეთის იმპერია, ვერ ურიგდებოდნენ ამ სამარცხვინო მონობას. ისტორიულად ცნობილია მეფის რუსეთის მოხელეთა კოლონიური სიმხეცე. მეფის ჩინოვნიკები ფეხქვეშ სთელავდნენ ადამიანის ყველა უფლებას; ძალდატანებითი უზურპაცია სცვლიდა ჩაჩანთა და მოხვევითა უძველეს ტრადიციებს. ეს მტაცებლური კოლონიზაცია

იყო მიზეზი იმ აჯანყებებისა, რომლებსაც მიმართავდა მთის ხალხი, რომ იარაღით დაეცვა საკუთარი სიცოცხლე, საკუთარი დამოუკიდებლობა.

ალექსანდრე ყაზბეგი ამ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლის დიდი მხატვარი იყო. ყაზბეგმა გვიჩვენა, რომ მისი ~~საქმიანობის~~ მოხვედრები და ჩენებები, მათი ამაყი სული კოლონიის „უფლებებში“ ცხოვრებას ვერ შეურიგდებოდნენ, რადგანაც ეს ხალხი თავისუფლებისათვის იყო დაბადებული, ირგვლივ კი ბოჯკილებში სკედავდნენ ყველაფერს. ეს მთის ხალხი ვაგაკტური ფიცისა და ერთგულებისათვის თავსა სწირავდა. ცარიზმი კი არღვევდა მთის ტრადიციას, ეძებდა მთის წრეში ისეთ კაცებს, რომელნიც თავის მოძიებებს ზურგში ლაჩრულად სცემდნენ ხანჯალს და ვაგაკობას, ადამიანურ ღირსებას იასაულობაზე სცვლიდნენ. ალექსანდრე ყაზბეგმა — ამ უდიდესმა ხელოვანმა — თავისი კალმით ნათელაყო ის ქეშმარიტება, რომ ძველი რუსეთი იყო ხალხთა საპყრობილე, მრავალი ერისა და ხალხის ტანჯვა-წამების სარბიელი. კავკასიის მთიელებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს ამ საპყრობილის უშკაცრესი რეეიმი. ყაზბეგის შემოქმედებაში რომანტიული ეგზოტიკურობის ნაცვლად ასახული იყო მწარე სოციალური სინამდვილე და ის საშინელი ტრაგიზმი, რომელსაც განიცდიდნენ არა მარტო ცალკეული პიროვნებანი, არამედ მთელი ხალხი. მაგრამ ცარიზმმა ვერ მოსპო და ვერ დაამახცხა ამ ადამიანების ვაგაკტური სული და მთა დარჩა ისეთ ადგილად, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარეშე არ დანებდა რუსეთის იმპერიას და სადაც არა მარტო დარდობდნენ თავისუფლების დაკარგვაზე, არამედ იბრძოდნენ კიდევ მტარეალთა შესამუსრავად. ცარიზმის პოლიტიკა მიმართული იყო იქითც, რომ ეს ხალხი მოესპო, დაეკარგა მათთვის კატური სახე. ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი შემოქმედებით დაგვანახა, რომ ძლიერია და უკედავი ხალხი, რომ მას არ ეწერა გადაშენება. რადგანაც მის გულში იყო ღრმა სიყვარული ცხოვრებისა. ეს სიყვარული აძლევდა მას ძალას, დაეძლია საშინელი ტრაგიზმი და ტანჯვაში, ბრძოლაში, გაუგონარ სიღუბეში მოუდრეკელი ქედით გამოეცლო საუკუნე, რათა სოციალისტური რევოლუციის ემბრქამდე მისულიყო.

მართალია, ვერ ვიტყვი, რომ ალექსანდრე ყაზბეგს საესეებით ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამ ბრძოლისა და გამარჯვების პერსპექტივა. მისი კონცეპციით წარსულში თემობრივი წყობილება წაჭმოადგენდა ადამიანთა სოციალური ცხოვრების იდეალურ ფორმას, — რომლის გარემოცვაში ადამიანი ნახულობდა თავისი პიროვნული თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების საუკეთესო პირობებს.

იყო შემთხვევა, როცა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ღირსეულ მხარედ მიიჩნიეს მხოლოდ ეთნოგრაფიული ცნობების უხვი გადმოცემა და მთის ბუნების აღწერილობა. ასეთი ტენდენცია სჩანდა იონა შეუნარგის წერილში, რომელიც 1886 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“. თვით მწე-

ოალმა გამანადგურებელი პასუხი ვასცა მეუნარავის. და მართლაც, ალექსანდრე ყაზბეგი მარტო მთის ჰომეროსი როდია, როგორც მეუნარავია ფიქრობდა. ყაზბეგი მარტო მთის ხალხების ტანჯვას ზოდი გვიხატავს. იგი მთელი კაცობრიობის ტყვილებზე მოგვიოხრობს. რა უნდა გვინათა არა თავსდება ენთოგრაფიულ ჩარჩოებში. მისი გმირები უნდა იყოს საერთოდ ადამიანის ფსიქოლოგიას, მის ნაღველსა და სიხარულს, მის გრძნობებს. რა ვუყოთ, რომ მათ ყისინა აქვთ წამოსხმული და მოხევეურ კელოზე უკვევენ. ყაზბეგის ტიპები უაღრესად კონკრეტულნი არიან და ამავე დროს ღრმად გამოხატავენ საერთოდ ადამიანის სულისკვეთებას. ამაშია ყაზბეგის რეალიზმის უდიდესი ძალა. ამავე წერილში, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს მეუნარავის საპასუხოდ დაუწერია, ვკითხულობთ: „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს. ბრუნავს იმ სიტყბო და სიმწარე შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც აწუქებს ათას ყვავილებს, თუ იქვე გვერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს. გავლენა აქვს, ახარებს, თუ ჩაწყვდიადებულს გულს ნუგეშს აძლევს. მე არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მიუბრუნდებიან მკედარს, მოქმედება მოკლებულს, საგანს“.

ეს მეტად სავულისხმო აღიარებაა. მართლაც, ყაზბეგის მოთხრობებში უძლიერესი ძალით გვიზიდავს და გვზიბლავს ინტიმური სიახლოვე ადამიანისა ბუნებასთან. მისი ადამიანებე დიდი მხატვრული სიუხვით და ფერადოვნებით არიან დახატული მთის რომანტულ ლანდშაფტის ფონზე. ყაზბეგი ბუნების შეუღარებელი მხატვარია, თავისი კალმით იგი აცოცხლებს ბურსაკირის თოვლიან ფერდობებს, გუდამაყრის ვიწრო და ქვიან ხეობას, დაბურულ ტყეებს, ლავეარდოვან ცას და ადამიანთან ერთად ატირებს და აკენებს მათ „მუხთალი წუთისოფლის“ ვერაგობის გამო. ყაზბეგის ადამიანებისათვის ბუნება დედაა, მზრუნველი მშობელია. თვით მწერალი ამბობდა: „მე ველტვი ჩემს ქვეყანას, კეკლუცს და შეშკობილს, ველტვი მის ბუნებას, რომელმაც აღზარდა და შეიფარა ჩემი მოძმენი. შევხარი იმათ და ეტარი იმ ტირილით, რომელიც გვასწავლა მისმა მოქმედებამ. მთა რომ ჰკენესის და გმინავს, ჰაერი რომ ირევა და გოლიათი ნისლით იბურდებიან, ღრუბელი რომ ცრემლებს ღვრის და ზევი მოხუთს, წყალი რომ მთიდან გამედგრებული ვადმოქჷხს და ანკარა წყარო ლეწისაზეთ მოკანკარებს, ეს ყველა ცოცხალი სამაგალითო გაცეითილება მისი შეილებისათვის“.

ბუნება იზიარებს ადამიანის მწუხარებას. აი მათია, რომელსაც თავისი მმადნაფიცის, ელგუჯას, კოლი შეუყვარდა. გამოუთქმელ სულიერ ტანჯვას განიცდის ეს ადამიანი. ყაზბეგე სწერს: „ამოიოხრა და გადაბ-

რუნდა მეორე გვერდზე. მთვარე, რომელიც იმ ღამეს თითქოს განგებ ისე გაკაშკაშებული იყო, ჰფენდა დედამიწას თავისი სხივით და კაცის გულს აგონებდა თავის მღელვარებას, მწუხარებას. მათეყვეფუქუნებაზე მთვარის შუქი პირდაპირ პირისახეზე მიადგა და ჰაერსა და ხეებსი გაახელინა. ის ამობრუნდა გულალმა და დაუწყო მთვარეს გატაცებით ყურება, რომელიც თანაგრძობით უალერსებდა იმის გახურებულს გრძობას და ეუბნებოდა: „შენ უბედური ხარ და მე, მარტო მე თანაგვიგრძნობ შენ. მე მომენდე, მე არასოდეს არ გაგცემ, მარტო მე შემიძლია შენი საიდუმლოს შენახვა“... ასეთი მოქმედება ჰქონდა მთვარეს მათიანზე და იმანაც გაშალა თავისი გული, თავისი გრძობა და ყველა, ყველაფერი მიანდო იმ საერთო შეყვარებულთ მოწამეს“.

საწინელი უბედურება დაატყდა თავს ნუნუს, თითქოს მის მწუხარებას ეხმაურებო, „აქამდისინ მზიარული დღე ერთბაშად მოიქცა პირქუშ მგლოვიარედ. ცა და დედამიწა მოაფერა ტყვიის ფრად და ეს ფერი თითქოს მძიმე ლოდს ადებდა ადამიანის გულს“. ამ მხრივ უფრო მიმზიდველი და მძაფრი სურათებია დახატული „მომღვარში“. მოგვყავს კიდევ ერთი ადგილი: „თითქოს მწუხარების წინაშე ბუნებასაც მოეხარა თავი და უოველი ქმნილება გაჩემებულიყო, რომ მწვავე ხმა მტკიცედ შთაებეჭდათ, ეგრძნოთ მისი ძალა და ყრუდ გამოორღის შემდეგ ცრემლად დაფრქვეულიყვნენ. თითქოს თვით ცაც კი შეჯერებულიყო უბედურის მწუხარებით და მწარედ შექმუხენილი, ადგილ-ადგილ ჩაშვეკურებული ტყვიის ფრად გადაქცეულიყო, დაიწყო წყნარი და ჩუმი ნამევა, რომელიც ყმაწვილის ქალის ჩაწყვდიადებულს თვალთაგან გაღმონადენს ცრემლს მიემსგავსებოდა“.

ადამიანი რომ სიხარულისა და ბედნიერებისათვის არის დაბადებული, ეს კარგად იცოდა ალექსანდრე ყაზბეგმა. მაგრამ მწერალი ნათლად ხედავდა, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილების საზარელი დისპარმონია, ის სუსხიანი ზამთარი, რომელიც სისხლსა მყინავდა ძარღვებში, შლიდა, არღვევდა და შეუძლებელს ხდიდა ადამიანის ბედნიერებას, სიხარულს ცრემლებით სცვლიდა, ბუნების სიყვარულს ტანჯვით. სინამდვილისა და ოცნების ეს ტრაგეკული შეუთავსებლობა ხდებოდა მიზეზი ყაზბეგის გმირების დაღუპვისა. ელგუჯასა და მათიას სიკვდილის ასახვისას მწერალი ნაღვლიანად დაასკვნის: „ასე გათავდა ამ უბედურთა სწკოცხლე, რომლების გულიც სიყვარულის ცეცხლით სდულდა და იმდენს მოელდა დაუნდობლის სოფლისაგან“. ასევე შეიძლება ითქვას ყაზბეგის ყველა დანარჩენ გმირზე, რომელთა სახით მწერალი ჩვენი ხალხის საუკეთესო შეილებს ჰხატავდა. ამ ადამიანებს, ამ ტიპებს ერთი საერთო თვისება აქვთ: მათ არ იციან, რა არის ბედთან შერიგება, მათ არ იციან უკანდახევა და კომპრომისი. მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუბრალებლად სწეწავს და ჰგლეჯს ცხოვრების ჯაგერაუტის ბორბ-

ლები — ისინი თვით სიკვდილის დროსაც კი ინარჩუნებენ სიდიადეს, ზვიადობას და ქედმოუხრებლობას. აი ბრძოლის ველი, სადაც ელგუჯას ამხანაგები დაიხტნენ: „ბრძოლის მსხვერპლნი ზოგჯერ ეფუძნებიან ზოგჯერ პირქვე, შესაზარად დამახინჯებული ეყარნენ; ზოგჯერ მძიმე მსხვერპლად აშლილის წვერულვაშით, თითქოს გალიმებულის პირისახით, დასცინოდნენ ხალხის ამდენ უსამართლობას და ველურ ქცევას. ზოგს ვაჟაკურის მკერდიდან ჩამოეწყვიტათ საკინძი და, თითქოს განგებ, გამოეჩინათ თავ-თავიანთი ვაჟაკური ჭრილობა“. მოხუცი მთიული, რომელიც ელგუჯას ჭრილობებს უსინჯავს, ამბობს:

„— აი, ბედშავ ვაჟაო!.. სულ არ დაუხვრეტიათ!.. ამისთვის ყოფილა დედის ძეძუ ალალი!“

მთიულები, რომელნიც არ იცნობენ ელგუჯას, მაგრამ ჰხედავენ მის იარებს, მის ურიცხვ ჭრილობებს, უძლიერესი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით შეჰყურებენ ამ ადამიანს. ეს გასაგებიც არის. ამ ხალხის რწმუნებით, „ვაჟაი ნაჩეხი სუგობია“ და, ყაზბეგის თქმით, ამ მზრის არც ერთი რივიანი ქალი არ გათხოვდებოდა ისეთ კაცზე, რომელსაც სახეზე ერთი ჭრილობა მაინც არ ექნებოდა. ასეთია ამ ადამიანების გმირული ცხოვრების მორალი. გმირობის კულტი, რაინდობის ტრადიცია აქ უმაღლეს მწვერვალს აღწევდა. მაგრამ ისინი ამავე დროს ბოროტნი და სისხლის მოყვარულნი რადი არიან! „კეთილშობილური და სათუთი გული სძვერს ამ ფოლადისებური ადამიანების მკერდქვეშ. უღრმესი ზნეობრივი სისპეტაკე, მტკიცე და დაურღვეველი შეგობრობა, ძლიერი და ადამიანის ამამალღებელი სიყვარული მათ ძვალ-რბილში აქეთ გამოქდარი. მათ არ იციან ფიცის გატეხა და სიყვარულში პირუმტკიცობა, მათი გული იტყვის არა მარტო ღრმად სიყვარულს მახლობლისადმი, არამედ უმძაფრეს სიძულვილსაც გირგოლებისა და ვაგი ჩოფიკაშვილებისადმი, რომელნიც არღვევენ თემის ტრადიციებს და ლალატობენ კაცურ-კაცობას.

„ელისო“-ში ყაზბეგი სწერს:

„ჩინნელი ძნელად შეიყვარებს, მაგრამ თუ ერთხელ შეიყვარა, იმან არ იციან ნახევრად სიყვარული — ის ამ გრძნობას ეძლევა სულით და გულით“. ეს ითქმის ყაზბეგის ყველა დადებითს გმირზე. მათ მართლაც რომ არ იციან ნახევრად სიყვარული, ნახევრად სიძულვილი. ისინი გვხიბლავენ სწორედ გრძნობათა უკიდურესი დამძაფრებით. ეს კლასიკური ტრავედიის სტილია, რომელიც ესოდენი ბუნებრივობით და დამაჯერებლობით დაიცვა და განავეითარა ალექსანდრე ყაზბეგმა. ასეთი ძლიერი ვნებები ახასიათებენ შექსპირის ტრავედიის გმირებს. როგორც უსაზღვრო და უნაპირო იყო კორიოლანის ამპარტავნობა, ასევე უსაზღვრო და უძლიერესია ვაჟიასა და ელგუჯას სიყვარული, ნუნუს და მზალოს ერთგულება და ხევის ბერის გოჩას სიყვარული სამშობლოსადმი. მხოლოდ ადამიანები უძღურნი არიან ამ გრძნობების წინაშე, „საბედის-

წერო ვნებანი“ ხშირად სძლევენ მათ გონებასაც. ამის მაგალითია მათი („ელგუჯა“) და ონისე („ხვეის ბერი ვოია“), რომლის სახელითაც მწერალმა დაგვიხატა ადამიანის მთავრი ფსიქოლოგიური ბრძოლა თავთან.

თავგანწირულების პათოსით, უღრმესი გრძნობებით, ურყევი ნებისყოფით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიყვარულით აღჭურვილნი არიან ყაზბეგის გმირი ქალები. ალექსანდრე ყაზბეგმა ეს საკითხი უღარესად მოწინავე და დემოკრატიული თვალსაზრისით გააშუქა. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ნუშუს, მაყვალას, მზალოს და სხვებს სრულად განსაკუთრებულა და ღირსეული ადგილი უჭირავთ. მათში განსაზღვრებულია ხალხის ყველა საუკეთესო და კეთილშობილური მისწრაფება. ესენი დაუვიწყარი ტიპები არიან. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯაჯალა. ამ ტიპის მაგალითზე ყაზბეგმა გვიჩვენა, რომ კაცქასიის მთებში აღზრდილ ქალს, უნაზესი და უღრმესი სიყვარულის გარდა, შეუძლია აგრეთვე იბრძოდეს იარაღით ხელში ვაჭკაცურად იბრძოდოს მამაკაცთან თანაბრად, თავისი სამშობლოს დაცვისათვის, თავისუფლებისათვის, თვით ავტორის სიტყვით რომ ესთქვათ, ჯაჯალას ხელნართული ბრძოლა „სალალობო მეჯლისივით“ უადვილდება, იგი ნიშნით გულგანგმობილი ეცემა ბრძოლის ველზე. ეს ქალი ღიმილით კვდება, „გალიმებულ სახეს სიკვდილმა მოასწრო და ისე გაიწინაო“, — სწერს ყაზბეგი. ეს მართლაც გმირული სულის შქონე ადამიანია, რომელიც ქედს არ იხრის უსამართლო ძლიერების წინაშე, ტყვეას ტყვეით უპასუხებს, სიძულელი — სიძულელით და სამშობლოს დამწყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში იღუპება.

ალექსანდრე ყაზბეგი კაცქასიის ხალხთა ინტერნაციონალური მთლიანობის პირველი მომდერალი იყო. მისთვის უცხო იყო ვიწრო, გონებაშეზღუდული ნაციონალისტური ტრადიცია, მისთვის ერთგვარად საყვარელი იყო ჩაჩანიც და მოხევეცი, ქართველიც და დაღესტნელიც, აქ თავი იჩინეს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ხალხურმა ფესვებმა. „ელიოსო“ „ელბერდი“, „ელგუჯა“ და ყაზბეგის სხვა მოთხრობები საესეა ჩაჩანის ხალხისადმი უღრმესი სიმპატიით და სიყვარულით. კერძოდ, „ელიოსო“-ში ჩაჩანისა და მოხევეცე ვაგიას სიყვარული კაცქასიის ხალხთა ერთიანობის სიმბოლოა. რაოდენი გულთბილობით ლაპარაკობს ყაზბეგი თავის „მამის მკვლელში“ სახელგანთქმულ იმამის შამილის შესახებ. ყაზბეგს სძულდნენ მეფის ჩინოვნიკები, აღვირაზნილი კოლონიზატორები, ვერცხლის მოყვარე და მოქვიფე, გახრწნილი ოფიცრები, მაგრამ ამავე გრძნობით როდი იყო იგი აღჭურვილი უბრალო რუსი ჯარისკაცის მიმართ, რომელიც ძალით მოსწყვეტეს თავის ქვეყანას და კაცქასიაში საბრძოლველად წამოიყვანეს. დიდი მწერალი ნათლად ხედავდა, რომ ამ რუს ჯარისკაცსაც, რუსი ყმა-გლეხის შვილს სტანჯავდა და აწამებდა იგივე

ცარიზმი, რომელიც ჩაჩანთა აულებს და მოხვევთა სფეროს სწავდა და პბუგავდა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა, თუ როგორ ატყუდა რუსეთის არმიის ჯარისკაცთა მასის განწყობილებას ყაზბეგის წინააღმდეგ.

„გათენდა დილა და ჯარმა მზადება დაიწყო. ექვნი: [მწიფე] უნდნენ, რადგანაც ფასანაურის ვიწროები სინათლითვე უნდა გაეგლოო... ხალხს რალაც განსაკუთრებით მოძრაობა ეტყობოდა; ყველას პირსახეზე ანგარიში მიუტკმელი მზრუნველობა და აღშფოთება ეტყობოდა. მათ შორის ხმა გავრცელებულიყო, რომ მთიულტებს გზები შეეკრათ და, მამასადამე, დღეს თუ ხვალ იმათთან შეტაკება აუცილებელი ხდებოდა... ყველას შოაგონდა თავისი სახლკარი, მიწა-წყალი, ცოლშვილი და ოდესმე მობულებულს, გაყინულს სამშობლოს ეხლა ნათელი შუქი დასდგომოდა, ნეტარებით იხსენებდნენ. მათ აგონდებოდათ თავიანთი გულის სატრფო, რომელიც შორს ქვეყანაში უპატრონოდ, ვინ იცის, ვის სათამაშოდ, გასახარებლად დარჩენოდათ!.. ძალიან სწუხდნენ, რომ იმათზედ ამ სამოთხის მგზავს ადგილუბსაც-კი მოქმედება აღარა ჰქონდა, რადგანაც ვინ იცის, ბედი ვის რას შეახვედრებდა, ვის რა რიგად გაუღიმიებდა. აღარავინ იცოდა, ერთი წუთის შემდეგ რა მოელოდა, რა რიგად დაუტრიალდებოდა ბედის ჩაღბი და ეს უცოდინარობა ყველას გულს უწყალებდა.

რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება და რისთვის გადმოხვეწილყვენენ იმ ადგილებში, ფითონაც არ იცოდნენ. მოდიოდნენ თავდაბრილები და თავიანთი მოქმედების ანგარიში ვერ მოეცათ“.

თი ბრძოლაში დაჭრილ რუს ჯარისკაცებზე გვესაუბრება აგტორი: „მათი ხელები ამაოდ აღიპყრობოდა ზეცისაკენ, შველას ამაოდ ითხოვდა, რადგანაც მათი მზრუნველი არსადა სჩანდა, მშობლიური ხელი თვალს არ უხუტავდა“.

ამით ყაზბეგმა გამოსთქვა ის ჰეშმარიტება, რომ რუს ყმა-გლეხს, რომელსაც ძალად ჩააცვეს ჯარისკაცის მაზარა, არაფერი საბრძოლველი არა ჰქონდა მოხვევებთან და ჩაჩნებთან, რომ ექსპლოატატორული კლასები იყვნენ ერთა შორის შუღლის და ომის ორგანიზატორები.

აღუქსანდრე ყაზბეგი ადამიანის სულის უბადლო მხატვარი იყო: იმავე დროს მან მოგვეცა მეცხრამეტე საუკუნის კლასობრივი ბრძოლების ეპოპეა. დახატა შემადრწუნებელი სურათები ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა. მის რომანებში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის ტანჯვამ წარსულში. მისი შემოქმედება მართლაც რალაც დიდებული, მქუხარე და ჟრუანტელის მომგვრელი გლოვის ზარი იყო. მაგრამ ეს არა ყოფილა სასოწარკვეთილება და პესიმიზმი, ეს არ ყოფილა ყველაფერზე ხელის ჩაქნევა და ლაჩრული გაქცევა ბრძოლის ველიდან, ეს არ ყოფილა მწუხარების განწირულება როცა უკანასკნელად ეთხო-

ვებიან ყველა იმედსა და პერსპექტივას. ეს გლოვაც იყო და ჩოლოსა-
კენ მოწოდებაც.

1893 წელს ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა. მან დატოვა როცა
საქართველო მარბავდა ამ თავის საუკეთესო შვილს, „ივერია“ სწერდა:
„ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამსო“. და, მართლაც,
ისტორია სამუდამოდ შეინახავს ხსოვნას ამ დიდი შემოქმედისას, რომელ-
მაც კეშმარიტი პოეტური საღებავებით და უღრმესი გულისტკივილით
დახატა ის განსაცდელი და უბედურება, რომელიც ჩვენმა ხალხმა გამოიარა
ნაციონალური და კლასობრივი ჩაგვრის უღელქვეშ. სოციალისტებმა რე-
ვოლუციამ აღგაეა პირისაგან მიწისა ძველი ქვეყანა, რევოლუციამ მო-
უტანა ადამიანს საუკუნეებით ნანატრი ბედნიერება და მისცა ხალხს შე-
საძლებლობა ღირსეულად დაეფასებინა წარსულის კლასიკური კულტუ-
რა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელიც ალექსანდრე ყაზბეგი იყო.



ა. ყაზბეგის ღაქსები.

აღ. ყაზბეგის დაბადებიდან 90 წლის თავთან დაკავშირებით რედაქცია ბეჭდავს მის ორ ღაქსს (ძველად თავი გამოქვეყნებულს), როგორც სინტერესო მასალას აღ. ყაზბეგის მსოფლმხედველობისა და მხატვრული ინტერესების დასახასიათებლად.

რედ.

მოვა დრო

მოვა დრო, უზარ-მაზარნი
 მთანიცა შეინძრევიან,
 ქარი დაჰქროლებს მეღვარი,
 ღრუბელნი განამქრევიან!
 ზევით ცა ლაქვარდოვანი
 ქვეშ მიწა—შეირყევიან,
 აწ გულნი ოდნაე მფრთქევიან
 ლომ-ვეფხსაც მოერევიან!
 მოვა დრო დაჩაგრულები
 მამაცათ მთიქცევიან,
 ერთის წადილით შეკრულნი
 ერთს ნდომად გადაქცევიან!
 გრგვინვად ასტყდება ყივიანა,
 მშიშარნი გაიქცევიან.
 ქვითკირნი შეღუღლებულნი
 ჩაინგრევე, ჩაიქცევიან!
 მოვა დრო, ნანგრევთა შორის,
 მდელლონი აპყევდებიან;
 მშობლისგან თავის ნაშობნი
 მშობლურად აღზრდებიან.
 ფრინველნი ბარტყებს დასჩევენ,
 ქიკქიკოთ დაფრინდებიან;
 ქვეყნის ნუგეშად მნათობნი
 ლაქვარდში გაბრწყინდებიან.



ქართული
ბიბლიოთეკა

შენ, შემოქმედო, შენ გეაჯი,
აძყავადეს ჩემი მხარეო.
აწ უძღურს უთხარ—აღზდვიან
დასტკბი და გაბარეო.
ბულბულო, ტკბილად დაძყეფე;
ქვეყნად გაშუქდი მთვარეო,
ვადრო, ყოყობო, ნამცერეო
სატრფოსკენ დაიხარეო;
ძლიერ დაძყეფლე: „ბერავი,
„ქმა, ნულარ გაამწარეო,
„თაეიანთ სარჩო საბადი
„თვითონვე მოახმარეო...
„ოლონდაც ჩვენი ქვეყანა
„კეთილზე დაამყარეო —
„და მაშინ თუნდა იმ წუთში
„გულს მიწა მომყარეო“.
ძლიერო! ბერავს ნუ სტანჯავ,
სისხლი საღმ შეუხურდება,
გულს შეგუბულსა—ზღვად მღელღავს,
ფიჭრები მოუცურდება.—
ვაჯაკცი გაბრაზებული
თვით ზეცას აუხირდება;
არც მოკვლა, არცა სიკვდილი
მას აღარ გაუჭირდება!

(„საქართველოს კალენდარი“, 1890 წ.)

ნ. ა. ნაქიასოვის პიესა

ტფილისის სცენაზე 1846 წელს



თეატრალური
ბიბლიოთეკა

თავისი ლიტერატურული მრღვაწეობის პირველ წლებში, სახელდობრ—წარსული საუკუნის 40-იანი წლების პირველ ნახევარში, ნ. ა. ნაქიასოვი გამოვიდაროგორც დრამატურგი. მაგრამ ნაქიასოვი—პოეტმა, რომლის მთელი შემოქმედება უდიდესი შატერული რეალიზმით განირჩევა, მთლიანად დაჩრდილა ნაქიასოვი დრამატურგობაში.

იმ ხანებში, ე. ი. წარსული საუკუნის ორმოციან წლებში, პეტერბურგის თეატრებში ფართოდ გავლენა იქონიებდა კლასიკური პიესებითან ერთად, ეოდვეილენსაყ—შთაბრული ხასიათის, უმთავრესად ერთაქტიან, მცბრე თეატრალურ პიესებს, მალე ეოდვეილი, სადაც უფრო ადვილად შეიძლება მკვეთრი სატირული სერბათების მოცემა, სატირუ ქალაქის წერილ-ბურჟუაზიული წრეების საყვარელ ეანრად გადაიქცა. იგი დიდ მოღაში შევიდა და ბევრმა მანიშინდელმა თეატრმა მიიღო.

განსაკუთრებულ განვითარებას ეოდვეილმა აღეჭანდრიის თეატრში მიღწეა. ამ თეატრმა დასდგამად მიიღო ნ. პერეპელსკის ეოდვეილი. პერეპელსკი ნაქიასოვის ნაქიასოვის იყო.

1846 წელს, ტფილისის თეატრის დირექციის შუამდგომლობის შედეგად, „საიმპერატორი“ თეატრების დირექციამ, 1845 წლიდან ტფილისში არსებუდი დრამატული დახის გასაძლიერებლად, გამოგზავნა სატირუ ქალაქის თეატრების მთელი რიგი თეატრალური მსახიობები—აბლოკინი, მუხინი, ბურღინი, მედედევა და სხვები სკენისთეის სპეციალურად გადააყეთეს სამხედრო-საინჟერო უწყების ყოფილი მანეჟის შენობა (ახლანდელ საინჟინერო ქუჩაზე).

ახლად ჩამოსულმა მსახიობებმა ეოდვეილსაყ მიუძღვნეს თავიანთი წეღილი და მალე იგი აქაურ საზოგადოებასაყ შეაყვარეს.

ჩვენამდე ძალიან ცოტა რეცენზიამ მოაღწია ამ დროინდელ წარმოდგენებზე, მაგრამ ვახ. „კავკაზში“ (1846 წელი, №42 არის ერთი რეცენზია, რომელაც ებება 1846 წელს მ რქტობმერს დადგმულ წარმოდგენას. ეს წარმოდგენა დაუდგამთ „ნიჰიერი და საყვარელი“ მსახიობ-ქალის ე. ი. მარქსის საბენედილოდ. წარმოდგენიათ გრიბოედოვის „ეი ჰეისიან“, ხოლო დაასრულ—პერეპელსკის ეოდვეილი „ბებიას თუთიყუში“.

რეცენზიის მიხედვით, პიესას უბერიოდ ჩაუვლია, მსახიობებს ვერ დაუძღვეით გრიბოედოვის უყდავი კომედიის როლები და საერთოდ წარმოდგენას ეუდი შობეცქდილება მოუბდენია მიყურებლებზე. რეცენზენტი გულთბილად იბსენიებს მხოლოდ ეოდვეილს, რომელმაც კომედიის უბერიო წარმოდგენით შექმნილი „საერთო სულერი, სეედა ოღნაე გაყანტა“-ო. ბოლოში რეცენზენტი აღნიშნავს: „აქ ყველანი საუტხოოდ თამაშობდნენ“-ო.

ამგვარად, ტფილისის საზოგადოებამ უბერ კიდევ ეეტორის სიკოცხლეში ნახა და სათანადოდ შეაყასა მისი პიესა.

ნ. ნაქიასოვი

პროფ. ა. ლონდა

საშინელი უმეცობა

ჩვენ წინ დევს წიგნი „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრების“ სერიადან, რომელსაც სტეფან სანტურნალო-სავაზეთო გაერთიანება მოსკოვში წიგნს ეწოდება „შოთა რუსთაველი“, მისი ავტორი დ. დანდუროვი, მისი ტირაჟი 40.000 ცალს უდრის, გამოცემის წელიწადად აღნიშნულია 1937 წელი, პასუხისმგებელ რედაქტორად — იოსებ გენკინი.

შენაღებ შესაძლებელია ამ წიგნზე უფრო უპასუხისმგებლო და აღმომფთოებელი რამის წარმოღვევა.

ავტორი ცდილობს დაარწმუნოს თავისი თავი და სხვებიც, რომ რუსთაველის პოემა თავიდან ბოლომდე „ნიღაბი“ და „აღუგორობა“, ამასთან იგი არაფრის წინაშე არ იხვევს. დანდუროვის მიხედვით, ზეარაზმში, ნესტან-დარეჯანის საქმრო, არც მეტი, არც ნაკლები — დემნა, გიორგი III-ის შვილი; ხოლო ტარიელისა და ყვთანდილის მადნაფიცის ფრიდონის სახელ ქვეშ იფარება ანდრეი ბოგოლუბსკის შვილი იური, რომელიც, 1176 წელს ელადიშირიდან განდევნილი, სამი წლის შემდეგ უკვე დაემკვიდრა თურმე საქართველოში. არად დაგიღვევს დანდუროვი, რომ მის ამ ბეჩავ აზრებს არც ერთი ისტორიული ძეგლი არ ადასტურებს.

რუსთაველის ეპოქის თვალსაჩინო ფიგურებს და თვით პოემის ავტორსაც დანდუროვი ყოველად უზადრტყ და სასაცილო სახით წარმოგვიდგენს, და ასეთ უცერემონიო დამოკიდებულებას ზალბის ისტორიისადმი ადგილი აქვს ჩვენს დროში, როდესაც დაუცხოებელ ბრძოლას ვაწარმოებთ ისტორიული ფაქტების სერიოზული, ღრმა და სწორი გაშუქებისათვის.

დ. დანდუროვი იყენებს მხოლოდ იმ ლიტერატურას, რომელიც მისთვის ასე თუ ისე „ხელსაყრელია“. ეხება რა შოთა მუვიმის მონასტრის ცნობილ სიველს, რომელზედაც ცალაქ შოთას უწერია ხელი, დანდუროვს ეს უცნობი შოთა უყოყმანოდ შოთა რუსთაველად მიანიცა.

უღაო კვშმარტებაა, რომ ისტორიულ წყაროებს კრიტიკულად უნდა მოვუკყრაო. მაგრამ დანდუროვი, ვამომდინარეობს რა ამ კვშმარტებიდან, პირაღებით უარპყოფს თამარის ისტორიკოსების მიერ დატოვებულ მატანებებს. იგი უყოყმანოდ აცხადებს, რომ რუსთაველის პოემა „პირველზარისისოვანი ისტორიული ძეგლია თამარის ნამდვილი სახის ვამოსარკვევად, და ჩვენ არ მოვგვპოვება მისი თანაბარი მნიშვნელობის სხვა ძეგლები“-ო. ასე იშორებს თავიდან დანდუროვი თამარის ისტორიკოსებს, უაღრესად ძვირფასი ძეგლების ავტორებს, რომელნიც ყოველშპრივად აშუქებენ XII საუკუნის საქართველოს რთულ და მდიდარ ცხოვრებას.

შემდეგ, ვერ გაეგებია, რატომ აღძრა ავტორმა ყოველად სულელური საკითხე იმის შესახებ, თუ როგორი სისხლი დიოდა რუსთაველის ძარღვეში: სიმპტური თუ ქართული. სვამს ავტორი ამ საკითხს და სერიოზულად ამტკიცებს ქართველი პოეტის ქართულ წარმოშობას, ამასთან ისე და იმნაირად ამტკიცებს ამას, რომ ბოლოს მინიც გზაკვალს უბნის მკითხველს. მართლაც, ერთის მხრით, „არ შეიძლება | ლაპა-13. „შნათობი“ № 1

რაც შოთას სომხურ წარმოშობაზე, ხოლო მეორეს მხრით — „თუ შოთა ი არ-
 მყანი, იგი „სომეხი“ მინც არის“. მაგრამ ქართველები არმყანებს „სომეხს“ უწო-
 დებენ, და ცალკე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ შოთა არმყანიც უწოდა, დასას-
 რულ: „თუ შოთა სომხურ სახელს აშოთს იტარებდა, იგი არმყანიც უწოდა“.

რუსთაველის სახელის შესახებ ავტორი სწერს: „მისი სახელი, შოთა, სომხურ
 აშოთისგან წარმომდგარად მიიჩნიათ; ეს სწორია, მაგრამ იქედან ასკვნიან, რომ შოთა
 სომეხია და არა ქართველი“. არაფერ იცის, ვის „მიჩნია“ და ვინ „ასკვნის“. არც
 ერთ სპეციალისტს თავში არ მოუტა ველური აზრი — ადამიანის სახელის მიხედვით
 დაასკვნას მისი ეროვნული და ტომობრივი წარმოშობა!

რაც შეეხება ეთნიურ სახელწოდებას „სომეხს“, დანდუროვმა უნდა იცოდეს, რომ
 თუნდაც ამ სიტყვას რაიმე კავშირი ჰქონდეს სიტყვა „მესხთან“ (პირადად წყნ კავ-
 შირი მათ შორის დაუმტკიცებლად მიგვაჩნია), მაშინაც კი არ შეიძლება ლაპარაკი
 ამ სახელწოდებების იგივეობაზე: ხომ ფაქტია, რომ არმიანებს ქართველები „სომეხს“
 უძახიან, მაგრამ დანდუროვამდე მესხებისა და სომეხების ერთმანეთში არცაა არაფერი
 არ მოსვლია აზრად.

დანდუროვის მიერლი მსჯელობა ძველი ქართული ენის შესახებ სრული პრიმი-
 ტივია. XII და XIII საუკუნის ქართული ფეოდალიზმის რთული პრობლემების, ისე-
 ვე, როგორც რუსთაველსა და მისი ეპოქის პრობლემების, გადაწყვეტას დანდუროვი,
 უპირველეს ყოვლისა, ცდილობს ცოცხალი ქართული მეტყველების ცუდად ათვისე-
 ზული ფაქტების საფუძველზე. დღემდე, მაგალითად, ცნობილია სახელწოდება „ოპი-
 ხა“, რომლის მსოფრთხადაც ქართული წყაროები „ოპიხარნი“-ს უწოდებენ, რაც ნიშ-
 ნავს „ოპიხელებს“. დანდუროვი არაფერით ანგარიშს არ უწევს ამას და სრულიად
 ახალ ფორმებს გვაჩვენებს: „ოპირახელებს“, „ოპირახელს“.

პოეტში სახელწოდება ქალაქისა „მულგახარზარი“ ან „მულგახანზარი“ გვხვდება
 ნათესაობით ბრუნვაში („მულგახარზარის ქალაქი“). დანდუროვმა ნათესაობითი
 ბრუნვა სახელობით ბრუნვად მიიღო. თანაც დაამახინჯა ნათესაობითი ბრუნვის
 ფორმა, და ყველაგან სწერს: „მულგახანზარისი“, „მულგახანზარისული“, „მულგა-
 ხანზარისის მეფე“.

ავტორი არა თუ ვერ ირჩევს ბრუნვებს ქართულს ენაში, იგი ვერ ახერხებს
 ლექსიკონების გამოყენებასაც კი. ყოველთვის და ყველაგან სიტყვა „მანდილოსანი“
 ნიშნავდა ქალს, უფრო ზუსტად — „მანდილ წამოხურულ ქალს“. დანდუროვს კი
 ეს სიტყვა „ბრძენად“ მიუჩნევია! ყოველთვის და ყველაგან სიტყვა „გონიერი“ ნიშ-
 ნავდა „კვიანს“, დანდუროვის მიხედვით კი იგი „ძლიერს“ ნიშნავს!

ვერც სიტყვა „პატრემა“ იხეირა დანდუროვის ხელში. ეს ძველი სომხური სიტყვა
 („პატრე“) სომხურშიაც და ძველ ქართულშიაც ნიშნავდა „ვაჟიერებას“, „ტანჯვას“,
 „წამებას“. თანამედროვე ქართულში მას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ,
 ნიშნავს „მოწვევას“. დანდუროვი კი იკონებს ახალ მნიშვნელობას — „პატრისკემს“.
 თინათინი ჰკითხავს ტარიელის ძემნის შემდეგ, დამბრუნებულ აფთანდილს: „პაოვია,
 პატრენი ნახენ ძებნითა ვისითა?“ ე. ი. პაოვე თუ არა ის, ვის გამოც ამდენი ტანჯვა
 გამოიარეო. დანდუროვი კი პოემის ამ ადგილს შემდეგნაირად სთარგმნის: „ვისი ძებ-
 ნითაც პატრისკემა მოიპოვე“-ო. მან არა თუ არ იცის სიტყვა „პატრის“ მნიშვნე-
 ლობა, მას საერთოდ არ ესმის ციტირებული ადგილის აზრიც.

და დანდუროვს წარმოდგენა არა აქვს ძველ ქართულ ორთოგრაფიაზე. შიო
 მღვიმის მონასტრის XII საუკუნის სიგელზე სხვებთან ერთად ხელი უწერიათ ავაგა
 ორბელის და ვნე ურბელის ორბელი — ორბელია. მაგრამ ურბელიც იგივე ორბელია

და არა სხვა ვინმე. მაშ რატომ სწერს ენე თავის გვარს ურბელად და არა ორბელადო, კიბულობს დანდუროვი და განმარტავს: „უ“ ქართულად ნიშნავს „ა“-ს, მაშასადამე, ურბელი არის „აბა-ორბელი“-ო. „დაქარგვა რა თავისი მამულეები, ორბელმა დაქარგა უფლებაც ასე იწოდებოდეს, და ენეს უწოდებდნენ ურბელს“, აბა, შედ „ურბელს“. აი თურმე რა კომედიებით ირობდნენ ამჟამად ურბელის ქართველები!

ნამდვილად კი „უ“-ს გამოშხატველი ქართული ნიშანი სიტყვა „ურბელში“ სრულადაც არ არის უარყოფითი ნაწილაკი, იგი მხოლოდ ასოა, რომელიც ერთნაირად გადასცემს ორ სხვადასხვა ბგერას: „უ“-საც და „ო“-საც, როგორც ამას ხშირად ეხედებით იმ ძეგლებში, რომლებსაც აღნიშნული სიგელი მიეკუთვნება.

როგორც ყველამ ვიცით, შოთა რუსთაველის პოემის ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“. ეს, არასაკვირველია, ნიშნავს: კაცო, რომელიც ვეფხის ტყვის ბატონებს. ასე გვეხსენის ყველას ეს სახელწოდება, მაგრამ ასე არ ესმის იგი დანდუროვს. მისი განმარტებით, „ვეფხის-ტაოსანი“ ნიშნავს „ვეფხების დამმარცხებელს“. რატომ მერე? იმიტომ, რომ „ტაოსანი“ შესდგება სიტყვის „ტყაი“-საგან და ნაწილაკის „ოსანი“-საგან, რაც, დანდუროვის მიხედვით, პროფესიას ნიშნავს. თურმე ნუ იტყვიო, ხელმარჯვე და ღონიერ ტარიელს ბედნიერებად შიანია ნაღირის მოკვლა შეხვედრისას და მისი გატყავება. აი, მაშასადამე, რა პროფესია ჰქონია, თუ დანდუროვს დავუბრუნებთ შეყვარებულ ტარიელს!

ნამდვილად კი სფიქსი „ოსანი“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს რისავე ფლობას. მაშასადამე, „ტყაოსანი“, „ვეფხის-ტაოსანი“ ნიშნავს კაცს, რომელსაც აქვს ან ბატონებს ვეფხის ტყავს.

სიყვარულის გენიალურ მომდრალს, ქალის კულტის მგზნებარე შესატრს, თინათინისა და ნესტან-დარეჯანის უქნობი სახეების შემომქმედს ავტორი ისეთ სიტყვებს მაიწერს, რომლებსაც რუსთაველი ათქმევინებს მეფე ფარსადანის დას დავარს, ამასთან ათქმევინებს იმისთვის, რომ უფრო მკვეთრად ასახოს ეს ბოროტი, უსულგულო ადამიანი, უფრო მეტი ჩრდილი მოაყენოს მას. მოჰყავს რა ჩვეულებრივი დაუდევრობით სათანადო ადგილი პოემიდან, დანდუროვი დაასვენის, რომ დავარმა „თავის მისწულს პროსტიტუტი უწოდა-ო“. თან იჭვე შენიშნავს: „მაგრამ ამ სიტყვების უკრიტიკოდ მიღება არ შეიძლება“-ო.

რასი მდგომარეობს ეს კრიტიკა? მხოლოდ ამაში, რომ სიტყვა „ბოზობა“ უნდა გავივოთ არა „პროსტიტუციის“ აზრით, არამედ „თავაშვებულობის“ აზრითო.

„წმ-ჩვეულების ერთგვარ სიმსუბუქეს ადგილი ჰქონდა XII საუკუნის ქართველ საზოგადოებაში — ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, — საქმიანად განმარტავს დანდუროვი. — ერი მხოლოდ XII საუკუნეში განთავისუფლდა მუსლიმანური კულტურის გავლენისაგან. ეს გავლენა გრძელდებოდა არაბთა ბატონობის რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ქალის დამკორუმბული მდგომარეობა შესცვალა ქალის გარიგნულში თავისუფლებაში, და ბუნებრივია, რომ მორალურმა ცნებებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწორეს განმტკიცება მუსლიმანური კარნავეტილობისაგან განთავისუფლებული ქალი საწინააღმდეგო უადურობობას მიეცა, და საეცებით გასაგებია, რომ საზოგადოებრივი ხე-ჩვეულებანი განირჩეოდნენ ერთგვარი თავისუფლებით ანუ, უკეთ, თავაშვებულობით“.

ანაირად, დ. დანდუროვის თეორიის მიხედვით, ქალის განთავისუფლებას კარნავეტილობისაგან მოადევს (პირველ ხანებში მაინც) დიდი საშიშროება.

პოემიდან ამოღებული ორი ციტატის საფუძველზე დ. დანდუროვი ნორჩა სცემს ქალის კულტს საქართველოში, — ქალის კულტს, რომელსაც ასე უმღერის და შეაქვს

შოთა რუსთაველი. „მეცრი კრიტიკოსები, — სწერს დანდეროვი, — შეეცდებიან დინახონ აქ უკიდურესი უხეშობა და, შეადარებენ რა ამ უკიდურესს რეალურ კალისადმი რანდულ დამოკიდებულებასთან დასაყვების ფეოდალიზმის რეალურებებში. მის იდეალზაციასთან, იტყვიან, რომ ქართული ფეოდალიზმის, უკიდურესობის შორს რეოვეროპის ზნე-ჩვეულებებისაგანო. კეშმარტების ნაწილი ამში, რასაც იტყვიან, არის...“

ამარაა, რომ დანდეროვს წარმოდგენა არა იქეს არც „დასაყვების“ ზნე-ჩვეულებებზე და არც ქართული ფეოდალიზმის ზნე-ჩვეულებებზე.

ჩენი დროის საუკეთესო რუსთაველოლოგი, აწ განსვენებული ნ. მარი სწერდა: „რომანტიული პოემის შესავალი სტროფები აღძრავენ კულტურის ისტორიკოსისათვის უაღრესად საინტერესო მთელ რიგ საკითხებს. მე ამხანად შევიჩრდები ერთ-ერთ თემაზე შესავლიდან. ეს თემა ძირითადია თვით რომანტიული პოემისთვისაც. ლაპარაკია იდეალიზებულ სიყვარულზე ქალისადმი, მის თავიანთსკემაზე, ერთის სიტყვით, ქალის კულტზე“.

„მისი (შოთას) მიმართვა შეყვარებულებისადმი—ეს ერთგვარი „დეკლარაცია სიყვარულისა“, — აქბალებს დანდეროვი, — არ სცილდება ამ ჩარჩოებს, რომლებიც მიღებული იყო შოთას მიერ აწერილ საზოგადოებაში“. შემდეგ, როგორც ციტატა რუსთაველიდან, მოყვანილია თვით ეს დეკლარაცია: „თქვენ, შეყვარებულებო, ნუ გაამხელთ თქვენს სიყვარულს. დღეს ერთია, ხვალ მეორე იქნება, მოთმინებით უნდა გადაიტანოთ განშორება“...“

ეს „დეკლარაცია“ თვით დანდეროვის გონების ნაყოფია. შოთა თავის სიყვარულის პოეტკაში დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრებს გამოსოქვამს. რუსთაველის ტექსტის სათანადო ადგილი ასე მოისმის:

„ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:

დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სომობდეს გაყრისა თმობასა...“

კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“.

ამრიგად, რუსთაველის ნაწარმოებში ჩვენ ეკითხულობთ დიად აზრებს წმინდა მუღმივ და ღრმა სიყვარულზე.

დ. დანდეროვის რუსთაველი კეშმარტი რუსთაველის, გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ანტორის უნიკო კარიკატურაა. ამსოლუტურად უფიცს ქართული ხალხის ისტორიის საკითხებში, კერძოდ ქართული ფეოდალიზმის ისტორიის საკითხში. მოკლებულს ნამდგლი მკვლევარის ელემენტარულ აზლოსა და ტაქტს, დანდეროვს არე-დარევა შეაქვს ქართველებისა და სხვა ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ნაციონალურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთ-დამოკიდებულებებში. თავისი უპასუხისმგებლო მსჯელობით საქართველოს თვალსაჩინო სახელმწიფო გულაყვებზე, კერძოდ თამარისა და დავით სოსლანის პაროვნებებზე, დანდეროვი ხაზ-კვალს უხნებს მკითხველს ისეთ რთულ საკითხში, როგორც არის ქართველ ხალხის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარება, როგორც არის, სართოდ, ქართული ისტორიის მამოძრავებელი ძალების საკითხი.

რუსთაველი პოეტია და არა ეგზოტიკური ქიშკია. რუსთაველის ენა ქართული ენაა, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი და კულტურული ენა.

იყოს თუ არა ეს „შესანიშნავ ადამიანთ ცხოვრების“ სერის ჩედაქციამ? ხოლო თუ იყოს, რით აიხსნება ის, რომ მან ასე გულთბილად მიიღო დ. დანდეროვის უაღრესი უმცენებით სავსე წიგნი?

„ვეფხისტყაოსნის“ პიკვედი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე

უკვედვი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ უკვე მე-19 საუკუნეშივე იყო ცნობილი რუსეთში ნაწილობრივ-ნაწილობრივად. ეს ნაწილობრივები დროგამოშვებით იბეჭდებოდა რუსულ პრესაში.

ჯერ კიდევ 1802 წელს ალექსანდრე-ნეველის აკადემიამ (არსებობდა ყოფილ პეტერბურგში) გამოსცა წიგნი „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“, სადაც მოკლედ გადმოცემულია საქართველოს ცხოვრების მთავარი ეტაპები მთელი მისი ისტორიის მანძილზე და სადაც თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსანს“. წიგნი ჯერ იძლევა ზოგიერთ ცნობას რუსთაველის შესახებ და პოემის სახელწოდების ახსნას, შემდეგ არჩევს თვით პოემას „მოქმედების სცენები, — ნათქვამია წიგნში, — გვაკონებენ არისტოს პოემას „როლანდს“, ხოლო სურათების სილამაზე და ორიგინალობა, იდეებისა და გარემოების ბუნებრიობა ოსიანისებურია“. შემდეგ აღნიშნულია პოემის მოსაზრების ფაქტი. მოსპეს იგი „ისე, რომ დღეს იშვიათად შეიძლება ნაბეჭდი ეგზემპლარების ნახვა“-ო. წერილის დასკვნითი ნაწილი დათმობილი აქვს ქართულ ლექსწყობას, კერძოდ, შაირს, რითაც დაწერილია პოემა. ავტორი ამდენად გაუცანია პოემას, რომ წინასწარმეტყველებს, რუსთაველის ნაწარმოები ოდესმე რუსულ ენაზედაც გამოვა.

წერილი პოემაზე, ისევე, როგორც მთელი წიგნი, აოცებს მკითხველს სწორი ცნობებით და საქმის უაღრესი. იხსენება ეს იმით (როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს), რომ წიგნში მოთავსებული ცნობები „ამოღებულია ორიგინალურ წყაროებიდან. მოგვაწოდეს ეს ცნობები მეტწილად ამეამად პეტერბურგში მყოფმა ქართველმა ელჩებმა და დეპუტატებმა“-ო.

ამ წიგნის შემდგენელი, რომელსაც მასზე თავისი გვარი არ აღუნიშნავს, როგორც ეხლა ირკვევა, ყოფილა დიპლომატიკური მანქანის მფლობელი, რომელიც ერთ დროს ნოვიკოვის წრეში ირიცხებოდა, ხოლო ის პირი, რომელსაც მისთვის ძირითადი ცნობები მოუწოდებია — „ქართველი მღვდელმთავარი ვარლამი“. მასალის საბოლოო დამუშავებაში ბოლხოვიტინოვისთვის, როგორც თვითონ იგი სწერს, დახმარება გაუწეიათ „აქ (პეტერბურგში) მყოფ ქართველ თავადებს“. სწორედ იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა განათლებული ქართველი — იოანე ბატონიშვილი, „ქალმასობის“ ავტორი, ასე რომ სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ იოანე ბატონიშვილის მონაწილეობა აღნიშნული წიგნის შედგენაში, მით უმეტეს იმ ნაწილის შედგენაში, სადაც მოყვანილია ცნობები შოთა რუსთაველის შესახებ.

შემდეგ, 1805 წელს იმავე პეტერბურგში გამოვიდა იაკობ ლანცეტის წიგნი — „კავკასიის აღწერა“, სადაც გაცემით (გვ. 47) რუსთაველიც იხსენიება.

მის შემდეგ რუსთაველი მოხსენებულა წერილში: „Краткий взгляд на грузинскую литературу“ (გაზ. „Тифлиссские Ведомости“, 1832 წლის აპრილის 16-24). წერილის ავტორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი-პალაროელი, ერთერთი პირველი ქართველი, რომელმაც უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. 1832 წელს იგი ფაქტობრივ რედაქტორი იყო „ტიფლ. ვედ.“-ისა, რომელიც ქართულადაც გამოდიოდა.

საფუძვლიანი წერილი შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე მოთავსებული იყო იმ ხანებში პოპულარულ რუსულ ჟურნალ „ტელესკოპ“-ში (1833 წ., № 14, გვ. 61 — 70). წერილს აწერს პოლონურიდან მთარგმნელი პ. დუბროვსკი. ნამდვილად კი ეს შრომა ეკუთვნოდა ცნობილ ორიენტალისტ-ლიტერატურათმცოდნეს ალექსანდრე ხოდუკოს, რომელმაც კავკასიაში 12 წელიწადი დაჰყო. იგი პირველი დასაბუთებული ლექსების (მაგ., ქოროღღოზე) და სხვ. მანვე შეკრიბა ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები შოთა რუსთაველზე და მოათავსა თავის წიგნში პოემის ფაბულა და მისი კრიტიკული ნარკვევი, ამასთან ხოდუკომ „ვეფხისტყაოსანი“ გვერდში ამოუყენა მსოფლიო ლიტერატურის საფუძვლად ნიშნებს (ა. ხოდუკოს წერილი ჩვენი შენიშვნით იხ. „მნათობში“ № 12 — 1937 წ.).

1836 წელს ლეგაციონის რედაქციით, გამოვიდა დიდი შრომა ოთხ წიგნად: „Обозрение российских владений за Кавказом“. პირველ ტომში, რომელიც საქართველოს ეხება, ლაპარაკია რუსთაველზედაც (გვ. 299).

1838 წელს ცნობილი პროფესორი-ორიენტალისტი ო. სენკოვსკი ერთ-ერთი პირველი რუსი მეცნიერი, რომელიც საქართველოში დაინტერესდა, თავის წერილში „Некоторые сомнения касательно грузинской истории“ (ჟურნალი „Библиотека для чтения“, წიგნი 30) იხსენიებს რუსთაველსა და მის პოემას.

1840 წელს რუსთაველს იხსენიებს აგრეთვე ცნობილი აკადემიკოსი მათი ბროსე თავის შრომაში: „Очерк истории литературы грузинской“ (ჟურნალი „Сын отечества“, ტ. III, წ. მე-2).

იმავე 1840 წელს კლიმენტი კინცესკიმ, რომელმაც რამდენიმე წელიწადი საქართველოსა და სომხეთში დაჰყო, ჟურნალ „Северная пчела“-ში (№ 50, გვ. 199 — 200) მოათავსა წერილი: „Взгляд на ход наук в Грузии“, სადაც მოხსენებულია რუსთაველი.

1842 წელს სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში (№ 35) „ვეფხისტყაოსანზე“ წერილს ათავსებს დავით ჩუბინაშვილი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი („ქრესტომატიისა“ და „ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების“ ავტორი). ეს იყო პირველი ვრცელი და მართლაც საფუძვლიანი წერილი შოთა რუსთაველის პოემაზე. იმ ხანებში (1841 წელს პეტერბურგში) იმავე ჩუბინაშვილმა, აკადემიკოსმა ბროსემ და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა-დამოაყენებელმა ზაქარია ფალაგანდიშვილმა გამოსცეს წიგნი, სადაც მოყვანილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. დავით ჩუბინაშვილის შემოაღნიშნული წერილი ამ წიგნის ერთგვარ კომენტარიას წარმოადგენდა. ჩუბინაშვილი ჯერ იძლევა საერთო ცნობებს პოემასა და მის ავტორზე, შემდეგ არჩევს პოემის და, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ პოემა შეიცავს როგორც დასავლურ-ევროპულ, ისე აღმოსავლურ ელემენტებს, უმათავრესად კი ადგილობრივ ელემენტებს.

1845 წელს პირველად გამოქვეყნდა რუსულად პოემის ცალკეული თავების თარგმანები. პირველობა ამ შრომე ეკუთვნის ვინმე ი. ბარტდინსკის, რომელსაც ეხმარებ-

ბოლა სამეგრელოს მმართველი დავით დადიანი. დადიანი აწვდიდა მთარგმნელს „არჩენსა და სიტყვებს“ პოემიდან. ამ თარგმანის ნაწყვეტები მოთავსებულია გაზეთ „Иллюстрация“-ში (1845 წ., №№ 6 და 7).

1846 წელს ტფილისში იყო გამოსვლა გაზეთმა „კავკასუსის მუსიკალური მუსიკის“ მე-15 ნომერში მოთავსებული იყო „ნაწყვეტი პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანი ეკუთვნოდა ივ. ევლახიშვილს, მოხელეს. ამ ნაწყვეტს იმავე გაზეთში გესლიანი შენიშვნებით გამოეხმაურა დ(ავით) ჩ(უბინაშვილი). ევლახიშვილმა პასუხი გასცა („კავკასი“ № 29). პოლემიკას ბოლო მოუღო დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც იმ ხანებში დაიწყო თავისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა.

1848 წელს ავტორის აღუნიშნავად პეტერბურგში გამოვიდა წიგნი „Грузия и Армения“ (სამ ნაწილად). უკანასკნელ ნაწილში შოთა რუსთაველსა და მის პოემას მიძღვნილი აქვს შიშული თავი „თამარის ციხე“ (გვ. 214—235). ავტორი ილტაცებით გამოგვეტყოს პოემის ღირსებებს. აღწერილობა (მაგალითად, როსტეკანისა და აფთანდილის ნადირობისა) ღირსია მოხუცი პომეროსის ეპიურა ყალბისა“-ო, — ამბობს იგი. შემდეგ დაწერილებით გამოცემულია პირველი თავის შინაარსი, ამასთან ავტორს ყველგან ბარტდმისკის თარგმანი მოჰყავს.

ამ წერილის ავტორი, როგორც ვხედავთ, გამოჩნდებოდა, იყო ცნობილი მწერალი, უმთავრესად რელიგიური საკითხების ირგვლივ, ანდრეი ნიკოლოზისძე მურავიოვი, რომელსაც ეკუთვნის იმ დროს დიდად ცნობილი წიგნი „მოგზაურობა წმინდა ადგილებში“. გრიბოედოვისა და პუშკინის ნაცნობმა მურავიოვმა რვა თვე დაჰყო საქართველოსა და სომხეთში, რასაც შედეგად აღნიშნული წიგნი მოჰყვა.

მურავიოვის წიგნი საფუძვლიან ცნობებს შეიცავს და ეს გარემოება უნდა დავემაძღლოთ დავით დადიანს (აღუქმანდრე ჰავეკავაძის სიძეს და აღუქმანდრე გრიბოედოვის ქვისს), რომელიც სტუმართმოყვარეობით ღებულობდა მურავიოვს თანსთან, ზუგდიდში, და რომელიც მურავიოვთან ერთად ტფილისშიაც იყო. დადიანის მონაწილეობა მეტადრე მოსმანს იქ, სადაც ავტორი შოთა რუსთაველზე ლაპარაკობს. „ის (ე. ი. დავით დადიანი) განუწყვეტლივ მიმეორებდა რუსთაველის ლექსებს და მეც სიამოვნებით ეუსმენდი“-ო, — ამბობს მურავიოვი.

1849 წელს გაზეთ „კავკას“-ში (№ 32) პირველად დიბეჭდა თარგმანი პოემის პროზაული ნაწყვეტისა— აფთანდილის მისვლა ფრიდონთან. თარგმანი ეკუთვნოდა ა. პ. აბაშიძეს.

იმავე წელს და იმავე გაზეთში მოთავსებულია გ. ბარათაშვილის შინაარსიანი წერილი „Памятника письменности Грузии“ (№ 26), სადაც რუსთაველი ვრცლად არის მოხსენებული.

იმავე წელს და იმავე გაზეთში მოთავსებულია გ. ბარათაშვილის შინაარსიანი წერილი „Шота Руставели“ (№ 33—35), აგრეთვე მეორე წერილი „Причины равнодушия Европы к произведениям восточного гения“ (№ 46—47).

1850 წელს პროფ. ჩუბინაშვილი გახ. „Зак. вестник“-ში (№ 41—42, რომელიც ტფილისში გამოდიოდა, ათავსებს წერილს: „Шота Руставели и его поэма“. სადაც ის კვლავ ეხება პოემის პოეტურ ღირსებებს და იმას, რომ იგი ემთხვევა ისტორიულ ცნობებს, რაც მას სახალხო ნაწარმოებად ხდისო.

ცნობილმა პოეტმა ი. პოლონსკიმ, რომელიც გაზეთ „კავკას“-ში თანამშრომლობდა და რომელმაც ტფილისში ყოფნის დროს კარგად შეისწავლა ქართული მუსიკა და ლიტერატურა, მოათქვამა ამ გაზეთში (№ 51) წერილი შემდეგი სათაურით: „Тамара и певец ее Шота Руставели“.

მეორე რუსი მწერალი, ვ. ა. სოლოგები, რომელმაც 80-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე წელიწადი დასწო ტფილისში, არა ერთხელ იხსენიებდა რუსთაველს თავის კავკასიურ ნაშრომებში (იხ. მისი თხზულებანი, ტ. V).

სინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, რომ 1856 წელს მოსკოვში გამოვიდა ტრაგედია ლეჟად „Барсовая кожа“-ს სახელწოდებით. მისი ავტორი პეტროვილი ოპროპირ გიორგისძე.

რუსთაველი მოხსენებულა 1858 წლის ოფიციალურ გამოცემაში: „Статистическое описание губерний и областей Российской империи“, т. XVI. „Кавказский край“ (გვ. 166).

1864 წელს რუსთაველს იხსენიებს ა. გოლოვინი თავის წიგნში (ტფილისში გამოვიდა): „Истор. обозрение Грузии“ (გვ. 77).

1870 წელს შოთა რუსთაველზე გაზეთ „კავკაზ“-ში (№ 13) დაიბეჭდა პლატოს იოსელიანის მეტად შენარჩუნებული წერილი.

ცალკე წიგნაკად გამოვიდა აგრეთვე მისი წერილი.

1871 წელს ს. ბარბათაშვილი თავის წიგნში „История Грузии“ (პეტერბ.) დაწერილებით ეხება „ვეფხისტყაოსანს“ და მის ავტორს.

რუსთაველზე ლაპარაკია 1874 წელს მოსკოვში გამოცემულ ვლადიკონის „გზის მარცვლებში“ (გვ. 429), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

1875 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში (№ 31, 33, 38) მოთავსებულა გ. იოსელიანის წერილი შოთა რუსთაველზე.

1884 წელს პედაგოგმა ნ. ი. გულაყმა „ტფილ. კრუეკის“ კლუბში ზედიზედ წაიკითხა ორი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“. შემდეგ ეს ლექციები ცალკე წიგნად გამოვიდა.

1885 წელს გამოდის ტფილისში ე. სტაპისკის წიგნი „Шота Руставели — грузинский народный поэт“, სადაც მოყვანილია პოემის პროზაული თარგმანის ნაწილები.

1888 წელს ცალკე წიგნად გამოდის იონა მელნარჯიას თარგმანი, რომელიც არჯერ იქნა გამოცემული, უკანასკნელი (1890 წ.)—ავტორის სახელის აღწერისშენადაც იხსენიებულია აგრეთვე (ხელნაწერების სახით) პროზაული თარგმანები მოსკოვში იანაშვილისა, ნ. გულაყისა, ა. სარაჯიშვილისა, ნ. მზარელოვისა (რეულო) და ივანე პოლტარაკისა (ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძის შესწორებებით).

შემდგომ წლებში შოთა რუსთაველისა და მისი პოემის შესწავლა სამეცნიერო-საგამოკვლევო ხასიათს ღებულობს. დავით ჩხორტა (გაათავა პეტერბურგის უნივერსიტეტი), „ივერიის“ თანამშრომელი, ციმბირში გადასახლებისას სწერს ფართო გამოკვლევას რუსთაველზე: „Герои поэмы Руставели и их мироощущение“.

მრავალი გამოკვლევა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ ნუთუნის იკადემიკოს ნ. მაჩს. თავიანთი წელიწადი შეიტანეს ამ საქმეში აგრეთვე გ. წერეთელმა, ა. ხაჩანაშვილმა, გრ. ყიფშიძემ და სხვებმა.

1917 წელს გამოვიდა რუსთაველის პოემის დასაწყისის თავისუფალი თარგმანი. მთარგმნელი — გ. ბაღმონტი, გამოცემელი — საბაწიკოევი.

მხოლოდ ჩვენს დროში, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მზრუნველობისა და წერადლების პირობებში, მივიღეთ სახელოვანი პოემის სრული რუსული თარგმანები. ამჟამად რუსულ ენაზე გვაქვს მდიდრულად გამოცემული სამი სრული თარგმანი — ბაღმონტისა, პეტრენკოსი და ცავარისისა; და ამით აცადებულ იქნა ეს ხარვეზი, რომლის შესებნასაც, როგორც ამ ბიბლიოგრაფიული ცნობებიდან სწამს, ასე მოუთმენლად მოელოდა რუსი მკითხველი თითქმის ას ორმოცი წლის განმავლობაში.

ბრ. ჩუბაძე

რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული ძეგლები

გამომცემლობა „ფედერაცია“ რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ძვირფასი საჩუქრები მიუძღვნა მკითხველებს: გამოსცა კლასიკური, ე. ი. რუსთაველის ეპოქის (მე-11 — 12 საუკ.) ძეგლები — „ბალაგარის სიბრძნე“, დავითისა და თამარ მეფის ქება ან იგივე „აბდულმესიანი“, „თამარიანი“ და ერთივე ვეფხისტყაოსნის ვაგრაძელება ე. წ. „ომიანიანი“.

„ომიანიანი“ დღემდე სულ არ იყო გამოცემული; მხოლოდ ნაწყვეტია დამბეჭდა შერა-კოთხის ფონდის ცნობილ აღწერილობაში — „Описание рукописей“-ში, ხოლო სამი პირველი ძეგლი (ბალაგარიანი, დავით-თამარის ქება და თამარიანი) არა უბრალოა გამოცემული, მათ შორის აღსანიშნავია აკადემიკოს ნ. მარის ცნობილი აკადემიური გამოცემა „Древне-грузинские описания“-ს სახელწოდებით. ეს უკანასკნელი ისეთი დიდის ცოდნითა და სიყვარულითაა შესრულებული, რომ ამოდ შეეძებოდა ახალი გამოცემა მარის მიერ დადგენილი ტექსტის შეცვლას და მის მიერ ჩატარებულ შრომის უფლებდელყოფას.

ეს გარემოება მხედველობაში მიუღია სარეცენზიოს გამოცემის რედაქტორს პოეტ. ს. კაკაბაძეს: მას განუწყობებია აკად. ნ. მარის მიერ დადგენილი ტექსტი. წარმოუდგენია საკითხის ისტორია და ცდილა მკითხველებისათვის მიეცა პოპულარულად კომენტარებული ტექსტი.

ტექსტის დადგენაზე საკმაო გულისხმიერება გამოუჩენია „ბალაგარის“ ტექსტის დამდგენს, ეს მით უფრო იუცილებელი იყო, რომ აქამდე არსებული გამოცემანი „ბალაგარიანის“ მეტ-ნაკლები შეცდომებითაა აღსავსე. სარეცენზიო გამოცემა შეიცავს დადგენილ ტექსტს სითანადო სამეცნიერო აბარატი.

ე. წ. კლასიკურ ხანის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მთლიანი წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა გამოიცეს აგრეთვე სხვა ძეგლებიც: „ამირან-ღარეჯანიანი“, „ეისრაბიანი“, „თამარის მატიაზე“ და სხვ.

დავით აღმაშენებლის და თამარის ქება და „თამარიანი“, გვაძლევენ საზოგადოების კლასიკურ ნიმუშებს; ეს თხზულებანი იწერებოდა არა ერთ დროს, არამედ მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 ს. დამდგენი — ზუსტად როდის, მნელაა ამის თქმა.

რედაქტორი ს. კაკაბაძე უზიარებლად ტრადიციულ აზრს იწყნარებს, მაგრამ რატომღაც გვერდს უვლის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ „აბდულმესიანი“ სულ სხვა თხზულებაა და არა ხოტბა, რომელიც ვეფხისტყაოსნის იონანე შეფთვულს. ამგვარად, „აბდულმესიანი“ კი არ უნდა ვეფხისტყაოსნის ძეგლს, არამედ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქება ანუ „დავითიანი-თამარიანი“.

„თამარიანის“ ტრადიციული ავტორის, ჩაბრუნების შესახებ მეტად გაბედული აზრია გამოთქმული: — „თამარიანის“ ავტორად უდავოდ ითვლება ჩაბრუნაძე“ (გვ. 11). სამწუხაროდ, უდაოდ უკერ ეს არაყის დაუმტკიცებია. მაინც პოეტის ირჩილის ცნობების მოტანა ამ საკითხს მეტს შუქს მოჰყენდა.

მაგრამ ყველაზე გაბედულად ჰიპოტეტური აზრები წამოყენებულა „ბალავარიანის“ წინასიტყვაობაში. დღემდე შეცნიერებაში სადისკუსიო გაბლენი საკითხი — ბალავარი მართლა თარგმნა თუ არა ექვთიმე ათონელ-ივერიელის უკუწერილიდან ბერძნულზე; მეცნიერთა და მკვლევართა უმრავლესობა ამტკიცებს ექვთიმემ „ბალავარი და აბტურა და სხვანაცა რაოდენიმე წერილი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულად“ (იხ. „ათონის კრებული“, გვ. 4).

წინასიტყვაობის ავტორები (პროფ. შ. ნუცუბიძე და პროფ. ს. ყაუხჩიშვილი) სამართლიანად, ბერძნულ, ლათინურ და ქართულ წყაროებზე დამყარებით, ექვთიმეს ქართულიდან ბერძნულზე მთარგმნელობას ემხრობიან.

მაგრამ სრულიად ჰიპოტეტურია და ოდნავად არ შეიძლება მათი აზრი შეწყნარებული იქნეს იმის შესახებ, რომ „სიბრძნე ბალავარისა“ ბერძნულად დაწერილია ექვთიმე იბერიელის მიერ (გვ. 13), ანდა, რომ ვითომ „ბერძნული ბალავარის ავტორი ექვთიმე იბერიელია“ (გვ. 17). არც ერთი ქართულ-უცხოური წყარო ამას არ ამტკიცებს. ეს წყაროები იმას გვეუბნებიან, რომ ექვთიმე ათონელ-ივერიელმა ქართულიდან თარგმნა (და არა დასწერა) „ბალავარიანი“. ექვთიმე უმთავრესად იყო მთარგმნელი; ძეგლი, რომელიც ჭრისტაანობის წინახანში გაჩნდა, მოედო (გადამუშავდა) მთელ საქრისტიანო ქვეყნებს. უფრო სწორია ვიფიქროთ, რომ არაბულიდან ან სხვა რომელიმე გზით „ბალავარიანი“ ითარგმნა ქართულად. აქ ჭრისტაანობის ნიადაგზე გაღამებული და გავრცელებული ბალავარი ექვთიმე ათონელ-ივერიელმა თარგმნა ბერძნულად.

ქართულ სინამდვილეს და ცხოვრებას რომ შეეფერებოდა (მე-8 საუკუნის და შემდგომ) „ბალავარიანი“ — ეს მართალია, მაგრამ ვანა ეს ამტკიცებს ექვთიმეს ავტობიოგრაფიის? ექვთიმეს არც ქართულად არც ბერძნულად არ დაუწერია ეს თხზულება.

მართებულად მიგვიჩნია ის აზრი, რომ რუსთაველის „ფეფხის-ტყალის“ მსოფლმხედველობრივი და მხატვრულ-ლიტერატურული კონცეპციის ნიადაგი თვით საქართველოში უნდა ევაიოთ. სხვათა შორის ეს მიზანიც აქვს ამ გამოცემას.

უნდა აღინიშნოს: დრო არის ამათვიმ მხატვრულ-ლიტერატურულ ძეგლის გამოცემისას მგტი ითქვას ხოლმე ძეგლის მხატვრულ ღირებულებაზე. სარეცენზიო წიგნები პირველ ყოვლისა მხატვრული ძეგლებია, მათი გამოცემის სამეცნიერო აპარატში რედაქტორებს მხატვრული ანალიზისათვის მკორე ადგილი დაუთმიათ.

„ფედერაციის“ გამოშვებისას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ეს წიგნები დაქონდა აქვს გაფორმებული და ფასითაც ხელმისაწვდომია.



ქართველი
წიგნწერების
კავშირები

ლევო ჰიაჩელი — მოთხრობები.

გამომცემლობა „ფედერაცია“, 1987 წ.

წინამდებარე წიგნი შეიცავს ავტორის წინათ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს. მკითხველი მასებისთვის კარგად ცნობილ რომანს „ტარიელ გოლუას“ და სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ და შემდეგ ნოველების კრებულში მოაწესებულ სამ მოთხრობას: „საქო აწას“, „თავადის ქალი მთას“ და „ალმასგარ კიბულანს“.

რომანი „ტარიელ გოლუა“ თავის დროზე ლიტერატურული კრიტიკის მიერ საკმაოდ შესწავლილი და დაფასებული ნაწარმოებია.

„ტარიელ გოლუა“ მკითხველი საზოგადოების და, მეტადრე, ახალგაზრდა თაობის ერთ-ერთი საყვარელი წიგნთაგანი იყო და არის. 1905 წლის რევოლუციის თემატიკაზე დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის ამ რომანს ქართულ ლიტერატურაში დღემდე უფაოდ პირველი ადგილი უჭირავს.

„ტარიელ გოლუა“ იმ მკითხველს ნაწარმოებთა რიგებს გუთვნის, რომელთაც სიძველის ესაზღვრება არ ეკიდებათ. მასში აწერილი ამბების და მისი დაწერის თარიღის შემდეგ განვლილი დრო რომანს იდეურ და მხატვრულ ღირებულებას არ უკარგავს. იგი ყველა ეპოქაში ახალია და ყველა თაობისთვის მიწილიველი და სინტერესო.

1905 წლის რევოლუციის ფონზე გაშლილი ადამიანთა ურთიერთობანი მოფიქრებული სიღრმით და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აქვს დხატული ავტორს. აკმაბრისია გავისხენოთ გაიოზ გადაღენდიას შენიღბვა, მისი შეყვდლება „ერთობის“ ხალხთან, როდესაც იგი თავისი ეგზაკტრა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ორპირობასა და თავის დამციარებასაც-კი არ ერიდება.

როგორი ნაცნობი და აღმამფოთებელია მტრის ეს მზაცვრული ხერხები! განა ხალხის საზიზღარი მტრები თავიანთი ფერაფული ზრახვებით ასევე თვალამაქცური გზით არ გყედლებოდნენ სოციალიზმის გამარჯვებული თაობის რიგებს?

გავისხენოთ რომანის ფინალი, როდესაც ერთად-ერთი შვილის დაღუბვის გამო ღრმა მწუხარებაში მყოფი ჭაუტტებელი მოხუცი ტარიელ გოლუა პირველი გამოცხმატრება მოწოდებას, დგება რვაკერის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში და მთი-სავალითთ გამწნევებული მის გარშემო მყოფი ახალგაზრდობა ირახმება.

კითხულობთ ამ ფინალს და გჯერათ, რომ ეს თავისუფლებისთვის მებრძოლი ენტრგული ხალხი უტყველად გაიმარჯვებდა.

კითხულობთ და აუცილებლად გაგახსენდებათ ხალხთა დიდი ბეღადის ეტლახანს ნათქვამი „...მხოლოდ ხალხია უყვდავი“-ო.

ამდენად ახლობელია ჩვეში თაობისთვის ეს რომანი.

ამდენად ახლოს ეტმარება იგი თანამედროვეობას.

„ტარიელ გოლუას“ ერთ-ერთი მთავარი ღირსება კიდევ ის არის, რომ მასში მოქმედებენ არა რევოლუციური ფრახებით მოლაპარაკე სტემები, არამედ სისხლი-

და ბორკით სავსე ცოცხალი ადამიანები. კარგი და ავი, ბოროტი და ცუდი მუქი საღებავებით კი არ არის ერთი-მეორისაგან გამოყვანილი, არამედ ცალკე-ცალკე ტიპები გამოკვეთილი არიან მათი ადამიანური ხასიათებით.

ლევან გოლუა, მეუბნებად დიდი კეთილშობილებისა და სიკეთისა თვის უანგარო, თავგანწირული მოღვაწეობისა, უნებისყოფისა და სიბრძნისა ხასიათისა და ჩველი გულის ადამიანია.

თინა, ლევანის სატყფო, ახნაურ დავითის ასული, ლევანისაგან განსხვავებით, მოკლებულია ქალურ სისუსტეს, იგი ძლიერი ნებისყოფით და მტკიცე ვაჟაკურ ხასიათით არის აღჭურვილი.

გაიოზ გადალენდიასთვის, მისი ბოროტი ავაზაკური ბუნების მიუხედავად, უცხო არ არის ყოყმანისა და სინანულის გრძობები.

შეთხველისთვის საყვარელ სახედ რჩება მუნჯი ბაქა, რომელსაც დავიწყებული აქვს ყოველივე პირადული და რომელიც მზად არის საკუთარი ძალი და სიციცხლე გასწიროს სხეებისათვის. მისი „ქვეყნისათვის თავგანწირვის უანგარო დიაღობა“ სავალალოდ არის გადატყვეული თვით კეთილშობილ ლევანისთვისაც კი.

ტიპების ამ ვალერეობს ავკირგვინებს მოხუცი გლეხის, ტარიელ გოლუას დინჯი, დაბნეილი, მტკიცე ხასიათით აღჭურვილი და „სხვის ნების დამპირჩილებელი ბუნების მქონე“ სახე.

„ტარიელ გოლუაში“ გამოკვეთილი სახეები ერთხელ წაკითხვის შემდეგაც დადნის დაუეწიყარნი რჩებიან შეთხველისათვის.

ადათი და კლასობრივი შეგნება ერთი-მეორესთან დაპირისპირებულია მოთხრობა „ჰაი აშაში“.

ტრადიციის მონა გლეხი ჰაშა თავსა სწირავს საყვარელი ძიძი. შეილის, თეთრ-გვარდიელი ოფიცრის, თავად უჯუშ ეშას გადარჩენის საქმეს.

მის რევოლუციური შეგნების მოღუბნით და კლასობრივი სიბრძნით აღშფოთებულია ბოლშევიკური კრისერის „შვიდტის“ კამიტანი, მეზღვაური კუზმა კილა:

„საქმე ის არის, რომ კუზმა მრისხანე თავიდანვე დიდად გააკვირვა ჰაის აშაშმა. თავდაპირველად არ დაიჯერა მისი თავგანწირულება და თეთრგვარდიელი ოფიცრებზე სადმი გამოჩენილი ერთგულება. ეგონა, რომ ეს იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდნენ საკუთარი სიციცხლის გაწირვით ბატონის დახსნას სიკეთისაგან. მაგრამ როცა საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მის რევოლუციონური შეგნება ისე აშფოთდა, რომ ჰაის კლასობრივი სიბრძნე საკუთარ შურსაცხოვად მიიღო და გულში გადაწყვიტა ამ იშვიათ ტიპს ახლოს გასცნობოდა, რათა ეცადნა მისი „დამუსაგება“. კუზმას შეუძლებლად მიჩნდა, რომ აუხაზ გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციონური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეგნებების გრძობამ მოკცა“.

შვამ კუზმამ ჰაის შეგნებაში ვერ აღმოაჩინა ეს „მცირე ნიადაგი ელემენტარული რევოლუციონური იდეის შესათვისებლად“. ეს გარემოება-კი ზიზზა და ბრაზს იწვევს ჰაი აშას მიმართ ბოცმან კუზმაში. იგი უჯუშ ეშას დახერტის შემდეგ საკუთარი ხელით ჰკლავს თვითმკვლელობის მიზნით ზღვაში გადასაბტომად გამზადებულ ჰაი აშას და დამწვიდებული ხმით მიმართავს მეზღვაურებს:

„სულერიოა, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა... აიღეთ, გადაავდეთ“ მწერალს დიდის გულმოღვინებით აქვს მოხაზული ჰაი აშას სახე და აეტორის სიმატრებში თითქოს მას მხარეზეა. კუზმას ზიზზი და ბრაზი, ჰაის კლასობრივი შეგნების სიღრმეით გამოწვეული, მხოლოდ კუზმას ზიზზი და ბრაზი და არა მყო-

ხველისა! შკოთხევისთვის პაკი ამა მინც სიმპატიურ და შესაძლებელ რება ჩვენის აზრით, მოთხოვნა იდურად ბევრს მოიგება, რომ ავტორს ისე მოეზახა პაკი ამას საზე, რომ მისი რეკოლუციური შეგნების მოდერნიზაციის სიბრძნავეს კუზმასთან ერთად შკოთხევიც აღმოფოთებინა. **საქმისათვის**

კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ორი ნოველა: „თავადის ქალი შაია“ და „ალმასგირ კიბულან“. პირველში აწერილია ხანგადასული თავადის ასულის ენებები და მისი უკანასკნელი ტოფილის ისტორია. ხოლო მეორეში — სენ ალმასგირ კიბულანის ვაჟიშვილის გიგერგილას ხეების დაცურებაზე მუშაობის დროს ენგურში დაღუპვის ამბავი, ხოლო შემდეგ თვით ალმასგირის დაღუპვა შავ ზღვაში. ორივე ნოველა ინტერესით იკითხება. ნოველების სტუდენტურ გაშლას და დაბეჭდილ სტრიქონებს გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია.

შაგრამ ამ ნოველების ფაბულა ცალკეული პიროვნებების თავგადასავალს არა სცილდება და იდური თვალსაზრისით ისინი ნაკლებად საინტერესონი არიან.

საკითხავია, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა გამომცემლობა ამ წიგნებში შესულ მოთხოვნების შერჩევას დროს?

გამომცემლობას ან უნდა გამოეცა ავტორის რჩეულ ნაწარმოებთა უფრო სრული და მოზრდილი კრებული, ან დაესტამბა ქიჩელის თხზულებათა პირველი ტომი. ამ საბით წიგნის ბაზარზე გატანა უფრო გამართლებული იქნებოდა და სავსებით დამსახურებული საკმაოდ ცნობილი და სახელმწიფოებრივი მწერლის მიერ.

„ფედერაციის“ მიერ ბოლო დროს დიდის გემოვნებით გამოცემულ წიგნთა შორის ამ წიგნს ერთგვარი დისონანსი შეაქვს. წიგნი დაბეჭდილია ცუდი ხარისხის ქაღალდზე, ყდაც უღაზათოა და 292 გვერდიანი პატარა წიგნისთვის ფასი 9 მანეთი შეტად ძვირია.

მლიზგარ კოლუმორდშინოვი — მოთხრობები

გამომცემლობა „ფედერაცია“ — 1987 წ.

ამ წიგნში მოთავსებულია ელიზბარ კოლუმორდშინოვის ოთხი მოთხრობა „ადათის დასასრული“, „ახალი მიწაზე“, „ფანდური“ და „შორეული ცის ქვეშ“.

მათ შორის ყველაზე მოზრდილია უკანასკნელი მოთხრობა „შორეული ცის ქვეშ“, რომელსაც თავის მოცულობით წიგნის ორ შესამდგმე მეტი უკავია.

ამ მოთხრობაში აღწერილია ა. ს. პუშკინის საქართველოში ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი და ამრიგად ბიოგრაფიული მოთხრობის პრეტენზიებს ატარებს.

მოთხრობა დაუმთავრებელი ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვეს. მას არ გააჩნია მთლიანი სტრუქტური შავისტრალი, მასში მოთხრობილი პუშკინის საქართველოში ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები ერთიმეორესთან თანმიმდევრობითი განვითარების მიზნობრივი ჯაჭვით არ არიან დაკავშირებულნი, არ არის მოხაზული და ჩამოყალიბებული არც ერთი მომჭვედი გმირის ტიპური სახე; მოთხრობის მომჭვედი პირნი, თვით პუშკინის გარდა, ყველანი ეპიზოდურნი არიან და პუშკინი მოთხრობის სხვადასხვა ნაწილში დროისა და გარემოს მიხედვით სხვადასხვა შემთხვევითი ადამიანებით არის გარემოცული.

მართალია, მოთხრობაში გამაზვიებულა პუშკინის საქართველოში ვადმოხვეწის სოციალური მოტივი, მაგრამ იგი ბოლომდის არ არის გახსნილი. ამბავთა წყებას არ გააჩნია მხატვრული და იდეური დასკვნა; საერთოდ მოთხრობა ბიოგრაფიული რომანის ცალკეული ნაწივებების შთაბეჭდილებას უფრო სტოვეს, ვიდრე დამთავრებულ მხატვრულ ნაწარმოებსას.

მოთხრობაში „ადათის დასასრული“ კარგად არის დატყობილი სენა ბეჭურზა ფარჯიანის სტლისკვებება, „რომელიც ეხლა ბერს ნანობს“ გირგულიანის გვართან 300 წლის წინათ წარმოშობილ მტრობასა და 10 წლის წინათ უკანასკნელად მამის სისხლის აღების გამო... „მაგრამ რა იცოდა თუ ცხოვრება ასე საამო და ბედნიერი ვადდებოდა, რომ სსიკედილოდ თავი დვენანებოდა“.

ძველი ადითი და ახალი სტალინური მშით გამობარი ეპოქის საამური ცხოვრება ერთიმეორესთან დაპირისპირებულია ამ მოთხრობაში: შორეული სენათის შშრომელთა ფართო მსახების ცხოვრებაში სტალინური კონსტიტუცია წარმოადგენს იმ ქვა-ყუბუბს, რომელზედაც იმსხვრევა საუკუნებრივ უკუღმართობათა გამო სიდათებზე და ხავსმოკიდებულ ტრადიციებზე აღმოცენებული მტრული ურთიერთობანი.

ასეთია ამ პატარა მოთხრობის იდეური ხანი.

მაგრამ მოთხრობა მეტისმეტად სწობასზობრივად ვითარდება და ეს გარემოება კი შეთხველის ინტერესს საკმაოდ ანელებს. ჩვენის აზრით მოთხრობა უძველესად მოავებდა, რომ ავტორს უფრო მტრად ეზრუნა მის სტრუქტურ გამაფრებაზე.



კარგად არის მიგნებულნი და გადმოცემული კოლხიდის მიწიზე გადმოსახლებული რაჭველი გლეხის ბესარიონ შეტრეველის ფსიქიკაში შერჩენილ, მსუბუქი ტრადიციის ნაშთები მოთხრობაში „ახალ მიწაზე“.

ფანდურისა და პატეფონის დაპირისპირებით, დაპირისპირებულია სამხრეთ-ოსეთის მშრომელი გლეხობის ძველი, ბოლშოვი და ნაღველით აღსავსე ცხოვრება ახალ, ზედნიერ და საამურ ცხოვრებასთან (მოთხრობა „ფანდური“).

ალაგ-ალაგ ავტორი დაუდევრობას იჩენს დეტალების მიმართ, რაც ყოველად შეუწყნარებელია. მაგალითად, შეიდგვერდიან პატარა მოთხრობა „ფანდური“-ს დასაწყისში ორჯერ არის ნათქვამი რომ მოხუც ოსს ფილო პარასტაევს მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში სამი ვეიღვეილი დაედუპა, ორი გვერდის შემდეგ იგივე ფილო უამბობს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის წარმომადგენლებს „მენშევიკების-გან გაჩენილ ცეცხლში ოთხი შეილი დაგვარგე“-ო. რა თქმა უნდა, ზედმეტი შეილის დადუპვის მოგონება და ტრამაზი წარმოუდგენელია, ამ შემთხვევაში ლაპსუსთან ვაჭვს საქმე, რაც ავტორს არ ებატებდა.

წიგნი დაბეჭდილია ცუდ ქაღალდზე უყვოდ, ფასიც 3 მან. და 90 კაპ. 133 გვერდიანი წიგნისთვის მეტად ძვირია.

შინაარსი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის დადგენილება
საბჭოთა კულტურის დიდი დღესასწაული

2
16

შხატვრული ლიტერატურა

ალ. აბაშელი — ლენინის ხოცვნა	19
ზაღბურა (ლეკი)	21
გ. ლეონიძე — ხალხთა ბელადს — დიდი სტალინს (ლეკი)	22
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — პოლემიკები	27
კალე ზობოხიძე — ჰიპნო სტალინისადმი	40
ვალერიან გაფრინაშვილი — რუსთაველის ფედა (ლეკი)	43
გიორგი კაკაბიძე — ლაღადი და სიხარული (ლეკი)	45
ივ. უფიანი — შოთას (ლეკი)	46
ლოლოზონ თავაძე — ჯილდო (მოთხრობა)	48
ჯამბულა — სიმღერა სიცოცხლეზე (ლეკი)	107
ნ. ასევე — შოთა რუსთაველი (ლეკი)	111
მიკოლა ბაჟანი — თხოვეის ჯა	112
ვ. სოსიურა — რუსთაველი (ლეკი)	115
იანკა კუპალა — მზორ რუსთაველს (ლეკი)	116
ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი)	117
ნ. ნეკრასოვი — რანდი ერთი საათით (ლეკი)	149

ქარიტიკა და კუვლიცისტიკა

კანდიდ ჩარკვიანი — საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა ექანასკნელი ხელი წლის მინიძღვე	155
ვანო ბარნოვი — შოთა რუსთაველი	174
გიორგი ნატროშვილი — ალექსანდრე ვაზბევი	179

სალიტერატურო არქივი

ა. ვაზბევის ლექსები — მოცა ცო	190
ნ. ა. ნეკრასოვის — პიესა ტფილისის სკენაზე 1846 წელს	192

ბიბლიოგრაფია

პროფ. კ. დონდუა — სამინელი უმეცრება	193
ივ. ენაქოლოფოვი — „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე	197
ტრ. რუხაძე — რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული ძეგლები	201
ნ. თ. ლეო ქიაჭელი — მოთხრობები	203
ნ. თ. ელიზბარ პოლუმორდვიანი — მოთხრობები	206